კვირის პალიტრა

ალბომი

N7 (24

ვა

ი.

1168
2005

სისხლიანი ტრაგედია – რისთვის გაწირეს სიძე: „ჩემს ქმარს მანაჩენი მამაჩემმა გამოუტანა...“

ნამდვილი ამბავი – ჩურჩულით მიღებული საიდუმლო ინფორმაცია

ნიკა ქავთარაძე სიყვარულის შესახებ

ლუბა ელიაშვილის ახალი დეტექტივი: საბედისწერო ვოიაჟ

თეა ბოგვეჯიშვილი: „ისევ ისეთი ეჭვიანია, მაგრამ ეს სულაც არ მაღარდებს...“

ფუჭი დაპირება?! ზარზეიმით გათავისუფლებული შვილი შვილის მამას მინისტრი ვერ ასაქმებს

სიახლე!

მხიარული „ატრაქციონი" თქვენი პატარებისთვის



ყველაზე საბავშვო ჟურნალი

 კვირის პალიტრა
ეგზა
№7 (245)
17 - 23 თებერვალი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„სუშნიაკი“ ქუთაისურად ანუ „პაპანაქება გამთარში წყაროს წყალივით გინატრე“ 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი მსოფლიო 4, 5, 6
სამართალი
ფუჭი დაპირება?! – ვადამდე გათავისუფლებულ შვიდი შვილის მამას მინისტრი ვერ ასაქმებს 7
კონფლიქტი
ქართველი ბიზნესმენი გერმანიის მთავრობას საქმეს პარიზის სასამართლოში გაურჩევს 8
პირველი პაემანი
როდის ხდება სიყვარული დამღლელი და მტანჯველი 10
ტესტი
ერთგული მკითხველი 11
ოფსაიტი
რომან გვენცაძე: „თავი ოპოზიციაში მეგონა და სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი“... 12
კრიმინალი
● „ხელი გამარტყა და ვერ ვაპატიებ“... 15
● შინამოსამსახურემ სახლის პატრონი მოახრჩო 17
ქალი საჭესთან
მანქანაში მჯდომი თიკა ფაცაცია ქურდბაცაცებმა დააშინეს 18
თემა
მეორე ქორწინება 20
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 22
სახე
„ისევ ისეთი ეჭვიანია, მაგრამ ეს სულაც არ მადარდებს...“ 24
მედიცინა
უკურნებელი სენი... იკურნება! 26
ნამდვილი ამბავი
მხსნელი ტყუილი და უნებლიე ცოდვა 28
გზავნილები
„ჩემი დაქალისა და ჩემი ძმის სიყვარული ბუხრის პირას ჩაისახა“ 29
ჯანმრთელობა
● მამის ბარეშე 32
● სიყრუე მობილურის გამო? 33

მეორე ქორწინება

ის დრო, როცა ოჯახის დანგრევა უდიდეს სირცხვილად იყო მიჩნეული, წარსულში დარჩა. დღეს ცოტანი როდი არიან ისეთები, ვისაც პირველ ქორწინებაში არ გაუმართლა და მეორედ ცდილობენ საკუთარი კერის შექმნას...

ფსიქოლოგები განმეორებითი ქორწინების სამ ტიპს გამოყოფენ...

20

„ისევ ისეთი ეჭვიანია, მაგრამ ეს სულაც არ მადარდებს...“

„პრობლემა კიდევ ის არის, რომ ქართველები ძალიან ზარმაცები ვართ. არ გვიყვარს ზედმეტი დატვირთვა. თავიდან ბავშვები ჩემთან რომ მოდიან, თუ შერეული სისხლისა არიან, გაცილებით ყოჩაღები და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნები არიან, ვიდრე „სუფთა“ ქართველები...“

24

ვადამდე გათავისუფლებულ შვიდი შვილის მამას მინისტრი ვერ ასაქმებს

შვიდი შვილის მამა სასჯელს 12 კილოგრამი ალუმინის მოპარვისთვის იხდიდა... იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ყოფილი პატიმარი სახლამდე მიაცილა და დახმარებაც აღუთქვა... სამუშაოდ მილებას დაპირდნენ, მაგრამ ჩვენი სტუმრობის დროს, ის ჯერ კიდევ დაუსაქმებელი იყო.

7

როდის ხდება სიყვარული დამღლელი და მტანჯველი

„ახლა ვხვდები, რომ ეს გოიმური საქციელი იყო. ერთი პერიოდი კი, ყველგან, შეყვარებულის უბნის გავლით დავდიოდი. მართალია, გზას ვიმრუდებდი, მაგრამ იმ გოგოსთან უბრალო მისალმებაც კი კარგ განწყობილებაზე მაყენებდა.“

10

ტაძარი
რა უბიძგებს ადამიანს მემთვრალეობისკენ 34
დიდმარხვა
მეგვრისა და ფარისევლის კვირა 34
მოგონება
ინოლა გურგულია: „სულში თმენაა, მარადისი ყოფნის ნდომაა, შემოდგომაა...“ 35
ვარსკვლავი
ოჯახიდან გაქცეული გოგონას წარმატებული კარიერა 38
ბომონდი 39
ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. საბედისწერო ვოიაჟი (დასაწყისი) 41
შეუცნობელი
მორფევსის მარწუხებში მოქცეული გონება და მისი პარადოქსები 46
სპორტული მოზაიკა 49
ავტო 51
ტრადიცია
სისხლის აღების წესი – როცა სახელმწიფო უძლურია 52
შოუბიზნესი
ანრი ჯოხაძე: „ახალ კლიპსაც გადავიღებ და სოლო კონცერტსაც გავმართავ“ 56
საგანძური
ძველი თბილისი ქართველ და უცხოელ მხატვართა შემოქმედებაში 57
ჰოროსკოპი
კვირის (21-27 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
რამდენად კარგად გესმით საპირისპირო სქესის? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მანქანაში მჯდომი თიკა ფაცაცია ქურდბაცაცებმა დააშინეს

„ამიწევია“ 180 კმ/სთ-მდე *(იცინის)*. ამას ჩემი მეუღლე რომ გაიგებს, გაგიჟდება. სულ ეხვეწება ჩვენს ერთ მეგობარს, რომელიც პატრულში მუშაობს: მარტოს, ჩქარი სიარული უყვარს და თუ შენიშნავ, დედა უტირე, გააჩერე და საბუთებიც წაართვიო...“

18

მორფევსის მარწუხებში მოქცეული გონება და მისი პარადოქსები

კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია არაერთი მაგალითი იმისა, როცა გენიალური გამოგონებებისა თუ მეცნიერული აღმოჩენებისაკენ მიმავალ გზას, გამოჩენილმა მეცნიერებმა სიზმარში მიაგნეს...

46

ბრიტნი სპირსი ერთდროულად 8 სადაზღვევო კომპანიას უჩივის

7-მა ბრიტანულმა კომპანიამ სადაზღვევო თანხის გადახდაზე უარი განაცხადა, ფრანგული კომპანია კი მომღერლის მოთხოვნას არც კი გამოხმაურებია. ბრიტანულმა კომპანიებმა თანხის გადახდაზე უარის თქმა იმით დაასაბუთეს, რომ ბრიტნიმ მუხლის ტრავმა პირველად 5 წლის წინ მიიღო...

40

საბედისწერო ვოიაჟი

ლუბა ელიაშვილი

ყოფილხართ ოდესმე ბედნიერებისგან თავზარდაცემული? სხვაგვარად ვერ აღვწერ ჩემს მდგომარეობას, როდესაც უამრავ პროექექტორმონათებული, პირდაღებული, ცივი ოფლით სახეაპრიალებული, პირდაპირ ეთერში უაზროდ ვაჭყეტდი თვალებს და ნაბიჯის გადადგმას ვერ ვახერხებდი.

41

„სუშნიაკი" ქუთაისურად

ანუ „ჰაჰანაქება ზამთარში წყრის წყლივით გინაცრე"

ამას წინათ, ყური მოვკარი პრეზიდენტის ინიციატივას, ქვეყნის დეცენტრალიზაციის მიზნით, რამდენიმე სამინისტრო, ბანკი და სახელმწიფო უწყება ქუთაისში უნდა გადავიტანოო. გული გამინათდა, — პერიფერიებსაც ეშველება და ცოტათი დედაქალაქიც განიტვირთება-მეთქი, — მაგრამ ახლა ისეთი რამ მოხდა ქუთაისში, რომ თევზიც ფეხით გამორბის რიონიდან მტკვარში და მინისტრს „დაბამ" ქუთაისში?!

თევზის არ იყოს, — სათქმელის მეტი რა მაქვს, მაგრამ პირში წყალი მაქვს ჩაგუბებული და კი ვარ „თევზივით" დამუნჯებული, — ისე იყო დღემდე ქუთაისელების საქმე. ეს ერთ დროს ინდუსტრიული ცენტრი დღეს მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებათ: პრეზიდენტს ხუთ წელიწადში ერთხელ, მაჟორიტარ დეპუტატს — ოთხ წელიწადში ერთხელ. ოთხ წელიწადში ერთხელ ყურადღების მიქცევა კი ხალხს კი არა, კოროლიოკის ხესაც არ ჰყოფნის, მაგრამ ითმენდა ხალხი „თევზის პრინციპით".

ახლა, ის წყალიც გამოელიათ, პირში რომ იგუბებდნენ და კი ამოიღო ხალხმა ხმა. ქუთაისისკენ მიმავალი წყლის ცისტერნები რომ დავინახე, „ქუთაისი გადამწვარა, რერო" რომაა სიმღერა, ვიფიქრე — ისეა საქმე-მეთქი...

ჩვენმა მამა-მარჩენალმაც ხელიდან არ გაუშვა ტელევიზორში „რეჩით" გამოსვლის დამატებითი შანსი: შუაღამით მოიწვია მთავრობის გაფართოებული (ორკაციანი) სხდომა და — უშველეთ უწყლოდ დარჩენილ ქუთაისსო, — ისეთი კატეგორიულობით თქვა, რომ ჯერ არშემდგარი პრემიერ-მინისტრი კინაღამ თვითონ გახდა საშველი:

დატრიალდა ელვისებურად, აქეთ ეცა, იქით ეცა — ამაღამვე წავალ ქუთაისში, მივცემ „პრავადნიკს" ხუთ ლარს და თავის კუპეში მაინც შემიყვანსო, — მაგრამ პრემიერისათვის აუცილებელი ოპერატიულობა გამოიჩინა, — მატარებელი დილამდე ვერ ჩავაო — და მეორე დღესვე ჩაფრინდა ვერტმფრენით. დავრწმუნდი, რომ მართლაც უნივერსალური პრემიერი გვეყოლება, ნახეთ, რამდენი პროფესია აქვს: პოლიტიკურად ნაციონალისტი, სულით — ფინანსისტი, მოწოდებით — ეკონომისტი და ბუნებით — ხისტი, — მეტი რაღა გვინდა?!

ქუთაისშიც ჩატარდა საგანგებო თათბირი, სადაც წყალმომმარაგებელი სისტემის დაზიანების შესაძლო მიზეზებზე ისაუბრეს. ბოლოს ვიღაც ჭკვიანს კითხვაც გაუჩნდა — ექსპლუატაციის ვადა ხომ არ გაუვიდაო?!

— რავა გეკადრება, ბატონო, ასე მალე რავა გოუვიდოდა?! — „გადირია" ქუთაისის „წყალთუხუცესი", მაგრამ უფრო ბოლო პერიოდით დათარიღებული ვერანაირი დოკუმენტი რომ ვერ იპოვეს, დაასკვნეს, რომ ეს სისტემა დამონტაჟებულია გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან სამ თვეში „ევო იმპერატორსკოე ველიჩესტვოს" ბრძანებით და მის შემდეგ ბაყაყის გარდა ცოცხალი არსება არ შეხებია და გაფუჭდებოდა, აბა, რა იქნებოდაო?!

უშუქობის გამო, თურმე, ხალხს პრეზიდენტის გამოსვლა ტელევიზიით არ მოუსმენია და სამხედროებით რომ აივსო ქალაქი, შეეშინდათ — ომი თუ იწყება საქართველოში, რაღა მაინცდამაინც ქუთაისიდან იწყებთო?! — მაგრამ ავტომატების ნაცვლად კანისტრები და ვედროები რომ დაუნახეს ჯარისკაცებს, კარი სიხარულით გაუღეს და მომგებიანი ბარტერი: ერთი ჭიქა ღვინო ერთ ლიტრ წყალში შესთავაზეს.

მოკლედ, პრეზიდენტის ბრძანება „ხუთიანზე" შესრულდა: ქუთაისი ისევ „წყალს მიაქვს". თითოეულ ოჯახში აბაზანები, ქილები, ბოთლები, ჭიქები, თეფშები რომ აავსეს, უწყლობით შეშინებულმა ხალხმა პირშიც ჩაიგუბა წყალი და კარგა ხნით გაჩუმდა.

სხვათა შორის, მაინტერესებს, ნეტავ, სოხუმის წყლით მომარაგების სისტემა როგორ მუშაობს?!

P.S. *კმაყოფილი გადაძახილები ქუთაისში:*

— ჭიჭიკია, მოგიტანეს სამხედროებმა წყალი?

— კი, მაგათ გაახარებს ღმერთი! მოვიდა, ჭურჭელიც ამივსო, ცოლსაც სულზე მოუსწრო, საცოდავი ქალი სამი დღე-ღამე გასაპნულ-გაქაფული იჯდა აბაზანაში!..

— რა ქენი, შე უპატრონო, ვინცხა სალდათს დაბანიე ცოლი?!

— „ვინცხაა", შე შტერო, შს მინისტრის მოადგილე?!

პროვოკატორი

ჩინეთში თევზის ღვინოს გამოუშვებენ

ჩინელი ღვინის მწარმოებლები მომხმარებელს ახალ, ორიგინალურ სასმელს – თევზის ღვინოს სთავაზობენ. როგორც ცნობილია, სპირტიან სასმელებს ამზადებენ ისეთი პროდუქტებისაგან, რომლებიც ხელმისაწვდომია ამა თუ იმ ქვეყანაში. ფრანგები კლასიკურ, ყურძნის ღვინოს აყენებენ, რუსეთში არაყს კარტოფილისგან ხდიან, კორეელები სპირტიან სასმელში ჟენშენის ფესვებს უმატებენ, ხოლო მექსიკელები, ცისფერი ლაგუნასაგან ცეცხლოვან ტეკილას ამზადებენ. ჩინელები კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ დროა, მრავალფეროვნება შეიტანონ ნაციონალურ სპირტიან სასმელში და ბრინჯის გარდა, მის წარმოებაში ჩართონ მათთვის ესოდენ საყვარელი თევზიც. სიახლის ავტორი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპორტო ქალაქ დალიანში მცხოვრები მეთევზე სუნ კემანია. მისი ინიციატივით გაიხსნა საზღვაო ბიოლოგიური ღვინის ქარხანა, სადაც მხოლოდ თევზის ღვინოს დაამზადებენ. კემანი თევზის მრეწველობაში მიღებულ მრავალწლიან გამოცდილებას ახლა ტექნოლოგიური წარმოების კონტროლისთვის იყენებს. გამომგონებელი მეთევზის მიერ შემუშავებული მეთოდი, ღვინის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიისგან რადიკალურად განსხვავდება. თევზის ღვინო ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის. უფრო მეტიც: მეცნიერების აზრით, იგი ძალზე სასარგებლოც კი ყოფილა – იმდენად, რამდენადაც საკმაოდ მაწიერია და ალკოჰოლის დაბალ დოზას შეიცავს. ■



„რუსეთმა ნიადაგი მოსინჯეს, თუ რა რეაქცია ექნებოდა ქართულ მხარეს...“

— სერგეი ივანოვი კვლავ პრევენციული დარტყმებით იმუქრება და კონფლიქტის ზონებში რუსი „სამშვიდობო“ ბრიგადების გამოგზავნას „გვპირდება“...

კოტე გაბაშვილი, *საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი:*

– ივანოვი ბოლო 3 წელია, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტების ძებნით არის დაკავებული. ის მიუნხენში, ვინ იცის მერამდენედ წარდგა მსგავსი მოხსენებით, რის გამოც საკმაოდ მკვახე კითხვებზე პასუხის გაცემამ მოუწია. პრევენციული დარტყმები ჩვენი მოგონილი არ არის და თუ სადმე ტერორისტულ ბაზებს აღმოვაჩენთ, დავარტყამთო!.. – ასეთი იყო მისი გამოსვლის პათოსი. თუმცა, თავადაც მშვენივრად იცის, რომ ამ მუქარის განხორციელება ზედმეტად სარისკო ნაბიჯი იქნება მათთვის. რაც შეეხება საქართველოში რუსული ბრიგადების გამოგზავნას, ეს კრემლის მხრიდან პოლიტიკური ტესტირების ჩატარებას უფრო ჰგავს: მათ ნიადაგი მოსინჯეს, თუ რა რეაქცია ექნებოდა ქართულ მხარეს. იმ წინააღმდეგობის შემდეგ, რომელიც ოფიციალურმა თბილისმა დააფიქსირა, რუსეთი მსგავსი ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავს. თანაც „სამშვიდობო“ ბრიგადების სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გადასროლა ასე იოლად არ ხდება. რასაც კრემლი კონფლიქტის ზონაში ფარულად ახორციელებს, ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ ღიად შეიარაღებული კონტინგენტი რომ შემოგვისიონ, ამას საერთაშორისო თანამეგობრობა არ დაუშვებს. ■

„პოლიტიკაში გარიგება ცუდ ტონად არ ითვლება“...

— „კონსერვატორები“ პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ აცხადებენ, რომ მათ შორის გარიგება შედგა. დავითაშვილი-ძიძიგურის კავშირი ოპოზიციონერობაზე უარს ამბობს?

ზვიად ძიძიგური, *პარლამენტის წევრი:*

– თუ ჩვენ შორის გარიგება შედგა, ამ გარიგებაზე პარტიული ან პიროვნული ინტერესების გამო არ წავსულვართ. „კონსერვატორები“ პრეზიდენტისგან ითხოვენ, რომ მცირე ბიზნესი ორი წლის განმავლობაში გადასახადებისგან გათავისუფლდეს. გარდა ამისა, დავსვით დიფერენცირებული პენსიების საკითხი: მინიმალური პენსია 28 ლარი უნდა იყოს, დანარჩენ შემთხვევაში, ადამიანებს ის სტაჟისა და ნამსახურობის მიხედვით უნდა განუსაზღვრონ. თუ ნოღაიდელი თანახმა იქნება და ეს ინიციატივა სამართლებრივ სახეს მიიღებს, მაშინ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას აზრი მიეცემა. ჩვენი მთავრობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის პირობების გაუმჯობესებას, თვითმმართველობის დამკვიდრებას, საპენსიო პრობლემების მოგვარებას, სამუშაო ადგილების შექმნას ჰპირდებოდა მოსახლეობას. ხელისუფლებაში მისვლიდან წლისთავზე მთავრობის წევრები ყველა დანაპირებზე აცხადებენ – ამ პრობლემების მოგვარება არ გამოდისო. ამას ხომ შევარდნაძეც ამბობდა!.. ჩვენ ჩასაფრების პოლიტიკის მომხრეები არა ვართ და ააკაშვილის ჩამოგდების სურვილით არ ვიწვით. თუ პრეზიდენტი ქვეყნის პიარით მართვას თავს დაანებებს, რეალურად დაინახავს შექმნილ სიტუაციას და პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებს, თანახმა ვართ, ნებისმიერ საკითხზე ვითანამშრომლოთ. პოლიტიკაში გარიგება ცუდ ტონად არ ითვლება – მთავარია, შედეგი, რაც მოსახლეობამ უნდა დაინახოს. ■

„ვიცე-პრემიერის მთავარი დანიშნულებაა, შეცვალოს პრემიერი...“

— როგორ ფიქრობთ — პრობლემა, რომელიც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას უკავშირდება, ამ უწყებიდან თქვენი წასვლის რეალური მიზეზი ხომ არ არის?

კოტე კემულარია, *უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:*

— სასამართლოში პრობლემები ნამდვილად არსებობს, მაგრამ რეფორმა დაწყებულია და ახალი ხელმძღვანელი, დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბების საშურ და აუცილებელ საქმეს დაასრულებს. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დროის ამ მონაკვეთში რისი გაკეთებაც შემეძლო, შევასრულე, თუმცა, ეს ადვილი არ იყო. იუსტიციის მინისტრობას ჩამოქვეითებად ნამდვილად არ ვთვლი. ეს ძალიან დიდი სამინისტროა, ფართო უფლებებით. გარდა პენიტენციარული სისტემისა, მას შეუერთდა საპასპორტო განყოფილებები. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ უნდა გვყავდეს არაკორუმპირებული აპარატი, რათა ადამიანებს გაუადვილდეთ, უმოკლეს ვადებში საჭირო დახმარების ან მომსახურების მიღება. ჩვენ ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა ვართ და ნებისმიერი საქმე, რომელიც სერვისული რეგისტრაციის ხასიათისაა, თანამედროვე სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. ვფიქრობ, ამ პოსტზე ძალიან საინტერესო საქმის შესრულება მომიწევს. პირველ რიგში, ვიცე-პრემიერის მთავარი დანიშნულებაა, შეცვალოს პრემიერი მისი არყოფნის შემთხვევაში, ჩაატაროს მთავრობის სხდომა და შეითავოს სხვა უფლებამოსილებებიც, რომლებიც პრემიერის მიერ იქნება მასზე დელეგირებული. შეიძლება, ორივე თანამდებობა, ერთად აღებული, გარკვეული თვალსაზრისით, სასამართლოს თავმჯდომარის პოსტთან შედარებით, ნაკლებად საპასუხისმგებლოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ნებისმიერი სფერო განსაკუთრებულია, თუ მას სათანადო გულისყურით მოვეკიდებით.

■

„მაჟორიტარებს თბილი ადგილის დაკარგვის შიში ალაპარაკებთ“

— პრეზიდენტის მოთხოვნამ პარლამენტის წევრთა შემადგენლობის 150 კაცამდე შემცირებასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანოში სერიოზული დაპირისპირება წარმოშვა. თქვენი აზრით, რის ხარჯზე უნდა მოხდეს მაჟორიტართა შემცირება?

კახა კუკავა, *პარლამენტის წევრი:*

— მაჟორიტარების შემცირებას არ ვეთანხმები. ეს ნიშნავს, რომ 25 ყველაზე პატარა ოლქი შემცირდება და რეალურად, რამდენიმე ოლქი მაჟორიტარის გარეშე დარჩება. მაგალითად, ყაზბეგში 3 ათასი ამომრჩეველია და მას თუ მივუერთებთ დუშეთის ოლქს, რომელიც გაცილებით დიდია, იქ ყაზბეგელი ვერასოდეს გაიმარჯვებს. იგივე მოხდება, თუ გააერთიანებენ სენაკს და აბაშას: სენაკი 5-ჯერ დიდი ოლქია, აქედან გამომდინარე, აბაშელი პარლამენტში აღარასოდეს იქნება. ასეთი ხელოვნური გაერთიანებები მისაღები არ არის. თუმცა, მაჟორიტარების აღშფოთება ამ ფაქტორით ნაკლებად არის განპირობებული. მათ თბილი ადგილის დაკარგვის შიში ალაპარაკებთ. რაიონებიდან არჩეული დეპუტატების უმეტესობას წარმოდგენილი აქვს, რომ მაჟორიტარი გამგებლის კურატორია, თავად უნდა დანიშნოს ყველა თანამდებობის პირი, დაასაქმოს ნათესავები და რაც მთავარია, მათი მეშვეობით მოახდინოს საკუთარი ბიზნესის ლობირება. დეპუტატის მანდატისთვის მაჟორიტარების უმეტესობამ 100 ათასი დოლარი გადაიხადა. ახლა ერთი ხელის მოსმით ყველაფრის დაკარგვა, რომელ მათგანს ენდომება?

■

ინდონეზიაში ქორწინების გარეშე სექსს აკრძალავენ

ინდონეზიის ხელისუფლება ქვეყანაში ქორწინების გარეშე სექსის აკრძალვას აპირებს. ამ კანონპროექტის მიხედვით, სამართალდამცავებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს ჩხრეკა ჩაატარონ ბინებში და „დამნაშავე წყვილის“ აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი ზომები მიიღონ. ამასთანავე, აიკრძალება კოცნა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, აგრეთვე ნებისმიერი ტიპის პორნოგრაფიის ყურება. მკაცრი ცენზურა დაწესდება აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიისათვის. მიღებული ზომების სერიოზულობა ჯარიმის სახით განისაზღვრება. ზოგიერთი დარღვევისათვის, მაგალითად, დამნაშავეს 300 მლნ რუპის (25,5 ათასი ევრო) გადახდა მოუწევს, ცალკეულ შემთხვევებში კი ახალი კანონი 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, სავარაუდოდ, ამ ესოდენ მკაცრ კანონს უმოკლეს ვადაში ვერ მიიღებენ. მის დამტკიცებას, დაახლოებით ორი წელი მაინც დასჭირდება. ახალი კანონპროექტის აქტიური მომხრეები ინდონეზიის რელიგიური ლიდერები არიან. ისინი უკვე კარგა ხანია მოითხოვენ, ადგილობრივი ტელევიზიით ამერიკული ფილმების ჩვენება აიკრძალოს.

■

სტუდენტები პროტესტის ნიშნად... სუქდებიან

შიმშილობა, რომელიც პროტესტის ჩვეულ ფორმად იქცა, საზოგადოებრივ შოკს უკვე აღარ იწვევს, ამიტომ მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, რომლებიც მთავრობის გადადგომას მოითხოვენ, გადაწყვიტეს, პროტესტი ერთობ ორიგინალური ფორმით გამოეხატათ: ისინი პირობას დებენ, რომ მანამ არ შეწყვეტენ უზომო ჭამა-სმას, სანამ მთელი მინისტრთა კაბინეტი არ დატოვებს თანამდებობას. თავიანთ პოზიციას აქციის ორგანიზატორები მარტივად ხსნიან: „დღეს რუსეთში და საერთოდ, მთელ მსოფლიოში, მილიონობით ხალხი შიმშილობს, მაგრამ ეს აღარავის აღელვებს. ამიტომ ჩვენ, პროტესტის გამოსახატ-

ავად, რადიკალურ ფორმას მივმართეთ“. ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი კაფეს წინ მოკალათებული, აქციაში მონაწილე, ჯერჯერობით მხოლოდ რვა სტუდენტი, პირობის მიხედვით, შეუსვენებლივ მიირთმევს. მათ მენიუში შედის პირველი, მეორე და საუზმეული კერძები. პროტესტანტების „მიღწევები“ სპეციალურ დაფაზე ფიქსირდება. იქვე აღირიცხება მირთმეული კერძების ანგარიში, რომელიც დღითი დღე იზრდება. როგორც გაირკვა, მთავრობაზე განაწყენებული სტუდენტები ადრე ერთმანეთს არ იცნობდნენ. მათ ერთმანეთი ინტერნეტით გაუცნიათ და მიუღიათ გადაწყვეტილება, თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია, ამგვარი უჩვეულო ხერხით გამოეხატათ. აღსანიშნავია, რომ აქციას სპონსორი არ ჰყავს და მის ფინანსურ მხარეს მთლიანად მონაწილეები უზრუნველყოფენ. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მათი აქციის მონაწილეთა რიცხვი უახლოეს ხანში საგრძნობლად გაიზრდება. ■

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

— ევროსაბჭო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მათი უფლებების განსაკუთრებულ დაცვას გვთხოვს. ცალკეულ რეგიონებში ეს სეპარატიზმის საფრთხეს ხომ არ წარმოშობს?

ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ, *პარლამენტის წევრი:*

— პარლამენტი უმცირესობათა დაცვის კონვენციისა და ენის ქარტიის რატიფიცირებისთვის ემზადება. თავისთავად ეს აქტი არანაირ საფრთხეს არ ქმნის. მაგრამ ამ დოკუმენტის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს მოსამზადებელი პერიოდი. პირველ რიგში, რეგიონში მცხოვრები უმცირესობების რეალური ინტეგრირება უნდა დაიწყოს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს სივრცეში. ეს გულისხმობს, როგორც ქართული ენის სწავლებას, ასევე კომუნიკაციების გამართვას. ეს კომპლექსურად გადასაჭრელი საკითხებია. კონვენციის მუხლები დეტალურად უნდა განვიხილოთ, რათა მოგვიანებით, ეს დოკუმენტი ამა თუ იმ რეგიონში გარეშე ძალების მიერ პროვოკაციის მოწყობის საფუძვლად არ იქცეს. უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში პრობლემები ნამდვილად არ არსებობს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეს სკოლაში 7 სხვადასხვა ენაზე შეუძლია განათლების მიღება. მაგრამ დასაშვებია თუ არა, რომ არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქუჩის წარწერები, აბრები, ოფიციალური ორგანოების ტრაფარეტები, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ენაზე გაკეთდეს — ე.ი. შევუქმნათ ყველა ის პირობა, რომელიც სახელმწიფო ენის სწავლის აუცილებლობას აღარ წარმოშობს. ეს ჩვენთვის მიუღებელია. რატიფიცირებამდე, უნდა გავითვალისწინოთ სამცხე-ჯავახეთისა და სხვა „რთული“ რეგიონების საკითხებიც, სადაც სეპარატიზმის საფრთხე არსებობს და მას გაღვივების საშუალება არ უნდა მივცეთ. ■

„ᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓ�გᲔᲜᲡ“

— ქართულმა მხარემ აღიარა, რომ რუსული ბაზების გაყვანის საკითხზე მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა. როგორი იქნება მორიგი რაუნდი?

ᲜᲘᲙᲐ ᲠᲣᲠᲣᲐ, *პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი:*

— რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდი ვილნიუსში, სადაც „მარშალის ცენტრის“ ინიციატივით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია. მასში მონაწილეობდა აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირი — რიჩარდ ჰოლბრუკი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა იუგოსლავიასთან დაკავშირებულ, დეიტონის მოლაპარაკებებში. მან ცალსახად აღნიშნა, რომ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა, კავკასიის რეგიონში დესტაბილიზაციის საფრთხეს წარმოადგენს. ამ პოზიციას, რუსეთის გარდა, ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი, მათ შორის იყო სომხეთის დელეგაციაც. ეს ფაქტი საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელოვანი დადასტურებაა. რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაასახელოს ბაზების გაყვანის რეალური ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველომ ბაზების უპირობო და სასწრაფოდ გაყვანა უნდა მოითხოვოს. ჩვენ ასეთ რადიკალურ ნაბიჯებს ვერიდებით, თუმცა, როგორც ჩანს, სხვა გზით ჩიხიდან გამოსავალს ვერ ვიპოვით. გადამწყვეტი ღონისძიებების დრო ფაქტობრივად დამდგარია. შემდეგი რაუნდი ასეთი, არაფრისმთქმელი და დამთრგუნველი აღარ იქნება. ■

ფუჭი დაპირება?!

ვადამდე გათავისუფლებულ შვიდი შვილის მამას მინისტრი ვერ ასაქმებს

ერთი თვის წინ, პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე, ვადაზე ადრე რამდენიმე პატიმარი გაათავისუფლეს ციხიდან. მათ შორის ერთ-ერთი, შვიდი შვილის მამა დავით გოგოლაძეა, რომელიც სასჯელს 12 კილოგრამი ალუმინის მოპარვისთვის იხდიდა. წვრილმანი ქურდობისთვის დავითმა ციხეში წელიწადი და რვა თვე გაატარა, თუმცა განაჩენი მისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ყოფილი პატიმარი სახლამდე მიაცილა და უკიდურესად ღარიბ ოჯახს დახმარებაც აღუთქვა. გავრცელებული ინფორმაციით, დავით გოგოლაძეს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში სამუშაოდ მიღებას დაჰპირდნენ, მაგრამ ჩვენი სტუმრობის დროს, ის ჯერ კიდევ დაუსაქმებელი იყო.

ემა ტუხიაშვილი

დავით გოგოლაძე მეუღლესთან ერთად

დავით გოგოლაძე:

– გიორგი პაპუაშვილმა საკუთარი მანქანით მომაცილა სახლამდე. გზაში ჩემს პრობლემებზე ვისაუბრეთ. ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. ბავშვებს საჩუქრები მოუტანა, ტკბილეული და სათამაშოები. იუსტიციის მინისტრი პირადად არის დაინტერესებული, რომ ჩემთვის სამსახური გამოინახოს და დარწმუნებული ვარ, რომ პირობას შეასრულებს.

— რა პროფესიის ბრძანდებით?

– პროფესიით ეკონომისტი ვარ. საბჭოთა პერიოდში სტაბილური სამსახური მქონდა, ანაზღაურება კი თავის რჩენის საშუალებას იძლეოდა. უკვე 15 წელია, ინგრევა ჩვენი ქვეყანა და უკიდურეს გაჭირვებაში ვიმყოფებით. სად არ მიმუშავია ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა ხელობაც შევისწავლე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ავტომობილების შემკეთებლადაც ვმუშაობდი. მაგრამ შეუძლია ვინმეს, ამიხსნას, როგორ შეიძლება არჩინო ამხელა ოჯახი მთელი დღის განმავლობაში ნაშოვნი 1 ლარით?.. ჩვენი რაიონის გამგეობაშიც ვიყავი აღრიცხვაზე, იმ შემთხვევისთვის, თუ რაიმე ვაკანსია გამოჩნდებოდა, მაგრამ – უშედეგოდ.

— თქვენი ოჯახი გაგვაცანით.

– მყავს მეუღლე, რუსიკო ქართველიშვილი და შვიდი მცირეწლოვანი შვილი: ზურაბი, ელენე, ქეთი, ნიკა, დავითი, გიორგი და ნანა. მათ შორის უფროსი, 15 წლის არის, უმცროსი კი – 4-ის.

— თქვენ მიერ ჩადენილ დანაშაულზე მინდა გკითხოთ...

– წარსულის გახსენება არ მინდა...

რუსიკო ქართველიშვილი:

– ბარბაროსობაა, როდესაც შვიდი შვილის მამას 12 კილოგრამი ალუმინის ქურდობისთვის გაასამართლებ და რვაწლიან პატიმრობას მიუსჯი. რა თქმა უნდა, ჩვენს ოჯახს არ ჰქონდა მატერიალური შესაძლებლობა, რომ ადვოკატი აგვეყვანა და სასამართლო პროცესზე ჩემი მეუღლე დაგვეცვა. მაგრამ მოსამართლის მიერ გამოტანილმა განაჩენმა უსამართლობის ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ყველა ნათესავი და მეგობარი ამოგვიდგა მხარში. განაჩენი საოლქო სასამართლოში გავასაჩივრეთ, ადვოკატიც ავიყვანეთ და თავისუფლების აღკვეთა დათოს მთელი 5 წლით შეუმცირეს. თავიდან, ჩემი მეუღლე სასჯელს ორთაჭალის იზოლატორში იხდიდა, მოგვიანებით, რუსთავის №1 კოლონიაში გადაიყვანეს. ამ კოლონიის ხელმძღვანელი კი დათოს სეხნია და მოგვარე – დათო გოგოლაძე აღმოჩნდა. სწორედ მან მიიტანა გულთან ახლოს ჩვენი ოჯახის გასაჭირი და ჩემს მეუღლეს იუსტიციის მინისტრთან უშუამდგომლა.

— ამ ხნის განმავლობაში, როგორ ახერხებდით შვიდი შვილის რჩენას?

– არ დაიჯერებთ, მაგრამ ჩემი შვილები ახალ წელს, ტკბილეულის გარეშე შეხვდნენ... ვანო ზოდელავა, როგორც ქალაქის მერი, გაცილებით მეტს გვეხმარებოდა, ვიდრე ამას დღევანდელი მუნიციპალიტეტი აკეთებს. მეტსაც გეტყვით: ზურაბ ჭიაბერაშვილს მრავალშვილიან დედებთან შეხვედრაც კი არ სურს. იცით, რა თანხას გვიხდის ქალაქის მთავრობა მრავალშვილიან ოჯახებს, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე?.. თვეში 5 ლარს. წინა წლებში, სასკოლო ნივთების შესაძენად, ქალაქის მერია 50-100 ლარით გვეხმარებოდა, წელს კი ჩემს შვილებს სასკოლო სახელმძღვანელოებიც კი არა აქვთ. ერთ-ერთი შვილი ასთმური სინდრომით მყავს დაავადებული და მე-2 ჯგუფის ინვალიდია. ამხელა ოჯახი ორ პატარა ოთახში ვართ შეყუჟული, რომელიც მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა და შესაბამისმა სამსახურმა ავარიულობის III კატეგორია მიანიჭა. როდესაც დათო დააკავეს, ჯერ ნათესავ-მეგობრების დახმარებით გაგვქონდა თავი. ღვთის მადლით, ჩვენს სახლთან ახლოს უმწეოთა სასადილოა, საიდანაც ასევე მოგვქონდა საჭმელი. თუმცა, დღესაც ამ სასადილოს იმედად ვართ დარჩენილი...

— დათო, მსგავსი დანაშაულისთვის თუ იხდიდა თქვენთან ერთად ვინმე სასჯელს?

– კრიმინალების დიდი ნაწილი თავისუფალია, ციხეში კი, ძირითადად, წვრილმანი ქურდობისთვის, ჩხუბისა და მსგავსი დანაშაულებისთვის იხდიან სასჯელს. ზოგს 2 კოლოფი სიგარეტის მოპარვისთვის აქვს მისჯილი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა!..

— შემიძლია გკითხოთ, საიდ-

ან წამოიღეთ ის 12 კილოგრამი ალუმინი?

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, ასეთი კითხვა დამისვათ, მაგრამ საერთოდ რომ არ ვიცი, საიდან და როგორ გაჩნდა ჩემი დაკავების ადგილას აღნიშნული მეტალი?..

— იმის თქმა გინდათ, რომ დანაშაული თქვენ არ ჩაგიდენიათ?

— მთავარია, დააკავონ ვინმე და დამნაშავედ გამოაცხადონ, უმალ ალაპარაკდება ყველა — ქურდიაო... მერწმუნეთ, რომ ხშირ შემთხვევაში, ნორმალურად კვლევა-ძიებაც კი არ მიმდინარეობს. ჯოხი კი ყოველთვის იმაზე ტყდება, ვინც ყველაზე უთქმელია...

რუსიკო:

— ისე გცემდნენ და გაწამებდნენ, რომ ალუმინის ქურდობაზე კი არა, კენედის მკვლელობაზე მოაწერდი ხელს... ჩემი მეუღლე ამ ამბით ძალიან დათრგუნვილია, ამიტომ ნუ გიკვირთ, რომ თქვენთან ღიად ვერ საუბრობს.

— შვიდი შვილის ყოლა ასეთ სიდუხჭირეში დიდი გმირობაა. მაგრამ ახალგაზრდები ხართ და ამიტომ გკითხავთ — შვილების გაჩენას კიდევ ხომ არ აპირებთ?

— პირველ რიგში უნდა ვთქვათ — ყველაფერი განგების ნებით ხდება ამქვეყნად. ხოლო სიღარიბეს რაც შეეხება, ამის გამო ისეთ სიმდიდრეზე, როგორიც შვილია, უარს არ ვიტყვი. ხომ გსმენიათ — მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო!..

■

სიღარიბის გამო, ისეთ სიმდიდრეზე, როგორიც შვილია, უარს არ ვიტყვით...

ქართველი ბიზნესმენი გერმანიის მთავრობას პარიზის სასამართლოში გაურჩევს საქმეს

საქართველო ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც უცხოელს, მკვიდრ მოქალაქეზე მეტი უფლება, პატივისცემა და გასაქანი აქვს. ჰოდა, წლების მანძილზე დამკვიდრებულ ამ „ტრადიციას“ უცხოელები მშვენივრად იყენებენ: ისინი საქართველოში თავს ისეთი განცხრომის უფლებას აძლევენ, როგორიც საკუთარ ქვეყანაში, სიზმარშიც კი არ მოელანდებათ. ასეთი „შანსის“ გამოყენებისაგან არც საქართველოში აკრედიტებულ, უცხოელ დიპლომატთა კორპუსი იკავებს თავს: იმის იმედით, რომ საქმე იმ ხალხს ეხება, რომელსაც პასპორტში „საქართველოს მოქალაქე“ უწერია, უცხოელი დიპლომატები არა მარტო ჩვენს, არამედ საკუთარ კანონმდებლობასაც თამამად არღვევენ.

ხათუნა პაიჭაძე

1998 წლის 2 თებერვალს, ქართულმა ფირმა „სატურნმა“ ხელშეკრულება დადო გერმანიაში მოქმედ ფირმა „კიფელ იმპორტ-ექსპრესთან“. ხსენებული გერმანული ფირმის წარმომადგენელი გახლდათ ამ ქვეყნის მოქალაქე, ვინმე ირენ კიფელი. ხელშეკრულების თანახმად, ფირმა „სატურნს“ ტურისტები გერმანიაში უნდა გაეგზავნა, ხოლო „კიფელის“ წარმომადგენელი ტურისტებს უნდა დახვედროდა და მათთვის უცხოელთა შესახებ გერმანიის კანონით გათვალისწინებული მომსახურება გაეწია.

გერმანიის საელჩომ საქართველოში საქმიანობის დასაწყებად (ვიზის გასაცემად) „სატურნს“ საბანკო გარანტიები მოსთხოვა. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, გერმანულ და ქართულ ფირმებს უფლებამოვალეობანი თანაბრად უნდა გაენაწილებინათ. სწორედ ამის გამო, ორივე მათგანმა ივალდებულა, რომ თითოეულს გაეხსნა საბანკო ანგარიში და გარანტიის სახით რომელიმე ბანკში 50-50 ათასი გერმანული მარკა შეეტანა. ხელშეკრულება წარუდგინეს გერმანიის საელჩოს საქართველოში. ფირმა „სატურნმა“ 50 ათასი მარკა, საგარანტიო თანხის სახით, გერმანულ „დრეზდნერ ბანკში“ (მასზეც გერმანიის საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით შეჩერდა არჩევანი) გადარიცხა.

„დრეზდნერ ბანკიდან“ საგარანტიო წერილის მიღების შემდეგ, გერმანიის საელჩომ ფირმა „სატურნს“ საქმიანობის ნება დართო და ამ უკანასკნელმაც, გერმანიაში ტურისტების გაგზავნას მიჰყო ხელი. მაგრამ „სატურნის“ საქმიანობა 1999 წლის იანვარში დასრულდა. მასთან ერთად დასრულდა ქართულ-გერმანულ ტურისტულ ურთიერთობებში ქართული ფირმების საქმიანობის ხანაც. 1999 წლიდან, გერმანიის საელჩო „ექსკლუზიურად“ განაგებს და ახლოსაც არ აკარებს ქართველებს ამ ბიზნესს...

1999 წლის იანვარში, ფირმა „სატურნმა“ გერმანიის საელჩოსგან მიიღო შეტყობინება, რომ ფირმა „კიფელმა“ 1998 წლის 30 დეკემბერს შეწყვიტა საქმიანობა. წერილში საელჩოს თანამშრომელი ბატონი ლოკოკო აღნიშნავდა: „თქვენი თანამშრომლობა სხვა გერმანულ ფირმებთან, აქამდე მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, საელჩოს მიზანშეუწონლად მიაჩნია და არ შეუძლია მიიღოს“ (სტილი დაცულია). თუ რატომ თვლიდა ბატონი ლოკოკო ქართულ-გერმანული ფირმების თანამშრომლობას მიზანშეუწონლად ან რა „გამოცდილებას“ გულისხმობდა, გაუგებარია, რადგან „სატურნისა“ და „კიფელის“ პარტნიორობის დროს, გერმანიის საელჩოს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „სატურნის“ საქმეთა მმართველი დავით მებუკე შეხვდა საქართველოში გერმანიის ელჩის მაშინდელ მოადგილეს

მიქაელ კინდსგრაბს და საელჩოს თანამშრომელს მიხეილ ვოლტერს, მაგრამ მათაც ვერ ახსნეს, თუ რატომ არ მიიჩნევდა გერმანიის საელჩო მიზანშეწონილად „სატურნის“ ურთიერთობას სხვა გერმანულ ფირმებთან. დავით მებუკეს ისღა დარჩენოდა, რომ კუთვნილი, „დრეზდნერ ბანკში“ საგარანტიოდ გადარიცხული 50 ათასი მარკა, კანონის შესაბამისად, უკან დაებრუნებინა. მაგრამ თანხის მოთხოვნის პასუხად, „დრეზდნერ ბანკიდან“ შეატყობინეს, რომ სანამ საქართველოში გერმანიის საელჩო არ დააბრუნებდა საგარანტიო საბუთის ორიგინალს, ვერაფერს მიიღებდა.

მებუკემ მიქაელ კინდსგრაბსა და მიხეილ ვოლტერს სთხოვა, გადაეგზავნათ ბანკისთვის მითითება, თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, რაზეც გერმანელებმა უპასუხეს: აღნიშნულ საკითხთან საელჩოს არაფერი აკავშირებსო(?!). თანხის დაკარგვით შეშფოთებული მებუკე გერმანიაში გაემგზავრა და დაადგინა, რომ 2000 წლის 13 ივლისს, გერმანიის საელჩოს გაუგზავნია „დრეზდნერ ბანკისთვის“ წერილი მითითებით – გადაერიცხა საგარანტიო თანხა გერმანიის შიდასახელმწიფო ორგანოებისთვის(?!). ამასთანავე გაირკვა, რომ გერმანულ ფირმა „კიფელს“ საგარანტიო თანხა ბანკში არ შეუტანია. სამაგიეროდ, საქართველოში გერმანიის მაშინდელი კონსული ლოკოკო „დრეზდნერ ბანკს“, ტურისტთა მიწვევისას დაზღვევის თაობაზე მოელაპარაკა და ამის შედეგად, ბანკმა „კიფელს“ 50 ათასი მარკის ღირებულების საგარანტიო წერილი მისცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დარღვევის შემთხვევაში, გერმანიის საელჩოს პირველი შეტყობინებისთანავე, ხსენებული ბანკი საჭირო თანხას თავად გადაიხდიდა. რაზე შეთანხმდნენ ლოკოკო და „დრეზდნერ ბანკი“ მოლაპარაკებისას, უცნობია, თუმცა ცხადია, რომ გერმანული ბანკები ამხელა თანხებს კეთილმეგობრული ურთიერთობის ან ლამაზი თვალებისთვის არ არიგებენ...

მიუხედავად იმისა, რომ დარღვევების შემთხვევაში, ქართულ და გერმანულ ფირმებს პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გაენაწილებინათ, გერმანიის საელჩოს მითითებით, „დარღვევების ანაზღაურება“ მთლიანად ქართველი მებუკის ანგარიშიდან მოხდა. საელჩოს მონდომებით, ქართველი ბიზნესმენის კუთვნილი 50 ათასი მარკა „დრეზდნერ ბანკმა“ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს ჩამოურიგა.

დავით მებუკემ თანხის დაბრუნება გადაწყვიტა და გერმანიის სხვადასხვა ინსტანციაში ჩივილი დაიწყო. შედეგად, მას ნაწილი დაუბრუნეს, რადგან დაადგინეს, რომ თანხა, რომელიც გერმანიის საელჩოს მითითებით დარიგდა, არაკანონიერად იყო გაცემული. კერძოდ, მებუკის ანგარიშიდან მოიხსნა და ქალაქ რენგსბურგში გადაირიცხა ვინმე ნათიმ ელჩუევზე დახარჯული თანხა – 13.470 მარკა, – მაშინ, როცა ელჩუევი გერმანიის მოქალაქე იყო და ეს თანხა გერმანიის მთავრობამ მას დახმარების სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოუყო(!). უცნაურია, რატომ გადაწყვიტა გერმანიის საელჩომ, რომ მის მოქალაქეს მებუკე უნდა დახმარებოდა და თანაც ისე, რომ ამ „ქველმოქმედების“ შესახებ ქართველ ბიზნესმენს არც უნდა სცოდნოდა. ამგვარად ჩამოარიგა სხვა თანხებიც, გერმანიის საელჩოს მითითებით, „დრეზდნერ ბანკმა“ ქართველი ბიზნესმენის ანგარიშიდან – როგორც ჩანს, იმის იმედად, რომ საქმე საქართველოს მოქალაქეს ეხებოდა და მისგან რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა...

საქართველოში გერმანიის საელჩოში ამ საკითხზე სასაუბროდ ჩვენთან შეხვედრა არ ისურვეს.

საინტერესოა, რომ დავით მებუკეს, ისევ და ისევ ქართულ-გერმანული საქმიანობის შედეგად, გერმანელებმა 40 ათასი მარკა ამ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე „ჩამოაწერეს“. თანაც, ეს სწორედ იმ პერიოდში ხდებოდა, როცა გერმანიის საელჩოდან გაგზავნილ წერილებში მებუკეს პასუხობდნენ – საგარანტიო თანხის საკითხთან საელჩოს არაფერი აკავშირებსო...

გვსურდა, ყოველივე ამის შესახებ გერმანიის მხარის პოზიცია გაგვერკვია, მაგრამ საქართველოში გერმანიის საელჩოში ამ საკითხზე სასაუბროდ ჩვენთან შეხვედრა არ ისურვეს.

ამასობაში 6 წელი გავიდა. ქართველ მეწარმეს კი საკუთარი თანხა სრულად ვერა და ვერ დაუბრუნებია. ამ ხნის განმავლობაში, დავით მებუკე რამდენჯერმე ჩაფრინდა გერმანიაში. ქვეყნის მთავრობა მას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში აგზავნის. ქართველმა ბიზნესმენმა თანხის ნაწილი დიდი ძალისხმევის შედეგად დაიბრუნა, თუმცა გერმანიაში იძულებითი ვოიაჟების ხარჯმა უკვე სამჯერ გადააჭარბა სადავო თანხას. მებუკემ საქმის გასარჩევად ქართულ სასამართლოს მიმართა. გერმანიის საელჩო ფარად დიპლომატიურ იმუნიტეტს იყენებს და პროცესზე არ ცხადდება.

კანონით, დიპლომატიური იმუნიტეტი სამოქალაქო ურთიერთობებზე არ ვრცელდება. მაგრამ „საელჩოს ფაქტორი“, როგორც ჩანს, ქართველ მოსამართლეებზე მაინც ახდენს გავლენას და საქმე სასამართლოდან სასამართლოში იგზავნება. დავით მებუკემ პარიზის სავაჭრო პალატის სამედიატორო სასამართლოსაც მიმართა. გერმანიის მთავრობა კი, პასუხისმგებლობას ისევ თავს არიდებს და აცხადებს – მე არაფერ შუაში ვარ, თანხა ადგილობრივი თვითმმართველობის იმ ორგანოებმა უნდა გადაიხადონ, რომელთაც იგი თავის დროზე ჩაურიცხესო.

დავით მებუკე: *„მთავარი ის არის, რომ მე საქართველოს მოქალაქე ვარ, მაქვს ქართული პასპორტი. ამერიკის ან ინგლისის მოქალაქე რომ ვიყო, ამას ვერავინ გამბედავდა. გერმანიის მთავრობის წევრებს ძალიან არ სიამოვნებთ, როდესაც მათ კანონდარღვევებზე ქართველი მიუთითებს და აიძულებს, მის მოთხოვნებს ანგარიში გაუწიონ...“*

P.S. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის საელჩოს თანამშრომელთა ქმედებების შესახებ ეცნობა გერმანიის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, საქართველოში ჩადენილი თაღლითობების გამო, ჯერჯერობით არავინ დასჯილა. არადა, დავით მებუკე პირველი ქართველი ბიზნესმენი არ არის, რომლის კუთვნილი თანხა გერმანიის საელჩოს თანამშრომლებმა მიითვისეს. დაზარალებულთა შორის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნებიც არიან, მაგრამ ისინი, სავსებით გასაგები მიზეზის გამო (საჯარო პირს ბიზნესსაქმიანობა ეკრძალება) ზარალის დასაბრუნებლად ბრძოლას, დუმილს ამჯობინებენ...

■

ნიკა ქავთარაძე ამ ბოლო დროს, ძალზე დაკავებულია. ახალ ტელეგადაცემას — „ნიკა ქავთარაძის შოუს“ მზადებას ბევრი დრო და ენერგია სჭირდებოდა და მასაც კარგა ხანს უჭირდა, ინტერვიუს ჩასაწერად თავისუფალი წუთების გამონახვა... გარდა ამისა, პირველი სასიყვარულო ამბების გახსენება არ უნდოდა: ცოლშვილიანი კაცი ვარ, რაღა დროს პირველ პაემანზე საუბარიაო?! — მითხრა. მაგრამ ბოლოს, მაინც დამთანხმდა.

როლის ხლება სიყვარული ლამლული და მტანჯველი

მერი კობიაშვილი

— ჩემი სასიყვარულო თავგადასავლების შედეგს ახლა ვიმკი: მყავს მეუღლე — ვერიკო, რომელიც პროფესიით მხატვარია და პატარა ალექსანდრე. ზაფხულისთვის კი, მეორე შვილს ველოდებით... პირველად, „მოწინააღმდეგე“ სქესით საბავშვო ბაღში დავინტერესდი. მაშინ მეგონა, რომ ძალიან შეყვარებული ვიყავი. ეს ის პერიოდია, როცა შეყვარებულის დანახვაზე ჟრუანტელი გივლის... მე დიდი ერთგულებით არ გამოვირჩეოდი. ყველა ლამაზი გოგო მიყვარდებოდა ხოლმე.

— მათდამი სიყვარულს როგორ გამოხატავდი?

— ჩემი „ვაუკაცური“ საქციელით ვცდილობდი, მათთვის სიყვარული დამენახვებინა. ბევრი ლაპარაკი არ მჩვეოდა. ლამაზ გოგონებს ადგილს და კარაქიან პურს ვუთმობდი ხოლმე.

— კარაქიანი პური გიყვარდა?

— როცა რაიმე გიყვარს და სხვისთვის იმეტებ, მაშინ აქვს საჩუქარს ფასი, არა?

— ალბათ, სკოლაში უფრო დასამახსოვრებელი სასიყვარულო თავგადასავლები გადაგხდენია თავს...

— სკოლაში დაახლოებით 11 გოგო მიყვარდა — ეი. ყოველ წელს სხვადასხვა მიყვარდებოდა. თუმცა, არც ერთს ჩემ მიმართ საპასუხო გრძნობა არ გასჩენია.

— რა იყო ამის მიზეზი? სულ ცალმხრივი სიყვარულით რატომ ინვოდი?

— თავმდაბალი ვიყავი. ჩემს გრძნობას აქტიურად არ გამოვხატავდი. მეშინოდა, რომ ჩემი სიყვარულის ამბავს მთელი სკოლა გაიგებდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომ სიყვარული ისეთი ინტიმური გრძნობაა, რომ სხვისი „ქირურგიული ჩარევა“ არ ესაჭიროება. მე რომ მიყვარდა, იმითაც კმაყოფილი ვიყავი. იმის წარმოდგენაც კი, რომ ჩემი შეყვარებული გოგონა მაკოცებდა, მთელ მსოფლიოში უბედნიერეს ადამიანად მაქცევდა.

— მაგრამ ასე არ ხდებოდა, ხომ?

— საქართველო არ არის ის ქვეყანა, სადაც შეყვარებულის კოცნა შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, მე რომ 12-13 წლის ასაკში ვიყავი, შეყვარებულის კოცნა სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა. იმედი მაქვს, რომ მომავალში, ამ საკითხზე ასეთი შეხედულება აღარ ექნებათ.

— შეყვარებული, როგორი ხდებოდი?

— ძალიან ერთგული. ამ დროს, სხვა გოგო ჩემთვის აღარ არსებობდა... მზრუნველი ვხდებოდი. უფროს კლასებში შეყვარებული გოგოს უბანში მანქანით დიდი სისწრაფითაც მივლია. ახლა ვხვდები, რომ ეს გოიმური საქციელი იყო. ერთი პერიოდი კი, ყველგან, შეყვარებულის უბნის გავლით დავდიოდი. მართალია, გზას ვიმრუდებდი, მაგრამ იმ გოგოსთან უბრალო მისალმებაც კი კარგ განწყობილებაზე მაყენებდა.



ნიკას ცოლ-შვილი

— პირველი პაემანი როგორ გახსენდება?

— ჩემი ყველა გააზრებული სიყვარული პაემნების გარეშე მიმდინარეობდა. ზესტაფონი პატარა ქალაქია. გოგო რომ პაემანზე დამებარებინა, შეიძლებოდა, ოჯახში პრობლემები შეჰქმნოდა. ამას ვერიდებოდი. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კი, სასიყვარულო „ფრონტზე“ პაუზა მქონდა. აქტიური სტუდენტური ცხოვრებით ვიყავი დაკავებული. მართალია, მაშინაც მქონდა რამდენიმე სასიყვარულო ამბავი, მაგრამ ყველაფერი გაელვებასავით ხდებოდა. არც ერთი მათგანი აღარ გამახსენდება...

— მეუღლე როგორ გაიცანი?

— ვერიკო რომ გავიცანი, უკვე ტელევიზიაში, „პირველ არხზე“ მუშაობდა. მე კი უნივერსიტეტი მქონდა დამთავრებული და რადიოში ვმუშაობდი. მე და ზვიოს სიმღერა — „სვანური როკი“ გვქონდა გაკეთებული. ჩვენმა მეგობარმა გოგა ხაჩიძემ (ამჟამად, მცხეთა-თიანეთის გუბერნატორმა) გვთხოვა, გადაცემაში — „დვრიტა ტი-ვი“ (სადაც ის მუშაობდა) ამ სიმღერაზე საახალწლოდ, კლიპი გადაგვეღო. რა თქმა უნდა, დავთანხმდით. გადაღებები ბეთანიაში გვქონდა, სადაც იმ დროს ვერიკოც იმყოფებოდა. მე და ზვიო ბევრს ვხალისობდით. ვერიკო ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ჩვენი ხუმრობა აიტაცა. ცოტა ხნის შემდეგ გაირკვა, რომ მის და ჩემს უახლოეს მეგობარს ერთმანეთი უყვარდათ. ამის გამო ჩვენც ვმეგობრობდით. მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ბიჭსა და გოგოს შორის მეგობრობა ვერ შედგა... თუმცა, ოჯახის შექმნა არ გვიჩქარია. გაცნობიდან 3 წლის შემდეგ, მეგობრებთან ერთად ზღვაზე წავედით. ზღვა ორივესთვის რომანტიკული ფიქრების აღმძვრელი აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა. ეს ყველასთვის დიდი სიურპრიზი იყო... რამდენიმეწლიანი ოჯახური ცხოვრების შემდეგ შემიძლია, ერთი რამ ვთქვა: ჩემი და

ვერიკოს სიყვარული ოჯახის შექმნის შემდეგაც ძლიერდება.

— როგორ ფიქრობ — იდეალური ოჯახის შესაქმნელად რა არის საჭირო?

— ყველას ჰგონია, რომ სიყვარული — „მისი აღმატებულებაა". მაგრამ ის „ყოველდღიური მოხმარების საგანია". ჩემი აზრით, სიყვარული ბევრ კომპონენტს შეიცავს: ერთგულებას, კომფორტს... ამბობენ, როცა გიყვარს, ეჭვიანი ხდებიო, მაგრამ მე ამის არ მჯერა.



რა საჭიროა დროის უქმად კარგვა?.. თუ ვიღაცას ფეხებზე ჰკიდიხარ, შენ კი მაინც გიყვარს

— სიყვარულის გამო, საგმირო საქმეები თუ ჩაგიდენია? გოგოს გულისთვის თუ გიჩხუბია?

— არ არსებობს გოგო, ვის გამოც ჩხუბზე წავალ. ყოველთვის ვცდილობ, საქმე სიტყვით მოვაგვარო. არ შეიძლება, ადამიანმა ადამიანს დაარტყა, თუ მართლა სასწაულებრივად ცუდი რამ არ ჩაიდინა. ყოველთვის მინდოდა საგმირო საქმეების ჩადენა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, სიყვარულის დასამტკიცებლად ეს საჭირო არ არის. ჩემი საგმირო საქმე ის იყო, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე და ოჯახი შევქმენი. ამას ყველა არ აკეთებს.

— ალბათ, შენს ასაკში ოჯახის შექმნას გულისხმობ, არა?

— არა. ზოგადად ვამბობ. ადამიანებს ოჯახის შექმნის ეშინიათ. მეც ისე შევქმენი ოჯახი, რომ ყველანაირად უზრუნველყოფილი არ ვყოფილვარ. ბევრი მუშაობა მიწევს. ეს კარგიცაა: „ხალასტო" ტიპი რომ ვიყო, შეიძლება, ზარმაცი გავმხდარიყავი.

— ბევრი ადამიანი ცალმხრივი სიყვარულის გამო იტანჯება. მათ რა რჩევას მისცემდი?

— რა საჭიროა დროის უქმად კარგვა?.. თუ ვიღაცას ფეხებზე ჰკიდიხარ, შენ კი მაინც გიყვარს, ე.ი. მაზოხისტი ხარ და ეს შენი ცხოვრების სტილია. ასეთ ადამიანებს ვურჩევ, ტანჯვას თავი დაანებონ.

— პირველად პაემანზე წამსვლელებს რას ურჩევდი? ისინი ცდილობენ, საკუთარი გარდერობიდან საუკეთესო ტანსაცმელი აირჩიონ, ყოველ სიტყვას საგულდაგულოდ წონიან...

— ყველაზე კარგ ტანსაცმელზე რომ აჩერებენ ყურადღებას, ეს კარგია, რადგან ვიზუალურ ეფექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. 10 წინადადებაშივე ხვდები ადამიანი იმას, თუ როგორ გამოვიდა პაემანი. თუ საშუალებაა, პირველ პაემანს შეიძლება, პირველი კოცნა მოჰყვეს. არ არის აუცილებელი, კოცნამდე მისვლას 20 პაემანი დასჭირდეს... მოკლედ, პაემანზე წასულებს ვურჩევ, ბოლომდე გაიხსნან. სიყვარული კარგია მაშინ, როცა კარგ განწყობაზე ხარ. სხვა დროს ის შენთვისაც და სხვისთვისაც დამღლელი და ეზანჯველი ხდება. ■

გაქვთ სურვილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!

ვთავაზობთ!!!

წონაში დაკლებას კომფორტული მეთოდით 5-დან 12კგ.-მდე ყოველგვარი ვარჯიშისა და შიმშილის გარეშე.

თქვენ მოგემსახურებათ კვალიფიციური სპეციალისტი.

ტელ.: 893-20-33-76
მდივანი: 76-66-04
ბ-ნი. კობა

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. მარმელადი მზადდება შაქრის, ხილის წვენისა და...



ა) კარტოფილის ფქვილისაგან;
ბ) საქონლის ძვლის ფქვილისაგან;
გ) გლუკოზისგან.

2. რას ეძახდნენ სარკეს ძველად?



ა) დამენახვე;
ბ) მიჭვრიტინე;
გ) მერეშე.

3. იმას, ვინც თითქმის სულ ავადმყოფობს, არც ავად არის და არც კარგად, უწოდებდნენ:

ა) ჭირკოდილას;
ბ) დაფეხვილს;
გ) უბადრუკს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რომან გვენცაძემ ძალზე საინტერესო და ფათერაკებით სავსე გზა გაიარა მილიციის რიგითი ინსპექტორობიდან — შინაგან საქმეთა მინისტრობამდე. აღარც ახსოვს, რამდენი დანაშაული გახსნა, რამდენ რეციდივისტთან და ტყვიასთან ჰქონია საქმე, რამდენჯერ ჩაუხედავს სიკვდილისთვის თვალებში. ცდილობდა, „მსხვერპლში“ ღირსეული მხარეც დაენახა და დაეფასებინა. პარადოქსია, მაგრამ მისი პერსონა „შავებსაც“ ესიმპათიურებოდათ. ასეთი გზის პატრონს პროფესიის ნოსტალგია ყოველთვის ექნება და აქვს კიდეც. კიდევ, გინესის წიგნის „პერსონაჟობაზე“ აქვს პრეტენზია — თანამდებობებიდან მოხსნა-აღდგენაში რეკორდული მაჩვენებლებით გამოირჩევა. თუმცა, პროფესიით მშენებელი-ინჟინერია, რაც ცხოვრებაში გამოადგა კიდეც — ნარიყალის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ნანგრევებზე, მეგობრებთან ერთად ახალი ტაძარი ააშენა.

რომან გვენცაძე: თავი ოპოზიციაში მეგონა და სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი...

ნანა ფიცხელაური

— პენსიაზე გავედი. არც თანამდებობა მაქვს, არც ბიზნესი. სულ ახლახან პატარა ოპერაცია გავიკეთე. მერე ნევროზი დამემართა — საშინელება ყოფილა. ალბათ, გადავიღალე — სტრესი, დაძაბულობა, სამუშაო...

ჩემმა ყოფილმა თანამშრომლებმა კერძო დეტექტივის სამსახური შექმნეს და სათანამშრომლოდ მიმიწვიეს. ამჟამად „დავით აღმაშენებლის საზოგადოების“ პრეზიდენტი ვარ. საქველმოქმედო საზოგადოებაა, მაგრამ თანხები არა გვაქვს. არადა — „მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსა“ — დღეს არ გამოვა... ჩვენი „დეტექტივი“ შპს-ს სახით გაფორმდება, ვინაიდან პარლამენტმა კერძო დეტექტივის შესახებ კანონი რატომღაც ვერა და ვერ მიიღო.

პოლიტიკაში ჩემი ჩაბმა-მობრუნება გამორიცხულია. მალე სამოცის გავხდები. ჩემი ასაკის კაცმა კარიერაზე რომ იფიქროს, დიდი „ღორმუცელობა“ იქნება, ბიზნესის თავი არა მაქვს, საწყისი კაპიტალი ხომ უნდა მქონდეს!..

სიტუაცია მომწიფდა და რევოლუცია გარდაუვალი იყო. 20 პარლამენტარს დაგისახელებთ, ვისაც ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა. მეშინოდა, სისხლი არ დაღვრილიყო. სიტყვით გამოვედი პარლამენტში და ვთქვი — 12 წლის წინ სისხლი დაიღვარა, მაშინ მეც დავიჭერი და გთხოვთ, დღეს ეს არ მოხდეს-მეთქი. მთავარი ის იყო, რომ უმართავი პროცესები არ დაწყებულიყო. ქვეყანა რომ კორუფციის ჭაობში იყო ჩაფლული, ამას თქმა არ უნდა. თვითონ ვმუშაობდი პარლამენტში ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ. უამრავი ღონისძიება ჩავატარე, რამაც დამანახვა, რომ სისტემა დამპალი იყო, მისი შეცვლა კი — გარდაუვალი. მეგონა, ყველაფერი რთულად წავიდოდა, მაგრამ „ტრიუმვირატმა“ დიდი ჭკუა იხმარა. რა თქმა უნდა, შევარდნაძემაც: ის რომ გაჯიუტებულიყო, სისხლი დაიღვრებოდა.

მე უბრალო პოლიციელი ვარ, ჩემთვის არ იქნებოდა გულდასაწყვეტი, პარლამენტში თუ არ მოვხვდებოდი. ვფიქრობდი — კაკო ასათიანი არ მოხვდეს პარლამენტში და რომანი მოხვდეს, სირცხვილია-მეთქი. პირველად, 1995 წელს ვიყრიდი კენჭს მაჟორიტარად, ისნის რაიონში. გავიმარჯვებდი, მაგრამ ვახტანგ გოგუაძე დამიპირისპირეს. ის უწესიერესი კაცია, მაგრამ სახელმწიფო აპარატი, კანცელარია ამოქმედდა, ჩემზე დიდი ზეწოლა იყო. ჩემი დისშვილი ისნის რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო, მას საერთოდ გაუუქმეს სამმართველო, რომ არ დამხმარებოდა... ამის შემდეგ, „მრეწველებთან“ ერთად გავაკეთეთ ბლოკი. 4 წელი, რომ იტყვიან, პარლამენტში უმაღლესი აკადემია გავიარე.

„აღორძინებაში“ ელიზბარ ჯაველიძემ გამიწია რეკომენდაცია. ამ პიროვნებას დიდ პატივს ვცემ, პრინციპული ადამიანია. შემთხვევით შემხვდა და თანამშრომლობა შემომთავაზა. უარი ვერ ვუთხარი, მის გვერდით დგომა ჩემთვის საამაყო იქნებოდა. მეორე მხრივ, უმუშევრად, უფუნქციოდ დარჩენა არ მინდოდა, რაღაცას მაინც გავაკეთებ-მეთქი. საარჩევნო სიაში ჩაწერა არც მინდოდა. ვფიქრობდი — თბილისელი კაცი ვარ, ბათუმელებს გული არ დასწყდეთ-მეთქი, მაგრამ ბატონმა ელიზბარმა მითხრა, რომ ეს ასლანის დიდი სურვილი იყო. მეც დავთანხმდი, ასლანთან ჩავედი ბათუმში. კარგად მიმიღო. ასლან აბაშიძე ზვიადის დროს ჩამოდიოდა ხოლმე თბილისში და მაშინ გავიცანი. მეც, როცა შს სამინისტროს ვხელმძღვანელობდი, ბათუმში მიწევდა ჩასვლა. მისი მეგობარი არ ვყოფილვარ, სულ ხუთჯერ თუ მყავს ნანახი. მეურნე კაცია, მასზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. მე არც არჩევნების გაყალბებაში მიმიღია მონაწილეობა, არც პლაკატების დამზადებაში. სიაში 21-ე ვიყავი... მერე მოხდა ის, რაც თქვენც იცით... დარწმუნებული ვიყავი, რომ „აღორძინება“ ოპოზიცია იყო, მაგრამ როცა მათ ბათუმიდან ხალხი ჩამოიყვანეს და ყვიროდნენ — შევარდნაძეს გაუმარჯოსო! — დანა პირს არ მიხსნიდა, გულნატკენი დავრჩი. თავი ოპოზიციაში მეგონა და ძალიან სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი ამ ხნის კაცი. მრცხვენოდა, მაგრამ პოზიცია ვერ შევიცვალე...

...60 წელი ხდება, რაც ავლაბარში ვცხოვრობ, აქ დავიბადე, ბარათაშვილის ხიდთან ვთამაშობდით ხოლმე ბიჭები. ერთხელ, ჩემს მეგობრებთან ერთად, ქვათახევში მოვხვდი. მონასტრის კედლიდან აგური იყო ჩამოვარდნილი, ავიღე, ვიფიქრე, ყველა ისტორიული ძეგლიდან თითო კენჭს წავიღებ და კოლექციას შევაგროვებ-მეთქი. სხვებსაც რომ მოებაძათ, ხომ დაიქცეოდა ყველაფერი!..

1969 წლიდან, ნარიყალაზე არქეოლოგები გალავნის აღდგენაზე მუშაობდნენ. იქ მათ წმ. ნიკოლოზის ტაძრის საძირკველი აღმოაჩინეს. 40 ყამირელი

მეგობარი შევკრიბე და ნარიყალაზე აღდგენითი სამუშაოები დავიწყეთ. ირაკლი ციციშვილს *(ძეგლთა დაცვის სამართველოს მაშინდელი უფროსი. — ავტ.)* დაველაპარაკეთ და ყოველ შაბათ-კვირას ავდიოდით, შავ მუშებად ვმუშაობდით. მერე ტაძრის აღდგენის აზრიც დაიბადა. 1983 წელი იყო, კომუნისტური რეჟიმის პერიოდი, მაგრამ ჩვენთვის ხელი არც ცეკას შეუშლია, არც ტეკას. ჯუმბერ პატიაშვილიც ამოდიოდა ჩვენთან და გივი გუმბარიძეც. გზის გაჭრაში ირაკლი ანდრიაძე დაგვეხმარა და ვინც ამ გზის გასწვრივ ცხოვრობდა, ბინებით დააკმაყოფილა. 1990 წლამდე, ტაძრის 2-3 მ-ის სიმაღლეზე აყვანა შევძელით. მერე იყო 90-იანი წლები, მერე — თანხები აღარ გვქონდა... 1996-ში ჩემს მეგობარ თემურ კვარაცხელიასთან ვიყავი მოსკოვში. ის ბიზნესმენია და ამ საქმისთვის საჭირო 150.000 დოლარით დაგვაფინანსა. ისევ შევკრიბე ბიჭები, იმ თანხით ხელფასები დავნიშნეთ, ბევრი ვინმე დაგვეხმარა და ერთ წელიწადში, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ტაძრის მშენებლობა დავასრულეთ. ახლა გარშემოა მოსაპირკეთებელი, მაგრამ ამას უსახსრობის გამო ვერ ვახერხებთ. ალბათ, ამაზე ხელისუფლება იზრუნებს, რადგან უცხოელი ისე არ ჩამოვა, ამ ადგილზე რომ არ ავიდეს და სირცხვილია...

დიდ მწერლობაზე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ დროდადრო, დეტექტივების წერით ვიქცევ თავს. ჩემი პირველი წიგნი, „საბედისწერო გასროლა“ იყო. ახლა „შავი კვადრატი“ გამოვეცი. 80-იან წლებში, 3 საიუველირო მაღაზია გაიძარცვა და 20 კილოგრამამდე ოქრო და ბრილიანტი წაიღეს. სამივე საქმე მე გავხსენი, ერთი და იმავე ჯგუფის ჩადენილი იყო. დოკუმენტური მასალა შევკრიბე და „გავაფორმე“.

...80-იანი წლებია. სისხლის სამართლის სამძებროში ვმუშაობ, მანქანა გაიტაცეს, რომელიც თიანეთის გზაზე დაფიქსირდა. სამმართველოს უფროსი, გივი კვანტალიანია. ოპერმუშაკები გამოგვიძახეს, 10 კაცი მივედით, ძაღლით. მძარცველებმა მანქანა დააგდეს ცხვარიჭამიასთან და ჩვენც ფეხით მივყევით ნაკვალევს. ორი კაცის ნაფეხურები ჩანდა. სულ ოთხნი ვართ. ძაღლი წინ გავუშვით და გავყევით. ბევრი ვიარეთ, დავიკარგეთ და ძაღლმაც კვალი დაკარგა. ხევს მივადექით, სადაც ღელე ჩამოდიოდა. ხევს გავყევით, მთაზე გადასვლამ მოგვიწია. ველარ ვინძრეოდით, მაგრამ ჩვენზე მეტად ძაღლი დაიღალა, ეცემოდა. როგორღაც ციგა შევკარით და ძაღლი მისი მეშვეობით ამოვათრიეთ საგურამომდე. ქურდები მაინც ვერ დავიჭირეთ.

რეციდივისტებთან ხშირად მიწევდა მუშაობა. ოპერაციის დროს, ადგილზე პირველი ყოველთვის მე შევდიოდი. ბოროტმოქმედისთვის სისხლიც გადამისხამს. იყო ერთი, ჩიხლაძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს ტყვია ესროლა შუბლში. დავადგინე, სად იმალებოდა. იარაღით ხელში იყო. ერთი საათი ვესაუბრე. ძმას უთხრა — ახლა თავს მოვიკლავ და ჩემიანებს ბოდიში მოუხადეო. ვერ მოვასწრებდი იარაღის წართმევას. მთელი ჩემი პრაქტიკის მანძილზე ყველაზე მეტად, იმაზე დამწყდა გული, რომ მისი გადარჩენა ვერ შევძელი. ვარწმუნებდი — თუ ჩაგვბარდები, ვიზრუნებ იმაზე, რომ 10 წელი მოგისაჯონ, კოლონიაში ხშირად ჩამოგაკითხავ და შეღავათებიც გექნება-მეთქი. ვთხოვდი, თავი არ მოეკლა. ეჰ, ბატონო რომან, თქვენ მხოლოდ მედლის ერთი მხარე იცითო. მეორე მხარე ის ყოფილა, რომ ჩიხლაძე წესიერი ოჯახიდან იყო. ერთხელ სასჯელი მოიხადა და მერე დაუფიცავს, რომ აღარასოდეს ჩაიდენდა დანაშაულს. სიტყვა გატეხა და თავს არ აპატია.

ზვიად გამსახურდიაზე კარგის გარდა, არაფრის თქმა არ შემიძლია. როცა ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი ვიყავი, ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან დაპირისპირება გვქონდა. მტრები არ ვყოფილვართ, არც ერთმანეთი გვძულდა, მაგრამ ვერც ვეწყობოდით. ზვიადი რადიკალი იყო. ხშირად ვკამათობდით, რაც უცენზურო სიტყვებითაც გამოგვიხატავს. კაცურ ამბავში ერთმანეთზე ხელითაც გავწეულვართ, თუმცა, არ დაგვირტყამს... როცა „კაგებეს“ შენობა დაარბიეს, მივედი. იქ უცხოელებიც იყვნენ. ზვიადს ველაპარაკებოდი. ერთ-ერთ უცხოელს გაუკვირდა — პოლიციის შეფი დისიდენტს რატომ ელაპარაკებაო? როცა ზვიადი შევაქე, ამაზე მთლად გადაირია... როცა ზვიადი პრეზიდენტი გახდა, ყველაფერი მაპატია — დევნაც, დაჯარიმებაც, გაწევ-გამოწევაც, ვინაიდან გრძნობდა, შინაგან მხარს ვუჭერდი. თბილისის ომამდე ზვიადს ჯემალ ჭუმბურიძე და კახა გველესიანი შევახვედრეთ. ზვიადი მიაწვა — აგაფეთქებთო. მათ უთხრეს — ჩვენ თქვენი წინააღმდეგი არა ვართ, გვარდია პარლამენტს დაუმორჩილეთო. პარლამენტი აბა, ვისიაო? — უპასუხა ზვიადმა და მაგალითად ჩვენი ურთიერთობა მოიყვანა: მე და რომანი დაპირისპირებული ვიყავით და დღეს ის ჩემი ძმაო. გეფიცებით, თვალზე ცრემლი მომადგა.

ზვიადს ბავშვის გული ჰქონდა. ღამის 3 საათზე, სვეტიცხოვლის კარს გააღებინებდა, დაიჩოქებდა და ლოცვაში ათენებდა.

როცა ზვიადი ხელისუფლებაში მოვიდა, პოლიციის სამმართველოს უფროსის პოსტიდან გადავდექი. ერთ დღეს, კაკო ასათიანმა მითხრა — ზვიადი გიბარებსო. შს მინისტრის მოადგილედ დამნიშნეს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს, კანონი დავარღვიე — ზვიადს ორჯერ მივეცი ხმა, თბილისშიც და ქუთაისშიც... გაგრაში წავედი ოპერაციაზე, დამნაშავე უნდა დაგვეკავებინა. ზვიადს სისულელე უთხრეს, გვენცაძე იმ კაცს არ იჭერს იმიტომ, რომ ზვიადი მაინც არ გახდება პრეზიდენტიო (მაშინ ჯერ უზენაესი საბჭოს თავმჯ-

„ხელი გამარტყა და ვერ ვაპატიებ“,

– ამ სიტყვების შემდეგ ბრალდებულმა ორი ადამიანი მოკლა...

32 წლის ზურაბ სამხარაძეს პროკურატურა ორი ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობასა და ერთის მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებს. ბრალდების თანახმად, სამხარაძემ დანაშაულები მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინა. მეზობელი — მინდია ბადურაშვილი, სამართალდამცველების თქმით, მან შურისძიების მოტივით, მისსავე სახლთან გამოასალმა სიცოცხლეს, მეორე მსხვერპლი — მერაბ პატურაშვილი კი, ხულიგნური ქვენაგრძნობით, განსაკუთრებული სისასტიკით, დანით მოკლა. ბრალდების თანახმად, პატურაშვილს სამხარაძემ ყელი გამოსჭრა...

ოფიციალური ცნობებით, ახმეტის მკვიდრი – ზურაბ სამხარაძე წარსულში ნასამართლევი გახლდათ. 1999 წლის ნოემბრის განაჩენით, რაიონულმა სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და პირობითი სასჯელი შეუფარდა. სამართალდამცავთა თქმით, სწორედ პირობითი მსჯავრის მოქმედების ვადაში, სამხარაძე არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

ბრალდების თანახმად, 2001 წლის 25 ივლისს, ქალაქ ახმეტაში, მეზობლებმა – მინდია ბადურაშვილმა და ზურაბ სამხარაძემ დალევა გადაწყვიტეს. საღამოს საათებში ბადურაშვილის ოჯახში სუფრა გაშალეს და სმა დაიწყეს. სუფრასთან, ქეიფისას ბადურაშვილი და სამხარაძე შელაპარაკდნენ. კამათი მალე ჩხუბსა და ერთმანეთის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. მაგრამ მოჩხუბრების დაშოშმინება ოჯახის წევრებმა მოახერხეს. სამხარაძე შინ წავიდა, მაგრამ შურისძიების სურვილით აღვსილმა, მასპინძლის მოკვლა განიზრახა. იმავე ღამით რამდენჯერმე მივიდა მის სახლთან. მინდია ბადურაშვილს გარეთ საქმის გასარჩევად უხმობდა. განზრახვის განსახორციელებლად ხელსაყრელ მომენტს გათენებამდე ელოდა, მაგრამ იმ ღამეს ბადურაშვილთან შეხვედრა მაინც ვერ მოახერხა.

2001 წლის 29 ივლისს, სამხარაძე ბადურაშვილს სახლთან ჩაუსაფრდა. დილის 3 საათი იქნებოდა, როცა ის ბადურაშვილს შეხვდა და დანით შეიარაღებულმა ჩხუბი დაუწყო მას. ჩხუბისას სამხარაძემ ბადურაშვილს დანა მუცლის არეში ძლიერად ჩაარტყა. ბადურაშვილმა უცებ შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა და მოწყვეტით, უგონოდ დაეცა. სამხ-

ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმე გამოძიებას დაუბრუნდა

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის – ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმე ხელახალ გამოძიებაში დაბრუნდა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და მოტივად ახლად აღმოჩენილი გარემოებები დაასახელა. შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ მომხდარ მკვლელობაში ანზორ შარმაიძე დაადანაშაულა, მოგვიანებით კი ბრალდება სასამართლომაც დაადასტურა. განაჩენის თანახმად, შარმაიძემ ფრედ ვუდროფი 1993 წლის 8 აგვისტოს მცხეთის შესასვლელთან ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა.

ანზორ შარმაიძის საქმის ხელახალ გამოძიებას დაჟინებით მოითხოვდა ფრედ ვუდროფის ოჯახის ადვოკატი – მაიკლ ფულარა. ის სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს არ ეთანხმებოდა და აცხადებდა, რომ ვუდროფის მკვლელობის საქმე არათუ ხარვეზებითა და პროცესუალური დარღვევებით მიმდინარეობდა, არამედ საერთოდ არ იყო გამოძიებული. ფულარას თქმით, ბევრ ეჭვს ბადებდა გამოძიების მასალებში დაფიქსირებული მკვლელობის დრო და წინააღმდეგობებით სავსე მოწმეთა ჩვენებები. ადვოკატი დღესაც აცხადებს, რომ ბრალდების მხარემ მტკიცებულებების „ფაბრიკაცია“ განახორციელა.

„ჩემი მთავარი მიზანია, ჩატარდეს ობიექტური გამოძიება და გამოვლინდეს ნამდვილი დამნაშავე, მომხდარ მკვლელობაში სრულიად უდანაშაულო შარმაიძე კი 15-წლიანი პატიმრობიდან, რომელიც მას სასამართლომ მიუსაჯა, გათავისუფლდეს“, – აცხადებს ფულარა.

გენერალურ პროკურატურაში აღნიშნულ საქმეზე წარმოება უკვე აღიძრა და გამოძიებაც დაიწყო, თუმცა უწყების წარმომადგენლები საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებებს ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. ■

არაძე კი მაშინვე გაეცალა შემთხვევის ადგილს და მიიმალა.

დაჭრილი ბადურაშვილი, რომელიც გამთენიისას მეზობლებმა იპოვეს ძირს დავარდნილი, ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა თელავის რაიონის საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამედიცინო დახმარების მიუხედავად, ის ერთ კვირაში გარდაიცვალა.

წინასწარი გამოძიებისთვის დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენებით ირკვევა, რომ ოჯახის წევრებმა მომხდარი მკვლელობის შესახებ მხოლოდ დილით შეიტყვეს. როგორც მოკლულის მამამ სამართალდამცველებს განუცხადა, ქეიფის დროს ბადურაშვილმა სამხარაძის მხრიდან შეურაცხყოფა არ მოითმინა და ხელი გაარტყა მას. *„მე ხელის გარტყმას მინდიას არ ვაპატიებ“*, – მოკლულის მამის თქმით, ამ სიტყვებს ამბობდა გაბრაზებული სამხარაძე. – *„ორჯერ გავარიდე ეზოს, მესამედ ტრუსების ამარამ მოაკითხა ჩემს შვილს სახლში. იქაურობას მოვარიდე, დავამშვიდე, ვეუბნებოდი – გამოფხიზლდი და მერე დაილაპარაკეთ-მეთქი“*, – წერს დაზარალებული.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ ეჭვმიტანილის დაკავება სამართალდამცავებმა წლების მანძილზე ვერ შეძლეს.

სამი წლის შემდეგ, მიმალვაში მყოფმა სამხარაძემ, პროკურატურის ინფორმაციით, მორიგი საშინელი დანაშაული ჩაიდინა. მკვლელობა 2004 წლის 20 ივნისს, საღამოს 11 საათზე გარდაბნის რაიონის სანერგე მეურნეობაში მოხდა. ბრალდების თანახმად, მთვრალი სამხარაძე გ. ერისთავთან შინ მივიდა. იქ თავად ერისთავი და მისი მეგობრები – ავთანდილ გიგაური, კახაბერ ყანჩელაშვილი, გიორგი კიკაბიძე, ზურაბ ზურაბიშვილი, ლევან ტეტუნაშვილი და მისი ნაცნობი – მერაბ პატურაშვილი ქეიფობდნენ. აღნიშნულმა პირებმა სუფრასთან სამხარაძეც მიიწვიეს. მაშინ სამხარაძემ თამადას – ერისთავს სადღეგრძელოს შესმის უფლება სთხოვა, მაგრამ მისგან უარი მიიღო. გაბრაზებულმა სამხარაძემ ჩხუბი დაიწყო, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა არა მარტო თამადას, არამედ სუფრის დანარჩენ წევრებსაც. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, სუფრის წევრები წამოიშალნენ, შეეცადნენ, დანით შეიარაღებული სამხარაძე იქაურობისთვის გაერიდებინათ, მაგრამ მისგან მოსალოდნელი საფრთხე მაინც ვერ აიცილეს თავიდან. ჩხუბისას სამხარაძემ დანა პატურაშვილს დაარტყა კისრის არეში. ჭრილობა მძიმე და ღრმა აღმოჩნდა, რის შედეგადაც პატურაშვილს არტერია დაუზიანდა. სამხარაძემ დანით ხელში, კახაბერ ყანჩელაშვილისკენაც გაიწია, მოუქნია კიდეც იარაღი მას, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან ყანჩელაშვილმა დაასწრო და შეშის ნაპობით შეძლო მისი მოგერიება. დაჭრილი პატურაშვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმების მიერ გაწეული დახმარების მიუხედავად, ის ორ დღეში გარდაიცვალა.

ზურაბ სამხარაძე პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებებს არ ეთანხმება და თავს უდანაშაულოდ აცხადებს. მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. სამხარაძე თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, სახაზინო წესით მოწვეულ ადვოკატს არ სჯერდება და კერძო დამცველის დაქირავებას აპირებს.

პროკურატურა კი აცხადებს, რომ ბრალი სამხარაძეს უტყუარი მტკიცებულებების – შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის, მოწმეთა ჩვენებების, სასამართლო-სამედიცინო, კომპლექსური ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნების საფუძველზე წარედგინა.

■

დავა მეწარმესა და პოლიციას შორის

კერძო მეწარმე – თინათინ გოგაძე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციის სამმართველოს დაუპირისპირდა და მას ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაში ადანაშაულებს.

თინათინ გოგაძე თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე მაღაზიის მფლობელი გახლავთ. მან ობიექტის დაცვის მიზნით, ხელშეკრულება გააფორმა სახელმწიფო დაცვის სამსახურთან. შეთანხმების თანახმად, ობიექტის გაქურდვის შემთხვევაში, დაცვის სამსახურის მიზეზით (უმოქმედობით, გულგრილობით ან არაკანონიერი ქმედებით) მიყენებული ზარალი დაცვის პოლიციის სამმართველოს უნდა აენაზღაურებინა.

2004 წლის 31 დეკემბერს, მაღაზია გაიძარცვა. ქურდებმა შენობის გვერდითი კედელი შეანგრიეს და მაღაზიაში ისე შეაღწიეს. გოგაძის თქმით, დანაშაულის ჩადენის მომენტში, ვაკე-საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციამ განგაშის სიგნალი სამჯერ მიიღო, მისი თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე კი გამოცხადდნენ, მაგრამ მაღაზია სათანადოდ არ დაათვალიერეს და გამოტეხილი კედელიც ვერ შეამჩნიეს. *„ქურდობა ვერც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა და საპატრულო პოლიციის მუშაკებმა აღკვეთეს“*, – აცხადებს გოგაძე.

მომხდარ ქურდობაზე პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მაგრამ გოგაძე აღნიშნავს, რომ გამოძიება ჭიანურდება. ის დაცვის სამსახურისგან ზარალის დაუყოვნებლივ ანაზღაურებას მოითხოვს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, რამდენიმე თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლდა. სამმართველო, გამოძიებით დადგენილი ზარალის გადახდაზეც არ ამბობს უარს, მაგრამ გოგაძე აცხადებს, რომ თუ თანხას დაუყოვნებლივ არ გადაუხდიან, ის სამეწარმეო საქმიანობას ვერ გააგრძელებს.

■

პოლიციელზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა

15 თებერვალს, ქუთაისში, ოცხელის ქუჩაზე 28 წლის პოლიციელზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. მამუკა ცხვედიანს, რომელიც იმ დროს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა და ავტომანქანით მოძრაობდა, ოცხელის ქუჩაზე მცხოვრები გიორგი კუბლაშვილი დაესხა თავს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, კუბლაშვილმა პოლიციელის მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლა. ტყვიას ცხვედიანი, საბედნიეროდ, გადაურჩა და სროლის შედეგად, მხოლოდ საპატრულო მანქანის საქარე მინა ჩაიმსხვრა. საპასუხო სროლის შემდეგ, კუბლაშვილმა იარაღი იქვე დააგდო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მასზე ძებნა გამოცხადდა. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, კუბლაშვილი წარსულშიც გახლდათ ნასამართლევი. შემთხვევის ადგილიდან პოლიციამ გადაჭრილი თოფი ამოიღო.

■

შინამოსამსახურეს სახლის პატრონი მოსძრაო

65 წლის სერგო აბესაძესა და 39 წლის გელა ჩაფიჩაძეს მრავალწლიანი პატიმრობა ელის იმ შემთხვევაში, თუ ისინი პროკურატურის მიერ წარდგენილ უმძიმეს ბრალდებებში უზენაესმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო. 1994 წელს მკვლელობის მუხლით გასამართლებულმა აბესაძემ 8 წელი ციხეში უკვე მოიხადა. ამჟამად, მას პროკურატურა კვლავ მკვლელობაში (ამჯერად — დამამძიმებელი გარემოებებით) ადანაშაულებს. ბრალდების თანახმად, აბესაძემ სადისტურად გამოასალმა სიცოცხლეს თერჯოლის რაიონის სოფელ ბაღდათის მკვიდრი — ავთანდილ ხომერიკი, რომელთანაც შინამოსამსახურედ მუშაობდა. განზრახვის განხოციელებაში მას, როგორც პროკურატურა ახცადებს, გელა ჩაფიჩაძე დაეხმარა, თუმცა ეს უკანასკნელი, წაყენებულ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და თავს სრულიად უდანაშაულოდ აცხადებს. რაც შეეხება სერგო აბესაძეს, ის დანაშაულს აღიარებს.

ბრალდების თანახმად, 2002 წლის 12 თებერვალს ციხიდან გათავისუფლებული სერგო აბესაძე თერჯოლის რაიონში, მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. ამავე წლის ივლისში მან შინამოსამსახურედ დაიწყო მუშაობა სოფელ ბაღდათში მცხოვრები ავთანდილ ხომერიკის ოჯახში. ხომერიკი ყოველთვიურად მას 100 ლარს უხდიდა. აბესაძეც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ხომერიკს. მაგრამ 2004 წლის აპრილში მათ ერთმანეთთან უთანხმოება მოუხდათ.

ერთ დღეს, როცა ხომერიკმა აბესაძეს ჩვეულებისამებრ, შრომის ასანაზღაურებელი თანხა გადაუხადა, ამ უკანასკნელმა უთხრა — რამდენიმე დღით სახლში წასვლა მინდა და იქნებ, გასული თვის ხელფასის დანაკლისი — 60 ლარიც გადამიხადოო. ხომერიკმა ამაზე უარით უპასუხა და თანხის უქონლობა მოიმიზეზა. ყოველივე ეს აბესაძისთვის საკმარისი აღმოჩნდა, ისე განაწყენებულიყო, რომ საშინელი დანაშაული ჩაეფიქრებინა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან მოკავშირეებიც გაიჩინა...

შინ დაბრუნებულმა აბესაძემ თავის ნაცნობ გელა ჩაფიჩაძეს შესთავაზა ხომერიკის გაძარცვა. ისიც დაეთანხმა, მაგრამ რადგანაც მიზნის მისაღწევად ავტომანქანაც დასჭირდებოდათ, საქმეში კიდევ ერთი თანასოფლელი — ანატოლი შვუბულინი ჩართეს. დანაშაულის ჩადენა მათ 15 აპრილისთვის დაგეგმეს.

ამ დღეს შვუბულინის ავტომანქანით მართლაც, წავიდნენ სოფელ ბაღდათში. მანქანა ხომერიკის სახლთან ახლოს გააჩერეს და გეგმის შესაბამისად, მოქმედება დაიწყეს. ავტომანქანიდან მხოლოდ აბესაძე გადავიდა და ხომერიკის საცხოვრებელ სახლში შევიდა. ხომერიკმაც, თავის მხრივ, მოიკითხა აბესაძე და ვახშამზეც კი მიიპატიჟა იგი. აბესაძეს უარი არ უთქვამს. ვახშმობისას, სახლის პატრონთან ერთად რამდენიმე ჭიქა ღვინოც დალია და მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვეულებრივად და სრულიად ბუნებრივად იქცეოდა. ვახშმობის შემდეგ, ხომერიკი დასაძინებლად წავიდა. აბესაძე მივიდა მასთან და კვლავ სთხოვა წინა თვის ხელფასის ნაწილი. ხომერიკმა ახლაც უარი უთხრა, აუხსნა, რომ ფული არ ჰქონდა და ამიტომაც ვერაფერს გადაუხდიდა. გაბრაზებული აბესაძე სახლის პატრონს გააფთრებით მივარდა, კისერში სწვდა და ორივე ხელი მთელი ძალით მოუჭირა.

ხომერიკი წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, მაგრამ გამხეცებული თავდამსხმელისგან თავის დაღწევას მაინც ვერ ახერხებდა. აბესაძე მაგრად უჭერდა მსხვერპლს კისერში ხელებს, ვიდრე არ მოახრჩო იგი. როცა დარწმუნდა, რომ ხომერიკი გარდაიცვალა, თავისი გეგმის მეორე ნაწილის განხორციელებას შეუდგა. ჯერ სამზარეულოში შევიდა, ღორის ხორცის ნაჭრები და სხვადასხვა ნივთი ტომარაში ჩაალაგა და ამის შემდეგ წავიდა ავტომანქანისკენ, რომელშიც მას მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩაფიჩაძე და შვუბულინი ელოდნენ. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ აბესაძეს მათთვის არ უცნობებია ხომერიკის მკვლელობის შესახებ. მან ჩაფიჩაძეს უთხრა, რომ სახლის პატრონს ეძინა. ამის შემდეგ, ორივემ მარნიდან ღვინო და სხვადასხვა პროდუქტი წამოიღო, მანქანაში ჩავიდა და სახლში დაბრუნდა. ბრალდების თანახმად, ჩაფიჩაძე მხოლოდ ქურდობაში მონაწილეობდა, შვუბულინი კი მანქანიდან არც გადასულა. აბესაძის თქმით, მან დანაშაულის გეგმის შესახებ არაფერი იცოდა. საკუთარ თავზე იმავეს ამბობს ჩაფიჩაძეც. ის აცხადებს, რომ აბესაძეს ხომერიკის სახლში ღვინის წამოსაღებად გაჰყვა. არანაირი დანაშაული არ დაუგეგმავს და არც მონაწილეობა მიუღია მასში.

სასამართლო პროცესზე გელა ჩაფიჩაძის მეუღლე **მაია ონიანი** დაიკითხა:

„2004 წლის 15 აპრილს, მთელი ოჯახი სახლიდან წასული ვიყავით. შინ რომ დავბრუნდით, ჭიშკართან სერგო აბესაძე დაგვხვდა. მან ჩემს ქმარს უთხრა — ბაღდათში მინდა წასვლა, ჩემი ნივთები მაქვს წამოსაღებიო. ჩვენს თანასოფლელთან — შვუბულინთან ერთად წავიდნენ მანქანით. ღვინის ჭურჭელიც თან წაიღეს. დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა, უკან რომ დაბრუნდნენ. თან რაღაც ტომრები მოიტანა აბესაძემ, მაგრამ შიგ რა იდო, არ ვიცი. იმ ღამეს ის ჩვენთან დარჩა. აბესაძე ადრე ჩემს მეუღლეს დაჰპირდა — ღვინოს მოგცემო და დანაპირები სწორედ იმ დღეს შეასრულა. მეორე დილით წავიდა, ღვინო კი ჩემს ქმარს დაუტოვა. მოგვიანებით, როცა ყველაფერი გაირკვა, ქმარმა მითხრა, რომ არ იცოდა, თუ ხომერიკის სახლიდან წამოღებული ღვინო და სხვა პროდუქტები მოპარული იყო“.

მომდევნო სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმეები უნდა დაიკითხონ. პროკურატურის წარმომადგენელი აცხადებს, რომ განსასჯელთათვის ბრალდების დასადასტურებლად საკმარისზე მეტი მტკიცებულება არსებობს. ■

მანქანაში მჯდომი თიკა ფაცაცია ქურდბაცაცებმა დააშინეს

უმშვენიერესი თიკა ფაცაცია ამჟამად ვერცხლისფერი „აუდის“ მფლობელია, რომელიც მას მეუღლემ აჩუქა. ის თურმე, 15 წლიდან უზის საჭეს. უყვარს ჩქარი სიარული და მანქანის ცალი ხელით მართვა.

ეკა მინდაძე

— მანქანის მართვა 7 წლის წინ, 15 წლის ასაკში ვისწავლე. დავდიოდი ავტომობილის მართვის შემსწავლელ კურსებზე. 10 თეორიულ გაკვეთილს დავესწარი და შემდეგ, პრაქტიკაზე გადავედი. ამაში კი, ძალიან დამეხმარა ჩემი მეუღლე.

— **თვითონ შენს მეუღლეს რა მანქანა ჰყავს?**

— სხვათა შორის, მასაც „აუდი“ ჰყავს.

— **ტარებისას რაიმე ინციდენტი ხომ არ შეგმთხვევია?**

— კი, როგორ არა. მახსოვს, ერთხელ, როდესაც პოლიციელმა ხელი დამიქნია, არ გავაჩერე და უდარდელად განვაგრძე მოძრაობა. 15 წუთში კი, საგზაო პოლიციის ორმა მანქანამ გზა გადამიკეტა. მათ ეგონათ, რომ დიდი დანაშაული დაიჭირეს, მაგრამ კრიმინალის ნაცვლად, მე შევრჩი ხელში *(იცინის)*.

— **ხომ არ გიცნეს?**

— არა. ვიდრე „პრავაში“ *(მართვის მოწმობაში. — ავტ.)* გვარი არ ამოიკითხეს, ვერ მიცნეს. სხვათა შორის, ერთმა პოლიციელმა 5-ლარიანი ჯარიმის მაგივრად, 20 ლარი ამახია! მართალია, საგზაო წესი დავარღვიე — ყვითელ შუქზე დავიძარი და გზაში „გამიწითლდა“, — მაგრამ როცა მას ვკითხე — ჯარიმის თანხა რამდენია-მეთქი? — მიპასუხა — 20 ლარიო. სინამდვილეში კი, თურმე 5 ლარი უნდა აეღო.

— **ტარებისას, ხიფათიანი ხომ არა ხარ?**

— ჩემი აზრით, ადამიანს ხიფათი მუდამ თან სდევს, მით უმეტეს — მანქანის ტარებისას. პირადად მე, ორჯერ დამეჯახნენ და სხვათა შორის — ორჯერვე მამაკაცი იჯდა საჭესთან. მე თვითონ ერთხელ „დავარტყი“ მანქანას და ისიც — ამერიკაში. ამერიკის ქუჩებში სასეირნოდ წავედით მანქანით მე, ჩემი მეუღლე და ჩემი უახლოესი მეგობარი. ჩემი მეუღლე, როცა მანქანიდან გადავიდა, ამით ვისარგებლე და საჭესთან დავჯექი. ვიფიქრე — ცოტას გავივარჯიშებ-მეთქი (მაშინ ახალი ნასწავლი მქონდა მანქანის მართვა). ეზოში, ჩვენ გარდა, მარტო ერთი მანქანა იდგა. მეც ფრთხილად დავარტყი რამდენიმე წრე და უეცრად, მივეჯახე იქვე მდგარ მანქანას. შეჯახებამ ისეთი საშინელი ხმა გამოსცა, რომ მე და ჩემი მეგობარი ძალიან შევშინდით. უფრო მეტიც — შეშინებულმა, ჩემს მეგობარს ისიც კი ვუთხარი: თუ ვერავინ შეგვამჩნევს, მე უკან გადმოვჯდები და არ შევიმჩნიოთ-მეთქი, მაგრამ ეს ფრაზა დამთავრებულიც არ მქონდა, რომ ჩვენი მანქანის წინ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ყველაზე საშინელი რეაქცია იმ მანქანის პატრონს ჰქონდა, რომელსაც შევეჯახე. ის კინაღამ ჭკუიდან გადავიდა.

— **ძვირი დაჯდა მანქანის შეკეთება?**

— ვერ გეტყვი, იმიტომ, რომ მე ამ საქმეში არ ჩამახედეს — ყველაფერი ჩემმა მეუღლემ მოაგვარა.

— **პატრულებთან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნია?**

— არა, პატრულს ჯერ არ გავუჩერებივარ. სხვათა შორის, საქართველოში რაც პატრულები გამოჩნდნენ, დაკანკდი და უცებ, ძალიან წესიერი მძღოლი გავხდი.

— **გიყვარს ჩქარი სიარული?**

— ჩქარი სიარული ძალიან მიყვარს, ოღონდ — მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მანქანაში მარტო ვარ. ხოლო თუ ვინმე მახლავს თან, ვერიდები მათ შეშინებას.

— **ყველაზე დიდი სიჩქარე, რომლითაც გივლია?..**

— „ამიწევია“ 180 კმ/სთ-მდე *(იცინის)*. ამას ჩემი მეუღლე რომ გაიგებს, გაგიჟდება. სულ ეხვეწება ჩვენს ერთ მეგობარს, რომელიც პატრულში მუშაობს: მარტოს, ჩქარი სიარული უყვარს და თუ შენიშნავ, დედა უტირე, გააჩერე და საბუთებიც წაართვიო...

— **შენი აზრით, როგორი მძღოლი ხარ?**

— ჩემი აზრით, ნორმალური.

— **შენ უფრო კარგად ატარებ მანქანას თუ შენი მეუღლე?**

— ჩემი მეუღლე, ჩემგან განსხვავებით, ძალიან ფრთხილია, უყვარს ნელა მოძრაობა და ამიტომაც ყოველგვარ რისკს თავს არიდებს. სულ ვეუბნები — რა საჭიროა, ყოველთვის წესიერად სიარული? არაფერი არ დაშავდება იმით, რომ ცოტა შენც დაარღვიო მოძრაობის წესები-მეთქი.

— **მეუღლე ხშირად გაძლევს შენიშვნას მანქანის მართვისას?**

— არა. ერთადერთი, რასაც მუდმივად მახსენებს, ეს არის ის, რომ მანქანა ორივე ხელით ვმართო. მე კი, პირველკლასელივით, საჭეზე ორივე ხელის მოკიდება არ მიყვარს. თუ გვერდით მეუღლე მიზის, ყოველ წუთას იმას მახსენებს, რომ საჭეს მეორე ხელიც მოკიდო. სხვათა შორის, ჩემი შვილიც, მამის მსგავსად, ყოველთვის ამას მახსენებს. აი, ასე მიფრთხილდებიან ოჯახში.

— **საცობებს თავს როგორ აღწევ ხოლმე?**

— ჩვეულებრივად. სხვა რა გზა მაქვს?!

— **მანქანით ბევრს მოძრაობ?**

— ძალიან. მანქანის გარეშე თითქმის არსად დავდივარ.

— **გიყვარს ღამით ქუჩაში მანქანით სეირნობა?**

— ადრე უფრო მეტს დავდიოდი, მაგრამ ამ ბოლო დროს, მეშინია. ამას წინათ, შებინდებულზე, მანქანიდან ხელჩანთა წამართვეს და წინააღმდეგობა ვერ გავუწიე. მას შემდეგ ვცდილობ, ღამე არ ვიარო, იმიტომ, რომ ძალიან შემეშინდა.

— **ამბობენ, ქალი საჭესთან საშიშია, რადგან მას სწრაფი რეაქცია არა აქვსო.**

— ალბათ, ასეც არის. როგორც კაცს ვენდობი, ისე ქალს ვერ ვენდობი. რაც არ უნდა გამოცდილი მძღოლი იყოს, არა მგონია, ქალმა ის შეძლოს, რასაც მამაკაცი მოახერხებს ექსტრემალურ სიტუაციაში. ვერ გეტყვი, შეიძლება, ეს ადამიანზეც იყოს დამოკიდებული, თუ რამდენად მოხერხებულია ის. ჩემს შემთხვევაში, არასოდეს გამჭირვებია სწრაფი რეაქციის გამოვლენა. ამის გამო, ერთი ანეკდოტი მახსენდება. ერთი კაცი ეუბნება მეორეს: შუქნიშანთან გავაჩერე და ჩემი ყურადღება წინ მდგარმა მანქანამ მიიპყრო, სადაც საჭესთან მყოფმა ქალბატონმა პომადის წასმა და მაკიაჟის კეთება დაიწყო. ამ დროს, ამ ქალის ყურებაში,

უკნიდან მანქანა დამეჯახაო. — კი, მაგრამ შენ ამ დროს რაღას აკეთებდიო? — ჰკითხა მეორემ. — მე წვერს ვიპარსავდიო. ამრიგად, მამაკაცებიც შეიძლება დაიბნნენ.

— საბურავი თუ გამოგიცვლია საკუთარი ხელით?

— არა. თუმცა, პატარაობისას ყოველთვის მეგონა, დედას საბურავი რომ დაეშვებოდა, მე გამოვუცვლიდი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. თეორიულად კი ვიცოდი ყველაფერი, მაგრამ როცა პრაქტიკულად გაკეთება დამჭირდა, ვერაფერი მოვახერხე. სხვათა შორის, ზუსტად რამდენიმე დღის წინ დამეშვა საბურავი და მაშინვე დახმარებისთვის მეუღლეს დავურეკე.

— რომ დაგჭირდეს, თუ მოახერხებ მანქანაში მარტივი ხარვეზის აღმოფხვრას?

— არა, მანქანის არაფერი გამეგება. ერთადერთი, რასაც შეიძლება მივხედე, ზეთის ნაკლებობაა. თუ ხელსაწყოზე წითელი ნათურა აინთება, ეი. წინასწარ მაფრთხილებს, რომ საჭიროა, სასწრაფოდ ზეთის დამატება. ისე, მანქანა არასოდეს გამფუჭებია. ამ საქმეში მეუღლე მეხმარება. მას წელიწადში ერთხელ აუცილებლად მიჰყავს სახელოსნოში და თუ რაიმეში ეჭვი შეეპარება, აცვლევინებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ რამდენიმე დღის წინ, ჩემს მანქანას მიწოლა დასჭირდა და მეც მივაწექი.

— შენი ხელით მანქანა თუ გაგირეცხავს?

— კი. შარშან ზაფხულში. წყნეთში ყოფნისას გადავწყვიტე მანქანის გარეცხვა. ამ საქმეში ჩემი შვილიც მეხმარებოდა და დაქალიც. მართალია, სანი ვრეცხავდით, მაგრამ 2 საათი მაინც მოვანდომეთ, ამ პროცედურას. უნდა ვაღიარო, რომ მაინც ისე გაპრიალება ვერ მოვახერხეთ, როგორც ამას პროფესიონალი მრეცხავები ახერხებენ. ამიტომ მივხვდი, რომ ჯობია, სხვამ გარეცხოს.

— ქალაქგარეთ ხშირად წასულხარ შენი მანქანით?

— კი. მახსოვს, მე და ჩემი მეუღლე მონაცვლეობით ვიჯექით საჭესთან, თურქეთში მიმავალ გზაზე. სხვათა შორის, მთელი იტალია მაქვს მოვლილი მანქანით, ოღონდ — მეუღლესთან ერთად. მარტო კი, მხოლოდ ერთხელ მომიწია წასვლამ — გორში.

— მანქანაში რა სახის მუსიკას უსმენ ხოლმე?

— მანქანაში უმუსიკოდ ვერ ვძლებ. ვუსმენ ყველანაირ სტილს, განსაკუთრებით მიყვარს რიტმიანი მუსიკის თანხლებით მოძრაობა.

— რა მანქანის ყოლას ინატრებდი?

— მე რაც მაქვს, იმითიც კმაყოფილი ვარ. მთავარია მანქანა კომფორტული იყოს.

— ოდესმე, ნასვამი თუ მისჯდომიხარ საჭეს?

— არა, გამორიცხულია, მანქანა ნასვამმა ვატარო.

— ვინმეს თუ ათხოვებ მანქანას?

— ეს ჯერ არავის უთხოვია, მაგრამ რომც მთხოვოს ვინმემ, ალბათ ძალიან დავიძაბები. ჩემი მანქანის საჭესთან სხვა ვინმე რომ დაჯდეს, ამას ვერ ავიტან, სულ იმის შიშში ვიქნები, რაიმე არ გამიფუჭოს. რა ვქნა, ასეთი ვარ.

— ეს შენს მეუღლეზეც ხომ არ ვრცელდება?

— არა. სხვათა შორის, დღესაც ის იჯდა ჩემს მანქანაზე. მაგრამ მაინც მირჩევნია, მანქანა საკუთარი მანქანით იაროს და არა — ჩემით.

— დაბოლოს — ორიოდე სიტყვა შენი საქმიანობის შესახებაც მითხარი. როგორც ვიცი, ახალი ალბომი გამოუშვი სახელწოდებით — „გზა მომავლისა“. სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— რა ვიცი, გეგმებზე საუბარი არ მიყვარს, იმიტომ, რომ წინასწარ არ ვიცი, რა გამოვა... ამჟამად ვწერ სიმღერას, გიგა კუხიანიძესთან ერთად. ვნახოთ — მომავალში, იქნებ, კლიპიც გადავიღო... ■

სიცოცხლე — მოძრაობაშია!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხემლის სხვა პათოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ქონდროპროტექტორები უდავოდ რევოლუციური გადაწყვეტაა

სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ტერაფლექსი (THERAFLEX) ეფექტური კომბინირებული ქონდროპროტექტორია

1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს — 500მგ
ნატრიუმის ქონდროიტინის სულფატს — 400მგ

ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ), ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

ტერაფლექსი

- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას;
- აჭრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა და ხერხემალში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეხორცების ძვლოვანი კორძის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ზღუდავს) მოთხოვნილებას არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული კურსი შეადგენს 6 თვეს.
პრეპარატის მიღებამდე გაეცანით ანოტაციას.

ტერაფლექსი — თავისუფლების ახალი დონე!

„საგმელ“-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ სრულფასოვან ცხოვრებას.

ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის გამზ. 148/ბ

მეორე ქორწინება

ლელა ჭანკოტაძე

ის დრო, როცა ოჯახის დანგრევა უდიდეს სირცხვილად იყო მიჩნეული, წარსულში დარჩა. დღეს ცოტანი რადა არიან ისეთები, ვისაც პირველ ქორწინებაში არ გაუმართლა და მეორედ ცდილობენ საკუთარი კერის შექმნას. უკვე გამოცდილი, უმეტესად ტრავმირებული ადამიანები ამ გადაწყვეტილებას მეტი სიფრთხილით იღებენ, თუმცა ბევრ მათგანს შეიძლება გაცნობიერებულიც არ ჰქონდეს, რომ წინ სხვადასხვა სპეციფიკური პრობლემა ელის. ფსიქოლოგები განმეორებითი ქორწინების სამ ტიპს გამოყოფენ:

1. განქორწინებული, საშუალო ან ხანდაზმული ასაკის მამაკაცის ქორწინება ახალგაზრდა, თავისუფალ, უშვილო ქალთან.

2. მანამდე უცოლო მამაკაცის ქორწინება განქორწინებულ, შვილიან ან უშვილო ქალთან.

3. განქორწინებული მამაკაცის ქორწინება განქორწინებულ, შვილიან ან შვილებიან ქალთან.

რა თავისებურებებით ხასიათდება განმეორებითი ქორწინების ეს სამი ტიპი? რა უნდა გაითვალისწინონ ადამიანებმა, რომლებიც ფსიქოლოგთა მიერ მკაცრად განსაზღვრულ რომელიმე ტიპს მიეკუთვნებიან? რა საფრთხეებია დამახასიათებელი თითოეული ტიპის ქორწინებისთვის?

ქეთინო თავართქილაძე, *ფსიქოლოგი:*

— როცა განქორწინებული, საშუალო ან ხანდაზმული ასაკის მამაკაცი ქორწინდება ახალგაზრდა, თავისუფალ, უშვილო ქალზე, მას წინ შეიძლება უამრავი საფრთხე შეხვდეს. ხშირად ამ წყვილის სასიყვარულო კავშირი, მამაკაცის პირველი ოჯახის დანგრევის მიზეზია. თავდაპირველად, ქორწინების გარეშე კავშირი იმდენად განსხვავდება მოვალეობებით სავსე ჩვეული ოჯახური ცხოვრებისგან, რომ მამაკაცს ისევ უჩნდება ენთუზიაზმი და ენერგია. ის ტოვებს ოჯახს, რათა ახალი ცხოვრება დაიწყოს. ახალგაზრდა ქალისთვის კი დამაინტრიგებელია გამოცდილი მამაკაცი, მისი ცოდნა, საზოგადოებრივი მდგომარეობა, თავდაჯერებულობა. ქალი ასეთი მამაკაცით აღფრთოვანებულია და მასში მამობრივ თვისებებსაც პოულობს. ცოტათი სხვა შემთხვევაა, როცა დიდი ხნის წინ განქორწინებული მამაკაცი ახალი ოჯახის შექმნის მიზნით, თავისუფალ ქალს ეძებს.

— როდის შეიძლება ამ წყვილის ერთიანობას ბზარი გაუჩნდეს?

— ამ წყვილის ურთიერთობა თავიდან, ხშირად, „მშობლისა“ და „შვილის“ როლთა განაწილებით იწყება. მამაკაცი „მშობელია“, ქალი — „შვილი“. მამაკაცი იცავს, იფარავს, ჭკუას არიგებს, ასწავლის და ხშირად, ამით თვითონ განიცდის უდიდეს სიამოვნებას. ქალი — ინფანტილურია, ჭირვეული, გამუდმებულ დახმარებას და დაცვას საჭიროებს, მამაკაცით აღფრთოვანებულია და ბავშვივითაა მას მინდობილი. ამ ქორწინების შემდგომი განვითარება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დიდი ხნით იქნება შენარჩუნებული ურთიერთობის ეს ფორმა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ახალგაზრდა ქალი ვითარდება, სოციალურად მწიფდება. ხშირად, ის თავს ანებებს „შვილის“ როლის თამაშს და თავის ავტონომიურ ხაზს ატარებს, ოჯახის უფროსობაზეც კი აცხადებს პრეტენზიას. ამის შედეგად, ქალი პატივისცემით აღარ ეპყრობა გაცილებით უფროს ქმარს და მისი ქცევის კრიტიკულ შეფასებას იწყებს. ადვილი მისახვედრია, რომ ამ კომპოზიციაში ოჯახის პერსპექტივა საეჭვოა. გასათვალისწინებელია, ამ დროს წამოჭრილი სხვა პრობლემებიც — ისეთი, როგორიცაა: მამაკაცის პირველი ოჯახის შვილებისთვის მატერიალური დახმარება, კონტაქტი მათთან და ყოფილ ცოლთან.

...ირაკლისა და მაგდას ცოლქმრულ ცხოვრებას საფრთხე მაშინ დაემუქრა, როცა ასპარეზზე ანა გამოჩნდა. მეთერთმეტეკლასელმა გოგონამ ცოლშვილიან კაცს თავბრუ დაახვია. მაგდა ჯერ ღიმილით უყურებდა, როგორ დადიოდნენ ხელიხელჩაკიდებულები მისი ქმარი და ახალი მეზობელი. მაგრამ როცა ირაკლის ანაზე ზრუნვა მოთხოვნილებად ექცა, შეშფოთდა და გადაწყვიტა, აქტიურად ემოქმედა.

მაგდა:

— ანა გამუდმებით ჩვენი სახლის წინ იდგა. ყოველ წვრილმანზე დახმარებას ირაკლის სთხოვდა. თავიდან მომწონდა კიდეც მისი სითამამე, მაგრამ მერე მეზობლებმა მითხრეს: ფრთხილად იყავი, მაგ პატარა გოგომ 20 წლის ოჯახი არ დაგინგრიოსო. ამის შემდეგ ჩემს ქმარს შევატყვე, რომ ანათი აღტაცებული იყო. სულ რაღაც 2 თვეში გამომიცხადა: განქორწინება მჭირდებაო. ამბობდა, რომ ისეთ გოგოს შეხვდა, ვისზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა და რომ ცხოვრებაში პირველად იყო ნამდვილად შეყვარებული. ანას მშობლებმა განგაში ატეხეს. ცხადია, არ უნდოდათ, მათი შვილი სხვისი ოჯახის დანგრევის მიზეზი გამხდარიყო, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. მახსოვს, 31 დეკემბერი იყო. მე ათასგვარ ნუგბარს ვამზადებდი, ბავშვები ნაძვის ხეს რთავდნენ. ირაკლი სავარძელში იჯდა და ხმას არ იღებდა. მოულოდნელად წამოხტა, სავარძელს წიხლი ჰკრა, იქვე მდგარი სკამიც გადააბრუნა და სახლიდან შეშლილივით გავარდა. იმ ღამეს აღარ დაბრუნებულა. დილით კი, ანას დედა ჩვენთან ატირებული მოვიდა და გვითხრა: ის უნამუსოები ქუთაისში გაპარულანო. ქუთაისში ირაკლის მამიდა ცხოვრობდა... ამის შემდეგ 3 წელი ისე გავიდა, მისთვის თვალიც არ მომიკრავს, მხოლოდ ტელეფონით მელაპარაკებოდა. მაგალითად, დარეკავდა და მკითხავდა: ბავშვები როგორ არიან? ცუდი სიზმარი ვნახეო...

— შვილებს თუ ნახულობდა?

— იშვიათად. ანა ფეხმძიმედ რომ იყო,

ირაკლიმ ჩვენთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტა, ამბობდა – არ მინდა ვანერვიულო, არ სიამოვნებს, როცა თითქმის მისი ტოლი გერები სტუმრად მოდიანო. ერთი სიტყვით, მამას შვილების ნახვას უკრძალავდა. ირაკლი ამის გამო აღშფოთებას სულაც არ გამოთქვამდა. პირიქით – უთქვამს: ახალ ცხოვრებას ვიწყებ, ჩემს ცოლ-შვილს უფლებას არ მივცემ, გეგმები ჩამიშალოსო... მერე ანამ მეორე ბავშვიც გააჩინა. მე ცხადია, ქმრის დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადამეწურა, თუმცა დედამთილი მამშვიდებდა: ნახავ, შენი ქმარი მუხლებში ჩაგივარდება და პატიებას გთხოვსო... მერე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: ანა ჩემს ვაჟს სკოლაში მიუვარდა და თანაკლასელების თანდასწრებით უშვერი სიტყვებით გალანძღა. მამათქვენს ჯიბეებს რომ უცარიელებთ, არ ფიქრობთ, თავის შვილებს რას აჭმევსო?!. – ყვიროდა თურმე. ბავშვმა ისე ითაკილა, რომ სახლიდან გაიქცა. აღარც სკოლაში მივალ და არც შინ დავბრუნდებიო, – გვამცნო ტელეფონით.

— ირაკლის არ შეატყობინეთ?

– ეს ამბავი მან ტელევიზიით შეიტყო. ,,ვიდეოპატრულმა'' გამოაცხადა ლაშას დაკარგვის შესახებ. ბავშვს ყველგან ვეძებდით – მეტროს სადგურებში, ბაზრობებზე, მიწისქვეშა გადასასვლელებში. იმ დღეებში ირაკლიც არ მომშორებია გვერდიდან. მეთხუთმეტე დღეს, ერთმა ბავშვმა საიდუმლოდ გვითხრა, ვისთანაც იმალებოდა. შვილი დავიბრუნე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამის შემდეგ ირაკლი ისევ ანასთან დაბრუნდა. სწორედ იმ წუთიდან გადავწყვიტე, მებრძოლა და ქმარი უკან დამებრუნებინა. იმედი მქონდა, რომ გამიმართლებდა.

— ასე რატომ ფიქრობდით?

– ირაკლის, ანათი აღტაცებას ვეღარ ვამჩნევდი. აღარ ჰგავდა გოგოზე უგონოდ შეყვარებულ მამაკაცს. მის ყოველ გამოხედვაში იმედგაცრუება ჩანდა. თითქოს დაღლილი იყო და სიმშვიდე სჭირდებოდა. ვგრძნობდი, რომ მეორე ქორწინებამ არ გაუმართლა. 40 წლის კაცი, მოხუცივით წელში მოიხარა, გახდა და დანაღვლიანდა. ერთ საღამოს, სახლში დავურეკე და ვუთხარი: ბავშვებს ძალიან ენატრები, თუ გინდა, მოდი, საღამომდე შენს შვილებთან იყავი, მე არ დაგენახვები-მეთქი. მოვიდა. რადგან ერთხელ გაბედა, მეორედაც გვესტუმრა, მესამედაც. ბოლოს კი, ღამითაც დარჩა. მე არ ვაწუხებდი, ამ დროს, ძირითადად, მეზობელთან ვიყავი გასული... ზაფხულში დასასვენებლად სოფელში წავედით. იქაც ჩამოგვაკითხა. ამ ყველაფერს ცხადია, ანასგან მალულად აკეთებდა.

— ანას მშობლები ხომ თქვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. ისინი რა, ვერ ხედავდნენ, მათი სიძე მეზობელ სახლში რომ შედიოდა?

– ერთხელ ანას დედამ მითხრა: შენ რა გიჭირს, წლები გავა და ქმარი დაგიბრუნდება, ჩემი შვილი კი, მარტო დარჩება – ასეთია იმ ქალების ბედი, რომლებიც სხვების ოჯახებს ანგრევენო. ის თვალს ხუჭავდა იმაზე, რომ ირაკლიმ ჩვენთან სიარულს მოუხშირა. ჯობს, ჩემი შვილი მარტო დარჩეს, ვიდრე შვილების მოღალატე კაცთან იცხოვროსო, – ამბობდა. მას სწამდა, რომ თუ კაცმა ქალის გამო ერთხელ მიატოვა ცოლ-შვილი, მეორედაც შეიძლება, ივივე გააკეთოს. ქვეყანაზე ლამაზი ქალი ხომ არ დაილევა!.. ერთი სიტყვით, ირაკლის იმხელა სითბო და სიყვარული ხვდებოდა ჩვენს ოჯახში, შეუძლებელი იყო, ეს ვერ ეგრძნო. შედეგმაც არ დააყოვნა: ირაკლის ანასთვის გამოუცხადებია: შეცდომა დავუშვი, ისევ ჩემს ოჯახს უნდა დავუბრუნდეო. ანა ამას არ შეეპუა. პატარა ბავშვები იარაღად გამოიყენა: თუ წახვალ, ორივეს უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში ჩავაბარებო, – გამოუცხადა!.. დღემდე გაურკვეველ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ირაკლი ხან ჩვენთან არის, ხან – მეორე ცოლ-შვილთან. ალბათ, სიკვდილამდე გაჰყვება იმ შეცდომით მოგვრილი განცდა, რომელიც მას მეორე ქორწინებამ მოუტანა...

ქეთინო თავართქილაძე:

– განსხვავებული პრობლემები იჩენს თავს, როცა თავისუფალი, უცოლო მამაკაცი განქორწინებულ ქალზე ქორწინდება. როგორც წესი, ამ ქორწინების საფუძველი სიყვარულია. ეს წყვილი ასე ხასიათდება: მამაკაცი ძლიერი, დამოუკიდებელი პიროვნებაა, რომელსაც არა მარტო ოჯახის რჩენის ძალა შესწევს, არამედ იმის უნარიც აქვს, რომ საყვარელ ქალს მშობლებისა და ახლო ნათესავების ცხარე, ხშირად ერთობ სუბიექტური დისკუსიები აარიდოს. იგი რაინდი, მგრძნობიარე, მხნე და სანდოა. ქალი პირველი ქორწინებისგან იმედგაცრუებული და გულნატკენია. მის ცხოვრებაში ზღაპრის გმირივით შემოჭრილ მამაკაცს მოწონებით ხვდება. ეს ქორწინება და ქმრის პატივისცემა მას ხშირად, ბოლომდე მიჰყვება. ოჯახის სიმყარეს ისიც განსაზღვრავს, რომ უკვე გამოცდილ ქალს აღარ სურს ახალი შენაძენის დაკარგვა, მეტს ითმენს, უკან დახევა შეუძლია. მამაკაცი გერის მიმართ გულთბილია, მეგობრულად განწყობილი. მათი საერთო შვილების დაბადების შემდეგ, პირველი ქორწინებიდან მოყოლილ ქალის შვილს შეიძლება, ბუნებრივი, ბავშვური ეჭვიანობით გამოწვეული პრობლემები გაუჩნდეს, მაგრამ მშობელთა ნორმალური დამოკიდებულების წყალობით გადალახავს მათ. სხვათა შორის, ამგვარი ქორწინების საფუძველს ხშირად, ძველი სიყვარული წარმოადგენს: წყვილს ქალის გათხოვებამდე უყვარდა ერთმანეთი, გარემოებათა გამო დაშორდნენ და შემდეგ, ამ გარემოებათა წყალობით, ერთმანეთი ისევ იპოვეს.

მაიასა და გელას ერთმანეთი სკოლის მერხიდან უყვარდათ. გელას, რაც თავი ახსოვდა, სულ ამ ბაფთიან გოგონაზე იყო შეყვარებული. ვერც წარმოედგინა, თუ მის ცხოვრებაში ოდესმე სხვა ქალი გამოჩნდებოდა. არც იმაზე ფიქრი შეეძლო, რომ მაიას სხვა მოსტაცებდა. მაგრამ მშობლებმა ისინი ერთმანეთს დააშორეს. გელა სავალდებულო სამხედრო სამსახურს გერმანიაში იხდიდა, მაია კი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. ერთ დღეს, გელას დედამ ის ყმაწვილი დაიბარა, რომელიც ამაოდ ცდილობდა მაიას გულის დაპყრობას...

გელა:

– მათ შორის საკმაოდ ბინძური გარიგება მოხდა. ჩვენ მატერიალურად მყარი ოჯახი გვქონდა, დედაჩემმა იმ ბიჭს უთხრა: მაია მოიტაცე და გადამალე, ჩემგან ჯილდოდ ავტომანქანას მიიღებო. მართლაც, მეორე დღეს, ლექციებიდან შინ მიმავალი მაია ძალით ჩასვეს მანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მშობლებმა მათ კვალს ერთი კვირის მანძილზე ვერ მიაგნეს. მერე, იმ არაკაცმა მაიას ოჯახში დარეკვის უფლება მისცა.

მაია:

– ვამბობდი – სხვა მიყვარს და მას არ ვუღალატებ-მეთქი. მაშინ ზაზამ მითხრა: გელა შენ ცოლად აღარ შეგირთავს, თავმოყვარე ბიჭია, მონატაცებ ქალზე არ დაქორწინდებაო. მერე დედაჩემთან დამარეკვინა. სწორედ დედამ მითხრა: გელას გააგებინეს ეს ამბავი. უთქვამს: თუ მოიტაცეს და შვიდი დღე ვერ იპოვეს, ყველაფერი დამთავრებულია, შერცხვენილ ქალს ცოლად არ მოვიყვანო... დედაჩემი გელას დედამ დაარწმუნა ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. ეს რომ გავიგე, ზაზას ვუთხარი: თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვე-მეთქი. ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო.

გელა:

– წერილით მაცნობეს მაიას გათხოვების ამბავი. ძალიან ვიჯავრე. თავის მოკვლაც კი მინდოდა. მაგრამ ქართველმა სამხედროებმა ეს მწუხარება გადამატანინეს. წუთით არ მტოვებდნენ, ეშინოდათ, შუბლში ტყვია არ დამეხალა. ბოლოს, ბედს დავმორჩილდი...

მაია:

– მე და გელა თანაკლასელები ვიყავით. სკოლის დამთავრებიდან 10 წლისთავი საზეიმოდ აღვნიშნეთ. ბანკეტზე ერთმანეთი რომ დავინახეთ, ძველმა სიყვარულმა იფეთქა. მივხვდი, ვერასდროს შევძლებდი, გელას სიყვარული გულიდან ამომეგდო.

გელა:

– თანაკლასელებმა მითხრეს: მაია ქმარმა მიატოვა, ნარკომანი იყო, ყველაფერი გაყიდა,

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ცაში ახედვის შიშს ურანოფობია ჰქვია.

2. ჰოდეიდა ქალაქია იემენის არაბთა რესპუბლიკაში.

3. ამერიკელები თავის თავს შოკოლადოგოლიკებს ეძახიან.

4. მომღერალი ბობ მარლი 1945 წელს, კუნძულ იამაიკაზე დაიბადა.

5. საახალწლოდ საავადმყოფოში მოხვედრა, „ბომჟების“ სანუკვარი ოცნებაა.

6. ჯონ ლენონის პირველი ცოლი სინტია პაუელი ავანგარდისტი მხატვარი იყო.

7. ჰიტლერი და მუსოლინი ერთმანეთს პირველად, ვენეციაში 1934 წელს შეხვდნენ.

8. კალაშნიკოვის ავტომატი მსოფლიოში 27 მილიონ ერთეულამდე არის გამოშვებული.

9. ლომის შეჯვარება 3 დღის განმავლობაში, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ხდება.

10. სერგეი ესენინის ამერიკელი მეუღლე, აისედორა დუნკანი ქმარზე 17 წლით უფროსი იყო.

11. ჯორჯ ბუშის ამასწინანდელი ინაუგურაცია ყველაზე ძვირი დაჯდა აქამდე ჩატარებულ ინაუგურაციათა შორის.

12. დიდი ნუგეშისმცემელი – ასე ეძახიან კრიტიკოსები ო'ჰენრის.

13. კენედის მკვლელი, ლი ჰარლი ოსვალდი ყოფილი საზღვაო ფეხოსანი იყო.

14. პაპუასები ხელებზე, იდაყვს ზემოთ, ძაღლის კუდისგან დამზადებულ ბრასლეტებს ატარებენ.

15. ჯონ გლენი ყველაზე ხანდაზმული კოსმონავტია მსოფლიოში. იგი 77 წლის ასაკში გაფრინდა კოსმოსში.

16. რუსეთის მეფეს, ნიკოლოზ მეორეს 15 ათასი მსახური ჰყავდა. იგი 5 სამეფო მატარებლისა და 7 უზარმაზარი სამეფო სასახლის მფლობელი იყო.

17. ლათინურ ენაში არ არის სიტყვა, რომელიც ვულკანს აღნიშნავს. რომაელები პომპეის ამოფრქვევამდე, გავებაში არ იყვნენ, თუ რა იყო ეს.

18. დადგენილია, რომ საფრანგეთის რადიოთი გადმოცემული სიმღერებიდან არა უმეტეს 40%-სა შეიძლება იყოს ინგლისურენოვანი.

19. კლოდ მონე ცხოვრების ბოლო ბოლოს ბინაც დაკარგა; მაია ბავშვთან ერთად ქირით ცხოვრობსო. იმედი მომეცა. ვიფიქრე: მაიას სიყვარულს ისევ დავიბრუნებმეთქი. გვიან ღამით სახლში მანქანით მივიყვანე. ქერათმიანი პატარა გოგო ტახტზე იწვა – ეს მაიას შვილი ანანო გახლდათ... იმ ღამეს მე და მაიამ ბევრ რამეზე ვილაპარკეთ. ჩემზე ნაწყენი იყო. მისაყვედურა: ხელი რატომ მკარი, ჩემზე უარი რატომ თქვიო?.. ჩავეძიე და მისგან სრული სიმართლე შევიტყვე. როცა გავიგე, რომ ერთმანეთს სხვების გამო დავცილდით, საშინლად აღვშფოთდი. ამ დროს, ბავშვმა გაიღვიძა. რომ დამინახა – ვინა ხარო? – მკითხა. – დღეიდან შენი მამიკო ვარ და ასე იქნება სიკვდილამდე-მეთქი, – ვუპასუხე.

მაია:

– მისმა ნათქვამმა საშინლად დამაბნია. გელა ამას მიხვდა. შემომხედა და მითხრა: ბინის გადასახადს მე გადავიხდი ხოლმე, რადგან ახლა ამ ოჯახში უფროსი მე ვარო... მეორე დღეს თანაკლასელებს ვუთხარით ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ. მათ ძალიან გაუხარდათ. მაგრამ მათ შორის აღმოჩნდა ერთი, ვინც ეს ამბავი გელას დედას შეატყობინა. გააფთრებული ქალი თავს მაშინ წამოგვადგა, როცა ჩვენს სადღეგრძელოს სვამდნენ. მახსოვს როგორ კიოდა: ქუჩის ქალზე გინდა დაქორწინება? ან რა შენი შესაფერისია, სხვისი „გამონაცვალი“ ქალიო?!

გელა:

– მე და მაია უკვე 10 წელია, ცოლქმარი ვართ. დამიჯერეთ, დედაჩემის „სპექტაკლი“ იყო ერთადერთი უსიამოვნება, რომელიც მაიას ჩემი ნათესავებისგან შეხვდა. ხმალამოღებულივით შემართული ვიდექი და არავის მივეცი მისი შეურაცხყოფის უფლება. მართლა არ მაინტერესებდა, თუ რა აზრი ჰქონდათ დეიდებს, ბიძებს, ბიცოლებს, მათ მეზობლებს, მეგობრებს ან უბრალოდ ნაცნობებს ჩვენი ქორწინების შესახებ... დავიწყეთ ცხოვრება ნაქირავებ ბინაში. ახლა საკუთარი სახლიც გვაქვს და მატერიალურად სხვებსაც ვეხმარებით. პატარა ანანო უკვე 14 წლის არის, შეყვარებული ჰყავს და უმცროს ძმებს თავის პაემნებზე დაატარებს ხოლმე...

მაია:

– მე და გელას ტყუპი ბიჭი შეგვეძინა. ისინი ახლა პირველ კლასში სწავლობენ. ანანო მათ აღზრდაში ძალიან გვეხმარება. ყველანი ბედნიერები ვართ. ჩვენ ეს ბედნიერება დავიმსახურეთ.

ქეთინო თავართქილაძე:

– სხვა ვითარებაა, როცა განქორწინებულია ქალიც და მამაკაციც, ამასთან, მათ შორის ასაკობრივი სხვაობა დიდი არ არის. ორივე მათგანი პირველი ქორწინებით უკმაყოფილოა. ისინი ახალ ოჯახს იმ იმედით ქმნიან, რომ ამჯერად უკეთესი ცოლქმრული ცხოვრება ექნებათ. მაგრამ ისინი ძნელად ივიწყებენ ძველ ჩვევებს. ქალს თან თავისი შვილი ან შვილები მოჰყავს, მამაკაცის შვილები დედასთან ცხოვრობენ. ქმარი მამინაცვალი ხდება. ახალი ოჯახის ჰარმონიას ხშირად ეს არღვევს: მაგალითად, მისთვის ძნელია, ცოლის შვილებს შენიშვნა ისე მისცეს, როგორც ამას მათი მამა გააკეთებდა. ბავშვები მას შეიძლება, დაუპატიჟებელ სტუმრად აღიქვამდნენ, რომელიც მათ დედობრივი სიყვარულის ნაწილს ართმევს. ამიტომ ისინი მამინაცვლის მიერ მათთან დაახლოების ნებისმიერ მცდელობას აპროტესტებენ. გარდა ამისა, ცოლიც შეიძლება განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდეს თავისი შვილების კრიტიკას ქმრის მხრიდან. გასათვალისწინებელია ბავშვების ნამდვილი მამის უფლებათა პატივისცემის აუცილებლობა, რომელიც კიდევ უფრო ზრდის მამინაცვლის არასახარბიელო მდგომარეობას. მას უჩნდება ეჭვი: რამდენად შეუძლია, ჰქონდეს პრეტენზია ოჯახის ჭეშმარიტი მამის როლზე?.. ზოგჯერ მამინაცვალი იხსნის პასუხისმგებლობას ცოლის შვილებზე. ამით ის ავტორიტეტსაც კარგავს და ოჯახიდანაც ირიყება. თან, ბოლომდე ჩაურევლობაც არ გამოსდის: როცა ცოლი, ქმრის აზრით, არასწორად ზრდის შვილებს, ის ქალს შენიშვნებს აძლევს, ოჯახში დაძაბულობა მატულობს... ეს დაძაბულობა ზოგჯერ, საერთო შვილის გაჩენასთან ერთად სუსტდება ან მთლიანად იხსნება, მაგრამ ხშირ შემთხვევებში, შეიძლება, პირიქით, გაძლიერდეს, ერთ-ერთი მეუღლის შვილების გამო გაჩენილი პრობლემების მიზეზით.

მარეხი, *39 წლის:*

– ჩემს ოჯახში პრობლემები მაშინ დაიწყო, როცა ქმარმა გამომიცხადა: შენი შვილი როგორ იქცევა, თავი ვინ ჰგონიაო?! საშინლად აღვშფოთდი. გათხოვებამდე სწორედ იმის მეშინოდა, ვაითუ, მამინაცვალმა შვილი დამიჩაგროს-მეთქი.

— ეი. მეორე ქმარს თავიდანვე მამინაცვლის სტატუსი მიანიჭეთ?..

– ცხადია. ის ვერასდროს გახდებოდა ჩემი შვილისთვის ნამდვილი მამა. მე მისგან ბავშვის შეყვარებას და მისი უფლებების პატივისცემას ვითხოვდი – ეს იყო და ეს.

— ეი. თქვენი შვილიც შეეგუა იმ აზრს, რომ მას ახალი მამა კი არ ეყოლებოდა, არამედ — მამინაცვალი, და სიტყვა „მამინაცვალს“ უარყოფითი დატვირთვა მიეცით?

– არც მე მიცდია, მისი შვილები საკუთარი შვილებივით შემეყვარებინა. მისგან რატომღა მოვითხოვდი საპირისპიროს? მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ უსიამოვნებები სწორედ ბავშვების გამო

წარმოიქმნებოდა. მზად ვიყავი, სტუმრად მოსული გერები გულღიად მიმეღო, მათთვის სითბო და ყურადღება არ მომეკლო. მათ მდგომარეობასაც ვითვალისწინებდი. სახლში, სადაც გაიზარდნენ, ახლა სხვა ბავშვი ცხოვრობდა. შეიძლებოდა, მათ ჩემი ვაჟის მიმართ შურის გრძნობაც კი გასჩენოდათ. ვფიქრობდი, რომ დროთა განმავლობაში, ერთმანეთს შეეჩვეოდნენ. მაგრამ კონფლიქტი ვერ ავიცილე თავიდან. ჩემი გერებიც ბიჭები არიან. როცა მოდიოდნენ, ნიკასთან თამაშობდნენ, ჯერ მშვიდად, შემდეგ – ერთმანეთს მუშტებს დაუშენდნენ ხოლმე... ამის გამო, როცა მათი მოსვლის დრო მოვიდოდა, ნიკა მეზობელთან მიმყავდა, რასაც ძალიან განიცდიდა. მეუბნებოდა: ჩემზე მეტად იმ კაცის შვილები გიყვარსო. საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. აღარ ვიცოდი, რა მექნა. შიშით ველოდი იმ დღეს, როცა ქმარს თავისი შვილები უნდა მოეყვანა. უკმაყოფილებას არც ქმარი მალავდა. თავის შვილებსაც საყვედურობდა და ჩემს ბიჭსაც. ერთხელ, ნიკამ მითხრა: ბებიასთან დავბრუნდები, იქ ცხოვრება მირჩევნიაო. ამის გამო ცრემლი ვერ შევიკავე. ქმარმა მანუგეშა. მაგრამ მალე სიტუაცია უმართავი გახდა. ერთ ავბედით დღეს, ჩემი გერები სკოლიდან მომავალ ნიკას ჩაუსაფრდნენ და ისე სცემეს, თავ-პირი სულ დაულილავეს. სახლში დასისხლიანებული ბავშვი რომ მოვიდა, განგაში ავტეხე. ქმარმა მისაყვედურა: რას შეყარე ქვეყანა?! ბიჭებმა შეცდომა დაუშვეს, არც შენი შვილია უცოდველი კრავიო. მეორე დილას, ნიკას ჩავაცვი და იმ სახლიდან წამოვედი, სადაც ჩემი შვილი ზედმეტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ძალიან მიყვარდა, ოჯახი მაინც დავანგრიე, ჩემს ერთადერთ ვაჟს ვერავის დავაჩაგვრინებ. ჩემთვის მთავარია, ნიკა იყოს ბედნიერი.

რა უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანებმა, რომლებიც მეორედ აპირებენ დაოჯახებას? როგორ უნდა მოიქცნენ, რომ თავიდან აიცილონ უსიამოვნებები, ძველი შეცდომები აღარ გაიმეორონ და საერთოდ, რა შემთხვევაში ამართლებს მეორეჯერ ცდა?

— რაში მდგომარეობს მეორე ქორწინების უპირატესობა, პირველთან შედარებით?

ქეთინო თავართქილაძე:

– პარტნიორებს მხოლოდ „მარადიული“ რომანტიკული სიყვარულის იმედი აღარ აქვთ და ცოლქმრობას უფრო რაციონალურად უდგებიან. მათ ახსოვთ პირველი ქორწინების სიმწარე, გულისტკივილი და მადლიერებას განიცდიან იმ სიამოვნებისთვის, რომელსაც მათ მეორე ქორწინება ანიჭებთ. ორივე ცდილობს ოჯახის შენარჩუნებას, აქტიურად უფრთხილდებიან მეუღლეს, ხოლო თუ ოჯახურ ურთიერთობაში დისჰარმონია ხელახლა იჩენს თავს, შესარიგებელ გზათა საძიებლად წყვილი უფრო მომზადებული და მობილიზებულია.

— რამდენად ხშირად და რა პირობებშია მეორე ქორწინება უკეთესი, ისეთივე ან უარესი, ვიდრე პირველი?

– ნევროტიკები, პათოლოგიური ხასიათის მქონე ადამიანები პარტნიორს მეორე ქორწინებაშიც წარუმატებლად ირჩევენ. იმავე შეცდომებს უშვებენ, რამაც პირველი ოჯახის დაშლა გამოიწვია. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როცა ქალი, რომელიც პირველ ქმარს ალკოჰოლისადმი ლტოლვის გამო გაეყარა, ისევ თხოვდება ალკოჰოლიკზე. რა ხდება ამ დროს? ცოლს (ან ქმარს) გადააქვს მისთვის ტიპური ქცევა პირველი ქორწინებიდან მეორეში. ახალ ოჯახშიც მეორდება ურთიერთობები, რომლებმაც პირველ ოჯახში დისჰარმონია გამოიწვია. ქმარი გამუდმებით აღიზიანებს მეორე ცოლს (ისევე, როგორც აღიზიანებდა პირველს) უყურადღებობით, იმპულსურობით, დესპოტურობით. ცოლი კი თავისი ისტერიულობით, შენიშვნებით, ნოტაციებით ან თეატრალური ჩივილ-სპექტაკლებით (როგორც პირველი ცოლი) აღვივებს ქმარში სურვილს, რომ არ მივიდეს შინ. გარდა ამისა, კონფლიქტის მიზეზად, ისინი საკუთარ თავს არ მიიჩნევენ, ერთმანეთს ან სულაც სხვა ადამიანებს ადანაშაულებენ...

— რა შემთხვევაში ამართლებს მეორე ქორწინება?

– ნორმალური, გაწონასწორებული ადამიანები წინა წარუმატებლობიდან სწორ დასკვნებს აკეთებენ, მეორე ქორწინებისათვის უფრო ადეკვატურ პარტნიორს ირჩევენ და თვითონაც უფრო გონივრულად და ტაქტიანად იქცევიან. მაგალითად, მამაკაცი, რომლის პირველი ცოლი ზედმეტად ემოციური იყო და ქმრისგან გამუდმებით, სიყვარულის დამტკიცებას მოითხოვდა, მეორე ქორწინებისთვის წყნარ, მორიდებულ ქალს ირჩევს. მამაკაცი, რომელსაც პირველ ქორწინებაში იმდენად მზრუნველი ცოლი ჰყავდა, რომ მისი ზედმეტი მეურვეობისგან თავს უაზრო ბავშვად გრძნობდა, მეორედ ისეთ ქალს ირჩევს, რომელთანაც სიმეტრიულ, თანასწორ ურთიერთობას დაამყარებს. არჩევანი შეიძლება სუსტ, არადამოუკიდებელ ქალზეც შეაჩეროს, რომელიც დაცვას, მზრუნველობას საჭიროებს და მამაკაცს საკუთარი ძალის შეგრძნების საშუალებას მისცემს. საბოლოოდ, მთავარია, სწორი არჩევანი გააკეთოთ... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

წელს ისე იყო დასუსტებული, რომ სახატავად ხელს ვეღარ სწვდა. მას ხელის მტევანს თოკით უბამდნენ ტილოს წინ და ისე ხატავდა.

20. 1943 წელს, პარტიზანების მიერ დატყვევებული მუსოლინის გადასარჩენად, ჰიტლერმა ოტო სკორცენი გაგზავნა. სკორცენიმ მუსოლინი მოიტაცა და გერმანიაში ჩაიყვანა.

21. 1999 წლის 30 დეკემბერს, ჯორჯ ჰარისონის სახლში შეიპარა მანიაკი, რომელმაც ოთხჯერ დაარტყა დანა მომღერალს, მისი ცოლი კი თავში დაჭრა. ჰარისონმა შეძლო მისი განიარაღება. მანიაკი შეურაცხადად ცნეს და იძულებითი მკურნალობა მიუსაჯეს.

22. მას შემდეგ, რაც კუბის ერთ-ერთ კუნძულზე განლაგებულ ამერიკულ სამხედრო ბაზას ფიდელ კასტრომ მტკნარი წყლის მიწოდება შეუწყვიტა (მილსადენები ააფეთქა), იქ წყალი ტანკერებით შეჰქონდათ. ბაზაში მანქანების რეცხვა, რაიმის მორწყვა და თეთრი პერანგებით სიარული აიკრძალა. სასადილოში კი, ჩვეულებრივი ჭურჭელი ქაღალდის ერთჯერადმა თეფშებმა შეცვალა.

23. უელსის პრინცის წოდება უელსელებისთვის არანაირ პრივილეგიას არ წარმოადგენს. 1301 წელს, ინგლისის მეფემ თავის შვილს უელსის პრინცის წოდება უბოძა, რათა კუთხე შეენარჩუნებინა. უელსელებისთვის ტერმინი – „უელსის პრინცი“ იგივეა, რაც ფრანგებისთვის „ვატერლოოს“ ცნება.

24. „რუსებს არა აქვთ სურვილი და უნარი, ისწავლონ უცხო ენა, – ირწმუნება მიხაილ ზადორნოვი. – იტალიაში ყოფნისას, ჩემს მეზობელს ორად ორ სიტყვას – „კვანტა კოსტას“ (რა ღირს) ვასწავლიდი. ისიც მთელი დღე იმეორებდა: „კვანტა კოსტა... კვანტა კოსტა...“. მეორე დღეს, შევიდა მაღაზიაში და გამყიდველს ეუბნება: „კოზა ნოსტრა!“ გამყიდველმა მაშინვე პოლიციას გამოუძახა“.

25. რუსეთის ერთ-ერთი მონასტრის შესასვლელთან იყო წარწერა: „ესლი ტი უსტალ ატ ეტაი ჟიზნი, ვაიდი ვ ეტი ვაროტა“. ქვემოთ პომადით იყო მიწერილი: „ა იესლი ნე უსტალ, პაზვანი პო ეტამუ ტელეფონუ...“

წელს შოუბიზნესში რატომღაც პასიურობა შეინიშნება, რამაც საზოგადოებაში ათასი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ისიც ითქვა, თითქოს ანსამბლი „ვერნისაჟი“ დაიშალა, რადგან ის აღარ ჩანს. როგორც ველოდით, ეს ცრუინფორმაციაა, რაც ანსამბლის ხელმძღვანელმა თეა გოგეჭიშვილმაც დაგვიდასტურა. „ვერნისაჟის“ საქმიანობასა და თეას ოჯახზე სასაუბროდ მას შინ ვესტუმრეთ, სადაც პატარა ნიტა შემოგვეგება და მისი წყალობით, ინტერვიუმაც მხიარულად ჩაიარა.

„ისევ ისეთი ეჭვიანია, მაგრამ ეს სულაც არ მაღაჩღვევს...“

ნათია ქივიძე

— თეა, რა არის შენს კარიერაში ახალი?

— წლევანდელ წელს მაინცდამაინც დატვირთულები არ ვართ, რადგან ქართული შოუბიზნესი წელს რატომღაც ძალიან მკვდარია და ყველაფერი ნელ ტემპში ვითარდება. ერთადერთი, კონცერტი, რომელშიც ბოლო წლის მანძილზე ვმონაწილეობდით, ლელა წურწუმიას კონცერტი — „სულელი წვიმა“ იყო, რომელმაც საკმაოდ წამატებულად ჩაიარა, მე გაცილებით უარეს შედეგს ველოდი, რადგან პოლიტიკის გარდა, ახლა საქართველოში აქტუალური არაფერია... გაზაფხული-ზაფხულისთვის რაღაც სიახლეებია დაგეგმილი, რომელზეც მოგვიანებით ვისაუბრებ. ახლა სისტემატური რეპეტიციები გვაქვს და პატარ-პატარა პროექტებზე ვმუშაობთ.

— შარშან ჩემთან საუბრისას აღნიშნე, რომ „ვერნისაჟი“ სოლო კონცერტის გამართვას აპირებდა. რატომ ვერ მოხერხდა ამ იდეის განხორციელება, რამ შეგიშალათ ხელი?

— ხელი ბევრმა რამემ შემიშალა. ახლა კი, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ არის საუკეთესო პერიოდი საიმისოდ, რომ გრანდიოზული კონცერტი ჩავატაროთ, წარუმატებელი იქნება... ეს იდეა ისევ გვაქვს და მომავალში აუცილებლად განვახორციელებთ.

— საზოგადოებაში გავრცელდა ჭორი, თითქოს „ვერნისაჟი“ დაიშალა. როგორ ფიქრობ — რამ გამოიწვია ეს ჭორი?

— არა, „ვერნისაჟი“ არ დაშლილა და ამის საშიშროება არც არსებობს. ეს ჭორი ალბათ იმის ბრალია, რომ ბოლო დროს, სცენაზე ნაკლებად ვჩანვართ. ჩვენმა ანსამბლმა დიდი გზა გამოიარა და ამაზე გაცილებით უარესი პერიოდებიც გადაგვიტანია. ასე რომ, არ დავიშლებით. ვმუშაობთ.

— ადრე, ხშირად დადიოდით გასტროლებზე. წელს თუ გაქვთ რაიმე მიწვევა?

— წელს, მართალა, ბევრი მიწვევა გვაქვს, განსაკუთრებით — ზაფხულის პერიოდისთვის. ასე რომ, არჩევანის საშუალება გვეძლევა. ამის წყალობით, ჩემი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე (მოგეხსენებათ, რომ ჩემი შვილი ნიტა ჯერ ძალიან პატარაა და მას დიდი ხნით ვერ მივატოვებ), ალბათ ანტალიაში გავემგზავრებით და არა მაროკოში ან აფრიკის რომელიმე სხვა ქვეყანაში: ანტალია უფრო ახლოსაა და ამ მხრივ უფრო მოსახერხებელი ჩემთვის. ბაქოსა და საბერძენთში მიწვევაც ისევ ძალაშია და ვნახოთ, როგორ განვახორციელებთ.

— ახლა, როცა კონცერტები თითქმის არ იმართება, რაიმე ახალ ცეკვებს მაინც თუ დგამთ?

— რა თქმა უნდა, ახალი ცეკვების დადგმა ჩვენს ანსამბლში სისტემატურად ხდება. ცეკვა ისეთი რამ არის, რომ მას ბოლომდე უნდა მიჰყვე, სულ ფორმაში უნდა იყო. გვჭირდება თუ არ გვჭირდება, ახალ ცეკვებს მაინც ვდგამთ და ძველს არ ვიმეორებთ. ასევე ვეუფლებით ილეთებს, ვქმნით ცეკვის ახალ ნახაზებს. როცა ამდენი წლის მანძილზე ცეკვავ, ახალი ილეთი თავისთავად მოდის. თანდათან სტილი და ტემპი ვითარდება...

ჩვენს ოჯახში ნიტა ყველაზე დიდი სასწაულია

— ერთი და იმავე მომღერლის სხვადასხვა კონცერტში ხშირად მონაწილეობთ. როცა ასეთი გამოსვლისთვის ემზადებით, ძველ ცეკვებს იმეორებთ თუ ახალს დგამთ?

— როცა მომღერალი ადრე ნამღერ სიმღერებს ახალ კონცერტზე იმეორებს, რა ცეკვაც იმ სიმღერაზე ადრე გვქონდა დადგმული, იმას ვიმეორებთ,

მათ შორის 12 წელია სხვაობა და ეს ძალიან კარგია. ნიკა გიჟდება თავის დაზე, ისე უყვარს

თუმცა იქაც რაღაც-რაღაცებს აუცილებლად ვცვლით, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც ისეთივე კომპოზიციაა. ახალ სიმღერაზე კი, რა თქმა უნდა, დიდხანს ვმუშაობთ და აბსოლუტურად ახალ ცეკვას ვდგამთ.

— როცა რომელიმე მომღერლის კონცერტზე ცეკვავთ, მომღერალიც თქვენი ნახაზის მიხედვით ცეკვავს. რამდენად ადვილია, რომ მოკლე ხანში, მან ეს ილეთები აითვისოს და რომელ მომღერალს გამოარჩევთ პლასტიკურობითა და მოქნილობით?

— მომღერალთან ცეკვაზე მუშაობა ადვილი მართლაც, არ არის. ამ ყველაფერს ბევრი რეპეტიცია სჭირდება, რადგან სცენაზე ერთდროულად რომ იმღერო და იცეკვო, ძალიან რთულია. შეიძლება, სიმღერა დაავიწყდეს, იმიტომ, რომ ცეკვაზე ფიქრობს, ან — პირიქით. ილეთები მთელ სხეულში უნდა ჰქონდეს გამჯდარი. თან, ცეკვის დროს, ძალიან დიდი ენერგია იხარჯება და სიმღერისთვის სუნთქვა აღარ ჰყოფნის. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთთან შერწყმული იყოს. ამასთანავე, მომღერალი მაქსიმალურად ფორმაში უნდა იყოს. მოქნილობითა და ცეკვის ნიჭით ლელა წურწუმიას გამოვარჩევ, რადგან ის საკუთარი თავის მიმართ ძალზე მომთხოვნია. თუ ეჭვი ეპარება, რომ რაღაცა კარგად არა აქვს ათვისებული, არავითარ შემთხვევაში არ მოეშვება და ბოლომდე იმუშავებს, რომ კარგად გამოუვიდეს. საქართველოში მომღერლების ცეკვაზე ნაკლები დატვირთვაა, მაგრამ საზღვარგარეთ მომღერლები მოცეკვავეების დონეზე ასრულებენ ცეკვის ყველა ილეთს. ეს ძალიან კარგია, რადგან როცა მოცეკვავეებს კონცერტზე იყენებენ, აუცილებლად მათ უნდა ერწყმოდე, მოცეკვავე და მომღერალი ერთი სხეულის ნაწილები უნდა იყვნენ. მხოლოდ ამ დროსაა კონცერტი სრულყოფილი.

— ახლა „ვერნისაჟის“ სტუდიაზეც გვესაუბრე. როგორც ვიცით, თქვენთან ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია ქორეოგრაფიის სწავლა...

— ჩვენს სტუდიაში მოხვედრა ადვილია, მაგრამ სწავლა ძალიან რთულია, რადგან ჩვენთან ქართულის გარდა, ყველანაირ ცეკვას ვასწავლით. ქართულის ცეკვა აბსოლუტურად სხვაა... რასაც ჩვენ ვასწავლით, იმის ათვისებას ბევრი დრო სჭირდება. ბავშვი თუ პირველ თვეებში ამ დატვირთვას გაუძლებს, მერე ისე უყვარდება ცეკვა, რომ ერთ გაკვეთილსაც კი აღარ აცდენს. ალბათ, ეს არის პროფესიის სიყვარული. ერთი პრობლემა კიდევ ის არის, რომ ქართველები ძალიან ზარმაცები ვართ. არ გვიყვარს ზედმეტი დატვირთვა. თავიდან ბავშვები ჩემთან რომ მოდიან, თუ შერეული სისხლისა არიან, გაცილებით ყოჩაღები და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნები არიან, ვიდრე „სუფთა“ ქართველები, მაგრამ ეს სიზარმაცე 3-4 თვეში ქრება და ისინიც მაქსიმალურ დატვირთვას ეჩვევიან.

— ბავშვებთან მარტო შენ მუშაობ თუ „ვერნისაჟის“ სხვა წევრებიც გეხმარებიან?

— არა, ცეკვის ყველა სტილს ცალკე, ერთი პედაგოგი ასწავლის.

— მოდი, ახლა შენს ოჯახზეც მოგვიყევი...

— ჩვენს ოჯახში ნიტა ყველაზე დიდი სასწაულია. ახლა იმ ასაკშია, რომ ყოველდღე ახალ-ახალ რაღაცებს სწავლობს და გვაოცებს ხოლმე. ამ პატარა გოგონამ აბსოლუტურად შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ. ნიტა პრინცესაა და ჩვენ ყველა მას ვემსახურებით.

— ამაზე შენი უფროსი შვილი — ნიკა არ ეჭვიანობს?

— არა. მათ შორის 12 წელია სხვაობა და ეს ძალიან კარგია. ნიკა გიჟდება თავის დაზე, ისე უყვარს. ნიტა უფრო ეჭვიანობს: როცა ნიკა ჩამეხუტება და მეფერება, ნიტა ურტყამს და ეჩხუბება — გადიო. ვერ იტანს, როცა მე ვიღაცას ვეფერები...

— ნიტას ცეკვის ნიჭი ხომ არ აქვს?

— კი, ნიტას არაჩვეულებრივი ცეკვის ნიჭი და რიტმის შეგრძნება აქვს. არ არსებობს, მუსიკის ხმა გაიგონოს და არ აცეკვდეს. თანაც, მუსიკას არჩევს: ზოგს საერთოდ იგნორირებას უკეთებს, ზოგს კი აღფრთოვანებული უსმენს. თავისებური ილეთებიც კი აქვს. ამას წინათ რეპეტიციაზე მყავდა წაყვანილი, უყურა, გოგონები როგორ ჯდებიან „შპაგატში“ და თვითონაც ისწავლა... ჯერ ძალიან პატარაა, მე რომ რაიმე ვასწავლო, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ცეკვას გაჰყვება.

— რა რეაქცია აქვს, როცა დედას ან მამას ტელევიზორში ხედავს?

— ადრე, როცა ტელევიზორში გვხედავდა, არ აღნიშნავდა — მხოლოდ უყურებდა. ახლა, როგორც კი დაგვინახავს, გახარებული ყვირის.

— შენი მეუღლის, ნიკას შემოქმედებით საქმიანობაში ხომ არაფერია ახალი?

— ტელეკომპანია „იმედში“ ძველებურად მუშაობს. გარდა ამისა, ერთ-ერთ ღამის კლუბთან თანამშრომლობს, სადაც სხვადასხვა საღამოს წამყვანია. აქვს ჩაფიქრებული რაღაც პროექტები, რომლებსაც ნელ-ნელა განახორციელებს.

— როგორც მახსოვს, ნიკა შენ მიმართ ძალიან ეჭვიანი იყო. ხომ არ „გამოსწორდა“?

— ისევ ისეთი ეჭვიანია, მაგრამ ეს სულაც არ მაწუხებს. ისე, თავისთვის ეჭვიანობს ხოლმე ხანდახან, რაც მსიამოვნებს კიდეც.

— მესამე შვილის გაჩენასაც ხომ არ აპირებ?

— ჯერ არა, რადგან ამჟამად, ძალიან ვიწროდ ვცხოვრობთ. ამ ბინაში ჩვენც ძლივს ვეტევით. მერე, როცა გავფართოვდებით, ამაზეც ვიზრუნებთ, რატომაც არა?..

■

ცეკვაზე მუშაობა ადვილი მართლაც, არ არის...



ეკრანებელი სენი... ეკრანებე!

ისეთი ვერაგი დაავადება, როგორიც მწვავე ლეიკემიაა, არა მარტო მოზრდილებს, არამედ ბავშვებს, ზოგჯერ — სულ პატარებსაც კი არ ინდობს. შესაძლოა, დედამ შვილი, არცთუ ისე საგანგაშო სიმპტომების გამო მიიყვანოს ექიმთან და გამოკვლევის შედეგად დადგინდეს, რომ მის პატარას ეს საშინელი სენი სჭირს... მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ბოლო წლებში, ლეიკემიასთან ბრძოლაში ხელშესახები შედეგებია მიღწეული, რომლებიც არაერთი სასოწარკვეთილი მშობლისთვის დამაიმედებელი იქნება...

ნინო ედიბერიძე

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა „რესპუბლიკაში“, ბავშვთა ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს, ონკოჰემატოლოგიური ცენტრი, სადაც პაციენტთა უმეტესობა, სამწუხაროდ, ლეიკემიით დაავადებული ბავშვები არიან. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 100 ათასიდან 5 ბავშვი ავადდება ლეიკემიით. გვესაუბრება ონკოჰემატოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ***ასმათ შენგელაია****.*

— რამდენი წელია, რაც თქვენ ცენტრი დაარსდა?

— ონკოჰემატოლოგიური ცენტრი 10 წელია, რაც დაარსდა. მანამდე საქართველოში არსებობდა ონკოჰემატოლოგიური სკოლა, თან — საკმაოდ ძლიერი. მიუხედავად ამისა, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების 97% იღუპებოდა. 10 წლის წინ, მწვავე ლეიკემია სასიკვდილო სენად ითვლებოდა. დღეისათვის კი, დანერგილია მკურნალობის უახლესი მეთოდები, რომლებმაც რევოლუციური გარდატეხა მოახდინა და ახლა, ბავშვების 70% სრულად იკურნება. ჩვენს ცენტრში ძირითადად, სისხლის გათეთრებით — ე.ი. მწვავე ლეიკემიით, ავთვისებიანი ლიმფომით (ადრე, ლიმფოსარკომად მოიხსენიებოდა) დასნეულებული ბავშვები მკურნალობენ. ამასთანავე, არაონკოლოგიურ პათოლოგიებსაც ვმკურნალობთ, ისეთებს, როგორებიცაა: ტრომბოციტოპენია, ანემია, ჰემორადიული ვასკულიტი.

— ცნობილია თუ არა მედიცინისთვის ლეიკემიის გამომწვევი მიზეზი და რა სტადიაში ხდება მისი განკურნება?

— სამწუხაროდ, ლეიკემიის გამომწვევი მიზეზი მსოფლიოში ჯერ ვერავინ დაადგინა. ეს დაავადება პოლიეტიოლოგიურია — ანუ მრავალი ფაქტორითაა გაპირობებული, მათ შორის: ვირუსულით, გენეტიკურით, სხივური ანუ ზოგადრადიაციულით, ორგანიზმის საერთო იმუნოდეფიციტით — ე.ი. დათრგუნვილი იმუნიტეტით გამოწვეული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ჩამონათვალი ლეიკემიის განვითარების ხელშემწყობია და არა მიზეზი: როგორც კი ორგანიზმში იმუნური დაცვითი სისტემა ირღვევა, ნებისმიერი მუტაცია პათოლოგიური გზით ვითარდება. ასე რომ, ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული იმუნიტეტზე, რადგან ზოგიერთი ბავშვისთვის რადიაციული ფონი, საკვებში ქიმიკატების სიჭარბე, სხვადასხვა ინფექციური ვირუსი საბედისწეროა. ამიტომ აუცილებელია, მოვარიდოთ ბავშვი მავნე ზემოქმედების გამომწვევ ფაქტორებს. ლეიკემიის გამომწვევი ვირუსი არ არის დადგენილი, მაგრამ ცნობილია ე.წ. „ეფშტეინ ბარის“ ვირუსი, რომელიც ბერკიდის ლიმფომას იწვევს, ეს უკანასკნელი კი ონკოჰემატოლოგიური დავადებების ჯგუფში შედის. ლეიკემია სისხლბადის სისტემის ავთვისებიანი დაავადებაა. სისხლბადის სისტემა იწყება სისხლის ღეროვანი უჯრედიდან. როდესაც ეს უჯრედი ზიანდება, იწყებს არასწორად გამრავლებასა და გაყოფას, რაც თავისთავად ყველა სიმსივნური პროცესის საფუძველია... რაც შეეხება სტადიებს — ამ დაავადებას სტადიები არ გააჩნია. ლეიკემიის სახეობები ორ დიდ ჯგუფად იყოფა, ესენია: მიელოიდური და ლიმფოიდური. ლიმფოიდური ლეიკემიის დროს, ბავშვების 80% იკურნება; მიელოიდური ლეიკემიის შემთხვევაში, ძვლის ტვინის გადანერგვის გარეშე, მხოლოდ 40%-ის გადარჩენაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, სიკვდილიანობის მიზეზი სწორედ მწვავე მიელოიდური ლეიკემიაა. ჩვენ ან ვერ ვახერხებთ რემისიის (დაავადების დაძლევა გარკვეულ ეტაპზე) მიღწევას, ან თუ ვახერხებთ, რემისია ხანმოკლეა და შემდგომ, დაავადება ისევ მწვავდება.

— რა სიმპტომებია ლეიკემიისთვის დამახასიათებელი?

— სისუსტე, სიფერმკრთალე, უმადობა, სისხლჩაქცევა, წონაში დაკლება, ლიმფური კვანძების გადიდება, ძვლების ტკივილი, ღვიძლისა და ელენთის გადიდება. ეს ის სიმპტომებია, რომლებიც მთლიანობაში ქმნის ლეიკემიის სურათს.

— ხდება თუ არა საქართველოში ძვლის ტვინის გადანერგვა და რამდენად ძვირად ღირებულია ეს ოპერაცია?

— სამწუხაროდ, ჩვენთან ძვლის ტვინის გადანერგვა არ ხდება, არც ღეროვანი უჯრედის გადანერგვა. ჯერჯერობით, ეს ჩვენთვის ძალზე ძვირი ოპერაციაა — 150 ათასი ევრო ჯდება. გარდა ამისა, საჭიროა გარკვეული პირობების შექმნა — უპირველესად, სტერილური პალატები. თავისთავად გადანერგვა არ არის რთული პროცედურა, მაგრამ გადანერგილი ძვლის ტვინის მისაღებად საჭიროა, ავადმყოფის იმუნური სისტემის მაქსიმალური მომზადება, რომ იგი უცხო სხეულთან

კონფლიქტის გამო არ დაიღუპოს. ამიტომ დონორი უნდა იყოს მაქსიმალურად იდენტური, ის კი ძალზე ძნელი მოსაძებნია. პროცედურის შედეგად, დონორი აბსოლუტურად არ ზარალდება. რადგან ღეროვანი უჯრედის გადანერგვა, პერიფერიული სისხლიდან ხდება (ხშირად – ახალშობილის ჭიპლარიდან). წარმოიდგინეთ – შეთავსების შემთხვევაშიც კი, გადანერგვის შემდეგ, პაციენტი შეიძლება ვერ გადარჩეს, რეაქციის გამო, რომელსაც „ტრანსპლანტანტი – მასპინძლის წინააღმდეგ" ჰქვია. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს იმუნურ კონფლიქტთან, რომელსაც ავადმყოფის სიცოცხლე ეწირება... საქართველოში მცხოვრები ბავშვები, რომლებსაც ძვლის ტვინის გადანერგვა ესაჭიროებათ, განწირულნი არიან: არც მათ ოჯახებს და არც სახელმწიფოს არ გააჩნიათ მათი განკურნებისთვის საჭირო თანხა და პირობები. ჯანდაცვის მინისტრმა დასვა საკითხი, ძვლის ტვინის გადანერგვის ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ. იდგმება პირველი ნაბიჯები: ერთ-ერთ კლინიკაში, ღეროვანი უჯრედის გამოყოფას და გადანერგვას ცდილობენ; ამ მიმართულებით ონკოცენტრშიც მუშაობს ლაბორატორია...

— ეხმარება თუ არა თქვენს ცენტრს სახელმწიფო ან რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაცია?

– დიახ, საბედნიეროდ, ჩვენთან ფუნქციონირებს საქველმოქმედო ფონდები. ერთ-ერთია იტალიური ორგანიზაცია Life Line (სიცოცხლის ხაზი), რომელმაც ჩვენგან სამკურნალოდ უკვე 4 ბავშვი წაიყვანა, რაც შეეხება მათი მშობლებისა და დონორების გამგზავრება-დაბინავებას, ამ ხარჯების დაფარვა ქართულმა საქველმოქმედო ფონდებმა და ბიზნესმენებმა იტვირთეს. სახელმწიფო კი, ჩვენს პროგრამულ დაფინანსებას უზრუნველყოფს. ჩვენს ავადმყოფებს ფაქტობრივად, არ სჭირდებათ მედიკამენტების შეძენა – მათ უფასოდ ემსახურება ჩვენს საავადმყოფოში განთავსებული, გერმანელების მიერ დაარსებული ლაბორატორია. მათთვის ასევე უფასოა საავადმყოფოში არსებული, სისხლის ბანკის მომსახურებაც.

— ძირითადად, რა სახის მკურნალობა უტარდებათ ბავშვებს და როგორ ხერხდება ისეთი დაავადების განკურნება, რომლის ეტიოლოგია ბოლომდე ცნობილი არ არის?

– რა თქმა უნდა, რაც უფრო ზუსტად იცი, თუ რა იწვევს დაავადებას, მით უფრო ადვილია მისი დამარცხება. ის, რაც საქართველოში ბავშვთა ლეიკოზოლოგიაში ბოლო წლებში განხორციელდა, ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელდა: ჩვენ გამოვიყენეთ გერმანელების მიერ შემუშავებული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება შესაბამისი ცოდნისა და საშუალებების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გერმანიამ სამთავრობო დონეზე გაგვიწია დახმარება: თითქმის ყველა ექიმმა, ჩემი ხელმძღვანელობით, გერმანიაში გაიარა სტაჟირება. ჩვენმა ცენტრმა მიიღო გერმანული აპარატურა, მედიკამენტები, რომლებიც უფასოდ ხმარდება პაციენტებს. ამის შემდეგ, განვახორციელეთ BFM – ასე ეწოდება პოლიქიმიოთერაპიულ პროგრამას, რომელიც გათვლილია ავთვისებიანი უჯრედის მიტოზურ ციკლზე (გაყოფის სხვადასხვა ეტაპი). პროგრამის სახელწოდება 3 ქალაქის – ბერლინის, ფრანკფურტისა და მიუნსტერის საწყისი ასოების შეერთებითაა მიღებული, რადგან სწორედ ამ ქალაქების წამყვანმა ჰემატოლოგებმა, უზარმაზარი მასალის სტატისტიკური დამუშავების, დიდი ბჭობისა და ურთიერთშეთანხმების შედეგად დაწერეს აღნიშნული პროგრამა. რაც შეეხება მკურნალობას, იგი საკმაოდ ხანგრძლივია – 180 დღეს მოიცავს. ვიყენებთ პოლიქიმიოთერაპიას, რომელიც ქიმიოთერაპიული პრეპარატების გარკვეულ კომბინაციებს გულისხმობს. გარდა ამისა, მედიკამენტების შეყვანა ხდება ხერხემლის არხშიც. მედიკამენტოზური მკურნალობის დამთავრების შემდეგ, ხორციელდება თავის ტვინის დასხივება, – იმისათვის, რათა თავი ავარიდოთ რაიმე ნარჩენის დატოვებას. საბოლოო ჯამში, ხდება ლეიკოზური კლონის ერადიკაცია (სრული მოსპობა).

— ლეიკემიის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად, ბრძანეთ, რომ გენეტიკური ფაქტორი იგულისხმება. აქედან გამომდინარე, ხომ არ ემუქრება საფრთხე განკურნებული ბავშვების მომავალ თაობებს?

– ლეიკემია გენეტიკურად მშობლიდან შვილზე არ გადადის. ლეიკემიით დაავადებულ დედას შეიძლება ჰყავდეს სრულიად ჯანმრთელი შვილი. გენეტიკურ ფაქტორში ვიგულისხმე ბავშვის ნორმალური გენომის დარღვევა, რის ფონზეც, შეიძლება განვითარდეს დაავადება. მაგალითად, ჰემოფილია, რომლის დროსაც, სისხლი არ დედდება, გენეტიკურია; ამ შემთხვევაში, დედა გადამცემია და დაავადებას მხოლოდ ვაჟს გადასცემს. წარმატებული განკურნება მხოლოდ ბავშვებშია შესაძლებელი; მოზრდილებში, განკურნების ასეთივე დადებითი მაჩვენებლები არ არსებობს. იმიტომ კი არა, რომ მათ ნაკლები ყურადღება ექცევათ – მათი მკურნალობის დროსაც იგივე პროგრამები ხორციელდება, – უბრალოდ, ბავშვის იმუნური სისტემა ძალიან ლაბილურია – ანუ მისი აყოლიება შედარებით იოლია... ეს ბავშვები სიცოცხლისთვის იბრძვიან. როდესაც ისინი ამ „ბრძოლის ველიდან" გამოჯანმრთელებულები მიდიან, საზოგადოების ვალია, მათ დაეხმარონ ინტეგრირებაში: ამ ბავშვებს, მედიკამენტების გარდა, სულიერი თანადგომაც სჭირდებათ. ამიტომ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ამ პრობლემით დაინტერესებისთვის: თქვენი პუბლიკაციის წყალობით, მათ უფრო მეტი გულშემატკივარი გაუჩნდებათ... ამას წინათ, თავისი დაბადების დღეს, საჩუქრებით დატვირთული, ქვეყნის პირველი ლედი მობრძანდა, რომელმაც 16 წლის უიმედო ავადმყოფი – ზაზა მიქელაძე მოინახულა. ყურადღებამ ბავშვი საოცრად გაახალისა... ჩვენს პატარა პაციენტებს უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია ეხმარება. ერთ-ერთი, სწორედ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მშობლების მიერ არის შექმნილი, მშობელთა კომიტეტის ერთ-ერთი თავმჯდომარე, ლეიკემიით დაღუპული გოგონას დედაა, მეორე კი – განკურნებული ბავშვის მშობელი. მაგრამ ორივე ერთნაირი შემართებით იბრძვის სხვისი შვილების გადასარჩენად. არ ვიცი, რა ეშველებოდათ ამ ბავშვებს, მორალური თანადგომის გარეშე. ალბათ, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდებოდა...

ინგა ჯაყელი

მსნელი ტუუილი და უნებლიე ცოდვა...

სოფლად გათხოვილმა მეგობარმა ისეთი მესიჯი გამომიგზავნა, არჩევანის საშუალება არ დამიტოვა: თუ წელსაც არ ჩამოსულხარ ჩემს დაბადების დღეზე, ჩათვალე, რომ აღარაფერი გვაქვს საერთოო!.. იძულებული გავხდი, საკუთარი თავისთვის ხანმოკლე დასვენების უფლება მიმეცა...

რაიონულ ცენტრამდე დანჯღრეულ ავტობუსს ჩავყევი და როგორც მეგობარმა გამაფრთხილა — სადგურის მარჯვენა გასასვლელთან ყვითლად შეღებილი „ბუტკის“ გვერდით დავდექი, მანქანის გამოჩენამდე, რომლითაც მეგობრის ბიძაშვილს უნდა მოეკითხა 3 საათზე. ცოტა ადრე კი მოვიდა „ჟიგული“, მაგრამ რადგან ჩაწეული მინიდან მძღოლის დაჟინებული მზერა ვიგრძენი (ერთმანეთს არ ვიცნობდით!), ბევრიც არ ვაწვალე კაცი, კარი გამოვაღე, მივესალმე და გვერდით მივუსკუბდი. გაოცებულმა შემომხედა, თითქოს მთვარიდან ჩამოვვარდი. — წავედით! — ავაჩქარე და მანაც უხმოდ დაძრა მანქანა.

— როგორ ხართ? ხომ მშვიდობაა თქვენს სოფელში? — ვიკითხე ისე, ზრდილობისთვის.

— რა ვიცი, მეც ახლა მივდივარ, შემომითვალეს — ბებიაჩემი ყოფილა უკანასკნელ დღეში და სიკვდილის წინ, ჩემი ნახვა უნატრია. რომ მოკვდეს, დავიღუპები, წაიღებს საგვარეულო განძის საიდუმლოს საფლავში და ვეღარ მივაგნებთ, — გული გადამშალა ჩემმა მძღოლმა.

— მოიცა, თქვენ რუსიკომ არ გამოგგზავნათ ჩემს წასაყვანად? — დავეჭვდი უცებ.

— არა, რა რუსიკო, რის რუსიკო?! ჩემი გაჭირვება მაქვს: ბებიამ გამზარდა. მამაჩემი რომ მოკვდა, დაჰკრა ფეხი დედაჩემმა და გათხოვდა. აღარც უკითხავს ჩემი ამბავი, 2 წლის რომ მიმატოვა, მას შემდეგ. ბებიას დედაჩემი დიდად არ ეხატებოდა გულზე და ამიტომ მისთვის არ გამოუჩენია წინაპრებისგან მემკვიდრეობად მიღებული განძის ადგილსამყოფელი, რომ წამოვიზარდე, მეც ულტიმატუმი წამომიყენა — თუ ჩემს მოსაწონ ქალს არ მოიყვან, ვერც შენ ეღირსები რამეს, მიწას შევაჭმევინებ მთელ ქონებასო!.. ჰოდა, ორი შეყვარებული მიმატოვებინა — ერთი სიგამხდრით დაიწუნა, მეორე სიშავით... მერე მესამე ვანახვე და — სიტყვა-პასუხი არ უვარგაო! — მომახალა. მაგრამ აღარ შევეპუე, ვიფიქრე — ასე უცოლოდ დამტოვებს-მეთქი! — და ჩუმად დავიწერე ჯვარი, ქალაქში ჩავესიე ცოლოურს... ბებიაჩემის ახირების ამბავი იმათაც იციან და ამიტომ მინახავენ ნამუსს — ვითომ, სიძე კი არა, მდგმური ვარ იმათი. ბებია რომ მესტუმრებოდა ქალაქში, ჩემი ცოლი ნათესავებში იმალებოდა ბავშვებიანად, ორი შვილი გვყავს უკვე... საცაა, ოთხ ათეულს მივუკაკუნებ და მაინც არ შეიცვალა ბებიაჩემმა აზრი — ან მოიყვან ჩემს მოსაწონს და გასახარს, ან არა და, უცოლოდ დარჩე, ის ჯობიაო!.. ახლა მეზობლებმა დამირეკეს — ძალიან ცუდადაა, იჩქარე, თუ გინდა, ცოცხალს ჩამოუსწროო! რომ დაგინახე, ციდან მოვლენილი ანგელოზი მეგონე და იმიტომ გაგიჩერე მანქანა ფეხებთან. გარეგნობა მთლად იმ ქალისას გიგავს, ბებიაჩემი რომ მიხატავდა, თუ სიტყვა-პასუხითაც მოაწონებ თავს და განძს გამოაჩენინებ, ნახევარი შენი იყოს, ალალი იქნება!

— მე?! — გაოცებულმა მივიდე ხელი გულზე.

— მიშველე რამე! — ლამის მუხლებში ჩამივარდა კაცი და სწორედ ამ დროს აწკრიალდა ჩემი მობილური ტელეფონი, გაგიჟებული რუსიკო რეკავდა: ავტობუსი ჩამოსულა და სად ხარო? — ცოტა შემაგვიანდება და რომ მოვალ, ყველაფერს აგიხსნი-მეთქი! — ვუპასუხე და სასწრაფოდ გამოვრთე ტელეფონი. მერე ინტერესით დავაცქერდი მძღოლს (რატომღაც მისი შიში არ გამჩენია, სახეზე ეწერა, საკუთარი გაჭირვების მეტი რომ არაფერი ედარდებოდა).

— რომ დამიწუნოს, რას აპირებ?

— თუ გადარჩა ცოცხალი, ჩემი ხელით მივახრჩობ!.. — სავსებით სერიოზულად მიპასუხა, სასოწარკვეთილმა და გამწარებულმა.

...სანამ მისი სოფლისკენ გადავუხვევდით, გზაში გაჩერდა და „ინსტრუქტაჟი“ ჩამიტარა:

— 38 წლის ვარ, ქუთაისში ჩემი ბიზნესი მაქვს, განათლებით იურისტი ვარ და ხარისხიც მაქვს... — და ისეთი რამეები მითხრა საკუთარ თავზე, გულში შევუკურთხე — აქამდე სად იყავი, რატომ არ შემხვდიმეთქი?!

...გალინა ბებიას მეზობლები ეხვივნენ გარს და ნიშადურის სპირტით უბრუნებდნენ უკან, ამოსასვლელად გამზადებულ სულს. ჩემი „საქმრო“ გულზე დაემხო ბებიას და აზლუქუნდა: — საცოლე მოგიყვანე, შენი ნანატრი ქალი, მინდოდა, გამეხარებინე... საცოლის ხსენებაზე, გალინა ბებიას საიდანღაც ძალა გაუჩნდა, თვალი დაჭყიტა და თავისთან მიმიხმო. ღმერთო, მიშველე და შემინდვე-მეთქი! — ავჭარხლდი სირცხვილით, რაც მოხუცს არ გამოჰპარვია:

— რახან წითლდება, ე.ი. ნამუსიანი და პატიოსანია... არც გარეგნობა დეეწუნება... ნასტავლი თუა?

გაზვიადებულად ჩამოვუთვალე ჩემი „სამეცნიერო მიღწევები“. ზურამ („საქმრომ“) გამაფრთხილა — ჟურნალისტიკა არ უხსენო, არ უყვარს მაგ პროფესიის ხალხი, სითამამით იწუნებს და უთხარი, რომ მასწავლებელი ხარო.

მოკლედ, ხან იქით შემატრიალა გალინა ბებიამ, ხან — აქეთ და პირველი გადამწერა: მადლობა, ღმერთო, ჩემი ბიჭის დარდს რო არ მატან საფლავშიო!.. ზურამ იჩქარა:

— ამაღამ აქ ვერ დავტოვებ, მეზობელ სოფელში უნდა გადავუყვანო ნათესავებს, — ჰოდა, გალინა ბებიამაც აღარ დააყოვნა — ნანატრი ინფორმაცია უჩურჩულა მემკვიდრეს ყურში. ისიც ფრენით გავარდა გარეთ და 15-20 წუთში, ცელოფანის პარკში გახვეული პატარა ზარდახშა შემოიტანა. ამ დროს, გალინა ბებიას ყველა მეზობელი დაუთხოვია და სამნი განვმარტოვდით. გულზე დაკიდებული გასაღებით გახსნა და... თვალი მომჭრა ძვირფასი ქვების ელვარებამ: ყელსაბამი, სამაჯური, საყურეები, ძველებური საათი, ბეჭდები...

— მშვიდობაში მოიხმარეთ და თქვენს მემკვიდრეებს გადაეცით, — დაგვმოძღვრა ბებიამ. — როგორც არ უნდა გაგიჭირდეთ, გაყიდვა არ გაბედოთ, თორემ, საგვარეულო წყევლა გიწევთ!..

ზურამ განძი საგულდაგულოდ დამალა და მეგობრის დაბადების დღეზე გამაქანა. ამ პატივისცემას წყალში არ ჩაგიყრიო! — მითხრა დამშვიდობებისას, ჩემი კოორდინატები ჩაიწერა და ორი თვის შემდეგ მომადგა ცოლთან ერთად, საჩუქრად ოქროს ჯვარი (რა თქმა უნდა, — არა საგვარეულო განძიდან) მომართვა და რესტორანში დამპატიჟა, სადაც განსხვავებული სასმისით შეისვა ორი სადღეგრძელო — გალინა ბებიის ხსოვნის და ჩემი მომავალი ბედნიერების... ■

ზამთარში, ბუხართან...

„ჩემი დაქალისა და ჩემი ძმის სიყვარული ბუხრის პირას ჩაისახა“

თუ იცით, ჩემი პროფესიის ადამიანისთვის ყველაზე მთავარი რა არის?.. ჰარმონიული ურთიერთობა მკითხველთან. მიხარია, რომ მე და თქვენ, „გზის“ მკითხველები, რომ იტყვიან, ნახევარი სიტყვითაც ვუგებთ ერთმანეთს. ამიტომ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ „გზავნილებში“ შემოთავაზებულ ყოველ თემას გულისხმიერად ეკიდებით და საინტერესო მესიჯებს არ იშურებთ ჩემთვის.

გამონაკლისი არც დღევანდელი თემა გახლავთ, რომელმაც მკითხველებში უამრავი სასიამოვნო მოგონება აღძრა. მაგრამ მინდა, ერთი გზავნილი განსაკუთრებით გამოვარჩიო, რომელიც უდიდესი სევდით არით დაღდასმული...

მარი ჯაფარიძე

„ცხოვრებამ ულმობლობა სწორედ მაშინ დამანახვა...“

„გზა“ ჩემი საყვარელი ჟურნალია, „გზავნილები“ – უსაყვარლესი საკითხავი. პირველად გწერთ და წინასწარ გთხოვთ, მაპატიოთ, რადგან შესაძლოა, ჩემმა მესიჯმა გუნება შეგიცვალოთ. ეს ჩემი ცხოვრებაა, უფრო სწორად, თუ ვიტყვი – გასავლელი ცხოვრების ნახევარია, რომელიც სულ მალე დამთავრდება. 34 წლის ვარ. მთელი ამ წლების განმავლობაში, სასიამოვნოს ვერაფერს გავიხსენებ, გარდა ჩემი ქორწინებისა, რომელიც სულ 3 წლის წინ შედგა. დავიწყებ იმით, რომ 8 წლის ვიყავი, როცა დედა გარდამეცვალა. დავრჩით მე და მამა, რომელიც მეუღლის სიკვდილის შემდეგ, სასმელს მიეძალა. ალბათ ისიც ბედია, რომ ერთი ბებია ცოცხალი აღარ იყო, მეორე კი, სოფელში ცხოვრობდა და იმდენად მოხუცი იყო, რომ მომვლელი თვითონ სჭირდებოდა. ასე, პატარა ასაკიდანვე ვიტვირთე ოჯახის სიმძიმე და მამასაც და საკუთარ თავსაც ვუვლიდი. ყველანაირ საოჯახო საქმეს ვაკეთებდი. მამამ მუშაობასაც თავი დაანება, მცირეოდენ ფულს შოულობდა და იმასაც სასმელში ხარჯავდა. ხშირად, მშიერსაც დამიძინია და დამსიზმრებია, რომ ცხელ პურს ვჭამდი. ოთხოთახიანი ბინა გვქონდა. შემდეგ მამამ, ვალების გამო, ის ბინა გაყიდა და ოროთახიანი იყიდა. შემდეგ ისიც გაყიდა და ნახევრად სარდაფში ვცხოვრობდით, სადაც მზის შუქი დღისითაც არ შემოდიოდა. ჩვენ გვერდით, ძალზე შეძლებული ოჯახი ცხოვრობდა. ჩემს გასაჭირს რომ ხედავდნენ, ხშირად მეხმარებოდნენ. შემდეგ შემომთავაზეს, მათ ოჯახში დამხმარედ მემუშავა. 11 წლის ბავშვი ვიყავი, მაგრამ თავს არ ვზოგავდი და თვეში 150 მანეთს მიხდიდნენ. ამის გამო ხშირად მიხდებოდა გაკვეთილების გაცდენა, მაგრამ მაინც ვახერხებდი მეცადინეობას და სკოლა ოთხებზე დავამთავრე. ის მეზობელი დამეხმარა, ვისთანაც მოახლედ ვმუშაობდი და სტუდენტიც გავხდი. ყოველთვის ყველაზე უარესად მეცვა. ამის გამო არავისთან ვმეგობრობდი. ძალზე მრცხვენოდა თანატოლებთან გამოჩენა, თუმცა ჯგუფში ყველა ძალზე კარგად მექცეოდა. შემდეგ ვიღაც ჩემნაირ გაჭირვებულ ბიჭს მოვეწონე და ცოლად გავყევი. იმ პერიოდში, ქვეყანაში ძალზე არეული სიტუაცია იყო, იმ მდიდარ ოჯახსაც გაუჭირდა და ფულს ვეღარ მიხდიდნენ. ძველი ამაგის გამო, უფასოდ ვემსახურებოდი. ჩემმა ქმარმა ამიკრძალა მათთან მისვლა. არც თვითონ მუშაობდა. ახლაც მიკვირს, როგორ გაგვქონდა თავი. დავფეხმძიმდი, მაგრამ 4 თვის ორსული რომ ვიყავი, ჩემმა ქმარმა წიხლით მცემა და ბავშვი დავკარგე. მალე გამოვექეცი მას და მამასთან დავბრუნდი. აქაც ჯოჯოხეთი მელოდა, მაგრამ მაინც საკუთარ სახლში, უფრო სწორად, სარდაფში მერჩივნა ყოფნა. შემდეგ, ხან ქუჩა-ქუჩა წვრილმანს ვყიდდი, ხან ისევ ოჯახებში ვმუშაობდი. ასე გამქონდა თავი. რადგან ყველანაირ საქმეს ძალზე კეთილსინდისიერად ვასრულებდი, უამრავი კლიენტი მყავდა. დღეში 3-4 ოჯახს ვულაგებდი სახლს. ანაზღაურებაც ნორმალური მქონდა და 28 წლის ასაკში, პირველად შევიძინე ახალი ფეხსაცმელი და ტანისამოსი. ჩემმა ყოფილმა ქმარმა რომ გაიგო, ცოტა ამოვისუნთქე, დამიწყო დევნა, ფულს მთხოვდა, შემირიგდიო, მეხვეწებოდა, მერე მუქარაზე გადავიდა. ერთ საღამოს, ქუჩაში ვიჩხუბეთ. ისე დამალილავა, რომ 2 კვირა საავადმყოფოში ვიწექი. მერე დავემუქრე, გიჩივლებმეთქი და თავი დამანება. ერთხელ, ერთმა ძველმა კლიენტმა დამირეკა და მითხრა – ჩემმა ახლობელმა კერძო სახლში რემონტი დაამთავრა, დალაგება სჭირდება, 200 ლარს გადაგიხდისო. სიამოვნებით დავთანხმდი. მეორე დღეს, მოცემულ მისამართზე მივედი. სახლს გარედან რომ შევხედე, სიმწრით გამეცინა და გავიფიქრე – სწორედ ასეთ სახლზე ვოცნებობდი მთელი ცხოვრება-მეთქი. პატრონი 45 წლის, სიმპათიური კაცი აღმოჩნდა. ფასზე შევთანხმდით და იმ დღიდან, საქმეს შევუდექი. სამსართულიან სახლში 18 ოთახი იყო. მთელი 2 კვირა მოვუნდი დალაგებას. შემდეგ პატრონი შემითანხმდა, რომ კვირაში ერთხელ, სახლს დავულაგებდი. მოხდა ისე, რომ ერთი წლის შემდეგ ამ სახლის დიასახლისი გავხდი. ჩემზე ბედნიერი ქვეყნად არავინ მეგულებოდა. ჩემი ქმარი საკმაოდ შეძლებული ადამიანია, ჩემი წარსული მის-

თვის დაწვრილებით მაქვს მოყოლილი. ცდილობს, ყველა ოცნება ამისრულოს და რაზეც წინათ მხოლოდ ვოცნებობდი, ახლა ხელმისაწვდომი გახადოს. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ უზომოდ ვუყვარვარ. თუმცა, როცა ბედნიერ ვარსკვლავზე არა ხარ გაჩენილი, უნდა იცოდე, რომ არასოდეს გაგიმართლებს. როცა გავიფიქრე, რომ როგორც იქნა, ყველანაირი უბედურება დამთავრდა და შვებით ამოვისუნთქე-მეთქი, ცხოვრებამ თავისი ულმობლობა სწორედ მაშინ დამანახვა. ერთი წლის წინ, ავად გავხდი. უამრავი ექიმი დამახვია თავს ჩემმა ქმარმა. ბოლოს დამისვეს დიაგნოზი — საშვილოსნოს ყელის კიბო. ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ ეს რას უშველის? ახლა ვარ ჩემი ოცნების სახლში, ბუხართან მიდგმულ საწოლზე ვწევარ და დღეებს ვითვლი, როდის მიიბარებს სულს უფალი. ვიცი, სულ 1-2 თვე დამრჩა სიცოცხლის ბოლომდე. ჩემი ქმარი კი ცრემლს მალავს, ღიმილიანი სახით მელაპარაკება და მამშვიდებს — ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყოველდღე სანთელს ანთებს და ღმერთს ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივებას სთხოვს. ზამთარს მხოლოდ ფანჯრიდან ვუყურებ. იცით, გული მაინც არ მწყდება, რადგან მადლობელი ვარ სიცოცხლის ბოლო 3 წლისა, როცა მართლაც ბედნიერი ვიყავი და მეგონა, ყველანაირი გასაჭირი უკან მოვიტოვე. ნანა მ-შვილი, თბილისი, 13.02.2005“.

შემდეგი რესპონდენტი 20 წლის გოგონაა. ბუხართან დაკავშირებით მასაც გარკვეული მოგონებები აქვს. თვითონ მიაჩნია, რომ არცთუ ისე სასიამოვნო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ — მშვენიერი.

„...გადამეკიდა — მამაშენი გამირიგეო“

„ჩემი მშობლები სრულიად ახალგაზრდები დაქორწინებულან. შემდეგ დედას უფიქრია, რომ მამაჩემთან ცხოვრება დიდი შეცდომა იყო და სახლიდან წასულა. მე მაშინ 3 წლის ვყოფილვარ. ამის შემდეგ ბებიამ გამზარდა — მამის დედამ. ახლა უკვე 20 წლის ვარ, მამაჩემი კი — 37-ის. ძალზე სიმპათიური მამაკაცია. იცით, როგორ მიყვარს? „ძმაკაცები“ ვართ. ყველგან თან დავყავარ. თუ უცხო საზოგადოებაში მოვხვდით, ყველას შეყვარებულები ვგონივართ. რომ გაიგებენ, მისი შვილი ვარ, არც იჯერებენ ხოლმე. მეც ძალზე ვამაყობ ჩემი მამიკოთი. ვცდილობ, სულ მის გვერდით ვიყო. ყველაზე ვეჭვიანობ, ვინც მის გვერდით გამოჩნდება. ვიცი, რომ უამრავი ქალი ჰყავს, მაგრამ ვცდილობ, მათ თვალიც კი არ მოვკრა. იანვარში მე და მამა ბაკურიანში წავედით. კერძო სახლი დავიქირავეთ და მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. იქ ბევრი ახალი ნაცნობი შევიძინე და საღამოობით მათთან ერთად ვერთობოდი ხოლმე. გოგონებმა მკითხეს — ის კაცი შენი ქმარიაო? ჩვენთან მარტო რატომ გიშვებს? თან რატომ არ მოგყვება ხოლმეო? ვუპასუხე, რომ ქმარი კი არა — მამა იყო. ერთ-ერთი გადამეკიდა — გამირიგე მამაშენიო. თან ამას ისე მეუბნებოდა, მივხვდი — არ სჯეროდა, რომ მისი შვილი ვიყავი. ვიდრე მე ბარებსა და დისკოთეკებზე დავდიოდი, მეგონა, მამაჩემი შინ იყო და გაზეთს კითხულობდა. თურმე, არც ის კარგავდა დროს უქმად და ახალი ნაშა „დაუთრევია“. ერთ საღამოს, არსად წასვლას არ ვაპირებდი, მოგიზგიზე ბუხართან, ძირს დაფენილ ხალიჩაზე ვიყავი წამოწოლილი და ტელევიზორს ვუყურებდი. შევნიშნე, რომ მამა მოუსვენრად მიდი-მოდიოდა ოთახში. შემდეგ, თვითონაც გვერდით მომიჯდა და მითხრა — ნი, ფულს მოგცემ, იქნებ, გაგესეირნა — სტუმარს ველოდებიო. უხალისოდ ავდექი და სასეირნოდ გავემართე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. იქვე, ორღობეში ჩავსაფრდი და ინტერესით ველოდი, ვინ მოვიდოდა. მაღალი, გამხდარი, შავთმიანი ქალი ავიდა კიბეზე და ფრთხილად დააკაკუნა. კიდევ ცოტა ხანს მოვიცადე. მერე ფეხაკრეფით მივუახლოვდი სახლს, აივანზე ავედი და ოთახის ფანჯრიდან შევიხედე. იმ ხალიჩაზე, სადაც ცოტა ხნის წინ მე ვგორაობდი, მამას და იმ ქალს „პიკნიკი“ მოეწყოთ: ხილი, შამპანური, შოკოლადი... სულ მალე კი, მამამ მისი მოფერება დაიწყო. გულის რევის შეგრძნება გამიჩნდა, მაგრამ თვალმოუშორებლივ ვუყურებდი, თუმცა ბოლოს, მაინც დავანებე თვალთვალს თავი და ჩემს თანატოლებს შევუერთდი ბარში. ვიდრე მამამ მობილურზე არ დამირეკა, შინ არ წავსულვარ. მამამ უხასიათოდ რომ მნახა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. გვერდით მომიჯდა, ხელი მომხვია და მითხრა — ნუ მიბრაზდები, შენს სიყვარულს ვერავინ შეცვლის, მაგრამ მგონი დროა, ხელმეორედ დავქორწინდეო... გულზე მომხვდა მისი ნათქვამი, მაგრამ არაფერი მითქვამს. იმ დღის შემდეგ, ბუხარს ვერ ვიტან. დიდი ხანია, დედა არ მინახავს და არც მჭირდება, მით უმეტეს — დედინაცვალი. მშვენივრად ვცხოვრობდით მე, მამა და ბებია. ლამის სახლშიც დავაშლევინო მამაჩემს ბუხარი. თითქოს რაღაც ბზარი გაჩნდა ჩვენ შორის. მამაც ხვდება, მაგრამ არ იმჩნევს. ყველანაირად ცდილობს, ძველებურად გაგრძელოს ჩემთან ურთიერთობა, მაგრამ მე არ გამომდის. ნინო“.

ახლა კი ამბავი, რომელიც ჩვენმა მკითხველმა ბუხართან მოისმინა. მოქმედება XX საუკუნის 30-იან წლებში ხდება.

„ახლა მიღალატა ბებიაშენმა...“

„ძალზე მიყვარს ჩემი სოფელი, განსაკუთრებით — ზამთარში. თბილი ბუხარი, ბაბუაჩემის ყალიონი და გარეთ დიდი, დიდი თოვლი. ბაბუა ძალზე კარგი მოსაუბრე გახლავთ. სულ უბრალო ამბავიც რომ მოგიყვეთ, მოსმენა არ მოგბეზრდებათ. ზამთრის ერთ ღამეს, როცა შინ მხოლოდ მე და ბაბუა ვიყავით (ბებია 6 წლის წინ გარდაცვალა), ავად გავხდი და მაღალი სიცხე მქონდა. ბაბუა მივლიდა, წამდაუწუმ ჩაის მასმევდა, სიცხეს მიზომავდა და თან, ათას საინტერესო ამბავს მიყვებოდა. სწორედ იმ ღამით მოვისმინე მისი და ბებიაჩემის სიყვარულის ამბავი და მინდა, თქვენც მოგიყვეთ. პირველ პირში გადმოგცემთ და ჩათვალეთ, ვითომ ბაბუაჩემი გელაპარაკებათ.

— ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი და გულიც მერჩოდა. ამიტომ სოფელში გამართულ ყველა შეკიბრებაში ვმონაწილეობდი: ჯირითში, ხმლით ჩხუბსა თუ ცეკვა-თამაშში. ასეთი თამაშები და შეკიბრებები ხშირად იმართებოდა. უფრო კი მაშინ, როცა ქორწილი იყო. ჩოხა მიხდებოდა ძალიან, ჰოდა, ჩოხით მივდიოდი ხოლმე ჭირსა და ლხინში. ერთხელ, მეზობელ სოფელში, ნათესავის ქორწილში გახლდით მიწვეული. გამოვიწკიპე კოხტად და წავედი. ვიდრე მაყრიონი და სიძე-პატარძალი მოვიდოდა, ეზოს გადაღმა ხმალაობა გავაჩაღეთ. იქვე სოფლის ახალგაზრდა გოგოები იყვნენ შეკრებილი და ჩუმად გვითვალთვალებდნენ. ყურადღება მივაქციე, რომ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე ეშხიანი და მომხიბლავი იყო, სწორედ მე მიყურებდა; შევხედავდი თუ არა, თავს მორცხვად ხრიდა. როგორც იქნა, ნეფე-პატარძალიც მოვიდა, სუფრას მივუსხედით. ის გოგო თვალთახედვიდან დამეკარგა, მაგრამ ცეკვა-თამაში რომ დაიწყო, ისევ გამოჩნდა და თავისი მზერაც ისევ მე დამასო. წრეში შევედი, ქორივით ჩამოვუარე გოგოებს, თან ხელები გაშლილი მქონდა და ჩემი თავი მომწონდა. იმ გოგოსთან მივედი და „გამოვითამაშე“. გამომყვა, „ცეცხლი დავანთე“ საცეკვაო მოედანზე... შუა ქეიფის დროს ავდექი და ვთქვი — ეს გოგო გამატანეთ, მის გარეშე თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი. მისი ძმები იქვე ყოფილან და ხმალზე ხელი გაიკრეს — ეს როგორ გაგვიბედაო?! ერთი ამბავი ატყდა, მაგრამ შუაში ხალხი ჩადგა და გაგვაშველეს. სუფრა მივატოვე და შინ წამოვედი. თან გულში ვფიქრობდი — მე თქვენ გიჩვენებთ სეირს-მეთქი!.. 2 დღის შემდეგ ჭიშკართან ჩემი ასაკის ბიჭმა ჩამოიარა და მე მიკითხა. გავეგებე. ამბავი მომიტანა: თინამ შემოგითვალა — შენი ვარ, სხვას არავის ვინდომებო... ხედავ, ბაბუ, გოგოები მაშინაც არ ირცხვენდნენ სიყვარულის გამხელას! ამან სულ გადამრია და იმ ღამით პაემანი დავუნიშნე მისი ღობის ძირში. ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ. მეორე დღეს კი, მაშვალი მივუგზა-

ვნე, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. უარის თქმა ასე არ უნდა-მეთქი! — ვთქვი და ვიფიქრე, მოვიტაცებ ჩემს თინიკოს-მეთქი. ერთი კვირის შემდეგ, სოფლების საზღვარზე, რომ მინდორი იყო, ჯვირითი ეწყობოდა. თინას ძმებიც იქ იყვნენ. ჯვირითის შემდეგ კი, ისევ ცეკვა-თამაში გაიმართა. მე ისევ თინა „გამოვიცეკვე", ცეკვის ბოლოს, წელზე ხელი მოვხვიე და ყურის ძირში, ყველას დასანახად ვაკოცე. აუჰ, ატყდა ერთი ამბავი. ხომ იცი, ბაბუ, ვაჟის ჩოხა რომ ქალის კალთას მოედება, ის ქალი უკვე მისია — წინათ ასე იყო; მე კიდევ ჩემს თინას ვაკოცე! ვინ მაპატიებდა?.. მოვაჯექი ჩემს ცხენს და შინისაკენ გამოვქუსლე. მალე თინას ძმები მომადგნენ — აპოლონ, თავს ნუ მოგვჭრი, თინა ცოლად უნდა შეირთოო. მეც მეტი რა მინდოდა?! მალე ქორწილიც გადავიხადეთ და ერთგულად ვეწეოდით ოჯახის ჭაპანს, მაგრამ 6 წლის წინ მიღალატა ჩემმა თინიამ — მიმატოვა და წავიდა... ახლა, ბაბუ, შენ რომ გიყურებ, სულ მისი ალი-კვალი ხარ და სიცოცხლე არ მეთმობა, მინდა, დიდხანს გიყურო, — თქვა ბოლოს ბაბუამ და საბანი შემომიკეცა. მხოლოდ მაშინ დავფიქრდი, რომ სიყვარული, „ახალი მოდა" კი არ არის — ჩემს ბებიას და ბაბუასაც არანაკლებ ჰყვარებიათ ერთმანეთი, მაგრამ ახლა უფრო იოლია: მესიჯს გაუგზავნი — მიყვარხარ! — და მორჩა; მაშინ კი, შიკრიკები ყოფილა საჭირო. აი, ასეთი ლამაზი ამბავი მოვისმინე ბუხრის პირას. იმედია, თქვენც მოგეწონათ. ლია".

„ბიჭებო, ჩვენ გვახსოვხართ და ყოველთვის გელით"

„ზამთარში, ბუხართან, დილაუთენია, მაშინ ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი ადამიანების ტანისამოსს ვაშრობდი. ყველაფერი კი ასე დაიწყო. ძველით ახალი წელი თენდებოდა. მამაჩემის ძახილზე ლოგინებიდან წამოვცვივდით. თბილისი-ქუთაისის ტრასის ისეთ მონაკვეთზე ვცხოვრობ, სადაც ცუდი მოსახვევია და ზამთარში, თუ მოყინულია, მანქანები პანტაპუნტით ცვივა მდინარეში — ზუსტად ისე, მძაფრსიუჟეტიან ფილმებში რომ ხდება. ჰოდა, იმ დილითაც ასეთი ავარია მოხდა და წყალში მანქანის ჩავარდნის ხმამ მიგვახვედრა, რომ კიდევ ვიღაც დაშავდა. სირბილით წავედით მდინარისკენ, მერე — მათი ამოყვანა წყლიდან... ხუთნი იყვნენ, ახალგაზრდა ბიჭები. ერთ-ერთი ცნობილი ბანკის თანამშრომლები. თბილისიდან ბათუმში მიდიოდნენ, სასწაულმა გადაარჩინა ყველა. მხოლოდ ნაკაწრები ეტყობოდათ. შოკში იყვნენ, მხოლოდ ერთი — დათო არ კარგავდა მობილიზების უნარს და იმ სიცივეში, ბეტონის აივანზე ფეხშიშველი დადიოდა. თან რამდენიმე უცხო ენაზე უსწინდა ტელეფონით ვიღაცებს, რაც შეემთხვათ... ახლობლებმა რომ მოაკითხეს, ჩაცმულობაზე უყურებდნენ გაოცებულები. ერთს, ყველაზე გამხდარს, ბიცოლაჩემის შარვალი ეცვა, თოკით შემოჭერილი — რომ არ ჩასძრობოდა. მაშინ ამაზე ვინ ფიქრობდა? თავი სერიალ „მაშველების" გმირები გვეგონა და იმერული ჭაჭის არყით ვუსუფთავებდით ყურებზე ნაკაწრებს, თან ვასმევდით კიდეც, რომ გახურებულიყვნენ. მერე ბუხართან ნაუცბადევი, მოკრძალებული, იმერული სუფრაც გაიშალა. სტუმრებმაც შემოამატეს პურმარილი. ბოლოს კი, სიმღერაც შემოსძახეს, პიანინოს აკომპანიმენტის თანხლებით. ერთმანეთს ეუბნებოდნენ — მე შენ მიყვარხარ, იმიტომ, რომ ცოცხალი ხარო!.. მას შემდეგ ყოველ 14 იანვარს, დათო თავის სიტყვას ასრულებს და ჩვენს ოჯახს სტუმრობს. რა თქმა უნდა, ბუხართან, სადაც 3 წლის წინ მათი ტანისამოსი შრებოდა, ახლა სუფრა იშლება ხოლმე. თუ „გზას" კითხულობენ, გაახსენდებათ ის დღე, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, მშვიდობიანად დამთავრდა. ბიჭებო, ჩვენ გვახსოვხართ და ყოველთვის გელით. ელისო".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

„ბუხარი ჩემი მესაიდუმლეა"

„მარი, იცი, ოცნების ხასიათზე მომიყვანა შენმა შემოთავაზებულმა თემამ. ზამთარი, თოვლი, ბუხარი, სანთლები, კოცონი და, რა თქმა უნდა, ის ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს. ვგიჟდები რომანტიკაზე. იაკო".

„გზავნილებში" ხშირად ვკითხულობ ერთი გოგონას მიერ ვინმე „ლონდრესთვის" გამოგზავნილ მესიჯებს და სურვილი გამიჩნდა, მივმართო სწორედ ამ „ლონდრეს". ბიჭო, სწორედ რომ მართლაც ლონდრე ყოფილხარ, თორემ, ქალის ასეთი ტრფიალი, ასეთი ერთგულება, ასეთი რომანტიზმი და თავდადება სიყვარულის მოსაპოვებლად, ნებისმიერ კაცს თავბრუს დაახვევდა და უღელშიც შეაბამდა უკვე. შენ კი, მართლაც, ბელურა ხომ არ ხარ, კაკანათი რომ დაგიგონ?! აზრზე მოდი, ბიჭო! ყოვლისშემძლე ზაო".

„ამ ზამთარს ბუხართან ჯდომას ნამდვილად არ ვაპირებდი, რადგან ძალზე სერიოზული გეგმები მქონდა. ახლა ბუხართან ვზივარ და ზოგჯერ მწარედ მეცინება ჩემს უიღბლობაზე. შემოდგომის ბოლოს, 2 წლის ნერვების წყვეტის შემდეგ, ის ბიჭი გამომიტყდა სიყვარულში, თან მაგარ სიურპრიზს დამპირდა. მეგონა, საახალწლოდ ვიქორწინებდით. ის თურმე, საქართველოდან წასვლის საქმეს აგვარებდა... დღეს ის ევროპაშია. არც კი დამემშვიდობა, ისე გაიპარა. მე ბუხართან დავრჩი და მისგან ზარს ველი, მაგრამ ვიცი — ამაოდ. ვნანობ, რომ დავუჯერე. ასე რომ, მე და ჩემი გაოცებული მეგობრები ხშირად ვიკრიბებით თბილ ბუხართან და თავს სასიამოვნო მოგონებებით ვიმშვიდებთ".

„კორპუსში ვცხოვრობ, ერთხელ, ღამით, მე და ჩემი და ბუხართან ვისხედით და ვჭორაობდით. უცებ გარეთ რაღაც ბრახუნის ხმა გაისმა. გადავიხედეთ ფანჯრიდან და რას ვხედავთ? ჩემი შეყვარებული გდია მიწაზე და წამოდგომას ცდილობს. თურმე, მას სურდა, ფანჯრის რაფაზე ჩუმად ყვავილები დაეწყო. საწყალმა პირველი სართულიდან ბრაგვანი მოადინა. ბევრი ვიცინეთ. ის კი ახლაც დალურჯებულია და გაბუტული. თეონა".

„შარშან მე და ჩემი დაქალები სოფელში ვისვენებდით. ჰოდა, ერთ საღამოს ვისხედით და ბუხართან ვობებოდით. ჩემმა იქაურმა თაყვანისმცემელმა ბუხრის მილში მკვდარი კატა ჩამოგვიგდო. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა იქ. დედა შვილს არ აიყვანდა ხელში!.."

„კობა, გახსოვს, 4 წლის წინ გითხარი, ჩვენი პირველი ღამე აუცილებლად ზამთარში, ბუხართან უნდა გავატაროთ-მეთქი?.. ყველაფერი შარშან, სრულიად საპირისპიროდ, ივნისის ცხელ ღამეს მოხდა. არც თოვლი, არც ბუხარი.. მაგრამ ამით არაფერი დაშავებულა. შენი სულელი გოგო. ქუთაისი".

„ერთხელ შინ მთვრალი მივედი და გასათბობად ბუხართან დავჯექი. ფეხები მივუფიცხე და ფიქრში წავედი. ჩამძინებია და ჩემს, ცოდვით ნაყიდ ფეხსაცმელს ძირი დაეწვა".

„ბუხარი მაგარია. შავი ღვინო, პრასის მწნილი, ქოთნის ლობიო, ყველი, პური და მწვანილი — მეტი არც არაფერია საჭირო. დანარჩენს ბუხარი თვითონ იზამს. აუჰ, წავედი სოფელში, თორემ, ბუხრისა და მისი ატრიბუტების გახსენებაზე, ნერწყვი მომადგა. რომ ჩამოვალ, დაგირეკავთ და დაწვრილებით მოგიყვებით."

„შარშან, როცა ჯერ კიდევ მარტვილში ვცხოვრობდით, მამაჩემმა ახალი სახლი იყიდა, სადაც ბუხარიც იყო. იქ ვერთობოდით მთელი სამაკაცო. იმ ბუხარში შემწვარი მწვადის გემო ისევ მახსოვს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩემი დაქალისა და ჩემი ძმის სიყვარული სწორედ იმ ბუხრის პირას ჩაისახა. ბუხარი ჩემთვის უძვირფასესი ნაგებობაა და მიმაჩნია, რომ ბუხართან დაწყებული სიყვარული სამუდამოა".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — რა არის სიძულწე? გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

მამის გარეშე

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

გავრცელებულია აზრი, რომ ბიჭი, რომელიც მხოლოდ დედასთან იზრდება, ხშირად „დედიკოს ბიჭად“ ყალიბდება. ასეა თუ არა ეს?

მარტოხელა დედა ყოველთვის ცდილობს, თავისი ბიჭუნასაგან მისთვის ხელსაყრელი მამაკაცი „გამოძერწოს“. ზოგი დამცველს ზრდის, ზოგი — მორჩილს, ვისაც როგორი სჭირდება. თუ დედას სურს, რომ ვაჟს იგი ყოველთვის სჭირდებოდეს, ამას მიალწევს კიდეც და კმაყოფილიც იქნება. მაგრამ იქნება კი ბედნიერი თავად ვაჟი? ვაი, რომ არა...

სცენარი დაწერილია

შეგონება იმ პროგრამისა, რომლითაც უნდა განვითარდეს ვაჟის მომავალი ცხოვრება, მის ადრეულ ასაკშივე ხდება. ფსიქოლოგები ასეთ შეგონებას გზავნილებს უწოდებენ. ესაა უმისამართოდ ნათქვამი ფრაზები, რომლებიც ქვეცნობიერ დონეზე ინახება და განსაზღვრავს ბავშვის შემდგომ ქცევას. როცა ბავშვს მხოლოდ დედა ზრდის, ასეთი გზავნილები მხოლოდ მისგან მოდის. ქალი, რომელსაც მეტისმეტად ეშინია მარტოობის, ეუბნება თავის პატარას: „ახლა მე ვზრუნავ შენზე, მაგრამ როცა გაიზრდები, შენ მომივლი“. „შენ არასოდეს მიმატოვებ“, „ცოლსაც რომ მოიყვან, მე არ დამივიწყებ“... ამის შედეგად კი შეიძლება ხელში შერჩეს სიბერემდე დედასთან მცხოვრები უცოლო კაცი. დედის სიკვდილის შემდეგაც კი, იგი ვერ შეძლებს ცოლის მოყვანას, რადგან ვერ წარმოუდგენია ცხოვრება სხვა ვინმესთან ერთად.

სრულიად განსხვავებული ბედი ელის ვაჟს, რომელსაც დედა ეუბნება: „როცა გაიზრდები, შენი ოჯახი გეყნება, ცოლი და შვილები გეყოლება, მე თუ შევძლებ, მოგეხმარებით“. ასეთი გზავნილით დედა ამზადებს შვილს ცხოვრების ჯანსაღი სცენარისათვის, სადაც ის გვევლინება დამოუკიდებელ, მოწიფულ ადამიანად, რომელიც სიბერემდე დედის ზურგს არ ამოეფარება.

მამაკაცური აღზრდა

ფსიქოლოგები ურჩევენ მარტოხელა დედებს, რომ მათი ვაჟი ხშირად იმყოფებოდეს მამაკაცთა საზოგადოებაში. პატარას ესაჭიროება კონტაქტი მამრობითი სქესის ნათესავებთან, ახლობლებთან, უფროს მეგობრებთან, რათა მასაც გაუჩნდეს მამაკაცური ინტერესები, გაითავისოს მამაკაცური ცხოვრების სტილი — პატარამ მათთან ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა ავტომობილის შეკეთებაში, ოთახის რემონტსა თუ თევზაობაში.



საუბრის მამაკაცური მანერა, სტილი და ჟესტიკულაცია ბავშვისთვის ადვილად ასათვისებელია. ამას იგი კინოფილმის გმირებზე დაკვირვების დროსაც ახერხებს, მაგრამ ძნელია მამაკაცური ქცევის სწავლება, რადგან დედა გაუცნობიერებლად ვაჟს ქცევის ქალური მოდელისკენ უბიძგებს.

მაგალითად, ქალისთვის ძნელია იმის გაგება, რომ მოზარდმა თანატოლებთან იჩხუბა. რაღა თქმა უნდა, მოზრდილთა საზოგადოებაში კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს, მაგრამ მოზარდი ხომ ამ ასაკში სწავლობს თავის ფიზიკურ დაცვას, რათა თანატოლებმა იგი „დედიკოს ბიჭად“ არ ჩათვალონ და ბავშვს დაბალი თვითშეფასება არ ჩამოუყალიბდეს.

გონივრული ნაბიჯები

როგორი უნდა იყოს დედის ურთიერთობა შვილთან, რომ იგი სუსტ, უპასუხისმგებლო მამაკაცად არ ჩამოყალიბდეს?

დააკვირდეს საკუთარ ქცევას: ხომ არ აპროგრამებს საკუთარ შვილს, რომ დედაზე მუდმივად მიჯაჭვული იყოს? რაზე ესაუბრება შვილს და როგორი ტონით — პატივისცემით, მბრძანებლურად, დამცინავად, როგორც თანამდგომი თუ როგორც ოპონენტი?

პირველი დღეებიდანვე უნდა ჩაუნერგოს შვილს თავდაჯერებულობა, რწმენა იმისა, რომ მას ყველაფერი კარგად გამოუვა. ბავშვმა საკუთარი ხელით უნდა შეიბნიოს ზონარი, დამოუკიდებლად ამოხსნას მათემატიკური ამოცანა, უნდა გაიკვლიოს გზა სპორტში. მას უნდა მისცეთ საშუალება, რომ ყველაფერი თავად გააკეთოს, რადგან თუ მის ნაცვლად დედა აკეთებს ყველაფერს, მას გაუქრება ინიციატივის გამოჩენის სურვილიც კი.

ვაჟთან ერთად დედამ უნდა განიხილოს არა მხოლოდ საკუთარი პრობლემები, არამედ ბიჭური საქმეებიც — მეგობრებთან ურთიერთობა, კომპიუტერული თამაშები, სპორტული მანქანების მოდელები...

ვაჟმა აუცილებლად უნდა მისდიოს სპორტს, თან სასურველია, რომ მისი მწვრთნელი მამაკაცი იყოს.

თუ ოჯახში ორი ვაჟია

უმცროსისთვის საქმე შედარებით მარტივადაა, რადგან მას ჰყავს მაგალითი — უფროსი ძმა, თანაც ოჯახში ხშირად მოდიან მისი მეგობრები, რომლებიც პატარასთვის მამაკაცური სტერეოტიპის დემონსტრირებას ახდენენ და ისიც მათგან უფრო იოლად ითვისებს ყველაფერს, ვიდრე უფროსებისგან. უფროსი ვაჟი კი, შედარებით რბილი და „დედიკოსი“ იქნება. თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სწორედ უფროსი იღებს საკუთარ თავზე, პატარა ძმისათვის მამის შეცვლის პასუხისმგებლობას. პირველ ბავშვზე ხომ მეტად აისახება ხოლმე ოჯახის ყველა პრობლემა. ■

| მოწაფის მიერ შესასრულებელი სამუშაო — სამინაო ... | | |

სიყრუე მობილურის გამო?

შვედმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ახალი მონაცემები მობილური ტელეფონის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესახებ: ადამიანებში, რომელთა საბონენტო სტაჟი 10 წელზე მეტია, სასმენი ნერვის აკუსტიკური სიმსივნის განვითარების რისკი საკმაოდ მაღალია.

ამ დაავადების მქონე 150 ადამიანის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მათგან ყოველი მეთერთმეტე უკვე 10 წელია, ყოველდღიურად ლაპარაკობს მობილურ ტელეფონზე. ამასთან, სიმსივნე უხშირესად იმ მხარეს ვითარდება, რომელზეც საუბრისას მობილურ ტელეფონს იდებდნენ. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ სიმსივნის განვითარების სიხშირე ამ შემთხვევაში თითქმის 4-ჯერაა მომატებული.

შემაშფოთებელი შედეგების მიუხედავად, საქმე არც ისე ცუდადაა: დაავადებულთა უმრავლესობა იყენებდა ძველი სტანდარტის ტელეფონებს, დღეს კი მსოფლიოში უფრო მეტადაა გავრცელებული ციფრული ტელეფონები, რომელთაგან გამოსხივება ნაკლებია.

ამასთანავე, აღნიშნული სიმსივნე არცთუ ისე საშიშია – იგი კეთილთვისებიანია, ვითარდება ყურის ნიჟარის, თავის ტვინთან შემაერთებელი არხის ირგვლივ და დროული ამოკვეთის შემთხვევაში, იშვიათად იძლევა გართულებას.

მობილური ტელეფონის ძირითადი არახელსაყრელი ფაქტორი დეციმეტრული დიაპაზონის მაღალსიხშირული გამოსხივებაა. ამ სიგნალებს იღებს და აგზავნის ანტენა, რომელიც ტელეფონის ყველაზე საშიშ დეტალს წარმოადგენს. მისი დანარჩენი ნაწილები კი, ფაქტობრივად, არაფერს ასხივებს. მეცნიერები გვირჩევენ, გამოვიყენოთ ყურსასმენები, რათა მაქსიმალურად დავაშოროთ ანტენა თავს.

გამოსხივებამ შეიძლება, სხვადასხვაგვარად იმოქმედოს ადამიანზე. მაგალითად, დამტკიცებულია, რომ ხანგრძლივი საუბრისას, მატულობს ადგილობრივი ტემპერატურა და ვითარდება ქსოვილთა გადახურება. იგი არ არის საკმარისი დამწვრობის განვითარებისათვის, მაგრამ რეალურად აქვეითებს ადგილობრივ იმუნიტეტს. ზოგიერთმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გამოსხივების ხანგრძლივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გენური მუტაციები და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

ვინ არის მართალი?

ბოლო წლებში უამრავი გამოკვლევა ტარდება, ჯანმრთელობაზე მობილური ტელეფონის ზეგავლენის გამოსავლენად. მონაცემები ხშირად ერთმანეთის საპირისპიროა, მაგრამ ამ განსხვავებათა მიზეზები ობიექტურია, კერძოდ:

ფიჭური კავშირის ექსპლუატაციის დაწყებიდან არც ისე ბევრი დროა გასული. შედეგების სრული ანალიზი მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა გაიზრდება ახალი თაობა, რომლის მშობლები აქტიურად იყენებდნენ მობილურ ტელეფონებს.

კვლევების უმრავლესობა ლაბორატორიებში, ცალკეულ უჯრედებზე ჩატარდა და მათი შედეგების ცოცხალ ორგანიზმებზე ავტომატურად გადატანა არ შეიძლება.

ზოგიერთ გამოკვლევაში მობილური კავშირის მომხმარებლები მონაწილეობდნენ. მაგრამ ამ კვლევათა შედეგებიც არ არის „სუფთა“, რადგან ადამიანები არ არიან დაცული სხვა ტექნიკის ზემოქმედებისაგან: თანამედროვე ყოფაში ხომ მათზე ბევრი სამრეწველო ხელსაწყო მოქმედებს, რომელთა მუშაობის დროს აგრეთვე წარმოიქმნება მაღალსიხშირული გამოსხივება.

კვადრის ედაქალაქი	ჭამის სურვილი	გამის ნოტი	ნაჭრის საფულე	ზედა კიდური	გლეხებით დასახლებული ადგილი	ავსტრალიის მკვიდრი მოსახლე	კოსტა ხეთაგუროვის ეროვნება
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

„ბოშათა ბანაკ ცას მიემგზავრ ება“ მსახიობი ქალი	პარიკმახერი	... გატეხას თავის გატეხა სჯობიაო	„ჰამლეტის“ პერსონაჟი	ქიმიური ელემენტი	გენიით დაჯილდოებული პიროვნება

რა უბიძგებს ადამიანს მემთვრალეობისკენ

მემთვრალეობა ანუ ლოთობა რომ ღვთისთვის სათნო საქმე არ არის და ადამიანს ცოდვად ეთვლება, ამის ახსნა არც ერთ ადამიანს, თვით ამ ცოდვით დაცემულთაც არ სჭირდებათ. ბუნებრივია, ეკლესიის დამოკიდებულება ამ ცოდვის მიმართ, უარყოფითია. მემთვრალეობის ცოდვასთან დაკავშირებით გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე.

შორენა მერკვილაძე

— როგორც ვიცით, არსებობს რვა უმთავრესი მომაკვდინებელი ცოდვა, რომელთაგან ერთ-ერთია ნაყროვანება. ნაყროვანებას სამი სახე აქვს: მუცელღმერთობა, გემოთმოყვარეობა და ლოთობა ანუ მემთვრალეობა. ე.ი. ლოთობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნაყროვანების ცოდვა, მაგრამ მემთვრალეობის ცოდვაში მყოფი ადამიანი ამავდროულად არღვევს მეორე მცნებასაც, რომელიც გვასწავლის: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი" — მემთვრალეობის ცოდვით დაცემული ადამიანი კი აკერპებს, აღმერთებს სასმელს (ლოთები სასმელს ისე უყურებენ, როგორც მხსნელს). მემთვრალეობა ეს არის გათიშვა ამ ცხოვრებიდან, მოდუნება სულიერი სიფხიზლისა და დატევება უფლის გზისა. უფალი კი გვიბრძანებს, რომ ვიყოთ ფხიზლად. ამ შემთხვევაში, სულიერი სიფხიზლე იგულისხმება, რასაც მოკლებულნი არიან მემთვრალეობის ცოდვით დაცემული ადამიანები.

— მაგრამ რატომ ბრძანებს დავით ფსალმუნთმგალობელი ერთ-ერთ ფსალმუნში: „ღვინომან ახარის გულსა კაცისასა". თვით უფალმაც ხომ აქცია წყალი ღვინოდ გალილეის კანაში...

— ღვინო მართლაც, ახარებს ადამიანის გულს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ზომიერად მივიღებთ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ადამიანმა უნდა მიიღოს სუფთა, ნატურალური ღვინო და არა ხელოვნური წესით დამზადებული, როგორი წესითაც მზადდება დღეს ღვინო თუ სხვა სასმელები. ამასთანავე, ღვინო უნდა იყოს ნაკურთხი (არსებობს სპეციალური — „ახალი ღვინის კურთხევის ლოცვა", ამიტომ ჭეშმარიტი ქრისტიანი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველწლიურად აკურთხებინოს მოსავალი, მათ შორის — ღვინოც), რადგან თუკი ღვინო ნაკურთხი არ არის და ამავდროულად, ხელოვნურადაა დამზადებული, მასში იბუდებს ეშმაკი და როდესაც ადამიანი ასეთ სასმელს დალევს, მასში შედის ბოროტი ძალა. აქედან გამომდინარე, ღვინის მცირედი ხმევა კი არ ეკრძალება ადამიანს, არამედ ზომაგადასული სმა, თრობა ღვინით — თანაც, როცა ეს სისტემატურ ხასიათს იღებს. ამიტომ, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს, ღვინო კი .არ უნდა შევიძულოთ, არამედ — ლოთობა. ყველას მოეხსენება, რომ ლოთობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე — საშინლად ვნებს თირკმლებს, ღვიძლს, კუჭ-ნაწლავს, ამასთანავე, იწვევს თავის ტვინის დაპატარავებას. სწორედ ლოთობის შედეგად ეწყება ადამიანს „თეთრი ცხელება", ეს კი სულიერ წონასწორობას აკარგვინებს, რასაც თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს ხოლმე იგი. ლოთობა ინტელექტის დაქვეითების მიზეზი ხდება. მემთვრალეობა ადამიანში ასევე ჰბადებს სიფიცხეს, გაღიზიანებას, მღელვარებას, ურცხვობას (მთვრალს არავისი ერიდება, ის უაზრო, უხამს და ზოგჯერ ღვთისმგმობ სიტყვებსაც კი გაიძახის). ღვინის ზომაგადასული მიღება წარმოშობს ხორციელ გულისთქმასაც — ე.ი. აღძრავს სიძვამრუშობის სურვილს. მას სხვა მრავალი ცოდვაც მოჰყვება (ქურდობა, სიცრუე და სხვა). როგორც ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „ლოთობა ყოველგვარი სამარცხვინო საქმის დედაა". ამიტომაც გვასწავლის წმინდა პავლე მოციქული: „ნუ დაითვრები ღვინითა, რომლითა არს სიბილწე".

— რა უბიძგებს ადამიანს მემთვრალეობისკენ?

— „თემატურ პატერიკში" მოთხრობილია ასეთი შემთხვევა: ერთხელ, წმინდა

დიდმარხვა

მეზვრისა და ფარისევლის კვირა

წმინდა ეკლესიის მიერ, წლის განმავლობაში დაწესებულია ერთდღიანი (ყოველი კვირის ოთხშაბათის და პარასკევის) და მრავალდღიანი მარხვები. მრავალდღიანი მარხვებიდან მნიშვნელობით, სიმკაცრითა და სადღესასწაულო განწყობით, სრულიად განსხვავებულია დიდმარხვა, რადგან მისი დაცვით, ყველაზე აღმატებული და მნიშვნელოვანი საეკლესიო დღესასწაულის — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად ვემზადებით. წმინდა ეკლესიის განჩინებით, დიდმარხვისთვის მზადება 3 კვირით ადრე იწყება. მოსამზადებელი პერიოდის პირველ კვირიაკეს ეწოდება მეზვრისა და ფარისევლის კვირა, რომელიც წლეულს, 20 თებერვალს იწყება და 27 თებერვლამდე გასტანს...

მეზვრისა და ფარისევლის კვირაში დაწესებულია მსგეფსი (ე.ი. ხსნილია ოთხშაბათი და პარასკევიც). მეზვრისა და ფარისევლის კვირის დასაწყისში, საკვირაო წირვაზე ისმენიება იგავი მეზვრისა და ფარისევლის შესახებ, რომელიც მოთხრობილია ლუკას „სახარების" მე-18 თავში. იგავი შემდეგი შინაარსისაა: ტაძარში სალოცავად ორი კაცი შევიდა „ფარისეველი და მეზვრე. ფარისეველი შემდეგნაირად ლოცულობდა: „გმადლობ ღმერთო, რომ არა ვარ, როგორც სხვა ადამიანები, მძარცველი, უსამართლო, მრუში ან, როგორც ეს მეზვრეა. კვირაში ორჯერ ვმარხულობ და მეათედს ვაძლევ ყოველი ჩემი შენაძენიდან". მეზვრე კი ამ დროს მოშორებით იდგა, ვერც კი გაებედა ცისკენ მიეპყრო თვალი, მკერდში ხელს იცემდა და ამბობდა: „ღმერთო იყავ მოწყალე ჩემი".

მეზვრისა და ფარისევლის იგავის გახსენებით, წმინდა ეკლესია მორწმუნეებს მოუწოდებს და შეახსენებს, რომ მარხვისთვის მზადება და შემდეგ თვით მარხვა დაიწყონ არა ამპარტავნებითა და ფარისეველურად, ფარისევლის მსგავსად, არამედ სინანულით — ე.ი. შევინანოთ და შევიგრძნოთ ჩვენი ცოდვები, ისე, როგორც მეზვრის თავმდაბალმა გულმა, რადგან გულწრფელი განცდის გარეშე ადამიანი ემსგავსება იმ ფარისეველს, რომელსაც არ გააჩნდა განცდა საკუთარი ცოდვებისა, სჯულს კი მხოლოდ სხვათა დასანახად ასრულებდა, რათა თავი აემაღლებინა, სწორედ ამის გამო ვერ გამართლდა ფარისეველი უფლის თვალში.

წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი, მეზვრისა და ფარისევლის იგავის განმარტებისას ბრძანებს: „სწორედ მეზვრე გამართლდა უფლის თვალში ფარისეველზე მეტად, რადგან, ვინც თავს აიმაღლებს, ის დამდაბლდება, ხოლო ვინც დაიმდაბლებს თავს, ის ამაღლდება. იესო ქრისტე ამ იგავს მოგვითხრობს, რათა თავი დავიმდაბლოთ, გვქონდეს სინანულის განცდა საკუთარ ცოდვათა გამო და ამგვარად მივუახლოვდეთ უფალს". ■

ანტონის მთაზე შესაწირავი მიიტანეს, რომელშიც ერთი პატარა ბოცა ღვინოც აღმოჩნდა. ერთ-ერთმა ბერმა ღვინო ჩამოასხა და ამბა სისოის მიაწოდა. მან გამოართვა და დალია. შემდეგ მეორე ჭიქაც გამოართვა და დალია, მაგრამ როდესაც ბერმა მესამე ჭიქის დალევა შესთავაზა, უთხრა: „იკმარე ძმაო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ეშმაკი არსებობს“. ეს სიტყვები ნათლად მიგვანიშნებს, რომ მემთვრალეობას ანუ ზომაზე მეტი ღვინის თუ სხვა სასმლის დალევას ადამიანს ბოროტი სული სთავაზობს. ამის შესახებ პირდაპირ მიგვანიშნებს წმინდა იოანე ოქროპირი, როდესაც ბრძანებს: „ღვინო ღვთის შემოქმედებაა, ლოთობა კი – ეშმაკის“. როგორც მეთევზე სთავაზობს ანკესზე წამოგებულ სატყუარას თევზს, რათა დაიჭიროს, თევზი კი ხედავს სატყუარას და ყლაპავს, მაგრამ არ იცის, რომ ანკესზე წამოეგება, ასევე იტყუებს ბოროტი სული ადამიანს სასმლის შეთავაზებით, საბოლოოდ კი იჭერს და შემდეგ საკუთარ ნებაზე ათამაშებს.

— როგორია მემთვრალეობის ცოდვით გარდაცვლილთა იმქვეყნიური მისაგებელი?

– რადგან მემთვრალეობა მომაკვდინებელი ცოდვაა, ბუნებრივია, რომ მემთვრალეობის ცოდვით გარდაცვლილთა იმქვეყნიური მისაგებელი მარადიული სატანჯველია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ცოდვით დაცემული ადამიანის სული ჯოჯოხეთისთვისაა განწირული. ამის შესახებ პირდაპირ მიგვითითებს „წმინდა წერილიც“ „არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა ანგართა, არცა მპარავთა, არცა მემთვრალეთა, არცა მგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისაი ვერ დაიმკვიდროს“. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთს, მემთვრალეობის ცოდვით დაცემული ადამიანები არ უყვარს და მათი დასჯა სურს; ღმერთს ყველა ადამიანის, მათ შორის უკანასკნელ ცოდვილთა ცხონებაც კი უნდა, მაგრამ ცოდვაში მყოფთაგან ელოდება სინანულს და ცოდვათა მიტევების თხოვნას, აქედან გამომდინარე, თუკი ადამიანი ამქვეყნიური ცხოვრების დროს გააცნობიერებს, თუ რაოდენ მძიმე და სულის დამღუპველი ცოდვაა მემთვრალეობა, მოინანიებს მას გულწფელად და განეშორება ამ ცოდვას, გულმოწყალე უფალი მიუტევებს და განწმენდს მემთვრალეობის ცოდვისგან.

P.S. შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანმა მხოლოდ საკუთარი ძალით დაამარცხოს მემთვრალეობის ცოდვა? რატომ ითვლება ღვთისმშობლის ხატი „შეუსმელი ბარძიმი“ ლოთობის ცოდვით დაცემულთა მკურნალად? – ამ და სხვა საკითხებზე „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით. ■

ინოლა გურგულია: "სულში თმენაა, მარადისი ყოფნის ნდომაა, შემოდგომაა..."

„მადლობელი ვარ“, „მოვალ, დაგინთებ ალერსს“, „გზები და მთები, ლურჯი ყანები“, „ყვაოდა ნუში“ — ამ სტროფების გაგონებისას, უმალ ინოლა გურგულიას განუმეორებელი ხმა და ინტონაცია ჩაგესმის... საქართველოში მისი თაყვანისმცემელთა არმია არასდროს დაილევა. ამას ის საღამოც მოწმობს, რომელიც ცოტა ხნის წინ, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა და ინოლა გურგულიას ხსოვნას მიეძღვნა. ჩვენც ამჯერად, მხოლოდ მასში მონაწილე კულტურის მოღვაწეთა მოგონებით შემოვიფარგლეთ.

ნუცა თოფჩიშვილი

კირა ანდრონიკაშვილი:

– ინოლა იყო გაზაფხული და სევდიანი შემოდგომა. ინოლა იყო წყარო ანკარა და ბობოქარი ჩანჩქერი... ის დიდი ადამიანი იყო. არასოდეს მითქვამს და ალბათ, არც ახლა უნდა ვამბობდე, მაგრამ ყოველ დილით ვლოცულობ მისი სულისთვის. მას უყვარდა ადამიანი, უყვარდა ისე, როგორც უყვარდა ბუნება, თითოეული ფოთოლი, ყვავილი და ყლორტი... უკვე მძიმედ ავადმყოფმა, თეთრ კაბაში, პომადით და მოწესრიგებული ვარცხნილობით, სტუმრად მისულებს მე და ჩემს ძმას თავად გაგვიღო კარი და გვიმღერა კიდეც!.. ეს სამუდამოდ დარჩება ჩემს სულში... ჩვენმა თაობამ კარგად იცის, ვინ იყო ინოლა. მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, დღევანდელმა ახალგაზრდობამ გაიგოს, თუ ვინ იყო იგი და მის მოქალაქეობაზე, მის ადამიანობასა და უდიდეს სულიერებაზე დაყრდნობით აგოს ცხოვრებისადმი საკუთარი დამოკიდებულება.

გიული დარახველიძე:

– ჩვენი ტრიო (*ინოლა გურგულია, მედიკო სიხარულიძე და გიული დარახველიძე. – ავტ.*) 27 წელი არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, ყოველი შეხვედრა ახალი, იმპროვიზებული იყო – ახალი ლექსი, ახალი სიმღერა ჟღერდა. ჩვენი საღამოები ერთმანეთს არ ჰგავდა.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

– ინოლა ჩემი სკოლის ამხანაგის მეზობელი იყო. ვმღეროდი და ვუკრავდი და ჩემი სკოლის ამხანაგებს პირველად მივაჩნდი. ეს იყო 1950 წელს. მე, უცხო ენების ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ინოლა – მესამე კურსის. ერთ დღეს, შეკრებილი ვართ ჩემს ამხანაგთან, რომელმაც გამაფრთხილა – ინოლა უნდა მოვიდეს და აბა, შენ იცი, არ გაჯობოსო!.. როცა ინოლამ სიმღერა დაიწყო, მეორე ხმა ვუთხარი. მერე რამდენიმე სიმღერა ვიმღერეთ ერთად და დღის ბოლოს, ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ის დღე ისე ტკბილად მახსოვს, თითქოს ერთად დავიბადეთ და მთელი ცხოვრება ვიცნობდით ერთმანეთს. იქიდან მოყოლებული, ყოველდღე ერთად ვიყავით.

— თბილისში თქვენს „საძმაკაცოზე“ ლეგენდები დადიოდა...

– 25 კაცი ვიყავით საძმაკაცოში. გვქონდა ჩვენი ჰიმნიც და მასპინძელთან დასამშვიდობებელი სიმღერაც. ვიხდიდ-

3 შვილის პატრონი, სულ გაწამაწიაში იმყოფებოდა: ლექციები, კერძო მოსწავლეები, საოჯახო საქმეები... (ინოლა მეუღლესთან – მიშა შუღლიაშვილთან და შვილებთან – იასა და დათოსთან ერთად)

ით საწევროებს. შემდეგ, ამ საწევროებით შეგროვებული ფულით მეგობრებისთვის დაბადების დღეებზე საჩუქრებს ვყიდულობდით. კვირადღეს ჩვენი შვილები და მეუღლეები კიროვის პარკში ფეხბურთის მატჩებს აწყობდნენ. წაგებული გუნდი კი, რესტორანში გვეპატიჟებოდა. ერთხელ, ჩვენმა სამმაკაცომ გადაწყვიტა, ინოლასთვის დაბადების დღე გადაგვეხადა ფასანაურში. 50 კაცი შევგროვდით. ზოგი, საკუთარი მანქანით მოდიოდა, ზოგი – ავტობუსით. ავტობუსი სპორტის სასახლის სალაროებთან გვყავდა დაბარებული. სანამ ავტობუსს ველოდებოდით, გულჩინა დადიანმა თქვა – მოდი, სალაროსთან დავდგეთ, ვითომ რიგში ვდგავართო. დავდექით მწკრივში. ხალხი დაინტერესდა – რატომ დგახართო?.. იმ დროს, ლუი არმსტრონგი ძალიან მოდაში იყო. ჰოდა, გულჩინამ უპასუხა – ლუი არმსტრონგი ჩამოდის, ბევრი ხალხი რომ არ მიაწყდეს, ამ ამბავს არ ახმაურებენ, ჩვენ საიდუმლოდ გავიგეთ და მისი კონცერტის ბილეთებზე ვდგავართო... შემოგვემატა „რიგში“ უცნობი ხალხი, მათ სხვებიც დაემატნენ და გაიჭიმა უშველებელი რიგი... ჩვენი ავტობუსი რომ მოვიდა, ავედით, ეს ხალხი კი დარჩა, ლუი არმსტრონგის კონცერტის ბილეთების რიგში... ინოლას დაბადების დღეზე, ყველა რაღაც კოსტიუმში გამოწყობილი უნდა ვყოფილიყავით. ზოგს კარმენის კოსტიუმი ეცვა, ზოგს – ჯარისკაცის, ზოგს – გენერლის. ინოლამ ეს წინასწარ არ იცოდა. გამოვეცხადეთ ასე გამოწყობილები. „ინტურისტის“ სასტუმროში, სადაც ვქეიფობდით, გვერდით გერმანელი ტურისტები სადილობდნენ. ჩვენმა სიმღერებმა და დროს ტარებამ ისე მოხიბლა, რომ არა და არ წავიდნენ. ბოლოს, შევაერთეთ მაგიდები. გერმანელები გვეკითხებიან – რამდენ-რამდენი დადეთო? რომ გაიგეს, ამ ქეიფის ხარჯი ერთმა კაცმა – დათული დადიანმა იკისრა, გაოგნებულები დარჩნენ – ეს რა მეგობრობა გცოდნიათო!.. ინოლა დედოფალივით იჯდა სუფრაზე, ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი.

— ქალბატონი ინოლას მეგობრები ხაზგასმით აღნიშნავენ ხოლმე, მისთვის დამახასიათებელ მეგობრობის განსაკუთრებულ უნარს, ლაპარაკობენ მისი იუმორის გრძნობაზე, ადამიანურობაზე, სულგრძელობაზე. უთუოდ ბევრი რამ გექნებათ გასახსენებელი...

– გასახსენებელი უამრავია, რომელი ერთი გავიხსენო!.. სიმღერას – „მამულო“ ვწერდით. რატომღაც რეჟისორმა დაიჩემა – მამულზეა სიმღერა და აუცილებლად ქართული კაბები უნდა ჩაიცვათო. მე გაბარიტებით დიდი ვიყავი. ორივემ, ინოლამ და მედიკომ იშოვეს თავ-თავისი ზომის კაბა, ჩემი ზომისა კი, არსად იყო. ინოლამ მირჩია – ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მომღერალთა გუნდში ერთი მსუქანი ქალი მღერის და იქნებ, მისი კაბა მოგერგოსო. მოიტანეს კაბა – არ მომერგო. კონცერტის წინ, სახელოებში გამაყოფინეს ხელი, წინ მქონდა აფარებული კაბა და ოპერატორს ვეხვეწებოდი – ისე გადაგვიღე, რომ არ გამოჩნდესმეთქი... რეზო თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე ჩვენი მეგობრები იყვნენ. რეზოს მცხეთაში ქოხი ჰქონდა და ერთხელ თქვა – წავიდეთ ჩემს ქოხში საქეიფოდო. სვეტიცხოვლის ტაძრის შესასვლელთან 12 საათისთვის დავთქვით შეხვედრა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი – არა და არ ჩანს რეზო. ვიფიქრეთ – ხომ არ გვეხუმრა-თქო? – და ყველამ გადავწყვიტეთ, შინ დავბრუნებულიყავით. ინოლამ არაფრით გაგვიშვა – რეზო ასეთი არასერიოზული არ არის, მოვიცადოთო. 5 საათის ლოდინის შემდეგ, რეზოს დამ მოგვაკითხა და გვითხრა – რეზო ბაზარში ხილს ყიდულობდა, ლეღვზე ფეხი დაუცურდა და დაეცა, „სასწრაფოს“ საავადმყოფოში არ წაჰყვა – სტუმრებს ველოდებიო, თქვა და სახლში წაყვანინა თავი, თქვენთან მე გამომგზავნაო... დაუვიწყარი საღამო გავატარეთ. ჩვენთან ერთად იყო ნოდარ დუმბაძეც. არც სიმღერა, არც არაჩვეულებრივი იუმორი დაგვკლებია... რეზო ბედნიერი იყო. მე ვუთხარი – ასე რომ ისიამოვნე, ეს ინოლას სულგრძელობის წყალობაა – მან გაგვაჩერა სვეტიცხოვლის კართან 5 საათი, თორემ, ჩვენ აღარ დავიცდიდით-მეთქი...

— ცნობილია, რომ მედგრად დაუდგა ავადმყოფობას, ერთხელაც არ დაუჩივლია...

– პატარების კვარტეტი მყავდა – ერთი ბიჭი და 3 გოგონა. ინოლას სიცოცხლეში, მისი სიმღერების კონცერტის გამართვა მინდოდა. 13 სიმღერა მოვამზადეთ. ეს ციფრი არ მომეწონა და გადავწყვიტე, მეთოთხმეტეც დამემატებინა. ერთი სიმღერა ჰქონდა, ხალხურის სტილში – „ია“. ვერაფრით აღვადგინე. თვითონ უკვე ცუდად იყო, იწვა, აღარ დგებოდა. მის მეუღლეს ვთხოვე – იქნებ, ნოტები ჩამაწერინო-მეთქი. რომ ვუკრავდი, მეზობელი ოთახიდან კედელზე გვიკაკუნებდა ხოლმე – სწორი არ არისო. ბოლოს ადგა, შემოვიდა, დაუკრა მელოდია და მოვახერხეთ ჩაწერა. გაოგნებული ვიყავი – რა ძალა მისცა სიმღერამ, მომაკვდავი ფეხზე რომ დააყენა?!. ის კონცერტი ჩავატარეთ და ინოლა 3 დღეში გარდაიცვალა.

ინოლას გვერდით ყველა ადამიანი მშვენიერი ხდებოდა. ის თავის სიყვარულში დაიწვა და დაიფერფლა (ინოლა მამუკასთან ერთად)

ლეილა აბაშიძე:

– ისევე როგორც ჩვენი თაობის ყველა წარმომადგენელი, მეც უდიდესი თაყვანისმცემელი ვარ ინოლას შემოქმედების. ჩვენ ერთსა და იმავე პლეადას მივეკუთვნებით, თუმცა, ჩემდა სამ-

წუხაროდ, მეგობრობა არ გვაკავშირებდა... ინოლა განუმეორებელი პიროვნება იყო და ასეთად დარჩა. ყველა ამქვეყნიური სიკეთით შემკული ქალი, საოცრად ნათელი, „გამჭვირვალე", უშუალო პიროვნება იყო. სათაყვანებელი სიცოცხლეში, გარდაცვალების შემდეგ, ათასჯერ უფრო სათაყვანებელი გახდა. მის საღამოზე გამოჩნდა, რომ გენი არ კვდება. უმრავლოს ღმერთმა შთამომავლობა!..

დოდოლი დადიანი:

— ის დილა დაუვიწყარია ჩემთვის, როცა დათული დადიანის ოჯახში, სხივჩამდგარი თვალებით, აღტაცებული ინოლა მოვიდა. სიმღერა დავწერეო, — გვითხრა და იმღერა — „და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი"... ელდარ შენგელაიამ თავის „არაჩვეულებრივ გამოფენაში" ინოლა და მისი სამაკაცო, ბაგრატის ტაძრის ეზოში ქეიფი რომ არის, იმ ეპიზოდში გადაიღო. ამან არ დააკმაყოფილა და კიდევ უნდოდა გადაღება. 20 წლის შემდეგ, რაღაც სიუჟეტიც გააკეთა, მაგრამ აღარ გამოვიდა.

საოცარი ბედის აღმოჩნდა მამუკაც...

ქეთი დოლიძე:

— ინოლა ჩემთვის მომღერლის იდეალია. ის ნამდვილი ქართველი ბარდი იყო. ამ სიტყვას საფრანგეთში შეიძლება, მამაკაცების მიმართ იყენებენ, მაგრამ ინოლა ნამდვილი ბარდი იყო. მასავით არავინ მღეროდა. აბსოლუტურად ინდივიდუალური ხმა, სტილი ჰქონდა და იყო არისტოკრატი მომღერალი. როდესაც მამაჩემმა *(კონორეუისორმა სიკო დოლიძემ. — ავტ.)* თბილისში ვიტორიო გასმანი ჩამოიყვანა, მან ინოლას სიმღერები მოისმინა. 2 საათის შემდეგ, აღარც ჭამა უნდოდა, აღარც სმა და არც სხვისი მოსმენა. დაემხო ინოლას წინ მუხლებზე და ევედრებოდა — დათანხმდით, თქვენი მენეჯერი ვიყო, წაგიყვანოთ იტალიაში და იტალიის ყველა ცნობილი დარბაზი და კლუბი მოგატაროთო!.. ამბობდა — ასეთ მომღერალს ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარო. მაშინდელ დროს, წარმოუდგენელი იყო, საქართველოდან იტალიაში მომღერალი 3 წლით გაეშვათ.

ნუგზარ გურგულია:

— ინოლა ჩემზე 6 წლით უფროსი იყო. 25 ივლისს იყო დაბადებული. ამ დროს, თბილისში არავინ იმყოფებოდა და თავის დაბადების დღეს, ჩემს დაბადების დღეს აღნიშნავდა. მისი ამხანაგებისგან ვისწავლე სუფრაზე ჯდომა, თამადობა, სადღეგრძელოები... ასე გაგრძელდა 15 წლამდე. მერე, ჩემი ძმაკაცები რომ წამოიზარდნენ, თან ცოტა მოხულიგნობაც იყვნენ, ვეღარ შეეწყვნენ ერთმანეთს *(იცინის)*... ჩვენი ბაბუა მღვდელი იყო, სოფელში დიდი ეზო და წაბლის ოდა გვქონდა. არდადეგებს იქ ვატარებდით ხოლმე. სულ ინოლას გვერდით ვიყავი, მის გარეშე ვერ ვძლებდი, მისი სიმღერა — „გზები და მთები" — სწორედ ჩვენს სოფელზეა დაწერილი.

მარი ხარაბაძე *(ნუგზარ გურგულიას მეუღლე):*

— ინოლა ყველას ახლობელი იყო. 3 შვილის პატრონი, სულ გაწამაწიაში იმყოფებოდა: ლექციები, კერძო მოსწავლეები, საოჯახო საქმეები... მატერიალურად არასოდეს იყვნენ დალხენილები. ხომ ყველაფერს აკეთებდა! მაგრამ საოცარია — ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდა, თითქოს ყოფითი პრობლემები მას არც ეხებოდა... ბუნების შვილი იყო. ყვავილივით იყო, რომელიც შენ გვერდითაა და თავისი არსებობით გალამაზებს... შენ გვერდით მყოფს შეეხებოდი, აკოცებდი, მაგრამ თითქოს შენი არ იყო, თითქოს საიდანღაც იყო მოსული და ასევე ლამაზად წავიდა...

— **არმაზი უყვარდა ძალიან და ალბათ, თქვენც ხშირად იყავით „არმაზის საღამოების" მონაწილე...**

— შემოდგომაზე, როცა ფოთოლი ფერს იცვლიდა, არემარე გადაწითლდებოდა, წარმოუდგენელი იყო, არმაზში არ წასულიყო და ტყეში კოცონი არ დაენთო. სოკოს ვაგროვებდით და ამ კოცონზე ვწვავდით. ვითომ ვფრთხილობდით — ვამოწმებდით, სოკო შხამიანი ხომ არ იყო. მაგრამ ინოლა რომ სიმღერას დაიწყებდა, ყველაფერი გვავიწყდებოდა. ამ დროს, მხოლოდ ბუნება და ინოლა, ბუნების წიაღში დაბადებული მისი სიმღერა არსებობდა. ისეთი ხმოვანება ჰქონდა და ისე ჟღერდა, თითქოს ზეციდან გადმოდიოდა...

— **მშობლებისგან გამოჰყვა მუსიკალური ნიჭი და შვილებსაც არ მოჰკლებიათ დედის გენები...**

— დედაც მღეროდა, მამაც, მაგრამ დედა — განსაკუთრებულად. შვილებსაც დედის გენები აქვთ. ყველა მუსიკალურია. ია *(შუღლიაშვილი. — ავტ.)* პატარაობისას ძალიან მორცხვი იყო. ინოლა უკვე ავად იყო, როცა მითხრა: ძალიან მინდა, იამ თეატრალურში ჩაბაროს, მსახიობობის გამო კი არა — მინდა, იმღეროს, მორცხვობის კომპლექსს კი, მარტო სცენა მოუხსნისო... ასეც მოხდა. დათუნაც გადასარევად მღერის. მაგრამ მამუკა *(სალუქვაძე. — ავტ.)* მოვლენა იყო... საოცარი ბედის აღმოჩნდა მამუკა. ინოლა მისთვის ქალღმერთი იყო და ცოლიც ძალიან უყვარდა — ორივე, ერთსა და იმავე დროს დაკარგა... ინოლა 48 წლის გარდაიცვალა, 42 წლის ასაკში კი, მამუკასაც იმავე ავადმყოფობამ მოუსწრაფა სიცოცხლე. ანდერძშიც განსაკუთრებული სიყვარულით ეუბნება: მამუკა, დედი, დედის დამარხვა ვაჟკაცის ვალია. ჩემი ათასი ფიქრი და გრძნობა შენში გრძელდება. მე შენში ვარ და ამით შენთან ვარ მუდამ...

— **ანდერძი ახსენეთ და იქნებ, ცოტა რამ ამის შესახებაც გვიამბოთ.**

— თავისი საბედისწერო დიაგნოზი იცოდა. უკანასკნელი ლექსი — „შემოდგომა" საავადმყოფოში დაწერა: „სულში თმენაა, მარადისი ყოფნის ნდომაა, შემოდგომაა..." საავადმოფოში მისულს, უძინარი მეჩვენა და კითხვაზე — არ გიძინიამეთქი? — მიპასუხა — მთელი ღამე, ჩემი ავადმყოფობის ისტორიას ვკითხულობდიო. როგორც გაირკვა, საავადმყოფოს პროფესორს თავისი ოთახის გასაღები დაუტოვებია; ინოლას ისტორია უპოვია; რომ წაუკითხავს, მერე წიგნები გადმოულია და იქ კითხულობდა თავისი დაავადების შესახებ... უშიშარი იყო. არაფრის ეშინოდა, ღალატის გარდა. ანდერძში, დედის გვერდით დაკრძალვა ითხოვა, საფლავზე კი — არმაზის წყაროს ტერიტორიიდან ორი ბრტყელი ხავსიანი ქვის დადება. ოჯახის ყველა წევრს გამოეთხოვა და დაუბარა, ემღერათ მისი სიმღერები, რათა მუდამ ცოცხალი ყოფილიყო; წერდა, რომ მათი ყველა სატკივარი თან მიჰქონდა, მისი სული კი, მათთან რჩებოდა, რათა მათ შვილებსა და შვილიშვილებში გამრავლებულიყო. ეს ანდერძი ინოლამ მარტში სოხუმში, სინოპის როდოდენდრონის პარკში დაწერა, ისე, რომ ჩვენ არაფერი ვიცოდით... 8 თვის შემდეგ გარდაიცვალა... ინოლას გვერდით ყველა ადამიანი მშვენიერი ხდებოდა. ის თავის სიყვარულში დაიწვა და დაიფერფლა. ■



ლჯესიდან ვაჟუკული ვოგონას წარმატებული კარიერა

90-იანი წლების ჰოლივუდის ვარსკვლავი პატრისია არკეტი 1968 წლის 8 აპრილს ჩიკაგოს ებრაულ ოჯახში დაიბადა. არკეტების ოჯახში მსახიობის პროფესია თაობიდან თაობას, საოჯახო რელიკვიის მსგავსად გადაეცემოდა. პატრისიას ბაბუა კლიფ არკეტი საესტრადო იუმორისტი იყო. მისი გმირი – ფეიქარი ჩარლი სატელევიზიო სერიალიდან – The RCA Victor Show – ჯერ კიდევ 50-იან წლებში ამხიარულებდა ამერიკელ მაყურებელს. მამამ – ლუის არკეტმა 22 ტელესერიალსა და 56 ფილმში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან განსაკუთრებით პოპულარულია სურათები: „ტანგო და კეში“ და „ყვირილი-2“. ამ ფილმების უმეტესობა თრილერებსა და დეტექტივებს მიეკუთვნება, რომლებშიც ლუის არკეტი სამხედროებს, პოლიციელებსა და მაღალი თანამდებობის პირებს განასახიერებდა. პატრისიას ძმებმაც – ალექსისმა, რიჩმონდმა და დევიდმა – სამსახიობო კარიერა აირჩიეს. ამავე გზას დაადგა პატრისიას უფროსი და – როზანაც, რომელიც ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როდესაც სახლიდან გაიქცა და ტელე და კინოეკრანისკენ გზის გაკვალვა მოახერხა. თავად პარტრისიამაც უფროსი დის მაგალითს მიჰბაძა: 16 წლისამ ოჯახი დატოვა და სამსახიობო ასპარეზზე ძალების მოსასინჯად კალიფორნიას მიაშურა.

თავდაპირველად, ტინეიჯერთათვის განკუთვნილ ფილმებში მონაწილეობდა. 1986 წელს, პატრისიამ დიმიტრი ლოგოთეტისის ფილმში – „ჭკუის კოლოფი“ – მხიარული და ნაზი მოზარდი ნოლიკი განასახიერა. 1987 წელს, ფილმში – „თელების ქუჩის საშინელებანი“ – პატარა გოგონას, კრისტინას როლი ითამაშა, რომელიც სხვა ბავშვებთან ერთად საზარელ ფრედი კრიუგერს (რობერტ ენგლუნდი) ებრძვის.

1991 წელს კი, პატრისია არკეტს ერთბაშად ორი მთავარი როლი შესთავაზეს. დაიან კიტონის სატელევიზიო ფილმში – „ველური ყვავილი“ – ახალგაზრდა მსახიობმა ყრუ გოგონა განასახიერა, რომელიც საზოგადოებაში კუთვნილ ადგილს მეგობრების დახმარებით პოულობს. მსახიობ შონ პენის სარეჟისორო დებიუტში – „ინდიელი მორბენალი“ – პატრისია არკეტი ვიეტნამის ომის ვეტერანის მეგობარი გოგონას როლში მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ მისი პერსონაჟი მაყურებელში ანტიპათიას იწვევდა, მსახიობმა ფილმის პირქუში ინტონაციის გახალისება და მაყურებელში თანაგრძნობის გაღვივება შეძლო.

არკეტისთვის „ვარსკვლავურ“ ნამუშევრად, კვენტინ ტარანტინოს სცენარის მიხედვით რეჟისორ ტონი სკოტის მიერ გადაღებულ ფილმში – „ჭეშმარიტი სიყვარული“ განსახიერებული, აღვირახსნილი ალაბამა იქცა. ის დამწყები მეძავია, რომელსაც პირველივე კლიენტი თავდავიწყებით შეუყვარდება. მოპარული ჰეროინის გაყიდვის მცდელობისას, შეყვარებული წყვილი განგსტერული გარჩევების ეპიცენტრში აღმოჩნდება... ამ სურათში პატრისიას პარტნიორი კრისტიან სლეიტერი გახლდათ. ალაბამას როლმა პატრისია არკეტს, როგორც წლის საუკეთესო მსახიობს, MTV Movie Award-ის ჯილდო მოუტანა.

მსახიობის მორიგ დიდ წარმატებად, რომელშიც მისი პოტენციალი სრულად გამოვლინდა, დევიდ ლინჩის სურათში – „გზა არსაით“ – განსახიერებული „გაორებული“ გმირი იქცა. „ჭეშმარიტი სიყვარულისაგან“ განსხვავებით, ამ სურათში არკეტი აბსოლუტურად მშვიდი და მელანქოლიურია. ამით მან დაგვანახვა, რომ არა მარტო ექსპრესიული, ეგზალტირებული გოგონების, არამედ გაწონასწორებული ქალის სახის შექმნის უნარიც აქვს.

პატრისია არკეტმა დამოუკიდებელი კინოსტუდიების დადგმებში მონაწილე მსახიობის იმიჯი ოდნავ განაახლა და მაყურებლის წინაშე რუპერტ უეინრაიტის ფილმში – „სტიგმატი“ წარდგა. ამჯერად მისი გმირი, ათეისტი პარიკმახ-



ერი ქალია, რომელსაც სხეულზე მოულოდნელად ჭრილობები – „სტიგმები“ უჩნდება.

1995 წელს, პატრისია არკეტი ცოლად გაჰყვა ნიკოლას კეიჯს, რომელიც 8 წლის მანძილზე ელოდა მის თანხმობას. პარტისიას ცოლობაზე დაყოლიებას კეიჯი რვა წლის მანძილზე ცდილობდა, რაზეც არკეტი ხმამაღალი სიცილით პასუხობდა და ეუბნებოდა: „რას ამბობ, ჩემგან რა ცოლი უნდა დადგეს?! მე ხომ საკუთარ ოთახსაც კი არასოდეს ვალაგებ!“ – „არა უშავს“! – რაინდულად ეხმაურებოდა კეიჯი და უსაფუძვლო ლაყბობაში რომ არ ჩასთვლოდა, დროდადრო პატრისიას ბინაში წესრიგის დამყარებას ცდილობდა. ამის შედეგად, რვა წლის თავზე პატრისია სადღესასწაულო კაბითა და ტორტით ხელდამშვენებული თავად მიადგა კეიჯის სახლის ზღურბლს და დერეფნიდანვე შესძახა: „ძვირფასო მეგობარო, ჩემზე დაქორწინება ხომ არ გადაგიფიქრებია?“ რაღა თქმა უნდა, ძვირფას მეგობარს კვლავაც ჰქონდა ამის სურვილი. მათ იქორწინეს და მაშინ პატრისია ყველას უყვებოდა, რომ მისთვის „გათხოვილი ქალის ამპლუაში ყოფნა ძალზე სახალისოა. შენ გყავს მხოლოდ ერთადერთი ადამიანი, რომელიც ძალიან გიყვარს. ეს არის და ეს“.

მრავალრიცხოვანი ოჯახური სკანდალების შემდეგ, 2001 წელს, მათი ერთობლივი ცხოვრება განქორწინებით დასრულდა. ცოტა ხნის შემდეგ პატრისია მსახიობ ტომას ჯეინის ცოლი გახდა.

2003 წლის 20 თებერვალს კი, მათ ქალიშვილი – ჰარლოუ შეეძინათ.

სამსახიობო კარიერასთან ერთად, პატრისია არკეტი საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა.

1997 წელს, მკერდის ავთისებიანი სიმსივნისგან გარდაიცვალა პატრისიას დედა და მას შემდეგ, მსახიობი მკერდის კიბოსთან მებრძოლთა ორგანიზაციის აქტივისტია. ■

კევინ კოსტნერი „რობინ ჰუდის“ გაგრძელებას გადაიღებს



ამერიკელმა ვარსკვლავმა კევინ კოსტნერმა განაცხადა, რომ 1991 წელს გადაღებული ბლოკბასტერის – „რობინ ჰუდი – ქურდების პრინცი“ გაგრძელების გადაღებას აპირებს.

„წლები მომემატა და ვფიქრობ, რომ ახალი სიუჟეტის შეთხზვას შევძლებ. ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობ“, – განაცხადა 50 წლის კოსტნერმა. მსახიობს, რომელმაც 1990 წელს ფილმის – „ცეკვა მგლებთან“ საუკეთესო რეჟისურისათვის „ოსკარი“ მოიპოვა, უკანასკნელ წლებში არ უმართლებს. მისი მონაწილეობით, რეჟისორობითა და პროდიუსერობით გადაღებულ ფილმებს, მათ შორის, 1995 წლისათვის ყველაზე მსხვილბიუჯეტიან სურათს „წყლის სამყარო“ წარმატება არ მოჰყოლია. რეჟისორ კევინ რეინოლდსის კინოფილმის „რობინ ჰუდი – ქურდების პრინცი“, ბიუჯეტი 50 მლნ დოლარი იყო, შემოსავალმა კი 391 მლნ დოლარს გადააჭარბა. ეს ფილმი დიდი ხნის მანძილზე ამერიკისა და ევროპის ყველაზე პოპულარული ფილმების სიას ედგა სათავეში. სურათში კევინ კოსტნერის გარდა მონაწილეობენ ამერიკული კინოს ცნობილი ვარსკვლავები: კრისტიან სლეიტერი, მორგან ფრიმენი და ალან რიკმანი. ფილმი წარდგენილი იყო „ოქროს გლობუსისა“ და „ოსკარის“ ნომინაციებზე. ■

ანდრეა კორი უკეთესად თამაშობს, ვიდრე მღერის...

ჯგუფ The Corrs-ის ვოკალისტმა ანდრეა კორმა უკანასკნელ ხანს კინემატოგრაფიული ჯილდოების მიღებას მოუხშირა, ამიტომ უფლება აქვს, თავი ნამდვილ მსახიობად მიიჩნიოს.

კინოფესტივალზე Colorado Film Festival – კომედიაში The Boys From Country Clare განსახიერებული როლისათვის მომღერალმა საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში გაიმარჯვა. სურათი ირლანდიის მუსიკალურ კონკურსში მონაწილე მუსიკალური ჯგუფის შესახებ მოგვითხრობს.

მსმენელი და მაყურებელი ანდრეა კორს „ოჯახური“ ჯგუფის The Corrs-ის ვოკალისტად იცნობს, მაგრამ მისი კარიერა სწორედ კინოში დაიწყო. ანდრეამ ჯერ კიდევ ჯგუფის შექმნამდე, 1991 წელს ითამაშა ფილმში Commitments.

ცოტა ხნის წინ ანდრეა კორი ჟურნალ Hello-ს ვერსიით, ყველაზე მიმზიდველ ქალთა რეიტინგს სათავეში ჩაუდგა. მან ისეთ ვარსკვლავებს გაუსწრო, როგორებიც არიან: კრისტინა აგილერა, ჯენიფერ ლოპესი, ნიკოლ კიდმანი, ჯენიფერ ენისტონი, ლივ ტაილერი და კეიტ უინსლეტი. ■

უიტნი ჰიუსტონი: სულ მალე „დათვრული გაცხადდება“

მომღერალ უიტნი ჰიუსტონისა და მისი მეუღლის, რეპშემსრულებელ ბობი ბრაუნის პირად ცხოვრებას სულ მალე ფარდა აეხდება. კევინ სკინერის ახალი წიგნი The Rise and Fall of Daddy`s Little Girl – The Whitney Houston story (მამიკოს გოგონას აღმასვლა და დაცემა – ამბავი უიტნი ჰიუსტონისა) ამ ვარსკვლავური წყვილის ურთიერთობებზე მოგვითხრობს. სკინერი ცხელ-ცხელი მასალებით თავად უიტნის მამამ, ჯონ ჰიუსტონმა მოამარაგა. წიგნის შინაარსი ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც კევინ სკინერის წარმომადგენელმა განაცხადა, ნაწარმოები ნამდვილად „შოკის მომგვრელი“ იქნება. ■



მარტინ სკორსეზე განგსტერულ ფილმს გადაიღებს

მარტინ სკორსეზეს ახალ სურათში – The Departed ახალგაზრდა ვარსკვლავებთან ლეონარდო დი კაპრიოსთან, მეტ დეიმონთან და მარკ უოლბერგთან ერთად ამერიკული კინოს ხანდაზმული ვარსკვლავი, ჯეკ ნიკოლსონიც ითამაშებს. ეს ფილმი ჰონკონგის განგსტერული სურათის Wu jian dao ამერიკული ვარიანტია. მოქმედება ჰონკონგიდან ამერიკაშია გადატანილი. კონფლიქტი კი ამერიკულ-ირლანდიურ კლანსა და ამერიკულ პოლიციას შორის ვითარდება. ■

ელტონ ჯონმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავის რჩულზე დაქორწინდეს

სერ ელტონ ჯონი სულმოუთქმელად მოელის ახალი ბრიტანული კანონის მიღებას ერთსქესიანი ქორწინების შესახებ, რათა მარტოხელა მამაკაცის სტატუსი შეიცვალოს და თავის პარტნიორთან ურთიერთობა ოფიციალურად დააკანონოს. 5 წლის მომღერლის განცხადებით – ქორწინების ოფიციალური ცერემონია იმისთვის სჭირდება, რომ მისმა რჩეულმა დევიდ ფერნიშმა მისი მრავალმილიონიანი ქონებიდან გარანტირებული წილი მიიღოს.

ელტონ ჯონი ადრეც იყო დაქორწინებული, მაგრამ მაშინ მისი მეუღლე ქალი გახლდათ. სერ ელტონისა და რენატა ბლაუელის ქორწილი 1984 წელს ავსტრალიაში შედგა, მაგრამ ქორწინებამ მხოლოდ 4 წელიწადს გასტანა.

57 წლის ელტონისა და 41 წლის ფერნიშის კავშირი უფრო მტკიცე და ხანგრძლივი აღმოჩნდა. ისინი 11 წელია, ერთად არიან. მათ სიყვარულის გარდა საქმიანი ურთიერთობაც აკავშირებს.

შარშან წმ. ვალენტინის დღეს, ელტონ ჯონმა ფერნიშისადმი უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად, ლას-ვეგასის ცაზე გასაბერი ვარდების უზარმაზარი თაიგული გაუშვა. ■

ბრიტნი სპირსი ერთდროულად 8 სადაზღვევო კომპანიას უჩივის

ბრიტნი სპირსმა იმ სადაზღვევო კომპანიებს, რომლებმაც სადაზღვევო თანხის გადახდაზე უარი განუცხადეს, სასამართლოში უჩივლა. მანჰეტენის უზენაეს სასამართლოში აღძრულ სარჩელში ნათქვამია, რომ ბრიტნიმ და მისმა კომპანიამ Britney Touring Inc აშშ-ს, კანადასა და ევროპის ტურნეს დასაზღვევად ფირმებს 1,3 მლნ დოლარი გადაუხადა. 8 ივნისს, რეპეტიციის დროს, მომღერალმა მუხლი დაიზიანა და მას ოპერაცია გაუკეთეს, რის გამოც ტურნე გადაიდო. 7-მა ბრიტანულმა კომპანიამ სადაზღვევო თანხის გადახდაზე უარი განაცხადა, ფრანგული კომპანია კი მომღერლის მოთხოვნას არც კი გამოხმაურებია. ბრიტანულმა კომპანიებმა თანხის გადახდაზე უარის თქმა იმით დაასაბუთეს, რომ ბრიტნიმ მუხლის ტრავმა პირველად 5 წლის წინ მიიღო და ეს ფაქტი სადაზღვევო კომპანიებისათვის არ უცნობებია. სარჩელში ნათქვამია, რომ 1999 წელს მომღერალს მართლაც ჩაუტარდა „უმნიშვნელო ორთოპედიული ოპერაცია“. მაგრამ ეს ფაქტი სადაზღვევო თანხის გადახდაზე უარის თქმის მიზეზად არ გამოდგება. ■

ლუბა ელიავილი

ბავი ცასიუის საბელისწერო ვოიაჟი

(დასაწყისი)

ყოფილხართ ოდესმე ბედნიერებისგან თავზარდაცემული? სხვაგვარად ვერ აღვწერ ჩემს მდგომარეობას, როდესაც უამრავ პროჟექტორმონათებული, პირდაღებული, ცივი ოფლით სახეაპრიალებული, პირდაპირ ეთერში უაზროდ ვაჭყეტდი თვალებს და ნაბიჯის გადადგმას ვერ ვახერხებდი.

ბოლოს, „ომეგის“ ლატარიის ფინალური გათამაშების შოუს წამყვანი იძულებული გახდა, თავად მოსულიყო ჩემთან და ხელში ჩაედო მოგებული სუპერპრიზის, ავტომობილ BMW-ს მეხუთე სერიის ორკარიანი, სპორტული მოდელის გასაღები.

„ომეგა მოტორსის“ გაკრიალებულ სალონში შეკრებილი, გათამაშების დანარჩენი ორმოცდაათი იღბლიანი მონაწილის თავშეკავებული აპლოდისმენტებისა და შოუს ცნობილი წამყვანის ხალისიანი მანჭვა-გრეხის ფონზე, როგორც იქნა, მოვერიე უზომოდ დამძიმებულ ხელის მტევანს და შოუმენს გასაღები გამოვართვი. მისი ხელში ჩაგდებისთანავე, თითქოს ჯადოც მომეხსნა – ხელ-ფეხი ავამოძრავე და მიკროფონს მოვებღაუჭე. წამყვანი ისე გაახარა ჩემმა გააქტიურებამ, რომ საშინელი შეცდომა დაუშვა და სულ ადვილად დამთმო მიკროფონი, თან მხიარულად ჩამომძახა:

– რისი თქმა გსურთ ამ ბედნიერ წუთებში?

– მადლობა უფალს, რომ არ მიმატოვა განსაცდელში, არ ჩამაგდო სასოწარკვეთაში! – ქადაგად დავეცი მე. დარბაზში ვიღაცამ ჩაიხითხითა. მივხვდი, რომ ჩემი პათეტიკა უადგილო იყო და „დავმიწდი“.

– მინდა, ვურჩიო გარეწარი ქმრების მიერ მიტოვებულ ქალებს: არ გაიტეხოთ გული, მოსწიეთ სიგარეტი, მიიღეთ მონაწილეობა გათამაშებაში და აუცილებლად გაგიმართლებთ, – ყველასათვის საყვარელი შოუმენის პირზე შეყინულმა ღიმილმა მიმახვედრა, რომ საშინელი სისულელე წამოვროშე – პირდაპირ ეთერში სიგარეტის აღვირახსნილი პროპაგანდა გავწიე.

– ძვირფასო ქალებო, არც ის დაივიწყოთ, რომ ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, სიგარეტის მავნებლობის შესახებ, – ვცადე შეცდომის გამოსწორება. ახლა ალბათ, აღარ დააჯარიმებენ ტელევიზიას, აკრძალული პროპაგანდისთვის, – გავიფიქრე და სახეზე თვალისმომჭრელი ღიმილი ავიკარი. წამყვანი შეეცადა, ინიციატივა კვლავ საკუთარ თვითონ გამოეჩინა და მიკროფონს მოეჭიდა. მე კი სწორედ მაშინ გამახსენდა ჩვენი წინასწარი შეთანხმება, გამარჯვების შემთხვევაში, მადლობა გადაგვეხადა გათამაშების მომწყობი ფირმისათვის და მიკროფონი არ დავთმჯ

– მადლობას ვუხდი ფირმა „ომეგას“ ამ შესანიშნავი გათამაშების მოწყობისათვის და იმისათვის, რომ მე, უბრალო მოქალაქეს, საშუალება მომცა, საოცნებო მანქანის მფლობელი გავმხდარიყავი. – ჰოლივუდის წესებით, ახლა ალბათ, ჩემს შვილებს – ჯაბასა და ლიზის უნდა გადავუხადო მადლობა და კიდევ, იმ საძაგელ, ჩემს ყოფილ ქმარს. ყველაზე მეტად იმას, რადგან რომ არ მივეტოვებინე, არც სიგარეტის მოწევას დავიწყებდი და არც გათამაშებაში მივიღებდი მონაწილეობას... სწორედ ასე მოვიქცევი. კარგად გაიგოს, რომ სულაც არ ვნანობ, ჩემი ცხოვრებიდან მის გაქრობას და მის ძვირფას პერსონას, ჩემი „ზიზია პიპია“ მირჩევნია. მეტი ეფექტისათვის, ხმა ჩავიწმინდე, ნომინაციაში გამარჯვებული, ჰოლივუდის ვარსკვლავივით მოვიღერე ყელი, მიკროფონიანი ხელი ისევ ისე მივიტანე გულთან, თითქოს ოქროსფრად მბზინავი „ოსკარი“ მეჭირა, გაცისკროვნებული მზერა მოვავლე დარბაზს და სეფესიტყვისათვის მოვემზადე. წამყვანს სახეზე ფერი მოუვიდა. მან ამჯერად, როგორც ჩანს, მტკიცედ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ჩემი მონოლოგისათვის, რადგან მთავარი მიზანი მიღწეული ჰქონდა – ფირმას მადლობა უკვე გადავუხადე და სანამ მორიგ სისულელეს ვიტყოდი, მიკროფონი ხელიდან გამომგლიჯა. დარჩენილი ტელევიზორების, ვიდეოკამერების, მუსიკალური ცენტრებისა და სხვა საოჯახო ტექნიკის გათამაშება ორმოც წუთში დასრულდა. მე ისევ ასე, გაოგნებული ვიდექი, სანამ ჩემი სახელი კიდევ ერთხელ არ გავიგონე. ფირმის წარმომადგენელი გამარჯვებას მილოცავდა და მანქანაში მეპატიჟებოდა.

– დაბრძანდით, მანქანა თქვენია. ახლავე შეგიძლიათ დაქოქთ და წაიყვანოთ. – მეტი დამაჯერებლობისათვის წამყვანმა BMW-ს კარი გამიღო.

საჭეს ისე მივუჯექი, თითქოს მთელი ცხოვრება, მანქანის ტარების გარდა, არაფერი მიკეთებია. ყველა კამერა ჩემკენ შემოტრიალდა.

– მანქანის ტარება არ ვიცი, – წავილუღლუღე გაუბედავად და მივხვდი, რომ საბოლოოდ გავაფუჭე შოუს ეფექტური ფინალი.

– თუ შეიძლება, გამარჯვებულ დედას მე წავიყვან სახლში, – შემომეშველა ჩემი ტინეიჯერი ვაჟიშვილი და აღტაცებული ჟურნალისტები ახლა მას შემოეხვივნენ. მომენტით ვისარგებლე და მძღოლის გვერდით სავარძელზე უხერხულად გადავცოცდი. ეს რთული ოპერაცია დავასრულე თუ არა, ჩემკენ მოშვერილი კამერა დავინახე და მივხვდი, რომ ჩემი სულელური მანიპულაციაც მოხვდა კადრში.

– არ არის შენი საშველი, ჩემო ტასიკო, ერთი წუთით მოგაშორე თვალი და მაშინვე უსაქციელობა ჩაიდინე, – მეხუმრა საღამოს ჯაბა, როდესაც რომელიღაც „ჭორიკანა“ გადაცემაში, მანქანაში ჩემს ცოცვას მოჰკრა თვალი...

თუ ჩემი აბდაუბდა თხრობიდან აზრი გამოიტანეთ, მაშინ განვაგრძობ და გეტყვით: ტასიკო მეტსახელად ჩემმა უფროსმა შვილმა შემარქვა. არ ვიცი, გინახავთ თუ არა, წარსულში ცნობილი მულტფილმი, რომელშიც გულუბრყვილო ბატს მედეა ჯაფარიძე ახმოვანებს. ჯაბამ პირველად რომ დამიძახა ბატი ტასიკო, ძალიან მეწყინა და ერთხანს გავაპროტესტე კიდეც, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სხვა აღარაფერი დამრჩენოდა და მეტსახელს შევეგუე. საბოლოოდ კომპრომისულ ვარიანტზე შევჩერდით: მეტსახელს შეურაცხმყოფელი „ბატი“ ჩამოსცილდა და ახლა ყველა, უბრალოდ ტასიკოს მეძახის. ამას კი უკვე არა უშავს რა. ახალგაცნობილებს ჰგონიათ, რომ ტატიანა მქვია და ტასიკო აქედან ნაწარმოები სახელია. სინამდვილეში, ევგენი ონეგინის რომანტიკული სატრფოს სეხნია არ გახლა-

ვართ, თუმცა, ჩემს სახელს რუსულ კლასიკასთან მაინც აქვს საერთო. მქვია ნატალია, დიახ – სწორედ ნატალია და არა ამ სახელის ქართული ვარიანტი – ნატო. სახელი მამამ შემირჩია, ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ ნატაშა როსტოვას „ხათრით“. ვიდრე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და „ნატაშა“, თურქეთის ტერიტორიაზე სალანძღავ სიტყვად იქცეოდა, შინაურები სწორედ ამ სახელს მეძახდნენ. შემდეგ, ყველა უნებურად გადავიდა ოფიციალურ „ნატალიაზე“. მეც ძალიან ვიფერებდი სრული სახელით მომართვას, სანამ ვაჟიშვილი არ წამომეზარდა და ტასიკოდ არ ვიქეცი. ახლა მეძახიან ტასიკოს და როგორც ჯაბა ამბობს, „სათაური“ ასახავს „შინაარსს“. თუ ადრე, თავგამოდებული ვცდილობდი, გამექარწყლებინა მითი ჩემი გულუბრყვილობისა და უსაზღვრო მიმნდობლობის შესახებ, ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი ამგვარ მცდელობებზე. ეს ბოლოდროინდელი მოვლენები კი, მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი ქმართან გაყრის კომიკური ამბავია. ნამდვილად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. როგორ და რატომ გავუდგი კარში ჩემოდნები ოჯახური ცხოვრების მეჩვიდმეტე წლისთავზე, საამაყო მეორე ნახევარს, გამოჩენილ ბიზნესმენს, ცნობილ მოქეიფეს და ხალისიანი საზოგადოების სულსა და გულს, ვასიკო თევზაძეს – ვისაც გაინტერესებთ, მოგვიანებით გიამბობთ. ახლა კი, იმას მოგიყვებით, თუ რა გენიალური გადაწყვეტილება მივიღეთ ჯაბამ და მე მოგებული მანქანის სარფიანად დასაბანდებლად.

რადგან ცხოვრების ამ ეტაპზე, ქმრისგან მიტოვებული ქალის არასახარბიელო სტატუსი მაქვს, დღეისათვის ჩემი ერთადერთი ჭკუის დამრიგებელი ჩემი ვაჟია... აბა გამოიცანით, რას მივიღებთ ოცდათხუთმეტი წლის „ბატის“ და თექვსმეტი წლის, გონიერი მოზარდის მიერ განხორციელებული „ბრეინსტორმინგის“ შედეგად. ვერ მიხვდით?.. მაშინ მე გეტყვით. მივიღებთ გადაწყვეტილებას, მაქსიმალურად სწრაფად გავატანოთ ქარის მოტანილი განძი ისევ ქარს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სწორედ ასე მოვიქეცით.

როდესაც უამრავი ნათესავ-მეგობრის მოსალოცი ვიზიტი და ახალი მანქანის პერმანენტული დასველების ცერემონია დასრულდა, კარზე ჩემი ოცი წლის უნახავი კლასელი და ბავშვობის დროინდელი თაყვანისმცემელი არჩილი, მეტსახელად ჩიკო მომადგა თეთრი ვარდებით ხელში. თავისი „მეტრასამოცი“ სიმაღლიდან მიბნედილად ამომხედა და იდუმალი ხმით მკითხა:

– მანქანა არ დავასველოთ?

აქ კი მივხვდი, რომ მეტის ატანა აღარ შემეძლო, ჩიკო კართან მივატოვე, სამზარეულოში შევქანდი, „კოკა-კოლის“ ბოთლი წყლით ავავსე და გაოგნებულ თაყვანისმცემელს ხელში ისე მივაჩეჩე, რომ ვარდები არც კი გამომირთმევია.

– მანქანა ეზოში დგას, ჩადი და დაასველე.

ჩიკომ ვარდები კართან დამიწყო და გულში ბოთლჩახუტებული კიბეზე ისე სევდიანად დაეშვა, რომ გული ამიჩუყდა.

– მოიცა, გეხუმრე, – გავეკიდე კლასელს და შინ შემოვიყვანე.

ვიდრე მე ვარდებს ვაბინავებდი, ჩიკო ბოთლით ხელში გაუნძრევლად იდგა და თვალს არ მაცილებდა. მერე უცებ მოიყუდა წყლით სავსე ბოთლი, სულმოუთქმელად გამოცალა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ამოსუნთქვას ამოაყოლა:

– გამომყევი ცოლად!

მოწყვეტით ჩავეშვი სავარძელში. აი, რა იცის ზედმეტმა გულჩვილობამ. სხვათა შორის, მსგავსი წინადადებით ჩიკომ ბოლოს, სასკოლო ბანკეტზე მომმართა. მანამდე კი, ნებისმიერი კლასელის დაბადების დღეზე, რაიმე სხვა წვეულებაზე ან ექსკურსიაზე, ცოტა შეთვრებოდა თუ არა, ამ ლაკონიური ფრაზით აუცილებლად მომადგებოდა ხოლმე. ახლა მხოლოდ იმან გამაოცა, რომ ასე გათავხედდა და თვითონ ცოლიანი და სამი შვილის პატრონი, მე ორშვილიან, გათხოვილ ქალს, სრულიად ფხიზელი მიბედავს ამას. „ალბათ გაიგო, მე და ვასიკომ რომ ვიჩხუბეთ“, – გავიფიქრე სევდიანად და ქმარგაცილებული ქალის მწარე ხვედრზე ჩავფიქრდი. ჩიკოს გაუზიარებელი სიყვარულის ამბავი მთელი კლასის საღადაო იყო. საქმე ისაა, რომ მე კლასში ყველაზე მაღალი ვიყავი, უიღბლო შეყვარებული მხრებამდე მწვდებოდა, ეს კი თანაკლასელთა ოხუნჯობისათვის მშვენიერი საბაბი გახლდათ. რამდენჯერ წამიშლია დაფაზე დახატული კარიკატურა: მე, აწოწილი, საქორწინო კაბაში, მკლავზე შემოსკუპებული პატარა ჩიკოთი... სწორედ ეს სურათი დამიდგა თვალწინ და სიმწრის ცრემლი ჩამომიგორდა ლოყაზე.

ჩიკომ ჩემი ცრემლიანი გარინდება თავის სასარგებლოდ გაიგო, სავარძელთან ჩამომიცუცქდა და ცრემლი მომწმინდა ქათქათა ცხვირსახოცით.

– ახლავე ამოიგდე ეგ სისულელე თავიდან. მშვენიერი ცოლ-შვილი გყავს, ოფიციალურად არც მე გავცილებივარ ვასიკოს, – ვცადე სიტუაციის განმუხტვა მე და სავარძლიდან წამოვიწიე. ჩიკომ ხელზე ხელი წამავლო და მუხლებზე დაეცა. ამ მოულოდნელი მანევრისგან წონასწორობა დამერღვა და უხერხულად გადავემხვე თავზე თაყვანისმცემელს. ორივე, იატაკზე გავგორდით. ჩიკო დროს არ კარგავდა და საკოცნელად მოიწევდა, მე წინააღმდეგობის გაწევას ვცდილობდი...

ამ მდგომარეობაში წამოგვადგა თავს ჯაბა. იგი კარში გაშეშდა და გაოცებისგან მელოდიურად დაუსტვინა.

– გაიცანი, ჩემი კლასელია, არჩილ ღამბაშიძე. ჩემი ხელის სათხოვნელად მოვიდა და უარი ვუთხარი, – სასწრაფოდ გავარკვიე ჯაბა სიტუაციაში და ფეხზე წამოვდექი. ჩემი თექვსმეტი წლის ვაჟი აუღელვებლად მიუახლოვდა ჩიკოს, იღლიებში ამოსდო ხელები და კარისკენ წააკონწიალა. ისიც რატომღაც მშვიდად დაემორჩილა. ჯაბამ არჩილი დერეფანში კედელთან დააყენა, კარი გაუღო და ცივად გამოცრა კბილებში:

– მიბრძანდით!

არჩილმა პიჯაკი ჩამოიფერთხა. კარში გასვლის წინ, კიდევ ერთხელ გა-

მომხედა და ჯაბას სევდიანად უთხრა:

— მე დედაშენი პირველი კლასიდან მიყვარს.

ჯაბამ კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა, მერე, იმ სავარძელში ჩაჯდა, რომელშიც ცოტა ხნის წინ მე ვიჯექი და ქვემოდან შემომცინა:

— ტასი, ახალი მამის ყიდვას თუ დააპირებ, ასეთი მჩატე არ გვინდა.

— არაფერსაც არ ვაპირებ! — სერიოზულად გავბრაზდი მე და დაუმსახურებელი საყვედურით გულნატკენს, ცრემლებიც კი წამომცვივდა.

— კარგი, ტასი, რა მოგვიდა, გეხუმრე, — მაწყნარებდა ჯაბა. მე კი ვერაფრით დავწყნარდი, სანამ შვილის მოტანილი ერთი ჭიქა წყალი ყლუპ-ყლუპად არ გამოვცალე. მერე ჯაბას შევხედე და ვუთხარი:

— მოდი, დასასვენებლად წავიდეთ, სადმე კარგ ადგილას, მაგალითად — ესპანეთში.

— ესპანეთში არ ვიცი და, თუ ამ მანქანას გავყიდით, ერთ ნორმალურ „ოპელ ვექტრასაც“ ვიყიდით, ანტალიაშიც წავალთ და რემონტის ფულიც დაგვრჩება, — განავრცო ჩემი იდეა ჯაბამ.

ასეც გადაწყდა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ტურისტული სააგენტო შემოვირბინეთ და ყველგან ავკრიბეთ სარეკლამო პროსპექტები, მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ გავემგზავრებით აუცილებლად თვითმფრინავით, ვიცხოვრებთ მხოლოდ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, რომელსაც აქვს ქვიშიანი პლაჟი, ბევრი გასართობი, ბავშვებისათვის და არანაკლები — ახალგაზრდებისათვის, თალასოთერაპია, ცხოვრების რიტმისა და გამუდმებული სტრესებისაგან დაღლილი ქალბატონებისათვის — ე.ი. ჩემთვის, ექსტრემალური სპორტის სახეობები — ჯაბასთვის, პატარა აუზი — ლიზისათვის, ლამაზი არქიტექტურა და კომფორტული ოთახები — სამივესთვის, შესანიშნავი ხედი აივნიდან და კეთილხმოვანი დასახელება. ერთი სიტყვით, სამი ათას დოლარად სამოთხეში დასვენება მოვინდომეთ.

ამდენი პრეტენზიის მიუხედავად, არჩევანი საკმაოდ ფართო აღმოჩნდა. საბოლოო გადაწყვეტილება კი, არც ბუკლეტების და არც ლამაზად გაფორმებული ინტერნეტ-საიტების გავლენით არ მიგვიღია: არჩევანის გაკეთებაში ყველაზე მეტად ტურისტული სააგენტო „ბონ ვოიაჟის“ მენეჯერი, ხალისიანი, სიმპათიური და კეთილგანწყობილი ქალბატონი ნანი დაგვეხმარა, რომელსაც მთელი ოჯახი ერთად გამოვეცხადეთ და ჯაბას გამუდმებული პრეტენზიების, ჩემი უთავბოლო ყბედობის და ლიზის ცელქობის მიუხედავად, სახეზე ერთი წუთითაც არ მოშორებია ღიმილი. თან, ისეთი ყურადღებით გვისმენდა, თითქოს კაცობრიობის ბედი წყდებოდა და არა ორკვირიანი დასვენების მარშრუტი. ჩვენი გადაწყვეტილების დაჩქარებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ივლისის დადგომისთანავე, თბილისში საშინელი ხვატი ჩამოწვა და ქალაქში გაჩერება შეუძლებელი გახდა. ამიტომ ქალბატონი ნანის მორიდებულ შეტყობინებას, რომ ეკონომკლასის ბილეთები აღარ არის და ბიზნესკლასით მოგვიწევს გამგზავრება, რაც ჩვენი საგზურის საფასურს, ტურისტული ფირმის ძალისხმევის წყალობით, მხოლოდ ასორმოცდაათი დოლარით გაზრდის, მშვიდად შევხვდით.

ჯაბამ გადაწყვიტა, რომ მეფური დასვენებისათვის ამუნიციაც შესაფერისი გვჭირდება და მამამისისგან ზაფხულის ტანსაცმელი და კარგი ხარისხის ტყავის ჩემოდნები წამოიღო — სწორედ ის, რომლებიც მე სადარბაზოში გავუდგი. მე ორი საღამოს კაბა ვითხოვე ჩემი ტელეწამყვანი დისგან, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ თბილისური ბომონდის არც ერთ „ტუსოვკას“ არ ტოვებს და საუკეთესო ჩამცმელია. რაც შეეხება ელისაბედს, მას არაფრის თხოვება არ დასჭირვებია — ლიზი ჩვენს ოჯახში ამ მხრივ ყველაზე კარგადაა უზრუნველყოფილი, რადგან მეც, მამამისიც და ყველა ჩვენი ახლობელი, ერთმანეთს ვეჯიბრებით ამ ცისფერთვალება, წაბლისფერკულულებიანი ფერიასათვის ახალ-ახალი, ლამაზი ტანსაცმლის შეძენაში.

თვითმფრინავში ლიზიმ სასწრაფოდ გააბა ნაცნობობა ბიზნესკლასის მგზავრებთან. მისი ასაკის გოგონა და ერთი წლით უმცროსი ბიჭი დედ-მამასთან და ძიძასთან ერთად სწორედ ჩვენს სასტუმროში აპირებდნენ დაბინავებას. ახალგაზრდა ოჯახი მეც მაშინვე მომივიდა თვალში. განსაკუთრებით ძიძა მომეწონა — ახალგაზრდა, სანდომიანი გარეგნობის გოგონამ, რომელსაც ლიკა ერქვა, შესანიშნავად იცოდა ბავშვების გულის მოგება. ლიზი მთელი გზა ლექსებს ამბობდა, ოთო და კატო კი, ყურადღებით უსმენდნენ. უფროსებს საშუალება გვქონდა, მშვიდად გვესაუბრა. აღმოჩნდა, რომ ელგუჯა ქორიძეს და მის მეუღლეს, ნათიას, ერთი ზაფხული უკვე ჰქონდათ გატარებული სასტუმრო „სილენდში“ და იქაურობა ძალზე მომხიბლავად დამიხატეს. გავხალისდი. როგორც ჩანს, მშვენიერი დასვენება მელის. ელგუჯა ქორიძეს იუმორის განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდა, ბევრი გვაცინა და გვამხიარულა. ჯაბასათვის ჩვენს ხალისიან კომპანიას ხელი არ შეუშლია, მთელი გზა ეთვლიმა და თვალი მხოლოდ პამიდვრის წვენის სათხოვნელად გაეხილა.

დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე, იმასაც გაგიმხელთ, რომ ბიზნესკლასის საუზმემ და სერვისმა იმედი გამიცრუა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სავარძლებს შორის დიდი მანძილია და ამიტომ ფეხები არ გიბუჟდება, ეკონომკლასის მგზავრივით. სხვა მხრივ, იქაურობა ფარდისიქითა სიტუაციისაგან დიდად არ განსხვავდება. ასე რომ, მომავალში, ეკონომკლასის ერთგულ მგზავრად დარჩენას ვაპირებ და თქვენც ამას გირჩევთ.

ანტალიის აეროპორტში ტურსააგენტოს ნარინჯისფერყელსახვევიანი გიდები გველოდნენ. გიდებმა, ჩვენი ბარგიანად, კომფორტულ მიკროავტობუსში „ჩაგვტვირთეს“ და ბედნიერი დასვენება გვისურვეს.

— დაბა ბელდიბიმდე, სადაც თქვენი სასტუმრო მდებარეობს, ორი გვირაბი უნდა გავიაროთ. პირველი — სურვილების ასრულების გვირაბია და ახლა გამოჩნდება. ორივე ხელი ასწიეთ და სანუკვარი სურვილი ჩაიფიქრეთ, — მსუბუქი აქცენტით ჩაგვირუსულა გიდმა. მგზავრებს გავხედე. ავტობუსის ჭერისკენ ხელების ტყე აღიმართა. მეც ავწიე ხელები და შვილების კარგად ყოფნა ვისურვე. მეხსიერებაში ვასიკო თევზაძის მოღიმარი სახეც ამომიტივტივდა, მაგრამ უმალ ამოვიგდე თავიდან. ლიზიმ სურვილი ვერ ჩაიფიქრა, რადგან მგზავრობით დაღლილს, ჩემს კალთაში ეძინა.

ხსენებული „პროცედურის“ დასრულებისთანავე, გიდმა საქმიანად ჩაახველა და განაგრძო:

— წინ კიდევ ერთი გვირაბი გველის. ეს ცოდვების მიტევების გვირაბია. როგორც კი იქ აღმოჩნდებით, თქვენი ცოდვები გაიხსენეთ და ტაში შემოჰკარით. რამდენჯერაც შემოჰკრავთ, იმდენი ცოდვა მიგეტევებათ. რაც უფრო გულწრფელი იქნებით, მით უკეთ შეგისრულდებათ ჩაფიქრებული სურვილი. ყურადღებით — გვირაბია! — გამოაცხადა გიდმა და ჩვენი მიკროავტობუსი გვირაბის სიბნელეში დაინთქა.

მე, რა თქმა უნდა, როგორც ღირსეულ ქართველ მანდილოსანს შეეფერება, ხელი არ გამიტოკებია. ეგდა მაკლია, ამ ეშმაკურად მოღიმარი თურქის დაგებულ მახეში გავება და მის თვალწინ ვაღიარო ჩემი ცოდვები, თუნდაც — აპლოდისმენტის სახით!.. როგორც ჩანს, ქართუ-

ლი კუდაბზიკობა არც სხვა მგზავრებს აკლდათ, ტაში კანტიკუნტად გაისმა. განსაკუთრებული გულმოდგინეობით ამ საქმეში ბედნიერი ოჯახის ძიძა გამოირჩეოდა. ოჯახის უფროსმა უხალისოდ შემართა ხელები და ტაში შემოჰკრა. ის იყო, მეორედაც აპირებდა, რომ ცოლის მზერას წააწყდა. სამაგიეროდ, ძიძა ვერაფერს ხედავდა, თვალები დაეხუჭა და ტაშს ისე გამეტებით უკრავდა, თითქოს კონცერტზეა და საყვარელი შემსრულებლის ბისზე გამოსვლას მოითხოვსო. შემდეგ, თითქოს გამოფხიზლდა და შენიშნა, რომ მის გარდა, ამ პროვოკაციას არავინ წამოეგო, თუ არ ჩავთვლით ორ ტინეიჯერს, რომლებიც მიკროავტობუსის კუთხეში მიყუჟულიყვნენ და ტაშს მოგუდულ სიცილს აყოლებდნენ. ამ დროს, მიკროავტობუსი სინათლეზეც გავიდა და ცხადად დავინახე ცივი და სიძულვილით სავსე მზერა, რომელიც ქალბატონ ნათიას მისი შვილების ძიძისკენ ჰქონდა მიპყრობილი. მიუხედავად იმისა, რომ სინათლეზე გასვლისთანავე, ქალმა სახეზე სათნო გამომეტყველება აიკრა, კიდევ ერთმა ადამიანმა მოასწრო ამ რეაქციის შემჩნევა. მძღოლის უკანა სავარძლიდან ამ ფერისცვალებას ხანში შესული, ჭაღარა მამაკაცი ადევნებდა თვალს, რომელიც ქართველ ტურისტს კი არა, უფრო ინგლისელ ჯენტლმენს ჰგავდა. ამ მსგავსებას ისიც აძლიერებდა, რომ მამაკაცს მუხლებზე ვერცხლისფერი ნოუტბუკი ედო, რომელსაც „მაკინტოშის“ ფირმის ნიშანი – ვაშლი ჰქონდა ამოტვიფრული. მოგეხსენებათ, საქართველოში ამ ფირმის ძვირად ღირებული კომპიუტერები განსაკუთრებით პოპულარული არ გახლავთ, ამიტომ მამაკაცი კარგა ხანს, უცხოელი მეგონა. ერთ წამს, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მე არ მესიამოვნა, რომ ვიღაცამ ზედმეტ ცნობისმოყვარეობაზე წამასწრო და სასწრაფოდ ფანჯრისკენ მივაბრუნე თავი. ფანჯარაში უკვე მოჩანდა ლურჯნაცრისფერი, უკიდეგანო ზღვა. მისი მშვიდი ლივლივი მესიამოვნა და ნეტარებისგან თვალები დავხუჭე. ორი სასიამოვნო კვირა მელის – გავიფიქრე და გული სიხარულით ამევსო.

მიკროავტობუსის მგზავრები გზაში ერთმა კურიოზმაც გაგვახალისა. ჩვენი ყოვლისმცოდნე გიდი მთელი გზა იმაზე გველაპარაკებოდა, თუ რამდენი რამ აქვს საერთო თურქ და აზერბაიჯანელ ხალხებს, როგორ მოსწონს ქალაქი ბაქო და რომ ყველაზე მეტად აზერბაიჯანელ ტურისტებთან ურთიერთობა უყვარს. მის ამ უცნაურობას მშვიდად ვხვდებოდით, სანამ არ გვკითხა: რომელი ჯობია – თქვენი კასპიის თუ ჩვენი ხმელთაშუა ზღვაო? „ინგლისელმა ჯენტლმენმა“ ვერ მოითმინა და განუმარტა, რომ საქართველოში შავი ზღვაა და არა – კასპიის. ახლა გიდის გაოგნების დრო დადგა: როგორც აღმოჩნდა, მას აზერბაიჯანიდან ჩამოსული ჯგუფი ვეგონეთ. სანამ გონს მოსული გიდი ქართული ჯგუფისთვის განკუთვნილი ტექსტის დეკლამირებას შეუდგებოდა და ქართველი და თურქი ხალხების „საუკეთესო მეგობრობას“ გაიხსენებდა, ჩვენი სასტუმროც გამოჩნდა. მიკროავტობუსიდან ის სიმპათიური ჭაღარა მამაკაცი, ჩემი ნაცნობი ოჯახი და ორი ტინეიჯერი ჩამოვიდა, რომლებმაც ჩემი ყურადღება ტაშის დაკვრისას მიიქციეს. ჯაბა ჩემოდნების გადმოცლაში მეხმარებოდა, ახალგაღვიძებული ლიზი კი, ერთ-ერთი ახალგაზრდის ზურგჩანთაზე ჩამოკიდებულ პლუშის ვარდისფერ, პატარა დათუნიას თუ თაგვს ეპოტინებოდა. ალბათ გიკვირთ, რატომ არაფერი გითხარით ამ ორი ტინეიჯერის სქესის შესახებ. იმიტომ, რომ მეც მხოლოდ ავტობუსიდან გადმოსვლის შემდეგ მივხვდი – ქალ-ვაჟი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირი კეპები ეხურათ, ორივეს კედები და გახეხილი ჯინსი ეცვა, ახლა უკვე ცხადი იყო, რომ ზურგჩანთაზე ვარდისფერ დათუნიაჩამოკიდებული – გოგო გახლდათ, ხოლო მისი თანამგზავრი – ვაჟი. ორივე ალბათ, თვრამეტიცხრამეტი წლისა იქნებოდა. თითქოს ჩემი აღმოჩენის დასადასტურებლად, გოგონამ კეპი მოიხადა და მხრებზე იშვიათი სილამაზის, ცეცხლისფერი კულულები ჩამოეშალა.

ამ ხალისიან კამპანიასთან ერთად შევაბიჯე სასტუმროს ჰოლში. მინის კარი უხმოდ გასრიალდა ჩვენ წინ და სუფთა, ნათელ და კომფორტულ შენობაში ამოვყავი თავი.

ოთახი, რომელიც ჯაბას, ლიზის და მე გვერგო, დერეფნის ბოლოში აღმოჩნდა. მისი აივანი ზღვას გადაჰყურებდა. ჩვენი ოთახის გვერდით სახანძრო გასასვლელი დიდ ვერანდას უერთდებოდა. ვერანდიდან ეზოში ჩაღწევა სათადარიგო კიბით შეიძლებოდა. კიბე ზედა სართულზე, აპარტამენტებშიც ადიოდა. თუმცა, ამ კიბით სარგებლობის არანაირი აუცილებლობა არ იყო, რადგან ვერცხლისფერი ლიფტებით წამებში, ნებისმიერ სართულზე მოხვდებოდით და ლიფტის გარდა, სასტუმროს ძირითადი, შიდაკიბით გადაადგილებაც შეგეძლოთ.

„ოლინკლუზივის“ სერვისში უფასო ჭამა-სმისა და ანიმატორების მიერ ხალხის გართობის გარდა, შედის საუნა, თურქული აბანო და ლიზის ასაკის ბავშვებისთვის – ძიძა, რომელიც მათ ათამაშებს და მინიდისკოთეკაზე აცეკვებს. დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში, გთავაზობენ „ტაილანდურ მასაჟსა“ და თალასოთერაპიას, რაც ზღვის მარილითა და ტალახის აბაზანებით მკურნალობას ნიშნავს. ასევე ფასიანია სკუტერებით – წყლის მოტოციკლებით სეირნობა. არ ვიცი, სხვებისთვის როგორ არის, მე კი ეს ერთადგილიანი, მოტორიანი მანქანები სწორედ მოტოციკლს მაგონებს. ასევე ფასიანია პარაპლანით ზღვის თავზე გადაფრენა. სამაგიეროდ, უფასოა დისკოთეკა მოზრდილთათვის, რომელიც გვიან ღამემდე გრძელდება. მის გამო, ჯაბას უკვე რამდენიმე ღამეა, არ სძინავს და დილით ჩვენთან ერთად პლაჟზე არ ჩამოდის. თუმცა, იმის იმედი, რომ ჩვენთან „იმეგობრებდა“, არც აქეთ გამომგზავრებისას მქონდა. ჩემს შვილებს შორის ასაკობრივი განსხვავება თორმეტი წელია და უფროსს ვერ მოვთხოვ უმცროსის დეკნას. ჯაბა, ბესოსა და ანკას დაუმეგობრდა. ტინეიჯერები, რომლებმაც მიკროავტობუსით ჩვენთან ერთად იმგზავრეს, ანიმატორები აღმოჩნდნენ. ისინი ანტალიაში დასასვენებლად კი არა, სამუშაოდ ჩამოვიდნენ. თუმცა, დრო დასვენებისთვისაც რჩებათ. დისკოთეკაზე ცეკვა და ხალხის გართობა კი მათი მოვალეობაა – ასე რომ, ჯაბასთან ბევრი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ. ჩემს შვილს იმის სურვილიც კი გაუჩნდა, რომ მომავალ წელს „სილენდში“ ანიმატორად ჩამოვიდეს. თუ მის პათოლოგიურ სიზარმაცეს გავითვალისწინებთ, ეს მართლაც, საოცარი სურვილია. როგორც ჩანს, ახალგაზრდები ხალისიანი და კარგი ადამიანები არიან და ქანცგამცლელი სამუშაოს მიუხედავად, თავის მოვალეობას ისეთი გატაცებით ასრულებენ, ჯაბაც კი მოხიბლეს.

ჯაბას დარღვეულ დღის რეჟიმს პირველ ხანებში ვებრძოდი, შემდეგ მივხვდი, რომ ვერაფერს გავხდებოდი და თავი დავანებე. სასტუმროს მიერ შემოთავაზებულ გართობის პროგრამას შევუერთდი და დასვენების მეორე დღეს, თორმეტ საათზე, სასტუმროს მთავარ აუზში, „ტიტანიკის“ მელოდიის თანხლებით, სერფინგის დაფაზე შემხტარმა,სტრიპტიზის სეანსის ჩატარება ვცადე. გული ნუ გაგისკდებათ და ნუ იფიქრებთ, რომ ქმართან გაცილების შემდეგ ზნეობა დავივიწყე და თურქეთში სტრიპტიზიორობას მივყავი ხელი. ამგვარ გართობაში „სილენდის“ სოლიდური დამსვენებლები დიდი ხალისით მონაწილეობდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ ყოველდღე თერთმეტიდან პირველ საათამდე, ანიმატორები აუზზე გართობის პროგრამას გვთავაზობდნენ. „სტრიპტიზის“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ მონაწი-

ლეები საბანაო კოსტიუმზე, ანიმატორების მიერ შემოთავაზებულ სპორტულ შარვალს და მაისურს იცვამენ და წყალში შეცურებულნი, სერფინგის ვიწრო დაფაზე შემომდგარნი ცდილობენ, ისე გაიხადონ, რომ წონასწორობა შეინარჩუნონ. სველი მაისურის გახდა არ გამჭირვებია. აი, შარვლიდან მარჯვენა ფეხი ამოვდგი თუ არა, დავბარბაცდი და აუზში გავადინე ზღართანი. ამ სულელური შეჯიბრის დანარჩენ მონაწილეებს რომ გადავხედე, მივხვდი, ჩემი ასაკის მათ შორის არავინ იყო. თანაც, წყლიდან ჩვენი ოთახის აივანს რომ ავხედე, მომეჩვენა, რომ იქიდან ჯაბა მიყურებდა. თუმცა, ნაპირზე ამოსვლისა და აივნის ყურადღებით დათვალიერების შემდეგ, ვერავინ შევნიშნე. მაინც გადავწყვიტე, შემემოწმებინა, ეძინა თუ არა ჩემს ვაჟს. ლიზი ბავშვების აუზში მის მეგობართან ერთად მყავდა დატოვებული და სასტუმროში შევედი. კართან მისულს, ის იყო, ელექტრონული გასაღები ბუდეში უნდა ჩამეცურებინა, რომ დავინახე, სახანძრო გასასვლელი ღია იყო. ეტყობა, ჯაბა სიგარეტის მოსაწევად ვერანდაზე გავიდა, — გავიფიქრე და მეც მწვანე ნარგავებით გალამაზებულ და თეთრი კენჭებით მოფენილ ვერანდაზე ფეხაკრეფით გავედი. ვერ გეტყვით, მაშინ ვის ვემალებოდი, უბრალოდ, ძალიან არ მინდოდა, ჯაბას დაცინვის ობიექტი გავმხდარიყავი, თანაც, კარგად ვხვდებოდი, თუ რაოდენ სულელური ნაბიჯი იყო ჩემი ამ თამაშში მონაწილეობა და სინდისი მქენჯნიდა.

— კიდევ ერთხელ მიხსენებ კოლია ობოლაძეს, „სესტრიცა“ და კისერს მოგიგრეხ, არაფერი გიშველის, ჩემი დაშანტაჟება ჯერ არავის შერჩენია, — მომესმა ქართული ჩურჩული.

— რას მემუქრები შე პ...რასტო!.. — ეს ჩემთვის კარგად ნაცნობი ახალგაზრდა ქალის ხმაა. ამ სიტყვებს, სილის გაწვნის ხმა მოჰყვა.

— ენას თუ ჩაიგდებ, შენგან არაფერი მინდა. რაც მოგეცი, იკმარე, ეგდე და იმუშავე, თუ არა და, შენს თავს დააბრალე, — განაგრძო მოძალადემ. მისი მოქმედება სწორად რომ გამოვიცანი, რამდენიმე წამში, მხედველობამაც დამიდასტურა: ვერანდის კენჭებზე ბარბაცით მიმავალ ანკას ლოყაზე ხუთი თითის ანაბეჭდი ეტყობოდა. კიბის უკან შევიკუჭე და სამალავიდან არ დავძრულვარ, ვიდრე ზურგჩანთაგადაკიდებული ტინეიჯერი თვალს არ მიეფარა. ბოროტი მუქარის ავტორი არსად გამოჩენილა. როგორც ჩანს, აპარტამენტების აივნიდან გავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ან მომსახურე პერსონალია, ან — აპარტამენტების ბინადარი.

სახანძრო გასასვლელი დაკეტილი დამხვდა. სათადარიგო კიბით პირდაპირ ეზოში ჩავედი. უკანა ეზოში ანიმატორი ბესო დამსვენებლებს ისრის სროლაში ავარჯიშებდა. საბავშვო აუზს მივუახლოვდი, წყალში მოტყაპუნე ლიზი დავინახე და მივხვდი, რომ უსიამოვნო ფიქრებს და სხვების პრობლემებს თავს არ დავაჩაგვრინებდი. აბეზარი კითხვა — ვინ ემუქრებოდა ანკას? — თავიდან ამოვიგდე და თავს შევუძახე — მე ხომ დასასვენებლად ვარ ჩამოსული!.. საღამოს, ჩემდა გასახარად, ისიც აღმოვაჩინე, რომ ჯაბამ არაფერი იცოდა, აუზზე ჩემი სამარცხვინო კრახის შესახებ და შვებით ამოვისუნთქე.

მოკლედ, უკვე მეოთხე დღეა, ვირგებ ჩემს კუთვნილ, „სამიათასდოლარიან სამოთხეს“. შეზლონგის ზოლიან ლეიბზე წამოწოლილმა „ბაუნტის“ რეკლამის პერსონაჟი ქალივით, ძალისძალად გავახილე თვალი და ნეტარებით გავხედე ხმელთაშუა ზღვას, რომელიც ამომავალი მზის სხივებზე თეთრ-ვერცხლისფრად ლივლივებს. დილის შვიდი საათია. ამ დროს პლაჟზე ჩემი ქალიშვილისა და ჩემ გარდა, ჩვეულებრივ, კიდევ ერთი შვედი მამაკაცი ჩამოდის ხოლმე, რომელიც სანაპირო ქვიშას მხედრული ნაბიჯით მიუყვება, სასტუმროს კუთვნილი სანაპირო ზოლის ერთი ბოლოდან მეორისკენ. ლიზი ქვიშაში თამაშობს, პლასტმასის ნიჩბით გულმოდგინედ ავსებს ვარცლს ქვიშით და პასქებს „აცხობს“. სწორედ ასეთი პლაჟი მოვითხოვე ტურსააგენტოსგან — ქვიშიანიც და კენჭებიანიც. ლიზი ყოველ დილას, შვიდის ნახევარზე მაღვიძებს და პლაჟზე ჩავდივართ. აქ რომ მოხვდე, ჯერ ეგზოტიკური მცენარეების სიმრავლით გამორჩეული, კოხტა ბაღი უნდა გაიარო, შემდეგ — კიბის რამდენიმე საფეხური და თეთრ-ლურჯი ქოლგებით მოფენილ პლაჟზე აღმოჩნდები.

ერთ მხარეს ფერადტენტგადაფარებული ჩალის ფანჩატურებია განლაგებული იმ ტურისტებისთვის, რომლებსაც პლაჟზე რომანტიკული ღამის გატარება სურთ (დამატებით ფასად, რასაკვირველია). მეორე მხარეს კი, ბეტონის ზვირთსაჭრელზე, ხით მოპირკეთებული ორსართულიანი ნავმისადგომია მოწყობილი. ვისაც სურს, წყალში ამ ბოგურის ხის კიბით ჩადის და სლიპინა ქვებზე ფეხი არ უცურავს. სწორედ ამ ნავმისადგომისაკენ გაემართა ჩემი ქალიშვილი, კენჭებით სავსე სათლით ხელში. ეტყობა, კენჭების ზღვაში გადაყრას აპირებს. ჩემი იდილია დაირღვა. წამოვდექი და გავძახე. მაგრამ ლიზი ყურსაც არ იბერტყავს, თითქოს არც ესმის ჩემი ყვირილი. დავედევნე. მაინც სახიფათოა — შეიძლება, სიმძიმემ გადასძალოს და წყალში გადავარდეს... ლიზი ბოგურის ბოლომდე მივიდა და კენჭები წყალში გადაუძახა. ფრთხილად ვეპარები, ვცდილობ, არ დავაფრთხო. ცალ ხელს დაყრდნობილი, მუხლებზე დაჩოქილი ლიზი ყურადღებით აკვირდება წყალს. შემდეგ, უცებ წამოხტა და თვითონვე გამოიქცა ჩემკენ.

— დედა, დედიკო, იქ წყალში, არიელია, წითელი თმა აქვს!.. — რატომღაც სლუკუნით მეუბნება ლიზი და კისერზე მეხვევა. პატარა თითები ზურგს მიკაწრავს. არიელის და სხვა მულტფილმების გმირებს ჩემი ქალიშვილი ხშირად ახსენებს. მისი სამყარო სავსეა ზღაპრული პრინცებით და პრინცესებით, მაგრამ ამჯერად, ძალიან აღელვებულია. ხელები ცივი აქვს და საცაა, ატირდება.

— წამოდი, დედიკო, ვნახოთ არიელი, — ვეუბნები და ხალისიანად მივაბიჯებ ბოგურაზე.

— არ მინდა. წავიდეთ, გემუდარები, — ტირილს იწყებს ლიზი. მე კი უკვე წყალს ჩავშტერებივარ და მომზადებული ტექსტი იმის შესახებ, რომ არიელი მხოლოდ ზღაპარში ცხოვრობს, პირზე მაცივდება: დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეში, წყალში მართლაც, ჩანს ქალის სხეული, გაშლილი წითელი თმით. შიშისაგან შევკივლე და ლიზი გულში ჩავიკარი. მერე სანაპირო დაცვისკენ გავიქეცი, რომელიც კოშკურიდან ადევნებს თვალყურს მთელ პლაჟს.

გაგრძელება იქნება

ეიკოფეესის ეარტუხეტი ეიკეუდი გიწეტა და ეისი ეარადიქსეტი

თურმე სიზმრები ადამიანზე სასიკეთო ზეგავლენას ახდენს. სიზმარს შეუძლია კარგი ფსიქოთერაპევტის ან დიაგნოსტის ფუნქცია შეასრულოს; ხოლო თუკი ამა თუ იმ სიზმრისეული ჩვენების სწორად გაშიფვრას შევძლებთ, ის შესაძლოა, დიდი აღმოჩენისა თუ მომავლის წინასწარ განჭვრეტის საფუძვლადაც კი იქცეს.

სომნოლოგია, სიზმრის შემსწავლელი მეცნიერებაა და ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგია. მეცნიერების ცალკეულ, დამოუკიდებელ დარგად, ის XX საუკუნის 60-იან წლებში გამოიყო და დღეისათვის მხოლოდ აშშ-ში 600-ზე მეტი სომნოლოგიური ცენტრია აკრედიტებული. სპეციალისტები მეცნიერების ამ დარგზე დიდ იმედებს ამყარებენ. მათ იმედი აქვთ, რომ სიზმრების მეცნიერულად გაშიფვრა, ავადმყოფობის ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკაში დაეხმარებათ. მეცნიერების ინტერესის საგანს წარმოადგენს აგრეთვე ძილის დროს ტვინის მუშაობის მექანიზმი და ადამიანის შემოქმედებით უნართან სიზმრისეული ხილვების კავშირი.

„სეანსი“ ყოველ 90-ე წუთზე

ძველად ძილს „ხანმოკლე სიკვდილს“ უწოდებდნენ. მათი აზრით, ძილის დროს ადამიანის სული სხეულს ტოვებდა და სიზმრების სამყაროში გადადიოდა. ამიტომ, მძინარე ადამიანის გაღვიძება, უდიდეს ცოდვად ითვლებოდა, რამეთუ შესაძლო იყო, რომ სული საკუთარ სხეულს ვერ დაჰბრუნებოდა. თანამედროვე მეცნიერებს ძილის პროცესზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ცნობილია, რომ ძილი ორ – სწრაფ-პარადოქსულ და ღრმა ნელ – ფაზად იყოფა. სიზმრები კი ადამიანს სწრაფი ძილის ფაზაში ესიზმრება. ეს, ძირითადად, უჩვეულო, ფანტასტიკური ხასიათის ხილვები გახლავთ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადამიანი სიზმრებს მთელი ღამის განმავლობაში ნახულობს, მაგრამ გონებაში მათ დაფიქსირებას ვერ ახერხებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელსაც არაერთი მეცნიერი ემხრობა. მათი აზრით, ტვინიდან წამოსული იმპულსების მეშვეობით, ადამიანი პერიოდულად – დროის განსაზღვრულ მონაკვეთებში, ნახულობს სიზმარს. ძილის პროცესში, მსგავსი მდგომარეობა ადამიანს ყოველ 90-ე წუთზე ეუფლება; ასე რომ, ღამის განმავლობაში მას 4 ან 5 სიზმარი ესიზმრება. სწორედ სწრაფი ძილის ფაზაში ნახულობს ადამიანი იმ სიზმრებს, რომლის გახსენებასაც ის მეორე დღეს ახერხებს. სომნოლოგები არ კამათობენ იმაზე, რომ სიზმრები ხელს უწყობს თავის ტვინის გარსის ნერვული უჯრედების განტვირთვას. გარდა ამისა, ძილის დროს, ტვინის ღეროს უჯრედების ნეირონთა მოქმედების შეკავების მეშვეობით, იმ სამოქმედო იმპულსების ბლოკირება ხდება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზმის აქტიურობაზე, რის შედეგადაც საერთოდ ითიშება კუნთოვანი აპარატი. ძილის დროს, ადამიანს ეს დამცავი მექანიზმი რომ არ ერთვებოდეს, მისი სხეული ძილშიც სიზმრისეული მოძრაობების შესაბამისად იმოქმედებდა.

ძილის თვისებების შესწავლისას, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სიზმრები ადამიანზე სასიკეთო ზეგავლენას ახდენს. აღმოჩნდა, რომ სიზმარს შეუძლია კარგი ფსიქოთერაპევტის ან დიაგნოსტის ფუნქცია შეასრულოს; ხოლო თუკი ამა თუ იმ სიზმრისეული ზმანების სწორად გაშიფვრას შევძლებთ, ის შესაძლოა, დიდი აღმოჩენისა თუ მომავლის წინასწარ განჭვრეტის საფუძვლადაც კი იქცეს.

სიზმართერაპია

ჩვენი ფიზიკური მდგომარეობის ინდიკატორს სწორედ სიზმრები წარმოადგენს. ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო ავადმყოფობის სადიაგნოსტიკოდ სიზმრის გამოყენება. ის ამტკიცებდა, რომ ადამიანს ძილში შეეძლო სიგნალის მიღება, რომელიც ამცნობდა მას ავადმყოფობის მოსალოდნელ განვითარებას (სხვათა შორის, არისტოტელე ძილში განკურნებასაც შესაძლებლად მიიჩნევდა). თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევები, ამ ჰიპოთეზის მართებულობას ბევრ რამეში ამტკიცებს. სომნოლოგების აზრით, თუკი ადამიანს ესიზმრება, რომ ის ავად გახდა, ეს იმის სერიოზული სიგნალი გახლავთ, რომ ორგანიზმში ავადმყოფობის პირველმა ნიშნებმა მართლაც იჩინა თავი, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩვეულებრივი დიაგნოსტიკის მეშვეობით ამ ნიშნების გამოვლენა, ჯერ კიდევ შეუძლებელია. აი, მეორე დღეს კი შეიძლება, ადამიანს ეს ნიშნები ცხადშიც გამოაჩნდეს და მართლაც ავად გახდეს. სომნოლოგები საკუთარ პაციენტებს ურჩევენ, რომ ამგვარი სიზმრების ნახვისა და ერთი და

ელიას ჰოუ


დიმიტრი მენდელეევი


ალბერტ აინშტაინი

კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია არაერთი მაგალითი იმისა, როცა გენიალური გამოგონებებისა თუ მეცნიერული აღმოჩენებისაკენ მიმავალ გზას, გამოჩენილმა მეცნიერებმა სიზმარში მიაგნეს. დიმიტრი მენდელეევს ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა ძილში დაესიზმრა, აინშტაინს ალბათობის თეორიის ფორმულირებაში, სწორედ ყმაწვილობაში ნანახი სიზმარი დაეხმარა, ხოლო ელიას ჰოუმ კოშმარულ სიზმარში იხილა ის, რისი მეშვეობითაც საკერავი მანქანის ნემსი გამოიგონა

იმავე სიზმრის ზედიზედ რამდენჯერმე გამეორების შემთხვევაში, დროულად მიმართონ რჩევისთვის სპეციალისტს. ამგვარი სიზმრები მეტყველებს იმაზე, რომ ღვიძილის დროს ადამიანის ფსიქიკა ისეთ შინაგან პრობლემებს აწყდება, რომლის გადაჭრაც მას არ ძალუძს, ან იმაზე, რომ ორგანიზმს რაიმე დაავადება ემუქრება.

სიზმრების არსის ანალიზი და მათი მექანიზმის წვდომა, ფსიქიკური ავადმყოფების მკურნალობის ეფექტიანად წარმართვაში ეხმარება ექიმებს. მაგალითად, მალაკის ნახევარკუნძულზე ცხოვრობს სენოების ტომი, რომელიც სიზმრებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ამ ტომის წარმომადგენლებისთვის უცხოა ისეთი მოვლენები, როგორიცაა: დეპრესია და თვითმკვლელობა, მათ არ ემუქრება ფსიქოზი და სხვა სულიერი დაავადებები. საქმე ის გახლავთ, რომ ყოველ დილით, სენოები თავიანთ უხუცესებს უყვებიან საკუთარ სიზმრებს, ისინი კი ხსნიან ამ ზმანებებს და თავისებურად, ფსიქოანალიტიკოსების ფუნქციას ასრულებენ. მათი რჩევები მარტივი და ამასთანავე, ძალზე ეფექტიანია. უხუცესები მიიჩნევენ, რომ სიზმრად ნანახი სიტუაცია, იქნება ის ტრაგიკული თუ ბედნიერი, ნებისმიერ შემთხვევაში, ბოლომდე უნდა განავითაროთ. მაგალითად, თუკი უფსკრულში მიექანები, უნდა წარმოიდგინო, რომ უფსკრულის ფსკერს აღწევ; ხოლო თუკი მტაცებელი ცხოველი გესხმის თავს, უკან არ უნდა დაიხო და უნდა შეება მას. ამგვარი მიდგომა, ადამიანს ეხმარება იმ სიზმრისეული შიშებისა და აკვიატებული აზრებისაგან თავის დაღწევაში, რომელიც მას გამოღვიძების შემდეგაც არ ტოვებს.

სიზმრები, ადამიანის ფსიქიკის მოღვაწეობის შედეგია, ამიტომ ფსიქოანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი, თვით ყველაზე მცირე სიზმარიც კი, უამრავი ინფორმაციის მატარებელია, რომელიც, როგორც წესი, სხვადასხვაგვარი სიმბოლოს სახითაა კოდირებული. სპეციალისტის ამოცანა გახლავთ ის, რომ დაეხმაროს პაციენტს ამ ინფორმაციის სწორად გაშიფვრაში და ჩაიჭიროს ის შინაგანი სიგნალი, რომელიც არსებულ თუ მოსალოდნელ პრობლემაზე მიუთითებს. სიზმრების ახსნის, მათი გაშიფვრის მეშვეობით, როგორც წესი, ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა უმჯობესდება. გარდა ამისა, სიზმრების სცენარებისა და იქ არსებული სიმბოლოების შესწავლის საფუძველზე, ადამიანს უკეთ ესმის თავისი თავის, ზმანების მოყოლისას კი, საკუთარი შიშებისა და კომპლექსების მიზეზებსაც პოულობს.

სიზმრები ადამიანს სტრესულ სიტუაციებთან ადაპტირებაშიც ეხმარება. მაგალითად, სომნოლოგები თავიანთ პაციენტებთან მუშაობისას, ხშირად აწყდებიან შემთხვევას, როდესაც სიზმრებში ამა თუ იმ ფორმით დომინირებს სიკვდილი. მკვლევართა აზრით, ამგვარი სიზმრები მკაფიოდ და დეტალურად ამახსოვრდებათ იმ პაციენტებსაც კი, რომლებიც ჩვეულებრივ, ვერ იმახსოვრებენ სიზმრებს. როგორც წესი, ეს გახლავთ შეხვედრები გარდაცვლილ ახლობლებთან, სიკვდილისა თუ დასაფლავების სცენები – მათ შორის, ცოცხალი ნაცნობების გარდაცვალებისა თუ საკუთარი სიკვდილის განცდა.

ასეთი შინაარსის სიზმრის ნახვის შემდეგ, ადამიანის მიერ განცდილი უარყოფითი ემოციების მიუხედავად, ეს ზმანება „შინაგანი ფსიქოთერაპევტის“ როლს თამაშობს. კერძოდ კი, იცავს ადამიანს სტრესისაგან, რომელიც ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში, აუცილებლად ემუქრება მას. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ სიზმრები, რომლებიც მართლაც გვაწვდის ინფორმაციას ვინმეს მოსალოდნელ სიკვდილზე, ჩვეულებრივ, გამოხატულია სხვაგვარი, მეტაფორული ფორმით, მაგალითად, როგორიცაა: განშორება, გამოთხოვება, გამგზავრება.

სომნოლოგიური ექსპერიმენტების ძირითად მიმართულებას სიზმრების წაკითხვა წარმოადგენს. სპეციალისტებს აქვთ იმის საშუალება, რომ ელექტროენცეფალოგრამის მეშვეობით გაარკვიონ, თუ ძილის რომელ ფაზაში იმყოფება პაციენტი და რა სახის სიზმარს ხედავს: მშფოთვარეს თუ სასიამოვნოს



სიზმრისეული აღმოჩენები

სიზმრები ადამიანებს ასევე ეხმარება სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაში. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია არაერთი მაგალითი იმისა, როცა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის გზა მის ავტორს სიზმრად უნახავს. გამომგონებელი ელიას ჰოუ ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა ისეთი ხელსაწყოს შექმნაზე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ქსოვილის ორი ნაჭრის ერთმანეთზე გადაკერება. ინჟინრის სამუშაო მაგიდა სავსე იყო ნახაზებით. ელიას ჰოუ ამ პრობლემის სრულიად განსხვავებულ რამდენიმე ვერსიაზე ერთდროულად მუშაობდა, მაგრამ ოპტიმალურ გადაწყვეტას ვერა და ვერ მიაგნო. ერთ ღამეს ჰოუს კოშმარული სიზმარი დაესიზმრა. ინჟინერს გამოელვიძა, ის ცივ ოფლში ცურავდა. სიზმრის შინაარსი ასეთი გახლდათ: აფრიკაში მყოფ ჰოუს ველური კანიბალები მოსდევდნენ. ელიას ცხადად ახსოვდა, რომ მის მდევარ კანიბალებს ხელში უჩვეულო ფორმები შუბები ეჭირათ – შუბებს წვერზე მოგრძო ნახვრეტი ჰქონდა დატანებული. ინჟინერმა სიზმრად ნახულს ცხადში შეასხა ხორცი და წვერზე მოგრძო ნახვრეტის მქონე სწორედ ისეთი ნემსი გამოიგონა, რომელიც დღემდე გამოიყენება საკერავი მანქანების წარმოებაში.

აინშტაინი ირწმუნებოდა, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა – ალბათობის თეორია – მან ჯერ კიდევ ყმაწვილობისას იხილა სიზმარში. მას დაესიზმრა, რომ ის ციგით სრიალებდა, რომლის სიჩქარეც მანამ იზრდებოდა, ვიდრე სინათლის სიჩქარეს არ მიაღწია; მაშინ ვარსკვლავებმა ჩვეული ხილული ფორმა იცვალეს და მანათობელ ხაზებად იქცნენ. აინშტაინს ეს სიზმარი რატომღაც გონებაში ჩაებეჭდა და საკუთარ ფიქრებში ხშირად უბრუნდებოდა ამ ხილვას. ეს კი საბოლოოდ, მას ფუნდამენტური ნაშრომის შექმნაში დაეხმარა.

სომნოლოგები სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევენ სიზმრისეული შემოქმედებითი მიგნებებისა თუ სამეცნიერო აღმოჩენების არსებობას. მათი აზრით, ჩვენი ტვინი კომპიუტერის მსგავსად, ამუშავებს იმ ინფორმაციას, რომელსაც ის ღვიძილის პერიოდში იღებს. ამის შედეგად კი, ადამიანს ინფორმაცია სრულიად სხვა მხრიდან, არაორდინარული მეთოდით – სიმბოლოების სახითა და რაღაც გარკვეული ხატების მეშვეობით მიეწოდება. სწორედ არასტანდარტული წარმოდგენა ეხმარება მას იმ გამოსავლის პოვნაში, რომლის ძიებასაც მან ღვიძილის პერიოდში საკმაოდ დიდი დრო მოანდომა. სხვათა შორის, ეს ადასტურებს იმასაც, რომ ძილში ადამიანი კი არ ისვენებს, არამედ აქტიურად შრომობს. ტვინი, დღის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის სისტემატიზაციას ახდენს, მეხსიერების უჯრედებში გადანაწილებს მას, არჩევს და ცხრილავს ინფორმაციას – გონება კონცენტრირდება მნიშვნელოვან მოვლენებზე, ხოლო უმნიშვნელო ფაქტების იგნორირება ხდება. სწორედ ტვინის უწყვეტი აქტივობით მიიღწევა ის შემოქმედებითი მიგნებები თუ სამეცნიერო აღმოჩენები, რომელსაც ძილის პროცესში აქვს ადგილი.

წინასწარმეტყველური სიზმრები

მიუხედავად იმისა, რომ სიზმრისეულმა აღმოჩენებმა თუ შემოქმედებითმა მიგნებებმა სამეცნიერო ჰიპოთეზებს შორის დაიმკვიდრა ადგილი, წინასწარმეტყველურ სიზმრებთან დაკავშირებით, საქმე ბევრად უფრო რთულადაა. წინასწარმეტყველური სიზმრების არსებობა ან არარსებობა მეცნიერულად დღემდე არ არის დასაბუთებული. მიუხედავად ამისა, პაციენტებთან ურთიერთობისას, სომნოლოგები გამუდმებით აწყდებიან ამ პრობლემას.

ამგვარი სიზმრების ფენომენის ასახსნელად, მეცნიერები არაერთ ჰიპოთეზას აყენებენ. მაგალითად, ადამიანს ცხოვრებაში ისეთი სიტუაცია ექმნება, რომელიც აუცილებლად მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას. ადამიანი იძინებს, მაგრამ მისი ტვინი ძილშიც განაგრძობს მუშაობას. ძილის დროს, გონება მოვლენის შემდგომი განვითარების ლოგიკურ ჯაჭვს ავითარებს. როგორც წესი, ლოგიკა ზედმიწევნით ზუსტად მუშაობს და როცა ადამიანი იღვიძებს, სიზმრად ნანახი რეალობაში ისხამს ხორცს.

წინასწარმეტყველური სიზმრების ფენომენის სხვაგვარი ახსნაც არსებობს. ადამიანი, რომელმაც უსიამოვნო სიზმარი ნახა, გამუდმებით ამ ზმანების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება და რეალურ ცხოვრებაში ისე, რომ ამას თავად ვერც კი აცნობიერებს, იმ სცენარის მიხედვით მოქმედებს, რომელიც მან წუხელის სიზმარში იხილა. ამა თუ იმ სიტუაციაში მისი ქვეცნობიერება გარკვეული სამოქმედო სქემის მიხედვით ეწყობა და სიზმარიც რეალობად იქცევა. მაგალითად, ღამით ადამიანს შეიძლება, მეგობართან ჩხუბი დაესიზმროს და ეს უსიამოვნო განწყობა ძალაუნებურად ცხადშიც გაჰყვეს. დილით შესაძლოა მოეჩვენოს, რომ მეგობარმა რაღაც საეჭვოდ შეხედა, რომ ის ბოლომდე გულწრფელი არ არის... ამგვარი ეჭვებით კი ის გაუცნობიერებლად ხელს უწყობს კონფლიქტის პროვოცირებას. გარკვეული ხნის შემდეგ კი მას თავში მოსდის აზრი: „მე ხომ წუხელის დამესიზმრა, რომ ჩვენ ვიჩხუბებდით!“ სომნოლოგები წინასწარმეტყველური სიზმრებისადმი დამოკიდებულებას ჯერჯერობით, ამგვარად ხსნიან, თუმცა თავიანთი მოსაზრებების სისწორეში, ბოლომდე დარწმუნებულნი მაინც არ არიან.

მეცნიერები აღიარებენ, რომ ჯერ კიდევ შორს არიან სიზმრის მექანიზმის ახსნისაგან და იმასაც არ უარყოფენ, რომ სომნოლოგიაში უამრავი თეორი ლაქაა. ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, სიზმარი გენეტიკურად დაპროგრამებული პიროვნული თვისებების რეალიზაციის არხს წარმოადგენს. მათი აზრით, ასეთ დროს ცნობიერება განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სიზმარი გონების შინაგანი კუნჭულებისკენ და გარეგანი სასიგნალო სივრცისკენ გაჭრილი ფანჯარაა. ვინ იცის, იქნებ, რამდენიმე წლის შემდეგ ადამიანმა ამ ორი შემადგენელი ნაწილის დაკავშირება მოახერხოს და მაშინ, ჩვენ შევძლებთ ჩვენი ფიზიკური თუ ფსიქიკური შესაძლებლობების სპექტრის განვითარებას. ასე რომ – იძინეთ მშვიდად!

■

სომნოლოგები სიზმრის მექანიზმის ბოლომდე ახსნას, ჯერჯერობით, ვერ ახერხებენ. ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ადამიანი სიზმრის მეშვეობით გენეტიკაში კოდირებული თავისებურებების რეალიზაციას ახდენს. ისღა დაგვრჩენია, რომ ამ ინფორმაციის გამიფვრა ვისწავლოთ

ეროტიზმმა ფრანგურთშიც შეაღწია

იტალიელი ფრენბურთელი, მაურინია კაჩიატორი სამშობლოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაც სულაც არ არის გასაკვირი: 31 წლის სპორტსმენმა თითქმის ყველაფერს მიაღწია, რაზეც შეიძლება, დამწყებმა ათლეტმა იოცნებოს. მაურინია არაერთ ტიტულს დაეუფლა 16 და 18 წლის ასაკის ფრენბურთელთა ჩემპიონატებსა და ტურნირებზე. მან სამჯერ მოიგო სკუდეტო, ოთხჯერ – ქვეყნის თასი, ორჯერ – სუპერთასი, ხოლო თითოჯერ CEV-ის თასი და Coppa dei Campioni. კაჩიატორიმ დიდ წარმატებებს მიაღწია იტალიის ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობის დროსაც. სპორტის სხვა სახეობებიდან, მას კალათბურთი, ჩოგბურთი, აკრობატიკა და, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთი უყვარს. თავისუფალ დროს ხშირად კინოთეატრში დადის, ეთაყვანება ალ პაჩინოს, ხოლო შინ ყოფნისას, ყოველთვის ბრაიან ადამსს უსმენს. გარდა ამისა, ისევე, როგორც იტალიელ სპორტსმენთა უმეტესობა, კაჩიატორიც ყოველთვის მომხიბვლელად გამოიყურება. ამას წინათ, მან ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა, რითიც ყველას დაუმტკიცა, რომ ქალი, რომელიც თავის გარეგნობაზე სერიოზულად ზრუნავს, 30 წელს გადაცილებულ ასაკშიც არ კარგავს მიმზიდველობას. ■

იალქნიანი ნავით მსოფლიოს გარშემო

ბრიტანელმა ელენ მაკარტურმა მსოფლიოს გარშემო იალქნიანი ნავით განმარტოებით მოგზაურობაში ახალი რეკორდი დაამყარა: 28 წლის სპორტსმენს პლანეტის შემოსავლელად 71 დღე, 14 საათი, 18 წუთი და 33 წამი დასჭირდა (წინა მსოფლიო რეკორდი 72 დღე, 22 საათი, 54 წუთი და 22 წამი გახლავთ, რომელიც 2004 წლის თებერვალში ფრანგმა ფრენსის ჟუაიონმა დაამყარა). მაკარტურმა მოგზაურობა 2004 წლის 28 ნოემბერს დაიწყო და დაახლოებით 50 ათასი კილომეტრი გაიარა. „ეს მეტისმეტად მომქანცველი მოგზაურობა გახლდათ – ამბობს რეკორდსმენი – მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ პირველსავე ცდაზე მივაღწიე მიზანს“. ■

საყვარელი გუნდისთვის თავსაც ისაჭურისებენ

ცოტა ხნის წინ, უელსის მორაგბეთა ნაკრებმა ბოლო 12 წლის მანძილზე პირველად შეძლო ინგლისის გუნდის დამარცხება. მასპინძლებმა 11:9 მოიგეს, რაც უელსელთა ერთ-ერთმა ქომაგმა – არც მეტი, არც ნაკლები – საკუთარი კასტრაციით აღნიშნა. გაზეთი „დეილი მირორ“ იუწყება, რომ ამ მატჩის დაწყებამდე, 26 წლის ჯეფ ჰიუიშს ერთ-ერთ ლუდხანაში მეგობრებისთვის უთქვამს – თუ უელსის ნაკრები მოიგებს, თავს დავისაჭურისებო. ბუნებრივია, ლუდით შეზარხოშებულებმა ჯეფის ნათქვამი, მთვრალის ნაბოდვარად მიიჩნიეს, მაგრამ... მასპინძელი გუნდის გამარჯვების შემდეგ, ჰიუიში უმალვე შინ წასულა და დანით თავი დაუკოდავს. შეშლილი ფანი ამითიც არ დაკმაყოფილებულა და ისევ ლუდხანისკენ გაუწევია, რათა იქ მყოფნი თავისი ნათქვამის უტყუარობაში დაერწმუნებინა. დასაჭურისებულმა ჯეფმა მხოლოდ ორასიოდე მეტრის გავლა შეძლო, რის შემდეგაც მისი მდგომარეობა გარშემო მყოფებმა შენიშნეს და ჰიუიში ჰოსპიტალში გააქანეს. როგორც შედგომში მედიკოსებმა დაადგინეს, უელსის ნაკრების „თავგამოდებული“ ქომაგი ფსიქიკურად დაავადებული ყოფილა. ■

ჯარგი ჰუპის ცოდნა სიბერეშიც გამოსადეგია

მშობლებს ხშირად ბავშვი აღმოსავლური ორთაბრძოლების ან კრივის სექციაზე იმის გამო შეჰყავთ, რომ მათმა პირმშომ თავდაცვის უნარი გამოიმუშაოს, რაც მას ექსტრემალურ სიტუაციებში განსაცდელისგან იხსნის. სწორედ ასეთ ვითარებაში აღმოჩენილა ცოტა ხნის წინ, გერმანიის ყოფილი ჩემპიონი კრივში, 88 წლის გერჰარდ ბრინკმანი. ვეტერანი სპორტსმენი გარდაცვლილი მეგობრის გასახსენებლად, სასაფლაოზე მარტო ყოფილა მისული. უცნობ, გრძელთმიან ახალგაზრდას მისი დაყაჩაღება დაუპირებია. „...ვთხოვე, უფრო ახლოს მოსულიყო, რათა ფული მიმეცა. როდესაც ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა, ყბაში მთელი ძალით მარჯვენა ჰუკი ვუთავაზე. ის დაეცა და გარკვეული ხნის მანძილზე, მიწაზე უგონოდ ეგდო. პოლიციაში დავრეკე, მაგრამ ბოროტმოქმედი გონზე მოსვლისთანავე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა“, – ამბობს ბრინკმანი.

ქალაქ ჰალბერშტადტის პოლიცია ეჭვმიტანილის პოვნასა და დაკავებას ცდილობს. ■

როცა ერთმანეთს მუშტებს უდერებენ...

ამა თუ იმ კლუბის წარმომადგენლები ჩვეულებრივ, თავს იმით იწონებენ, რომ მათ გუნდში მეგობრობა და ურთიერთგაგება სუფევს, მაგრამ ხშირად ეს სინამდვილეს როდი შეეფერება. მოგეხსენებათ, თითოეულ მოთამაშეს ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად კოლეგებთან კონკურენცია უწევს, რაც არცთუ ისე იშვიათად, ფეხბურთელებს შორის კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნას უწყობს ხელს.

ერთიმეორის მიმართ აგრესიულობას თანაგუნდელები ძირითადად, ვარჯიშებსა და საწვრთნელ შეკრებებზე ავლენენ, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე გუნდის წარმომადგენლებს პირდაპირ ოფიციალური მატჩის მსვლელობისას დაუწყიათ ერთმანეთთან საქმის გარჩევა. მაგალითისთვის, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატს შეგახსენებთ, როდესაც ერთ-ერთ შეხვედრაში ბრაზილიელებმა – დუნგამ და ბებეტომ ძიძგილაობა წამოიწყეს და სხვა ყვითელმაისურიანები საქმეში დროზე რომ არ ჩარეულიყვნენ, მათი კონფლიქტი ალბათ უფრო გამწვავდებოდა. აი, ბუნდესლიგაში მოასპარეზე „შალკეს“ წარმომადგენლებს – დელუროსა და კამფუსს კი, მუშტი-კრივი ვარჯიშის დროს გაუმართავთ. თანაგუნდელებმა ისინიც დროულად გააშველეს, თუმცა მწვრთნელები მათ საქციელს სულაც არ აღუშფოთებია: ახალგაზრდა, ფიცხი ბიჭები არიან და რა გასაკვირია, რომ ხანდახან ასეთი სცენის მომსწრეც გავხდეთო?! რამდენიმე წლის წინ, ანალოგიური შემთხვევა მოხდა „ბარსელონის“ ვარჯიშზე. მაშინ ლუის ენრიკე, მარკ ოვერმარსის უხეში თამაშის გამო გაცხარდა და თანაგუნდელს მუშტები მოუღერა, მაგრამ დანარჩენმა ბარსელონელებმა თანაგუნდელებს ჩხუბის საშუალება არ მისცეს. ■

მოურინიო ძველ პალტოს ვერ ელევა

ფეხბურთის ქომაგებს კარგად მოეხსენებათ, რომ არაერთი ცნობილი მოთამაშე და მწვრთნელი უცნაური თვისებით გამოირჩევა. მათ შორისაა „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მოურინიო, რომლის შემოსავალიც წელიწადში 5 მილიონი გირვანქა სტერლინგია. მიუხედავად ამისა, პორტუგალიელი ფეხბურთის სპეციალისტი თავის ძველ, რუხ პალტოს ვერ ელევა და ახლით არ ცვლის, რის გამოც თურმე ხშირად, მაყურებლებისა და თავისი მოთამაშეების დაცინვის ობიექტიც ხდება. გაზეთი „სან“ იუწყება, რომ ამას წინათ, ლონდონური გრანდის მთავარ მწვრთნელს გუნდის ექიმ ნეილ ფრეზერთან მოსვლია უთანხმოება, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა თანამდებობა დატოვა. ამბობენ, რომ მწვრთნელისა და ექიმის კონფლიქტი ტრავმირებული არიენ რობენის გამო დაწყებულა, მაგრამ კამათის დროს რატომღაც ფრეზერს, მოურინიოს ძველმოდური პალტოც უხსენებია, რასაც „პორტუს“ ყოფილი დამრიგებელი მეტისმეტად გაუღიზიანებია. ერთი სიტყვით, პორტუგალიელი თავის განუყრელ სამოსს არათუ ვერ შეელევა, არამედ მასზე აუგის თქმასაც არავის აპატიებს. ■

მეგობრები თუ შეყვარებულები?!

ცოტა ხნის წინ, იტალიურმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომლის თანახმადაც კრისტიან ვიერი თავის ყოფილ საცოლეს, ცნობილ ტოპმოდელ ელიზაბეტ კანალისს შეურიგდა. საგულისხმოა, რომ კრისტიანისა და ელიზაბეტის ურთიერთობა 3 წელია, რაც გრძელდება, თანაც ამ პერიოდში, ისინი არაერთხელ დაშორდნენ ერთმანეთს და ისევ შერიგდნენ. გასული წლის მიწურულს, ფეხბურთელმა და მოდელმა კიდევ ერთხელ იჩხუბეს, რისი მიზეზიც, ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნებული, კანალისის ეროტიკული ფოტოები გახდა. ბობომ საცოლეს ასეთი სითამამე ვერ აპატია და დაშორდა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პაპარაცებმა იგი კვლავ შენიშნეს ელიზაბეტთან ერთად. საბოლოოდ, ყვითელ პრესაში დაწყებულ მითქმა-მოთქმას ისევ კანალისმა დაუსვა წერტილი. „მე და ვიერი მხოლოდ მეგობრები ვართ. რა თქმა უნდა, ბობო ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია. თუმცა, ამ მომენტში, მის მიმართ მხოლოდ მეგობრული გრძნობა მაქვს. არ მინდა, რომ ჩვენს ურთიერთობაში გაურკვევლობა შეიქმნას. დღეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები, მამაჩემი ცეზარი, ჩემი ძმა ლუიჯი და ბაბუა სალვატორე არიან. არ შემიძლია, ჩემი დობერმანის ანდრიუს გარეშე ცხოვრებაც. რაც შეეხება ბობოს, იგი მხოლოდ მეგობარია. ბოლოს და ბოლოს, ქორწინებაზე ხომ ჯერ არც მიფიქრია. ოჯახის შექმნა არ მეჩქარება და ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ,“ – ამბობს კანალისი. ■

BMW — ბავარიული ექსპრესი

წლის დამდეგიდან, გერმანულმა კონცერნმა მოდელის – M5 – რეალიზაცია დაიწყო. ეს მანქანა, არცთუ ისე უსაფუძვლოდ, ჩქაროსნული სედანის სეგმენტში ამთავითვე ლიდერობის პრეტენზიას აცხადებს. ახალი „ბავარიელი“ აღჭურვილია 5 ლ სამუშაო მოცულობის, 10-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი, რომელიც 507 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ეს უკვე მეოთხე თაობის სედანი M5-ია, რომლის პირველი ნიმუში 1984 წელს გამოჩნდა ასპარეზზე. ამ წლების მანძილზე, სულ 20 ათასი M5 გაიყიდა.

ახალი სპორტული BMW უახლესი, 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. მას დართული აქვს თან ფუნქცია Drivelogic, რომელიც საშუალებას მისცემს მძღოლს, გადაცემათა გადართვის რეჟიმები ცვალოს. სულ გათვალისწინებულია 11 ვარიანტი, რომელიც საჭესთან მჯდომს, მართვის ინდივიდუალური სტილისთვის გადაცემათა კოლოფის მორგებით უზრუნველყოფს. მძღოლს საშუალება აქვს აგრეთვე, ცვალოს ძრავას სამუშაო მახასიათებლები – მაგალითად, მისი მაქსიმალური სიმძლავრის დროებით გაუქმება: 507 ცხ.ძ. სიმძლავრე ხომ არცთუ ისე ხშირადაა საჭირო.

100 კმ/სთ სიჩქარეს ახალი 5,5 წმ-ზე ნაკლებ დროში ავითარებს, 200 კმ/სთ ნიშნულს 15 წმ-ში აღწევს, ხოლო 250 კმ/სთ სიჩქარის მიღწევისას, საქმეში სიჩქარის ელექტროშემზღუდავი ერთვება.

ბოლოს დავძენთ, რომ BMW M5 ყოველ 100 კმ გარბენზე 14,8 ლ საწვავს ხარჯავს. მისი მინიმალური ფასი გერმანიაში 86.200 ევრო გახლავთ. ■

„მძიმეწონოსანი“ Land Rover

ცოტა ხნის წინ, ე.წ. ყველგანმავლების კლასში კიდევ ერთი ახალი მოდელი – Land Rover Discovery V8 გამოჩნდა. ამ ცნობილი ავტომობილის ახალი მოდიფიკაცია 6-საფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. Land Rover მას Jaguar-ს დაესესხა. 8-ცილინდრიანი აგრეგატის მახასიათებლები ასეთია: სიმძლავრე – 299 ცხ.ძ., ძრავას სამუშაო მოცულობა – 4,4 ლ („იაგუართან“ შედარებით, ის 200 კუბ/სმ-ითაა გადიდებული); 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 10,1 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე, 196 კმ/სთ-ია; საწვავის საშუალო ხარჯი – 14,9 ლ ყოველ 100 კმ-ზე. მაქსიმალური სიჩქარის ერთობ მოკრძალებული მაჩვენებელი და ძრავას „გაუმაძღრობა“ მანქანის დიდი მასით აიხსნება – ის 2,6 ტონას იწონის.

სრული ამძრავის სამართავი სისტემა – Terrain Response, 5-რეჟიმიანია: მაგარსაფრიანი გზა, ბალახი/თოვლი, ტალახი, ქვიშა, ქვაღორღიანი ზედაპირი. აქტივირებული რეჟიმის შესახებ ინფორმაცია დისპლეიზე აისახება. კოსტრუქტორებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს მანქანის მართვადობა, განსაკუთრებით – ზღვრული სიჩქარით მოძრაობისას. გაუმჯობესებულია აგრეთვე გადაცემათა კოლოფი, რომელიც გადართვისას გაცილებით რბილი გახდა. ევროპულ ბაზარზე Land Rover Discovery V8, მინიმუმ 57.300 ევრო ღირს. ■

Mitsubishi-ს საგარანტიოდ 3 წელი აღარ აკმაყოფილებს

იაპონურმა კომპანიამ თავისი მანქანებისთვის განსაზღვრული გარანტიის ახალი ვადების დაწესების შესახებ გამოაცხადა. წლევანდლამდე, მწარმოებლის გარანტია 3 წელს ან 100-ათასკილომეტრიან გარბენს ითვალისწინებდა. ამიერიდან კი, „მიცუბიშის“ იმ ავტომობილების მფლობელებს, რომლებსაც ის 2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლის 31 მარტამდე აქვთ შეძენილი, 5-წლიან ან 15-ათასკილომეტრიან საგარანტიო მომსახურებას სთავაზობენ.

ახალი სისტემის შემოღება იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ კომპანიამ მკვეთრად გაუმჯობესა საკუთარი ნაწარმის ხარისხი. საქმე ის გახლავთ, რომ შარშან გაზაფხულზე, ფირმას ამ მხრივ ბევრი პრობლემა შეექმნა: „მიცუბიშის“ რამდენიმე, მათ შორის – სატვირთო მოდელის გამოწვევაც კი მოუხდა იმის გამო, რომ მათ არაერთი ტექნიკური ხარვეზი აღმოაჩნდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა კომპანიის მენეჯმენტმა, რადიკალურად შეეცვალა ხარისხზე კონტროლის სისტემა და პრობლემაც სულ მოკლე ხანში მოგვარდა. ■

სისხლის აღების წესი

როცა სახელმწიფო უძლურია

არსებობს დაწერილი კანონი — სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის და კოდექსის სახით — და არსებობს დაუწერელი კანონი, რომელსაც ქმნის ხალხი, საზოგადოება და თაობიდან თაობას გადაეცემა. კანონი არსებობს იმისთვის, რომ დამნაშავე დაისაჯოს. როდესაც ამას სახელმწიფო მართლმსაჯულება ვერ ახერხებს, საქმეში თავად დაზარალებული მხარე ერთვება...

მარინა ჯავახაძე



მთის კანონები განსაკუთრებული სასასტიკით გამოირჩევა. სისხლის აღების წესი მხოლოდ საქართველოს მთიანი რეგიონისთვის როდია დამახასიათებელი. ევროპაში — მგალითად, სიცილიაში, ბასკეთში, კორსიკაზე — სულ ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი მსგავსი ტრადიცია. თითქოს წარმოუდგენელია, რომ XXI საუკუნეში კვლავ არსებობს სისხლის აღების წესი, მაგრამ ეს პრობლემა სამწუხაროდ, დღესაც ძალზე აქტუალურია ჩვენში, განსაკუთრებით — სვანეთში. ფშავ-ხევსურეთში სოფლები დაცლილია, იქ მხოლოდ მოხუცები ცხოვრობენ და ამის გამო, ეს უძველესი ტრადიცია დავიწყებას მიეცა. სვანეთი კი, მთის რეგიონებს შორის, მოსახლეობის სიმრავლით დღესაც გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პრობლემა იქ კვლავ მწვავედ დგას.

საიდან მოდის სისხლის აღების წესი, როგორ ისჯება დამნაშავე, რატომ ითვლება სამარცხვინოდ სისხლის აუღებლობა?..

***ხათუნა იოსელიანი**, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:*

— სისხლის აღების წესი წარმართული რელიგიის წიაღიდან იღებს სათავეს. მაშინ ასეთი დევიზი იყო — სისხლი სისხლის წილ! უფრო მოგვიანებით, როცა ქრისტიანობა დამკვიდრდა, არც ეკლესიას სჭირდებოდა სისხლიანი მსხვერპლი და არც საზოგადოებას. ამიტომ იმთავითვე დაიწყო ბრძოლა, ამ ტრადიციის აღმოსაფხვრელად. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე გვხვდება სისხლის აღების შემთხვევები. საერთოდ, სისხლს ძალზე დიდი მისტიკური დატვირთვა აქვს. წინათ წითელი, სამგლოვიარო ფერი გახლდათ, მაგრამ ჭირისუფლისთვის იმდენად მძიმე სატარებელი იყო, რომ დროთა განმავლობაში, თალხით შეიცვალა. წინათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყო ეს წესი გავრცელებული, მაგრამ ბარის რეგიონის სოციალური დაწინაურების, მეფის ხელისუფლების უფრო განმტკიცების და სადამსჯელო სტრუქტურის კარგად განვითარების გამო, სისხლის აღების წესი თანდათანობით დავიწყებას მიეცა. მთაში, სადაც ხელისუფლების სისუსტე იგრძნობოდა, მოკლულის ოჯახის წევრები თავად არეგულირებდნენ ამ საკითხს: იმ პერიოდში, კარგად იყო განვითარებული ხალხური სამართალი, თითოეულ სოფელს ჰყავდა მის მიერ არჩეული, ე.წ. მოსამართლე, რომელსაც სხვადასხვა დანაშაულისთვის გამოჰქონდა სასჯელი. ბალსზემო სვანეთში იყო რამდენიმე ვარგისი ანუ კეთილშობილი გვარი — დევდარიანები, ჟორჟოლიანები, ქურდიანები, ჯაფარიძეები და იოსელიანები. შემორჩენილია დოკუმენტები, სადაც აღნიშნულია, რომ ვთქვათ, ერთი ჯაფარიძის ან ერთი იოსელიანის სისხლი გახლდათ ტოლფასი გარკვეული რაოდენობის მიწის, ძვირფასეულობის ან ნახირისა; ჩადენილი დანაშაულისთვის ასეთი სასჯელიც გამოჰქონდათ — დამნაშავემ უნდა გადაიხადოს ერთი (ორი, სამი და ა.შ.) ჯაფარიძის ან იოსელიანის სისხლის საფასური... დანაშაულად მარტო მკვლელობა ან კაცის დაჭრა არ ითვლებოდა. ნებისმიერი ქურდობა ან ისეთი ქმედება, რომელიც სოფელს ავნებდა — ეკლესიის გაძარცვა, ღალატი, ქალის გაუპატიურება — მკვლელობის ტოლფასი გახლდათ. დაჭრილისთვის მიყენებული ჭრილობის სიგრძისა და სიღრმის გაზომვა ხდებოდა ხორბლის მარცვლებით და სასჯელიც შესაბამისად, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ხდებოდა დამნაშავის, გვარიდან, თემიდან მოკვეთა, გადასახლება, რაც უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. ვარგისი გვარის წარმომადგენლის მკვლელობისთვის დამნაშავე სამჯერ უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი გვარის წარმომადგენლის მკვლელობის შემთხვევაში. წინათ, ვარგის და ძლიერ გვარს სისხლის აღებას ვერ უბედავდნენ და დაზარალებულ მხარეს ერჩივნა, საზღაური აეღო, მიწის ან ძვირფასეულობის სახით. ძალაუფლება და სიმდიდრე ამ გვარების ხელში იყო. ამიტომ მათთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, დაღვრილი სისხლისთვის საზღაურის გადახდა.

*ქალბატონი **ლუგა**, 45 წლის:*

— დავიბადე და გავიზარდე მესტიის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. დედმამაშვილებს შორის, უფროსი ვიყავი. სამი ძმა მყავდა, მაგრამ არც ერთი აღარ არის ცოცხალი... ჩემი მომდევნო ძმა, დავითი ძალზე წყნარი და ჩუმი ბიჭი იყო. ოჯახში ყველაზე ნიჭიერი, ჭკვიანი და შრომისმოყვარე სწორედ ის გახლდათ. სკოლის დამთავრებისთანავე, სტუდენტი გახდა. მამაჩემმა თბილისში ბინა უყიდა და მასთან ერთად მეც

თბილისში გამომიშვა, რომ ძმისთვის მიმეხედა. ულამაზესი ბიჭი გახლდათ, თვალს ვერ მოსწყვეტდით — მაღალი, მხარბეჭიანი, ქერა და თაფლისფერთვალება. ბევრ გოგოს ვიცნობდი, მასზე ფიქრში ღამეებს რომ ათენებდა. დავითს კი, ერთი მოსწონდა და მხოლოდ მასზე ოცნებობდა. უნივერსიტეტში ახალგაზრდა, 35 წლის ლექტორი მუშაობდა. ის უცოლო გახლდათ და სწორედ მერიზე (დავითის შეყვარებულზე) ჰქონია თვალი დადგმული. როდესაც შეიტყო, რომ ეს მშვენიერი ჭაბუკი მისი მეტოქე იყო, ჯიბრში ჩაუდგა და გასაქანს არ აძლევდა — არც ჩათვლას უწერდა, არც გამოცდაზე აძლევდა დადებით შეფასებას. დავითს ყველა საგანში უმაღლესი შეფასება ჰქონდა, ეს ერთი საგანი კი ვერა და ვერ ჩააბარა. ერთ დღეს, მივიდა ლექტორთან და კაცურად დაელაპარაკა: — მითხარი, რა გინდა, რატომ არ მიწერ ნიშანსო? იმანაც მიზეზი დაუფარავად უთხრა. შეკამათდნენ და დავითი დამუქრებია — არ გაპატიებო. რამდენიმე დღის შემდეგ, ლექტორმა თავისი ახლობელი 3 ბიჭი მიუგზავნა. დავითი სალაპარაკოდ გაჰყვა. ცოტა ხანში კი შემატყობინეს, რომ მძიმედ დაჭრილი, საავადმყოფოში წაუყვანიათ. ჩემს მისვლამდე, ჩემმა ძმამ სული დალია. რა თქმა უნდა, ძმის სიკვდილი ძალზე განვიცადე, მაგრამ ჩემს მწუხარებას ისიც ემატებოდა, რომ მომდევნო ძმების დარდი მკლავდა: ვიცოდი, მკვლელს არ აპატიებდნენ და ისინიც უნდა დაღუპულიყვნენ... ორმოცის შემდეგ, 17 წლის პაატა შინიდან გაიპარა. უკვე ვიცოდით, რომ ჩვენს თავს კიდევ ერთი უბედურება დატრიალდებოდა. სასწრაფოდ თბილისში წამოვედი, რომ პაატა შემჩერებინა, მაგრამ ვერსად მივაგენი — ვერც შინ, ვერც რომელიმე ნათესავთან. ერთი კვირის უშედეგო ძებნის შემდეგ შინ მისულს, მაგიდაზე ბარათი დამხვდა: დავითის მკვლელი მის გზას გავუყენე, მოდი ერთად, მშვიდობითო! — სულ ეს იყო. პაატა რუსეთში გადაიკარგა და მართლმსაჯულებას კარგა ხანს ემალებოდა, 8 წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში... ის ლექტორი სვანი არ გახლდათ, მისი ნათესავების მხრიდან სისხლს არავინ აიღებდა, მაგრამ პაატა მართლმსაჯულებას გაურბოდა. 2 წლის შემდეგ კი, საკუთარი იარაღით თავი მოიკლა. დღემდე არავინ იცის, რატომ ჩაიდინა ეს... ჩემი უმცროსი ძმა 32 წლის ასაკში გახდა სისხლის აღების მსხვერპლი. ჩვენმა ბიძაშვილმა, ახალგაზრდა ბიჭი მოკლა და გადაიკარგა. სად აფარებდა თავს, არავინ იცოდა. მის ოჯახში მხოლოდ დედა და და დარჩნენ, ამიტომ დაზარალებულის ოჯახმა ჩემი ძმა მოკლა და სისხლი ასე აიღო...

ხათუნა იოსელიანი:

— თუ მკვლელის ოჯახში მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები არიან დარჩენილი, ამ შემთხვევაში, სისხლს უახლოესი ნათესავის მოკვლით იღებენ, რადგან ქალის, ბავშვისა და მოხუცის მოკვლა სირცხვილად ითვლება — შეიძლება, მოკლა მხოლოდ კაცი, რომელსაც იარაღის ტარება და თავის დაცვა ძალუძს. არ იფიქროთ, რომ ამ ტრადიციის მომხრე ვარ, მაგრამ სისხლის აღების წესში არის ვაჟკაცური ელემენტები... საბჭოთა პერიოდში, სვანეთში პარალელურად მოქმედებდა ორი მართლმსაჯულება — სახელმწიფო და სახალხო. თუ მკვლელს სახელმწიფო დაიჭერდა და დასჯიდა, მაშინ ყველაფერი მთავრდებოდა, გვარები შერიგდებოდნენ და სისხლი აღარ იღვრებოდა.

— რამდენადაც ვიცი, არსებობს სპეციალური შერიგების რიტუალი...

— დიახ, თემს ჰყავდა არჩეული ასაკოვანი, ავტორიტეტული ადამიანი, რომლის სიტყვასაც ფასი და წონა ჰქონდა. სწორედ ეს ადამიანი ახდენდა მოსისხლე გვარების შერიგებას. ეს რიტუალი აუცილებლად ტარდება ერთ-ერთ ოჯახში, კერიასთან, რადგან კერიას სვანურ სინამდვილეში ძალზე დიდი დატვირთვა აქვს. კერიის შეურაცხყოფა და შებილწვა მკვლელობის ტოლფასი გახლდათ და ამას არავის აპატიებდნენ. შერიგების დროს, მკვლელს ხელს რძით ჰბანდნენ, რადგან რძე წმინდა სითხედ ითვლება და მიაჩნდათ, რომ ამ გზით მკვლელის განწმენდა ხდებოდა. შერიგების შემდეგ, სისხლის დაღვრა დიდ სირცხვილად იყო მიჩნეული: ამის ჩამდენი თემის წინაშე ნაკისრ პასუხისმგებლობაზე იღებდა ხელს.

— გამიგონია, რომ თუ სისხლს ვერ იღებს, დაზარალებული მხარე მკვლელის სახლ-კარს წვავს ხოლმე...

— სახლ-კარის დაწვა სისხლის აღების ტოლფასი არ გახლავთ. ასეთი წესი სამეგრელოში დღესაც გვხვდება. ეს მაშინ ხდება, როცა მკვლელის ოჯახი გაიქცევა და საცხოვრებელ ადგილს მიატოვებს.

— რა ხდება მაშინ, როდესაც მკვლელიც და მოკლულიც, ერთი გვარის წარმომადგენლები არიან?

— ასეთ შემთხვევაში, მთელი გვარი ფეხზე დგება და კონფლიქტს აგვარებს. ოჯახები სასწრაფოდ რიგდებიან და არავითარ შემთხვევაში არ იღებენ სისხლს. ამ დროს, თუნდაც მკვლელობასთან გვქონდეს საქმე, ამბობენ, რომ უბედური შემთხვევა მოხდა...

ელენე, 30 წლის:

— სკოლა რომ დავამთავრე, სამედიცინო უნივერსიტეტში შევიტანე საბუთები. პირველ წელს ქულები დამაკლდა. მეორე წელს კი, მამამ ბალტიისპირეთში, ქალაქ ტარტუში წამიყვანა და იქ ჩამაბარებინა. ბინა მიქირავა და თვითონ უკან, საქართველოში დაბრუნდა. ბუნებრივია, თავიდან გამიჭირდა იქაურ ხალხთან და გარემოსთან შეგუება. იქ მყოფ რამდენიმე ქართველს დავუახლოვდი და მალე დავმეგობრდით კიდეც. მესამე კურსზე ვიყავი, როდესაც ერთი მეგობრის გვერდით ძალზე კარგი გარეგნობის, ახალგაზრდა ბიჭი გამოჩნდა. პირველსავე შეხვედრისას მომეწონა. გაცნობისას, გია ხვედელიძედ წარმომიდგინეს. სულ მალე, ერთმანეთი შეგვიყვარდა. ერთი რამ სჩვეოდა — ზოგჯერ, 2-3 კვირით გადაიკარგებოდა. უზომოდ მენატრებოდა და ღამეებს ტირილში ვატარებდი, მეგონა, აღარასოდეს დაბრუნდებოდა. მაგრამ ისევ გამოჩნდებოდა, სიყვარულით სავსე თვალებით შემომხედავდა და — მე რომ მომენატრე, შენც ისე მოგენატრეო? — მკითხავდა... გულჩათხრობილი იყო, საკუთარ თავზე არაფერს მიყვებოდა. ბევრ შეკითხვას ვუსვამდი, მაგრამ პასუხს თითქმის ვერც ერთზე ვერ ვიღებდი. ჩავთვალე, რომ ასეთი ხასიათი ჰქონდა და ყურადღებას აღარ ვაქცევდი. 90-ანი წლები იყო. ცხოვრება ყველგან ჭირდა და არც ბალტიისპირეთი იყო გამონაკლისი. გიას კი ფული გამოუ ლევლად ჰქონდა, თანაც იმდენი, რომ ლამის იყო, შეეძლო, მთელი ქალაქი ეყიდა... ვიცოდი, რომ ის კრიმინალური ავტორიტეტი იყო, თან ძალზე გავლენიანი. ყველგან ვგრძნობდი ჩემ მიმართ რიდსა და პატივისცემას და ვიცოდი, რომ ეს გიას დამსახურება იყო. მამა 2-3 თვეში ერთხელ მაკითხავდა, მაგრამ ჩემი და გიას ურთიერთობას საგულდაგულოდ ვუმალავდი. ერთხელ გიას ვუთხარი — მამაჩემი ჩამოდის, უნდა გაგაცნო-მეთქი; სწორედ წინადღეს დაიკარგა და მხოლოდ მამაჩემის წასვლის შემდეგღა გამოჩნდა. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძაღლის თავი სწორედ აქ იყო დამარხული... მე მყავდა ბიძაშვილი, მამის ძმისშვილი, რომელიც ჩვენს ოჯახში გაიზარდა, ვინაიდან მშობლები ადრე გარდაეცვალა. ჩემ გვერდით, ძმასავით იზრდებოდა. ძალზე სასტიკი ადამიანი იყო. შეეძლო, ძაღლი წამებით მოეკლა, ადამიანსაც ისე გამოასალმებდა სიცოცხლეს, რომ თვალს არ დაახამხამებდა. რომ წამოიზარდა, მისი სახელის ხსენება ყველას შიშის ზარს სცემდა. ყველა თავს არიდებდა მასთან ურთიერთობას. ერთხელ, მეზობელ სოფელში ქორწილში წასულმა, მამის ტოლი კაცი საზარელი სიკვდილით გამოასალმა წუთისოფელს. სულ მალე კი, სწორედ ისეთივე საზარელი სიკვდილით მოკლეს თვითონ. ყველა ამბობდა, რომ იმ კაცის შვილმა აიღო სისხლი. მახსოვს, მამაჩემი კარგა ხანს ეძებდა ძმისშვილის მკვლელს, მაგრამ ვერსად მიაგნო. სწორედ ეს ბიჭი აღმოჩნდა გია. ჩემი ბიძაშვილის მოკვლის შემდეგ, პასპორტი გამოიცვალა და გია ხვედელიძის სახელითა და გვარით ცხოვრობდა. ეს ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვე, რაც მისი ცოლი გავხდი. მშობლებს შევატყობინე — გავთხოვ-



დი-მეთქი. მალე მამა და 5-6 ნათესავი მამაკაცი ჩამოვიდნენ ტარტუში. გია ერთ-ერთმა მათგანმა იცნო... შეხვედრისთანავე შევამჩნიე, რომ ჩემი ნათესავები მოიღუშნენ. თუმცა, მიზეზს ვერ მივხვდი. სვანების ამბავი ხომ იცით – მეგონა, ის არ მოეწონათ, მამის თანხმობის გარეშე რომ გადავდგი ეს ნაბიჯი... გიამ და ჩემმა ნათესავებმა მთელი ღამე ერთმანეთთან პირისპირ გაატარეს, ლაპარაკობდნენ. მეორე დღეს კი, სადღაც წავიდნენ. მამა 2 საათის შემდეგ დაბრუნდა, ხელი ჩამავლო, ტაქსიში ჩამსვა და აეროპორტს რომ მივუახლოვდით, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ საქართველოში მოვყავდი. დიდი წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მე და მამა თბილისში გამოვფრინდით, შემდეგ – სვანეთში წავედით. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი ნათესავებიც დაბრუნდნენ, მამასთან ერთად ოთახში ჩაიკეტნენ და კარგა ხნის შემდეგ გამოვიდნენ იქიდან. ვხვდებოდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა, მაგრამ რატომ – არ ვიცოდი. ღამით მამას ვთხოვე, აეხსნა, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს, მაგრამ მან არაფერი მითხრა. ყველამ რომ დაიძინა, შინიდან გავიპარე. ღამე ტყეში გავათენე, მეორე დღეს კი თბილისში ჩამოვედი. აქ ნათესავს ფული ვთხოვე და უკან, ტარტუში დავბრუნდი. მივაკითხე გიას მეგობრებს. მათ კი სასაფლაოზე წამიყვანეს და მისი საფლავი მაჩვენეს... ჩემი გული ახლაც იქ, გიასთან ერთად არის დამარხული. მამამ და ჩემმა ნათესავებმა მას მკაცრი განაჩენი გამოუტანეს და მეც დავისაჯე. არ აპატიეს ჩემი ბიძაშვილის სისხლი. ანგარიში იმასაც არ გაუწიეს, რომ ის ჩემი ქმარი იყო... კარგა ხანს დავრჩი ტარტუში, ოჯახთან კონტაქტი გავწყვიტე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იქვე დავიწყე მუშაობა. მამის სიკვდილის ამბავი შემატყობინეს, მაგრამ გასვენებაში არ ჩამოვსულვარ... ახლა უკვე 6 წელია, რაც თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ ოჯახთან კვლავ არანაირი კონტაქტი არა მაქვს. პირველყოფილი ადამიანიც კი არ მოექცეოდა შვილს ისე სასტიკად, როგორც მე მომექცა ჩემი ოჯახი...

რა აზრისაა სისხლის აღების ტრადიციაზე ადამიანის უფლებების დამცველი სოზარ სუბარი, მით უმეტეს, რომ ის წარმოშობით სვანია.

***სოზარ სუბარი**, ომბუდსმენი:*

– ადამიანის უფლებების დამცველისგან რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სისხლის აღების ტრადიციაში მე ვხედავ ვაჟკაცურ და ამ წესის გამამართლებელ ელემენტებსაც. როდესაც არსებობს სახელმწიფო, მაგრამ არ არსებობს სასამართლო, სადამსჯელო სისტემა, საკანონმდებლო ორგანო, რა რჩება?.. ხალხური სამართალი: დაზარალებულმა მხარემ თვითონ უნდა დასაჯოს დამნაშავე, რომ ვიღაცას არ შერჩეს თავგასულობა. ეს წესჩვეულება თავს იჩენს მაშინ, როცა იგრძნობა ხელისუფლების სისუსტე. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას, როცა მოიშალა პოლიციის სისტემა, თბილისშიც და მთელ საქართველოშიც ერთი საძმო ებრძოდა მეორეს, გვარდია დაუპირისპირდა „მხედრიონს", – რატომ ხდებოდა ასე? იმიტომ, რომ კანონის „ნაკლებობა" იგრძნობოდა. მე პროფესიით ისტორიკოსი გახლავართ, ამიტომ კარგად ვიცი, XII-XV საუკუნეებში როგორ ყალიბდება თემური მმართველობა, რომელიც „ავი ჟამის დადგომის" გამო ხდება. როცა თემსაც ბზარი გაუჩნდა, გვარი გახდა იძულებული, დაეცვა თავი... საბჭოთა პერიოდში, მკვლელები არ ეპუებოდნენ სამართალს, მოკლავდნენ კაცს და 3 წლის შემდეგ, უკვე ციხიდან გამოდიოდნენ ან სულაც, თავიდანვე გარეთ რჩებოდნენ... ვიღაცას ხომ უნდა დაემყარებინა წესრიგი! დამსჯელის ფუნქცია ხალხმა საკუთარ თავზე აიღო. ამას ემატებოდა ისიც, რომ მოკლულის მხარეს ხშირად ეუბნებოდნენ – ვერ ისისხლეთ, მკვლელი დაუსჯელია, ეს ხომ თქვენი სირცხვილიაო!.. ბოლო 10 წლის განმავლობაში, ისევ აღორძინდა სისხლის აღების ტრადიცია, რადგან სახელმწიფოში ისევ „ბეზპრედელი" დაიწყო. ამის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი გზაა – ძლიერი სახელმწიფო და კანონის სამართლიანობის რწმენა: ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ დამნაშავე ისე დაისჯება, როგორც იმსახურებს. მკვლელს უნდა ეშინოდეს იმის, რომ თუ სახელმწიფო არ დასჯის, დასჯიან მოკლულის ახლობლები; თუ თვითონ აარიდებს სამართალს თავს, დაისჯება მისი ძმა, ბიძაშვილი, ახლობელი, ოჯახის წევრი... მართალია, ეს უკანონობაა, არ გეგონოთ, ძალიან მომწონს, მაგრამ როცა სხვა გამოსავალი არ არის, რას იზამ?.. თუ სახელმწიფო შესაბამის სიმაღლეზე იქნება, ეს ტრადიციაც მოიშლება. გვარები ერთმანეთში რიგდებიან მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხრიდან „თანაბარი სისხლი" დაიღვრება. ამ დროს ორივე გვარის წარმომადგენელი მამაკაცები იკრიბებიან. მკვლელის მხარე ამბობს – პირიქით რომ ყოფილიყო და ჩემი გვარის კაცი მოეკლათ, ვაპატიებდიო. შერიგება ხშირად, ხდება ეკლესიაში – ე.წ. ხატში: ხდებოდა ხატთან ფიცის დადება, რომ ამ ოჯახებს შორის შუღლს ადგილი აღარ ექნებოდა. პროცესს ესწრებოდნენ ნეიტრალური პირები, რომლებიც მკვლელის მხარეს უნდა დაეჯერებინა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადგილზე რომ ყოფილიყო, აპატიებდა. ეს არც ისე იოლი გახლდათ. შერიგების შემდეგ, არასოდეს არ უნდა წამოეძახებინა მკვლელის მხარეს – ჩვენ კაცი მოგიკალით, თქვენ კი ვერ ისისხლეთ, ისე შემოგირიგეთო, – ეს მტრობის დასაწყისი იქნებოდა.

– თუ ყოფილა შემთხვევა, რომ სისხლი ქალს აეღოს?

– ასეთი შემთხვევა დიდი ხნის წინ მოხდა. ვინაიდან ოჯახში მამაკაცი არ დარჩა, ქალმა ძმის სისხლი აიღო და მისი მკვლელი სიცოცხლეს გამოასალმა... საერთოდ, ასეთი რამ არ ხდება: სისხლის აღება ვაჟკაცთა წესია.

– თქვენ თუ გქონიათ შემთხვევა, რომ სისხლი უნდა აგეღოთ?..

– ასეთი ფაქტის წინაშე დავმდგარვარ, მაგრამ არ ამიღია სისხლი. ჩემი ძმა ცდილობდა სამაგიეროს გადახდას, მაგრამ დაიღუპა. ის ადამიანი დღესაც დაუსჯელია...

სისხლის აღების ტრადიციის გამო, ბევრი ახალგაზრდა გახდა მკვლელი, ვაჟკაცობის შერცხვენას, ტყეში გახიზნა ამჯობინა და უნებლიე კრიმინალად იქცა. სვანი ქალების უმეტესობა კი, ისე მოხუცდება, რომ სამგლოვიარო ტანისამოსს ვერ იხდის. წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ძმა, ქმარი ან ბიძაშვილი არ მოუკლან... საუკეთესო ვაჟკაცების უმეტესობა კი ისე მიდის იმ ქვეყნად, რომ გვარის გამგრძელებელიც არ რჩება...

■

ირაკლი ლომაიას ფენომენით უცხოელი სპეციალისტებიც დაინტერესდნენ

სენაკელი ირაკლი ლომაიას ფენომენის შესახებ, რომელსაც სხეულზე ჯვრები ესახება და მირონი სდის, მთელმა საქართველომ შეიტყო. მკურნალი, მლოცველი და ექსტრასენსი სასწაულებს ახდენს. იგი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს. წინასწარ ხედავს, ვის რა უბედურება ელის მომავალში და ცდილობს, ისნას განსაცდელისგან. კავშირს ამყარებს გარდაცვლილთა სულებთან და პოლტერგეისტს გზის გაკვლევაში ეხმარება. ლომაიას მალალჩინოსნებიც ხშირად სთხოვენ დახმარებას. ირაკლის ფენომენით უცხოელი სპეციალისტებიც დაინტერესდნენ და საგანგებოდ მიიწვიეს საბერძნეთში, გერმანიაში, იტალიასა და ავსტრიაში. ირაკლი ლომაია ახლახან ჩამოვიდა ევროპიდან. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, მაინც მოვახერხეთ მასთან შეხვედრა და საუბარი.

ნანა სისაური

— ირაკლი, როგორ აღმოჩნდით უცხოეთში?

— ევროპაში გამგზავრებამდე, მოსკოვში ვიყავი მიწვეული (სწორედ იქ დაინტერესდნენ ჩემი ენერგიით უცხოელი სპეციალისტები). მოგვიანებით. უკვე თბილისში, ტელეფონით დამიკავშირდნენ და საგანგებოდ მიმიწვიეს საბერძნეთში, პარაფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, რომელსაც თავისი ფილიალები აქვს იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში.

— რა მიზანს ისახავდა თქვენი ვიზიტი?

— უცხოელმა სპეციალისტებმა გამოიკვლიეს ჩემი უჩვეულო ენერგია, ჩაატარეს პარაფსიქოლოგიური ექსპერიმენტები, მომიყვანეს ავადმყოფები. მე მათ დიაგნოზს ვუსვამდი და ვმკურნალობდი, უამრავი ადამიანი მივიღე. სამი თვე დავყავი საბერძნეთში, საიდანაც პარაფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ფილიალებმა მიმიწვიეს, თითო თვით — იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში. უცხოელმა სპეციალისტებმა საბერძნეთში დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ ოჯახური პირობების გამო უარი ვთქვი, თანაც სამშობლო მაინც სამშობლოა!

— ირაკლი, ვიცი, რომ 17 წლამდე ხშირად ავადმყოფობდი...

— მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელი დავიბადე, იმდენი ვიავადმყოფე, სიცოცხლე აღარ მინდოდა. სტრესულ მდგომარეობაში ვიყავი, თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი, დავტანჯე მშობლები. სახლი გაყიდეს და ექიმებთან დამატარებდნენ. 17 წლის რომ გავხდი, ერთხელაც გული წამივიდა და იატაკზე გავიშხლართე, შოკში ჩავვარდი, ჯვრის ფორმა მივიღე და ჰაერში ავიწიე. გონდაკარგული თურმე ვწინასწარმეტყველებდი. ღამის 11 საათიდან დილის 9 საათამდე ვიყავი ამ მდგომარეობაში. როცა გონს მოვეგე, წმინდა ნიკოლოზი გამომეცხადა და მითხრა: „შენ ღვთის შვილი ხარ!“ მას შემდეგ ხილვები დამეწყო და თითქმის ყველა წმინდანი გამომეცხადა, რჩევებს მაძლევდნენ, როგორ უნდა განმეკურნა სნეულები, მასწავლეს მოხეტიალე სულების გათავისუფლება.

— როგორ ახერხებ პოლტერგეისტის საიქიოში გაცილებას?

— სულებს ვხედავ... მრგვალი სარკის წინ ვანთებ სანთელს, ვკითხულობ „მამაო ჩვენოს“ და ადამიანს, რომელსაც ნათესავის მოხეტიალე სული არ ასვენებს, აღვუწერ გარდაცვლილის გარეგნობას. თუ მის სახელსა და გვარს ხმამაღლა იტყვის, სარკის ზედაპირზე გამოსახულება ჩნდება და ჩემთან დასახმარებლად მოსულიც ხედავს ახლობლის სულს. ჭირისუფალს საგანგებოდ ვიბარებ მიცვალებულთა ხსენების დღეებში და გზაბნეულ სულს სპეციალური ლოცვებით ვათავისუფლებ — თავის გზაზე ვუშვებ.

— რატომ დახეტიალებს სული?

— ავარიით ან სხვა უბედური შემთხვევის გამო უდროოდ დალუპული ადამიანის სული, სანამ ბუნებრივი სიკვდილის დრო არ მოუვა, დახეტიალებს და გზას ვერ იგებს... წმინდა ნიკოლოზის გამოცხადების შემდეგ კინოფილმის კადრებივით ვხედავდი, რა ხდებოდა მეზობლების სახლებში. ამ ამბის შემდეგ მშობლებს განვუცხადე, სამი დღით დავიძინებ, ნუ შეეშინდებათ, არ მოვკვდები-მეთქი და ვთქვი იმ უცნობი ადამიანის სახელი, გვარი და მისამართი, ვინც ამ მდგომარეობიდან გამომიყვანდა.

— ვინ აღმოჩნდა თქვენი მხსნელი?

— ელისო ტორჩინავა, შემლოცველი, თითქმის ჩემი ასაკის გოგონა. მშობლებმა სასწრაფოდ მოძებნეს ელისო, რომელმაც უმძიმესი მდგომარეობიდან გამომიყვანა. დღეს იგი ჩემი მეუღლეა, შვილიც გვყავს, პატარა გიორგი... ამ ამბის შემდეგ მფარველი ანგელოზი გამომეცხადა და მითხრა, ხატები დამებრძანებინა ოთახში, სადაც პირველად გამომეცხადა წმინდა ნიკოლოზი, რათა სნეულები მიმეღო და განმეკურნა.

— როდის გადმოგდინდა სხეულიდან მირონი?

— უკვე ავადმყოფებს ვკურნავდი და მომავალს ვწინასწარმეტყველებდი, როცა ბზობის დღესასწაულზე მამაჩემმა ღვთისმშობლის ხატი მოაბრძანა სახლში. წმინდა ხატს იმ დღესვე ნათელი დაადგა მარჯვენა მხარეს და მირონი გადმოსდინდა. ამ ამბის შემდეგ რიგრიგობით, რელიგიურ დღესასწაულებზე, სხვა ხატებსაც დაეწყოთ მირონდენა, ბოლოს კედლებსაც სდიოდა მირონი, ზედ კი ჯვრები, ვარსკვლავები და წრეები გამოისახა. ჭერზე, იმ ადგილის გასწვრივ, სადაც მე ვიჯექი, როცა ავადმყოფებს ვიღებდი, დიდი ეკლესია დაიხატა, რომლის ჯვარიც ზუსტად ჩემი თავის ზემოთ აღმოჩნდა. ჯვრიდან თეთრი ენერგეტიკული ბურთები ცვიოდა და მეცემოდა, ბურთულებს მხოლოდ მე ვხედავდი. იმ პერიოდში ჩემთან ურწმუნო ადამიანი ვერ შემოდიოდა — ცუდად ხდებოდნენ და უკანვე ბრუნდებოდნენ. ენერგეტიკული ბურთულები მაძლევდნენ მომავლის წინასწარჭვრეტის, დიაგნოზის დასმისა და ამა თუ იმ დაავადების მკურნალობისთვის საჭირო წამლების დამზადების ძალას. თითოეულ ადამიანზე ინდივიდუალურად ვიღებდი ინფორმაციას, რა აწუხებდა და როგორ უნდა მომერჩინა. ამის შემდეგ მეც გადმომდინდა სხეულიდან მირონი და ჯვრები გამომესახა, მაშინ უკვე 20 წლისა ვიყავი. სწორედ იმ ადგილებზე, სადაც იესო ქრისტეს ლურსმნები ჩააჭედეს, სტიგმატები გამიჩნდა და მირონი გადმომდინდა. გვერდებზე წრეები და წარწერები გამომესახა, ხოლო ზურგზე ეკლესია დამეხატა, მირონი ყელიდან და მკერდიდანაც მდიოდა.

— ირაკლი, ჯადოს როგორ ხსნით?

— მაგიური ზემოქმედებით დაზარალებულმა ჩემთან მოსვლამდე ორ თაფლის სანთელს ოცთეთრიანი უნდა დააკრას, ღამე სასთუმალქვეშ ამოიდოს და ოჯახის წევრების ფოტოებთან ერთად მომიტანოს მეორე დღეს. ხოლო ვინც სამკურნალოდ მოდის, თან მოაქვს ხალგადაღებული ფოტო (პასპორტისთვის). დიაგნოზს მე თვითონ ვსვამ. სანთელს ვანთებ თუ არა სურათთან, სნეულის მფარველი ანგელოზი მეცხადება და მკარნახობს, რა დაავადება აწუხებს პაციენტს ან რით უნდა ვუწამლო, რომ გამოჯანმრთელდეს.

P.S. საკონტაქტო ტელეფონი: 899.15.17.39. მიღების დღეები: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა. R

მომღერალი ანრი ჯოხაძე ქართულ შოუბიზნესში გამართული ფესტივალებიდან შემოვიდა. მას რამდენიმე გრან-პრი, დიპლომები და პრიზები აქვს მიღებული სხვადასხვა ქვეყანაში. ჩინეთში ყოფნისას კი ანრიმ თავადვე გადაიღო კლიპი თავის საკუთარ, ახალ და მისი რეპერტუარისთვის სრულიად განსხვავებულ სიმღერაზე, რომელმაც მომღერალს ორი გრან-პრი მოაპოვებინა. კლიპი უკვე დამონტაჟებულია და სულ რამდენიმე დღეში ტელეეთერშიც გამოჩნდება.

ანრი ჯოხაძე:

ახლა ულიპსაც გადავიღებ და სოლო კონცერტსაც გავმართავ...

ნათია ქივიძე

— რატომღაც ისე ხდება, რომ სულ ფესტივალებზე დადიხარ, საქართველოში გამართულ კონცერტებში კი თითქმის არ მონაწილეობ. რა არის ამის მიზეზი?

— ჩემს საფესტივალო ცხოვრებას იცი, რას შევადარებ, ადამიანი ნარკოტიკებს რომ მიეძალება და ვეღარ ეშვება. ფესტივალზე გამოსვლა ჩემთვის გარკვეულწილად აზარტია, უფრო უხეშად რომ ვთქვა — ეს ჩემთვის დიდი კაიფია. უდიდესი განცდაა, როცა უცხო სცენაზე იმღერებ, მერე შედეგებს ელოდები და ბოლოს, ამა თუ იმ პრიზის მფლობელი გახდები... რაც შეეხება საქართველოში გამართულ კონცერტებს, ვფიქრობ, რომ ისეთი არაფერი იმართება, რაზეც შეიძლება, გული დაგწყდეს. სპორტის სასახლის კონცერტებზე უამრავი მომღერალი გამოდის, მაგრამ იქიდან მხოლოდ რამდენიმეს თუ უხდიან ჰონორარს, დანარჩენები უფასოდ მღერიან. მე კი ნამდვილად არ მიღირს, რომ ჩემი შემოქმედების დემონსტრირება აბსოლუტურად დაუფასებლად მოხდეს. რაღაცის გამო მაინც უნდა მიხაროდეს სცენაზე გამოსვლა, რადგან მე ისეთ სცენებზე მიმღერია, სადაც ჩემ შემდეგ ფინქი და გლორია გამოდიოდნენ...

— მიუხედავად შენი ასეთი წარმატებული კარიერისა, სხვა მომღერლებისგან განსხვავებით კლიპი არ გაქვს, თუ არ ჩავთვლით იმ ვიდეორგოლებს, რომლებიც ამა თუ იმ ფესტივალზეა გადაღებული...

— სწორედ ამ საფესტივალო ცხოვრების გამო, თითქმის ყველა სიმღერის საკონცერტო ვიდეორგოლი მაქვს, ამიტომ ვერც ერთ მათგანზე კლიპს ვეღარ გადავიღებ. ახლა უკვე, პროდიუსერ ცაია ყიფიანთან თანამშრომლობისას, არა მხოლოდ კლიპს გადავიღებ, არამედ ჩემი ალბომიც გამოვა და მოგვიანებით, სოლო კონცერტსაც გავმართავთ.

— სულ ცოტა ხანია, რაც ქალბატონი ცაია ყიფიანი შენი პროდიუსერი გახდა. როგორ მოხდა თქვენი საქმიანი დაკავშირება და რა პირობების შესრულება მოგიწევთ თითოეულ მხარეს?

— ცაიას ალბათ უკვე 5-6 წელია, ვიცნობ, მაგრამ თანამშრომლობა მოგვიანებით გადავწყვიტეთ. ახლა ნელ-ნელა ვყალიბდებით და სულ მალე, კონტრაქტსაც გავაფორმებთ, თუმცა მოვალეობებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი. ცაიას თურმე ყოველთვის უნდოდა ჩემთან თანამშრომლობა, მისი კომპანიის მიერ ორგანიზებულ კონცერტებშიც არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა. მაგრამ პირადად ახლა შემომთავაზა და სიამოვნებით დავთანხმდი. დარწმუნებული ვარ, ერთად უფრო მეტი საქმის გაკეთებას შევძლებთ.

— თუ გახსოვს, პირველად რომელ ფესტივალში მონაწილეობდი?

— რა თქმა უნდა, მახსოვს. ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინ — 1998 წელს იყო. მაშინ 17 წლის გახლდით. ის ფესტივალი უკრაინაში ჩატარდა და მესამე ადგილის პრიზიორი გავხდი. შემდეგი იყო „სლავური ბაზარი-99“, სადაც მხოლოდ დიპლომს დავჯერდი, „კიევი-99“-ზე კი სპეციალური პრიზი ავიღე — არტისტიზმისთვის. შემდეგ იყო: „ოქროს შლაგერი“, „რადუგა კავკაზა-2000“, „ვარნა-2003“ და „ასტანა-2004“. ბოლო 3 ფესტივალზე გრან-პრის მფლობელი გავხდი.

2004 წელსვე იყო „გოლდენ სტეკი“ და შანხაის საერთაშორისო ფესტივალები, სადაც მეორე ადგილი დავიკავე.

— როგორც ცნობილია, შანხაის ფესტივალიდან საკმაოდ გულნატკენი დაბრუნდი...

— მართალია. მეორე ადგილი კი ავიღე, მაგრამ არც ერთ გამარჯვებულს არ გადმოგვცეს ის ფულადი ჯილდო, რომელიც გვერგებოდა. ერთ-ერთ კონკურსანტ გოგონას ამის გამო კულისებში გული წაუვიდა და გამწარებული ვასულიერებდი: თურმე ფული უსესხია, შანხაიში ჩამოსასვლელად და იმედი ჰქონდა, რომ ფულადი პრემიით იმ ვალს გაისტუმრებდა... მთელი ის დრო, რაც ჩინეთში ვიმყოფებოდი, დეპრესიაში ვიყავი. რუსი და ბევრი სხვა ერვნების ქალების შემდეგ, ჩინელი ქალებისთვის ზედაც არ შემიხედავს, რადგან იქ ვინმესთან რომანის გაბმის სურვილიც არ გამჩენია. სხვა ქვეყნებში ასეთი რომანები ყოველთვის მაქვს ხოლმე.

— გარკვეული პერიოდი, კორპანია „5 ლაინს პროდაქშენთან“ თანამშრომლობდი, მაგრამ ახლა მასთან ურთიერთობა გაწყვეტილი გაქვს. რა მოხდა შენსა და ამ კომპანიის ხელმძღვანელ მამუკა სააკაშვილს შორის?

მე ისეთ სცენებზე მიმღერია, სადაც ჩემ შემდეგ ფინქი და გლორია გამოდიოდნენ...

— ვარნის ფესტივალზე რომ წავედი, მაშინ შედგა შეთანხმება ჩემი და ამ კომპანიის შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ, რომელმაც 2003 წლიდან 2004-ის სექტემბრამდე „მოიტანა სული“... ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილ ინტერვიუში მამუკამ (იგივე ჰასანამ) თქვა, ანრი ჯოხაძე, ვიდრე „5 ლაინსთან“ თანამშრომლობას დაიწყებდა, ფესტივალებზე კი დადიოდა, მაგრამ იქიდან ხელცარიელი ბრუნდებოდაო... განვმარტავ, რომ როგორც წელან აღვნიშნე, პირველ ფესტივალზე მესამე ადგილი ავიღე, შემდეგ კი გრან-პრი. მიმაჩნია, რომ საწყის ეტაპზე ეს უდიდესი წარმატებაა. მამუკამ კი საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს, რომ არა მამუკა საკაშვილი, მე გრან-პრის ვერასოდეს ავიღებდი. გამოდის, რომ ის უკვეთდა ჩემთვის პრიზებს. ჰასანას შესანიშნავი მომღერალი — მაია ყარყარაშვილი ჰყავდა ცოლად, მაგრამ მას ვერ „უწყობდა“ გრან-პრის, საერთაშორისო ფესტივალებზე. მაიას გარდა, ჰასანასგან სხვა მომღერლებიც იგზავნებოდნენ ფესტივალებზე, მაგრამ ისინი არათუ გრან-პრის, საპრიზო ადგილსაც კი ვერ იკავებდნენ. ჰასანას საერთაშორისო ავტორიტეტზე რომ ვისაუბროთ, მთელი ორი ჟურნალი არ გვეყოფა... მოკლედ, ასე „ბლატაობდა“ საზოგადოებაში მამუკა. ჰოდა, ეს ამბავი კულუარებიდანაც მომივიდა. ამას ისიც დაერთო, რომ მან განიზრახა საქართველოში საერთაშორისო კონკურსის მოწყობა და ასეთი სამარცხვინო რამ შემომთავაზა: ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღე და გრან-პრის გარანტიას გაძლევო... ჩემი თავმოყვარეობა, მით უმეტეს, ჩემს ქვეყანაში, ძალიან ძვირად მიღირს. ამიტომ აქ დასრულდა ჩემი და მამუკას ურთიერთობა.

თუ როგორ ჩაიარა ამ კონკურსმა, მე მგონი, ყველამ იცის, ამიტომ ამას უკომენტაროდ დავტოვებ... ■

ძველი თბილისი

ქართველი და უცხოელი მხატვართა შემოქმედებაში



1850 წლიდან მოყოლებული, ერთი საუკუნის მანძილზე უძველესი ქალაქის ყოფა-ცხოვრებას, ღირსშესანიშნაობებს და მრავალეროვანი მოსახლეობის ცხოვრებას ასახავდა ექსპოზიცია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ქარვასლაში იყო მოწყობილი. გამოფენის — „ძველი თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში“ — ორგანიზატორთან, მაია ციციშვილთან შეხვედრა, წარმოდგენილი ტილოების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გადავწყვიტეთ (ექსპოზიციაში წარმოდგენილ მხატვართა და მათ ნაწარმოებთა დახასიათებისას კატალოგისტ ნინო ჭოლოშვილის წერილები მოვიშველიეთ).

ლევან ებრალიძე

— ეს სურათები დაახლოებით 30 წელიწადია, არ გამოფენილა და ფაქტობრივად, ახალი თაობა არ იცნობს. ავტორთა უმრავლესობა მივიწყებულია. ბევრი მათგანი შესანიშნავი მხატვარია. ზოგი შეუსწავლელი — მაგალითად, დავით გველესიანი, რომლის არაჩვეულებრივი გრაფიკის მხოლოდ ნაწილი გამოვფინეთ, რადგან მეტი ვერ დაეტია. XX ს-ის 10-20-იანი წლები ძალიან საინტერესო პერიოდია. ამ დროს, საქართველოში მოდერნისტული კომპოზიციები შემოდის, სწრაფად ვითარდება სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი, ჩვენი მხატვრების ერთი ნაწილი სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთში მიემგზავრება. 1926 წელს მაშინდელი კომუნალური მუზეუმის (ახლანდელი, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი — ქარვასლა) დირექტორმა აქ დარჩენილ მხატვრებს თბილისის ძველი უბნების, იმ სახლების, რომლებიც დაღუპვის პირას იყო მისული, დახატვა შეუკვეთა. ბევრმა მხატვარმა მიიღო ამ საქმეში მონაწილეობა. გარდა იმისა, რომ გაჭირვებულები იყვნენ და მძიმე ცხოვრება ჰქონდათ, პატრიოტული გრძნობა ამოძრავებდათ, ენანებოდათ, რომ ეს ყველაფერი ხელიდან ეცლებოდათ. ამიტომ სკრუპულოზურად, გულდასმით ჩახატეს ყველაფერი. იმდენად ზუსტად, რომ ეს სახლები, რომლებიც დღეს ან ნახევრად დანგრეულია, ან საერთოდ აღარ არსებობს, შესაძლებელია, მათი ჩანახატების მიხედვით აღდგეს. ამ აქციაში მონაწილეობდნენ დავით გველესიანი, ალექსანდრე ციმაკურიძე და კიდევ რამდენიმე ქართველი მხატვარი. დავით კაკაბაძე ქალაქის ბედმა შეაწუხა და პარიზში წასვლამდე, თავის ნამუშევრებში ასახა თბილისის სხვადასხვა კუთხე. ასევე — მოსე თოიძემაც. XVIII საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით XX ს-ის დასაწყისში, ბევრი რუსი და სხვა უცხოელი მხატვარი ჩამოდიოდა საქართველოში. იმდენად თავისებური, თვითმყოფადი და ეგზოტიკური ქალაქი იყო თბილისი, არავინ რჩებოდა გულგრილი. აქ შერწყმული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურა და ჩამოსული მხატვრებიც სხვადასხვანაირად აღიქვამდნენ მას. სწორედ ამის ჩვენება მინდოდა — ვინ როგორი დაინახა თბილისი 100 წლის მანძილზე, როგორ აღიქვეს ევროპელმა მხატვრებ-



გრიგორი გაგარინი, „თამამშვილის თეატრის შიდა ხედი“, XIX ს-ის 50-იანი წლები

მა, რას მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება აქაურებმა. უცხოელთაგან ბევრი აღმოსავლურ მხარეზე აკეთებდა აქცენტს, ყარაჩოხელების, კინტოების ცხოვრების თავისებურებებს ასახავდა. ქართველი მხატვრებისთვის სხვა რამ იყო უფრო ძვირფასი – ტიპური ქართული სახლები. ჯერ, ადრე – ბანიანი, ერთიმეორის მიყოლებით მდგომი საცხოვრებლები, ადგილები, სადაც ხალხი გამოდიოდა, ერთმანეთს ხვდებოდა, დროს ატარებდა, ერთობოდა. შემდეგ, უფრო მოგვიანებით, გაჩნდა რიკულებიანი, მოჩუქურთმებული აივნები. თვით განაშენიანებას აქცევდნენ დიდ ყურადღებას. დღეს ისეთი გაუთვალისწინებლობაა ჩვენი ლანდშაფტის, რომ ვიფიქრე – ამ



ლევ ლაგორიო, „თბილისი ორთაჭალის მხრიდან“, 1866 წ.

გამოფენის ხილვის შემდეგ, იქნებ, არქიტექტორებიც დაფიქრდნენ, რომ ეს მთაგორიანი ლანდშაფტი არ იძლევა 15 და 20-სართულიანი სახლების აშენების საშუალებას, მით უმეტეს – ისტორიულ უბნებში, როგორებიცაა: სოლოლაკი, ნარიყალის შემოგარენი, ქვემო და ზემო კალა და მტკვრის სანაპირო... მინდოდა, დღის სინათლეზე გამომეტანა ქარვასლის ფონდებში დაცული ნამუშევრები, რომლებიც არ ყოფილა ექსპონირებული. ეს საგანძური ფონდებში ძალიან ცუდ მდგომარეობაში ინახება. ამას ბევრი მიზეზი აქვს, ბოლო წლების მანძილზე ვინ მიაქცევდა ყურადღებას?.. არის ერთი-ორი მცველი ქალბატონი, რომელთაც არც ხელფასი აქვთ, არც პირობები. ბევრი ნაწარმოები ვერ გამოიფინა იმის გამო, რომ სარესტავრაციოა და მისი ხელის ხლება არ შეიძლება. თავიდან, უნდა ჩატარდეს პასპორტიზაცია, იმის დასადგენად, თუ რა გვაქვს საცავებში. რამდენი ხანია, არავის უნახავს!.. სხვათა შორის, ეს იმ პერიოდის მასალებია, რომლებიც ყველაზე მეტად გადის



არუთინ შამშინიანი, „მაიდანი“, 1890 წ.

საქართველოდან: შუა საუკუნეების ნივთი ძნელი გასატანია, ასევე – არქეოლოგიური მონაპოვარიც, მაგრამ ამ ნახატებს – XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისის – ეზიდებიან, ძნელია მათი დაკავება – კერძო კოლექციებიდან იყიდება.

— კერძო კოლექციებიდან თუ იყო გამოტანილი ნამუშევრები?

– კერძო კოლექციონერები ვერ ჩავრთეთ, რადგან იურიდიულად ეს სისტემა ჯერ არ არის გამართული. დაფინანსებაც ვერ გასწვდა, თორემ ისე, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, გაცილებით დიდი, მრავალფეროვანი გამოფენის მოწყობა. სურათების დიდი ნაწილი ჩარჩოებში ჩვენ ჩავსვით. ცოტა ხნით გავუხანგრძლივეთ სიცოცხლე: მტვერი არ შევა, თაგვი ვერ დააზიანებს.

— ყველაზე ძველი ნამუშევრები რომლებია?

– გაგარინის, ფრანკენის, ბერგენის, ზანკოვსკის. მიმაჩნია, რომ ბევრი ნამუშევარი პირველხარისხოვანია. არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის ნამუშევრებია, რომლებიც ბევრ ევროპულ გალერეას დაამშვენებდა თავისი მხატვრული გადაწყვეტით, მსოფლმხედველობით.

XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის **გრიგორი გაგარინს**. სწორედ მან მოხატა 1850-იანი წლების დასაწყისში, სიონის ტაძარი, თბილისის პირველი თეატრის ინტერიერი და ფარდა. „ვესტიბიულში შესვლისთანავე განმაცვიფრა ორნამენტების სადა, დახვეწილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბიულში შევაბიჯე. ზემოთ, ფოიეში, ორნამენტი არაბული ჩუქურთმით შეიცვალა. დარბაზი ფერიათა სასახლეს მოგაგონებდათ, არა მდიდრული მორთულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ უფაქიზესი გემოვნებითაა შესრულებული. ვინ იცის, მასზე ასი მანეთის ვარაყიც კი არ დაუხარჯავთ, მაგრამ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავს...“ – ეს ჩანაწერი ალექსანდრე დიუმამ თბილისის თეატრის ნახვის შემდეგ გააკეთა.

გერმანელი **პაულ ფონ ფრანკენი** დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ კი დრეზდენში ხატვას თავად ასწავლიდა. 1853 წელს ფრანკენი მეუღლესთან ერთად პეტერბურგის გავლით საქართველოში ჩამოვიდა და აქ 1860 წლამდე დარჩა. ის ხშირად მოგზაურობდა კავკასიის სხვადასხვა მხარეში, რამაც მეტად გაუღვივა ინტერესი კავკასიელთა

ყოფისა და ადათ-წესებისადმი. სპეციალურ ლიტერატურაში ფრანკენი „კავკასიის მხატვრად“ მოიხსენიება.

ლევ ლაგორიო წარმომავლობით იტალიელი მხატვარი, თეოდოსიაში დაიბადა. ის ნეაპოლელი კონსულის ვაჟი იყო. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე, 1851 წელს კავკასიაში ჩამოვიდა და აქ ერთი წელი დაყო. შესრულებული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ისტორიული ადგილისა და ქალაქის ხედები. სხვადასხვა გამოფენაში ლაგორიო ხშირად სწორედ ამ ნამუშევრებით იყო წარმოდგენილი. პეტერბურგის აკადემიაში დაცული სურათი „თამარ დედოფლის ციხე სამხედრო გზაზე დარიალის ხეობაში“ – იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ შეიძინა.

ალექსანდრე ციმაკურიძე, „აივნიანი სახლები სურპ-ნიშნის უბანში“, 1927 წ.



დავით კაკაბაძე, „ძველი თბილისის კუთხე“, 1918 წ.

საინტერესოა სომეხი მხატვრების ექსპრესიული, ფერადოვანი ნამუშევრები. მათ შორისაა, **არუთინ შამშინიანი,** რომელმაც 1890 წელს რამდენადმე გულუბრყვილოდ გადმოსცა ძველი თბილისის „შაითან ბაზარი“.

არუთინ შამშინიანი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნის ბოლოს. ის ძირითადად, თბილისელი სომხების ტიპაჟებს – ხელოსნებს, ვაჭრებს ხატავდა.

ძალზე საინტერესოა პოლონელი **ბორის რომანოვსკის** შემოქმედება, რომელიც პარიზში მოღვაწეობდა და 1920-იანი წლების დასაწყისში ჩამოვიდა თბილისში. მის ფუნჯს გროტესკული ხასიათის სურათები მიეკუთვნება.

1927 წელს თბილისში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა, რომელშიც ასახულია ძველი თბილისის მრავალაფეროვანი ყოფის ეპიზოდები, მის მკვიდრთა საქმიანობა.

უცხოელებთან შედარებით უფრო ფაქიზად, თავშეკავებულად ხატავდნენ მშობლიურ ქალაქს ქართველები. გამოჩენილი ავანგარდისტი **დავით კაკაბაძე** გვიჩვენებს უკაცრიელ ქალაქს, სადაც სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ჩანს, თითქოს ჯერ არ გაუღვიძია, ან სულაც, მიტოვებულია...

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც თბილისის დახატვა დაიწყო, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, დავით გველესიანი იყო. მისი გრაფიკული ჩანახატები უფრო რეალისტურია და ვირტუოზული შესრულებითაც გამოირჩევა. ძველი ქალაქის დასახასიათებლად მას გაცილებით მეტი დეტალი სჭირდება – ყოველი სახლი ძალზე გულმოდგინედაა დახატული. დავით გველესიანის თბილისი, როგორც წესი, მზის სხივებითაა განათებული. ხშირად, ადამიანებს, განსაკუთრებით – ბავშვებს რთავს.

იმავე სახლებსა და ქუჩებს, ხშირად ხატავდა **ალექსანდრე ციმაკურიძეც**, რომელიც სრულიად განსხვავებულ, ფაქიზ, ჰაეროვან ფერებს არჩევდა. მისი შემოქმედება მზით, ჰაერითაა გაჟღენთილი.

ძველი თბილისის თვითმყოფადი ხასიათის გადმოსაცემად, იმავე ნიშნებსა და თავისებურებებს ანიჭებს უპირატესობას **ვალერიან სიდამონ-ერისთავი**. მის მიერ ოდნავ მოგვიანებით შექმნილი, ნათელი და ფაქიზი ფერებით, სადად გადმოცემული, ქალაქის სხვადასხვა უბნის ცხოვრება, რბილი, მსუბუქი იუმორითაა გაჟღენთილი. სიდამონ-ერისთავს განსაკუთრებით აინტერესებდა საქართველოს ისტორია და ამ თემაზე არაერთი მრავალფიგურიანი კომპოზიცია და პორტრეტი შექმნა. მან თავისი შემოქმედებით საფუძველი ჩაუყარა ისტორიული ჟანრის დამკვიდრებას ქართულ ფერწერაში. ■

ვალერიან სიდამონ-ერისთავი, „ამბორი“, XX ს-ის დასაწყისი

კვირის (21-27 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: კარგს იზამთ, თუ სასიყვარულო ურთიერთობებში ეჭვებისა და აგრესიისგან გათავისუფლდებით და უფრო სერიოზული საქმისთვის მოემზადებით: ფინანსურ საკითხებში ან მემკვიდრეობის ნიადაგზე, რაღაც გართულებებია მოსალოდნელი.

მამაკაცი: ამ კვირაში საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას უპირატესობა პატიოსნებას უნდა მიანიჭოთ. სანდო მოკავშირე წარმატების გარანტია. იყავით მანდილოსნების მიმართ ყურადღებიანი.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ფინანსურ მდგომარეობას ნამდვილად არ უჩივით. ახლობლებს თქვენი იმედი აქვთ და ნუ გაუცრუებთ მას. მშვიდი და საქმიანი კვირა გაქვთ, ყველაფერს ადვილად აგვარებთ. გამოსასვლელი დღე შეეცადეთ, ბუნების წიაღში გაატაროთ.

მამაკაცი: თუ ბიზნესში ხართ ჩართული, წინასწარ შეგიძლიათ დატკბეთ წარმატებით. თქვენი ახლობლების მომავალი სიმყუდროვე და ბედნიერება თითქოს თქვენს ხელთაა.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: მძიმე დღეები გელით. ძალიან მოუცლელი იქნებით. მაგრამ თუ ორგანიზებულობას გამოიჩენთ, საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს და შექებასაც დაიმსახურებთ. შეეცადეთ, საყვარელი ადამიანისთვის მაინც გამონახოთ დრო.

მამაკაცი: ძალიან გჭირდებათ ოჯახის წევრების თანადგომა. შეგიძლიათ, ის ხმამაღლა არ მოითხოვოთ, რადგან თქვენი ახლობლები კარნახის გარეშეც მიხვდებიან, რომ მათი დახმარება გჭირდებათ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: საქმიან პარტნიორებთან იყავით ერთდროულად თბილი და ოფიციალური. შეძელით ეს, რადგან მათ თქვენდამი კეთილგანწყობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. შეეხმიანეთ ძველ მეგობრებს.

მამაკაცი: მოუხმეთ ტაქტს. შეეცადეთ, სათქმელს დელიკატური ფორმა მოუძებნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენდა უნებურად მოგაგონდებათ ანდაზა: თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: სასიყვარულო ფრონტზე სიფრთხილე გმართებთ. შესაძლოა მეტოქე გამოგიჩნდეთ, მაგრამ ნუ შეშინდებით – ის ხომ ჩვეულებრივი ქალია და არა ლომი! გაუკეთეთ ხელკავი თქვენს რჩეულს და იყავით მის მიმართ განსაკუთრებით ნაზი.

მამაკაცი: მთელ კვირას დოკუმენტების მოწესრიგებას მოუნდებით და საკმაოდ გადაიღლებით კიდეც. ეცადეთ, ახლობლებს უნებურად გული არ ატკინოთ, გახსოვდეთ: სიფიცხე ცუდი მეგობარია.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ნუ გადადებთ სამოგზაუროდ წასვლას, რადგან მას შეიძლება რომანტიკული თავგადასავალიც მოჰყვეს. სასიამოვნო ფლირტის შესახებ მოგონებები დიდხანს გაგყვებათ და ცხოვრებას გაგილამაზებთ.

მამაკაცი: კარგი კვირა გელით. თქვენი ამაღლებული განწყობილება ოჯახში ამ ბოლო დროს დაძაბულ სიტუაციას განმუხტავს და ახლობლებთან სრულ ჰარმონიას შეგიქმნით.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: გახსოვდეთ, სულიერი სიმშვიდის მოპოვებას მხოლოდ ფულის ხარჯვით ვერ მოახერხებთ – ჯობს, უსარგებლო ხარჯებს თავი აარიდოთ. ოჯახის წევრებს შორის მედიატორის როლს მშვენივრად გაართმევთ თავს.

მამაკაცი: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. შეეცადეთ, მოვლენების განვითარებას მშვიდად მიადევნოთ თვალი. ემოციური დაძაბულობა და კონფლიქტური სიტუაცია თქვენ გარშემო თითქმის ყოველდღე მწიფდება.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: მოემზადეთ, შეიძლება სხვების მიერ დაშვებული შეცდომები თქვენი გამოსასწორებელი გახდეს. ჩაუკვირდით საკუთარ თავს: ხომ არ გეჩვენებათ, რომ სასიყვარულო ურთიერთობაში მეტისმეტად ეგოისტურად იქცევით?

მამაკაცი: რაღაც ძველ პროექტს ახლებურად დაინახავთ და მის შესრულებას ახალი ენთუზიაზმით შეუდგებით. იყავით უფრო დაკვირვებული, რადგან შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის. თანამშრომელი ქალები ქათინაურებით შეამკეთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: წინ მშვენიერი კვირა გელით. წარმატებით გაართმევთ თავს ბიზნესსა და ფინანსურ ოპერაციებს. თქვენი ამაღლებული განწყობილება საქმესაც დაეტყობა და პირად ურთიერთობებშიც აისახება.

მამაკაცი: იფიქრეთ დასვენებაზე – ის თქვენ ნამდვილად გჭირდებათ, მაგრამ აზარტული თამაშები ზედმეტად ნუ გაგიტაცებთ. იფიქრეთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაზეც.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: თქვენ მიერ დაწყობილი გეგმები, შესაძლოა, დილის ნისლივით გაიფანტოს. ნუ იქნებით რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში, მაგრამ ნურც მოწყენილობისგან მთქნარებას მოჰყვებით. იმოქმედეთ მოვლენების შესაბამისად.

მამაკაცი: საქმეს კვირის დასაწყისშივე უნდა მიხედოთ. ერიდეთ იმპულსურობისა და არაორდინარულობის გამოვლინებას. შუა კვირაში სამსახურში პატარა დაბრკოლება შეგხვდებათ, მაგრამ ადვილად მოაგვარებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: წინასწარ შეეგუეთ, რომ ფინანსური პრობლემა შეგექმნებათ, მაგრამ სასოწარკვეთილებისთვის მიზეზი ნამდვილად არ გაქვთ. მალე გულმოწყალე სპონსორი გამოგიჩნდებათ და ხელს, უფრო სწორად – მსხვილ კუპიურებს გამოგიწვდიან.

მამაკაცი: კვირის ბოლოს ოჯახის წევრები პრეტენზიებს წაგიყენებენ, მაგრამ ნუ შედრკებით – ბოლომდე დაიცავით თქვენი პოზიცია და აიძულეთ ახლობლები, გაგებით მოეკიდონ თქვენს მდგომარეობას. წინასწარ მოიფიქრეთ არგუმენტები და შეინარჩუნეთ სიმშვიდე.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ახალი, რომანტიკული ფლირტისთვის მოემზადეთ. იქნებ არც ღირს, ყველაფერს ყოველთვის სერიოზულად შეხედოთ? ზოგჯერ ლამაზი ეპიზოდები უფრო გვიხალისებს ცხოვრებას, ვიდრე ხანგრძლივი და ერთფეროვანი ურთიერთობა.

მამაკაცი: შუა კვირაში, სამსახურში რაღაც პრობლემა ან კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნება, მაგრამ თქვენი დიპლომატიურობა სასწაულს მოახდენს. კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ ზოგი ჭირი მარგებელია.



მე-11 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

ანეკდოტები

***

ქალბატონი მარო პატარა მიხოს საჭმელს აძალებს:

— შეჭამე ფაფა, მიხო, თორემ კუდიან დედაბერს დავუძახებ!

— დედილო, ვისაც გინდა, დაუძახე რა... ამასა არც ის შასჭამს!

***

ნარკომანმა გაიღვიძა, ქუჩაში გავიდა და გამვლელს ჰკითხა:

— ძმაკაცო, ერთი მითხარი, დღეს ოთხშაბათია?

— არა, დღეს კვირაა.

— ვაა... გუშინ იყო ოთხშაბათი?

— არა, გუშინ შაბათი იყო.

— კარგი, რა, ტო... აბა, ხვალ იქნება ოთხშაბათი?

— არა, ხვალ ორშაბათია.

— „ბრატ", რაღაც ვერ გავიგე... ოთხშაბათი, „ვსიო"!.. აღარ იქნება?!

***

— ექიმო, მახსოვრობა დავკარგე!

— როდის დაკარგეთ?

— რა დავკარგე?!

***

ზანგს, სვანსა და მეგრელს სამშობიაროში ბავშვები აერიათ. მეგრელმა დაავლო ზანგ ბავშვს ხელი და გაიქცა.

— სად მიგყავს? — გამოეკიდა ექთანი. — ვერ ხედავ, შავია!

— სამაგიეროდ, ნაღდად ვიცი, რომ სვანი არაა, მაგალითად....

***

ჭიჭიკია ეუბნება ანზორას:

— ბიჯო, უკანასკნელად გეკითხები — როდის დამიბრუნებ ვალს?

— ოო... ძმა ხარ, ჭიჭიკია, ძმა და ძალიან მიხარია, რომ აწი, ასეთ სულელურ კითხვას აღარ დამისვამ!

***

— რა უფრო გიყვარს — ღვინო თუ ქალები?

— გააჩნია გამოშვების წელს!

***

სიძეს მეცხრე სართულიდან ჰაერში გადმოკიდებული სიდედრი ფეხებით უჭირავს და ეუბნება:

— დედიკო, გოგომ თავისი სიდედრი ცოცხლად დამარხა... გიგიმა ყელი გამოსჭრა... მე კიდევ, აჰა, გიშვებ!.. შენ ნებაზე იფრინე!..

***

ქართველი პარლამენტარი ეუბნება უცხოელს:

— მოკლედ, ჩვენს ქვეყანაში, თუ ნიჭი გაქვს, არ დაიკარგები.

— მართალს ამბობთ, სერ?

— რა თქმა უნდა. აი, მე ბავშვობიდანვე ინტრიგანი ვიყავი და დამიფასდა.

***

კახელი გურულ ძმაკაცს ესტუმრა ჩოხატაურში. ერთკვირიანი მასპინძლობის შემდეგ, გამომშვიდობებისას კახელი ეკითხება გურულს:

— აქა, თქვენთანა, კაცი რო გაგიჟდეს, ჭკვიანისგანა როგორ გამაარჩევთ?

***

ავტობუსის მძღოლი მთვრალ სვან მგზავრს მიმართავს:

— მგზავრობის ფული?

მგზავრი ჯიბეს გახსნის:

— ფული?.. ჰო, აი, აქ ჩამიყარე!..

***

ბაზრობაზე ქალი გურულ გამყიდველს ფეხსაცმელზე მუთითებს და ეკითხება:

— რა ღირს ეს ფეხსაცმელი?

— მოზომვა 50 თეთრი, აბა!..

ქალმა მოიზომა და ფულიც გადაუხადა.

— მინდა ვიყიდო... რამდენი გადავიხადო?

— აი „ტუფლი" არ იყიდება... მე ვიცუმ... აბა!..

***

ახალწვეულმა ჯარში ზემდეგს შესჩივლა:

— ნახეთ, რა მომცეს! შარვალი პატარა მაქვს, პერანგი — გრძელი... სახელოები — მოკლე, ჩექმები მძვრება... საფრთხობელას ვგავარ!

— ასეც უნდა იყოს. ჯარისკაცი მტერს შიშის ზარს უნდა სცემდეს!

***

მაღაზიაში ბავშვი დედას ემუქრება:

— იცოდე, კანფეტს თუ არ მიყიდი, ახლავე ბებიას დაგიძახებ.

***

სიკვდილის პირას მყოფი „ახალი ქართველის" წინ დგანან: ექიმი, ადვოკატი, ცოლი და ვაჟიშვილი. ავადმყოფმა ბოდვა დაიწყო:

— პარაზიტებო, მძარცველებო, კახპებო, ნაძირლებო.

ექიმი:

— მგონი, გამოჯანმრთელდა...

ცოლი:

— რატომ გგონიათ?

— თავისიანებს ყველას ცნობს!

***

— საყვარელო, გაისად ჩვენი ქორწინების 25 წლისთავია. გინდა, ვერცხლის ქორწილი აღვნიშნოთ?

— ჯობია, 5 წელიც დავიცადოთ და... 30-წლიანი ომი აღვნიშნოთ!

***

— თუ მამაკაცი და ქალი ერთსა და იმავე რაღაცას აკეთებენ, ხშირად, შედეგი განსხვავებულია.

— რას გულისხმობ?

— აი, მაგალითად, როცა მამაკაცი სახეს დაიბანს, უკეთ გამოიყურება. აი, თუ ქალმა დაიბანა, მაშინ — ოო!..

***

— მიხო, ნახე, როგორ ტკბილათა მღერის ბულბული.

— იმღერებს, მა არ იმღერებს?! ცოლი მაგაი არ ჰყამს, ვალები მაგაი არ აწუხებს და კბილები კიდენა, არა აქვს...

***

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— მალე დადგება დრო, როცა მას აღარ დაველოდები... ის აღარ იოცნებებს ჩემზე და... მის სასიყვარულო წერილებს დავწვავ.

— რა მოხდა, შორდები?

— არა... ცოლად მივყვები.

***

ექიმი ეკითხება ექთანს:

— როგორ არის პაციენტის საქმე?

— რაც გონზე მოვიდა, პრეზიდენტის ბოლო გამოსვლას იწონებს და ახალ მთავრობას აქებს.

— ვაა!.. ეტყობა, ბოდვა დაეწყო.

რამდენად კარგად გესმით საპირისპირო სქესის?



მამაკაცი და ქალი ერთსა და იმავე სიტუაციაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და თქვენ მიიღებთ პასუხს შეკითხვაზე, — რამდენად კარგად გესმით საპირისპირო სქესის?

1. ორი ადამიანი ხსნის კანფეტის კოლოფს. ერთ-ერთი მათგანი პირში იდებს მთელ კანფეტს და ისე გეახლებათ, მეორე კი ცოტას მოკბეჩს, რათა ნახოს, თუ როგორი შიგთავსი აქვს მას. რომელია მეორე მათგანი — ქალი თუ მამაკაცი?

2. მეგობრების კომპანიაში ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ ადამიანებს შორის ცოტა ვინმე თუ გამოჩნდება ისეთი, ვინც მთვარეზე გაფრენას ისურვებდა. ერთ-ერთი იქ მყოფთაგანი უყოყმანოდ დაეთანხმა ამ აზრს. მეორემ კი განაცხადა, რომ ეს ასე არ არის: „არ მჯერა. პირადად მე, დიდი სიამოვნებით გავფრინდებოდი მთვარეზე!“ ვინ იტყოდა ამ სიტყვებს — ქალი თუ მამაკაცი?

3. საღამოს ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებს, გვერდით ოთახში კი ავადმყოფ ბავშვს სძინავს. მეუღლეთაგან ერთ-ერთ ამბობს: „ნუ იღელვებ, ბავშვი უკვე უკეთესად არის და ალბათ მალე გამოჯანმრთელდება კიდეც!“ ვინ შეამჩნია მეუღლის მღელვარება — ცოლმა თუ ქმარმა?

4. ცოლ-ქმარი რესტორანში სადილობს. ერთ-ერთი მათგანი ეგზოტიკური დასახელების მქონე უცხო კერძს უკვეთს, მეორე — კარგად ნაცნობს. რომელი მათგანია ცნობისმოყვარე გურმანი — ცოლი თუ ქმარი?

5. მაღაზიაში, მარჯვნივ განთავსებულ დახლებზე ახალგამოშვებული სამრეწველო ნაწარმი აწყვია, მარცხნივ — უკვე კარგად ნაცნობი პროდუქცია. ვინ დაინტერესდება მრეწველობის სიახლეებით — ცოლი თუ ქმარი?

6. ცოტაც და, მსუბუქ ავტომობილში ბენზინი გამოილევა. მეუღლეთაგან ერთ-ერთი თავის მეორე ნახევარს უახლოეს ბენზინგასამართ სადგურზე შეჩერებასა და მანქანაში საწვავის ჩასხმას ურჩევს, მეორე კი, მომდევნო ბენზინგასამართ სადგურზე შეჩერებას ამჯობინებს, რადგან იქ უფრო გულისხმიერი და ყურადღებიანი მომსახურე პერსონალია. ვინ ამჯობინებს მოცდას — ცოლი თუ ქმარი?

7. მეგობართან სტუმრად მიმავალი ცოლ-ქმარი მის სახლს ეძებს. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „უმჯობესია, გამვლელებს ვკითხოთ“; მეორე არ ეთანხმება და აცხადებს: „სხვების დაუხმარებლად, თვითონაც მშვენივრად მივაგნებთ!“ ვინ ამჯობინებს სახლის თავად მიგნებას — ცოლი თუ ქმარი?

8. გაჩერებულ ავტომობილში მჯდომ ცოლ-ქმარს სხვა მანქანის მძღოლი ეუბნება: „ვგონებ, თქვენს მანქანას საბურავი დაშვებული აქვს!“ საჭესთან მჯდომი პასუხობს: „არა უშავს, როგორღაც მივაღწევთ სახლამდე!“ გვერდით მჯდომი კი თავის მეორე ნახევარს არ ეთანხმება: „ის მაინც ხომ უნდა გავარკვიოთ, თუ რაშია საქმე?!“ ვინ უზის საჭეს — ცოლი თუ ქმარი?

9. გზაჯვარედინზე, შუქნიშნის წითელ შუქზე, ერთმანეთის გვერდით, სამ რიგში, სამი მანქანა გაჩერდა. როცა მწვანე აინთო, ერთ-ერთმა მძღოლმა სწრაფად მოსწყვიტა მანქანა ადგილს, რათა „ლიდერის პოზიციაზე“ გასულიყო. ვინ არის ის — ქალი თუ მამაკაცი?

10. კინოთეატრში ძალზე სულის შემძვრელ ფილმს უჩვენებენ. ვის უფრო მეტად ააღელვებს ეკრანზე ნაჩვენები ტრაგიკული სცენები — ცოლს თუ ქმარს?

1. ქალი. მამაკაცები ასეთი წვრილმანებით არ ინტერესდებიან, მით უფრო, რომ ლაპარაკია კანფეტებზე.

2. ეს შეიძლება თქვას, როგორც ქალმა, ასევე მამაკაცმა. მამაკაცმა — იმის დასამტკიცებლად, რომ ის უშიშარია; ქალმა — რათა ხაზი გაუსვას იმას, რომ თავის არჩევანსა და მსჯელობაში, ის აბსოლუტურად თავისუფალია.

3. ქმარმა. ექსტრემალურ პირობებში მამაკაცები უფრო კარგად სწვდებიან ქალის სულს, ვიდრე ქალები მამაკაცისას.

4. ცოლი. ქალების უმრავლესობა კულინარიული საიდუმლოებებისა და სიახლეების მიმართ გულგრილი არ გახლავთ.

5. ქმარი. რაც შეეხება სამრეწველო სიახლეებს, ამ სფეროსადმი მამაკაცები უფრო მეტ ინტერესს ავლენენ.

6. ქმარი. მამაკაცი უფრო ადვილად რისკავს და აქვს იმის იმედი, რომ გაუმართლებს. ქალები ამგვარ სიტუაციაში სიფრთხილეს იჩენენ, რათა თავიდან აიცილონ ზედმეტი ნერვიულობა.

7. ქმარი. მას არ სურს, თავისი უსუსურობა დაანახვოს მეუღლეს. ქალისთვის კი უცხოა მოჩვენებითი თავდაჯერებულობა, მით უმეტეს, რომ ქალები უფრო კომუნიკაბელურებიც არიან.

8. ცოლი. ფსიქოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ საკუთარი ავტომობილის ტექნიკური გაუმართავობა მამაკაცს უფრო მეტად აღელვებს, ვიდრე ქალს.

9. მამაკაცი. მეტოქეობის გრძნობა, მამაკაცებს უფრო განვითარებული აქვთ. ქალი-მძღოლი ბევრად უფრო წინდახედული და ფრთხილია, ის ძალზე იშვიათად ავითარებს დიდ სიჩქარეს და ტრანსპორტით გადაჭედილ ქუჩაზე არასოდეს გამართავს რბოლას.

10. ცოლსაც და ქმარსაც. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ქალებს და მამაკაცებს ძალზე ბევრი რამ აქვთ საერთო, მათ შორის, ემოციებიც. მოცემულ შემთხვევაში, მათ შეიძლება ერთნაირად მძაფრი განცდა ჰქონდეთ, მაგრამ ქალმა შესაძლოა თავისი ემოცია დაუფარავად — ცრემლებითაც გამოხატოს, მამაკაცი კი, მხოლოდ ქურდულად თუ მოიწმენდს თვალზე მომდგარ აბეზარ ცრემლს.

ტესტის შედეგები

ახლა კი გავარკვიოთ ისიც, თუ რამდენად კარგად იცნობთ თქვენ ერთმანეთს. ყოველ სწორ პასუხში დაიწერეთ ერთი ქულა, მეათე შეკითხვაზე სწორად გაცემულ პასუხში კი დაიწერეთ ორი ქულა.

3 ან ნაკლები ქულა: სავარაუდოა, რომ საპირისპირო სქესზე თქვენ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ.

4-8 ქულა: საწინააღმდეგო სქესის აზრებში, გრძნობებსა და სურვილებში საკმაოდ კარგად ერკვევით.

9-10 ქულა: უნდა ითქვას, რომ თქვენ დახვეწილი ფსიქოლოგი ბრძანდებით.

3 მილიონი ევრო მკვლელი ზღარბის საფასურად

საფრანგეთის ხელისუფლებას სასამართლომ 3 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. ასეთი გადაწყვეტილება მან იმ ინციდენტის საფუძველზე მიიღო, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წლის მარტში მოხდა. მკვდარი ზღარბი, რომელიც მარსელის აეროპორტის ასაფრენ-დასაჯდომ ბილიკზე ეგდო, თვითმფრინავის სერიოზული ავარიის მიზეზი შეიქნა. მძორმა თოლიების მთელი გუნდი მიიზიდა და დაახლოებით 20 ფრინველი, რომელიც ზღარბის სხეულს ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდა, ავიაკომპანია Air France-ს აერობუსის გზაზე აღმოჩნდა. საბოლოოდ, ღორმუცელა ფრინველები, რომლებიც მათკენ გუგუნით მომავალი ავიალაინერის გამოჩენამაც კი ვერ დააფრთხო, თვითმფრინავის პირველმა ძრავამ შეისრუტა. აერობუსმა მაშინვე დაკარგა მართვა და ბილიკიდან გადავიდა. შედეგად, სხეულის დაზიანება რამდენიმე ათეულმა მგზავრმა მიიღო.

გასულ კვირას, მარსელის სასამართლომ მომხდარზე პასუხისმგებლობა აეროპორტის სამსახურებს დააკისრა, რომლებსაც ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკის დასუფთავება ევალებათ. ეს კი ნიშნავს, რომ ავიაკომპანია Air France-ს სწორედ ხელისუფლებამ უნდა აუნაზღაუროს ზარალი – 850 ათასი ევროს ოდენობით, რადგან აეროპორტი სახელმწიფო საკუთრებაა. სახელმწიფო ასევე ვალდებულია, ხუთ სადაზღვევო კომპანიას, დაზარალებულებისთვის გაცემული სადაზღვევო თანხა – 2,3 მილიონი ევრო გადაუხადოს. ■

გათხოვილი ქალი პატიჟცად „მუშაობდა"

პოლიციელებმა აფერაში დააადანაშაულეს ჩინელი ცოლ-ქმარი, რომელიც საქორწინო ბიუროს სახელით, გულუბრყვილო სასიძოებს ერთსა და იმავე „პატარძალს" სთავაზობდა. ქმარი პოულობდა ოჯახის შექმნის მსურველ მამაკაცებს და პაემანს მომავალ „საცოლესთან" (ანუ თავის ცოლთან) უნიშნავდა. ცოლ-ქმარს სასიძოები გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების მეშვეობით უკავშირდებოდნენ, სადაც ეწერა, რომ სააგენტოს, მსურველებისათვის ბევრი ლამაზი და მდიდარი, ნებისმიერი გემოვნების მამაკაცის შესაფერისი ქალბატონის კანდიდატურის შეთავაზება შეუძლია და რომ ამ ქალბატონებს უმოკლეს დროში სურთ ოჯახის შექმნა. ბუნებრივია, ეს დამაინტრიგებელი განცხადება უამრავი მიამიტი მამაკაცის ყურადღებას იპყრობდა. თითოეული მათგანი „სააგენტოს", საწევროს სახით, 320 ევროს უხდიდა. საბოლოო ჯამში, ცოლ-ქმარმა ერთ წელიწადში ათი ათას ევროზე მეტი მოაგროვა. თუმცა კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს – ერთ-ერთმა კლიენტმა რაღაც იეჭვა და პოლიციას მიმართა. სამართალდამცველები სწრაფად გაერკვნენ სიტუაციაში და ცოლ-ქმარი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. ■

„ბებია მარიხუანას მიირთმევს"

ბრიტანელი პენსიონერი, პატრიცია ტაბრამი, რომელიც კერძებს მარიხუანით კაზმავს, აპირებს გამოსცეს წიგნი სახელწოდებით: „ბებია მარიხუანას მიირთმევს". პოლიცია მასთან ვერაფერს გახდა – მოხუცი ამბობს, რომ ის მარიხუანას სამედიცინო მიზნებისთვის იყენებს, მისი მოხმარება კი, ავტოკატასტროფის შემდეგ, დეპრესიისაგან თავის დასაღწევად დაიწყო.

პატრიცია მარიხუანას წვნიანში, ღვეზელებსა და სხვადასხვა კერძში უმატებს და მეგობრებსაც უმასპინძლდება. გასული წლის მაისში 66 წლის პენსიონერმა პოლიციისგან ოფიციალური გაფრთხილება მიიღო, რადგან მარიხუანას თავისი ბინის სხვენზე ზრდიდა. ერთი თვის შემდეგ პოლიციელებმა მოხუცს 1.500 დოლარის ღირებულების, 242 გ დაფასოებული მარიხუანა აღმოუჩინეს. პენსიონერმა უარი განაცხადა გაემჟღავნებინა იმ პირთა ვინაობა, რომელთათვისაც ნარკოტიკის გადაცემას აპირებდა და განაცხადა, რომ მარიხუანა პირადად მას, სამედიცინო მიზნებისთვის სჭირდებოდა. პატრიცია აღრიცხვაზე აიყვანეს, მაგრამ არ დაუპატიმრებიათ.

ამჟამად კი, შალის პლედში გახვეული, სამზარეულოში მყუდროდ მოკალათებული პატრიცია ტაბრამი წერს შესავალს წიგნისთვის – „ბებია მარიხუანას მიირთმევს" – რათა ხალხისთვის გასაგები იყოს, რომ ტრადიციული წამლები ჯანმრთელობისთვის მხოლოდ და მხოლოდ საზიანოა. ამასთანავე, პენსიონერი დასძენს, რომ ის ხალისით, სრულიად უანგაროდ ასწავლის ნებისმიერ მსურველს, მარიხუანიანი კერძების მომზადებას. „თავდაპირველად, მარიხუანის მოწევა დავიწყე, მაგრამ მისი ზემოქმედების ეფექტი ნახევარ საათზე მეტხანს არ გრძელდებოდა. შემდეგ ინტერნეტში ამ ნარკოტიკის შესახებ ინფორმაცია მოვიძიე და შევიტყვე, რომ თუკი მას კერძში ჩავუმატებდი, მისი ზემოქმედების ეფექტი ხუთ საათზე მეტხანს გაგრძელდებოდა. ჩემი კულინარიული შედევრებით მეზობლებსაც ვუმასპინძლდები. ბევრ მათგანს ვასწავლე კიდეც მსგავსი კერძების მომზადება. ამ ხნის მანძილზე ბევრი საფირმო კერძის მომზადებაში დავოსტატდი და მსურს გამოვცე საკუთარი კულინარიული რეცეპტების წიგნი", – ამბობს მოხუცი. ■

ფოტოკოლიაჟები

№4(90) 17.II.-2.III.2005

ოჯახის ჟურნალი

საშაბათინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

პერიკარდიტი

რეზორ ვმართოთ საკუთარი თავი

ფიჭვი — უნივერსალური მკურნალი

ისევ ეს დისბაქტერიოზი

ოპტიმალური პსაკი ორსულობისათვის

ოტიტი

მთავარი თემა: დვიძლის პათოლოგიები

ვიზიტი პროქტოლოგთან

თქვენი ლ

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვი